ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

## 1872

ივნისი და ივლისი.

წელიწადი მეოთხე.

თბილისი.
ხ. მელიქოვის და ამხ. სტამბა.
1872

## ივნისის და ივლისის წიგნის შინაარსი:

1 მაცი ხვიტია. რომანი მეგრელის ცხო-
ვრებიდამ (დასასრული) . . . . . ა. ფურცელაძისა.

2 მეგობრისადმი (ლექსი) . . . ს. მამისტრაშვილისა.

3 მითხარ, ჩემო ნეტარებავ, (ლექსი) . . ა. ფ.

4 მონების ცხოვრებიდამ (თარგმანი) . . ბ. მამაცაშვილისა.

5 ფიესკოს შეთქმულება (დრამა) თარგმ. ნ. ავალიშვილისა.

6 საქართველოს მდგომარეობა შემდეგ
დაყოფისა.—ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ე ქ ვ ს ე . . დ. ბაქრაძისა.

7 ბოემიდან «ხაბურობილე» . . . . . ფ. მ.

8 ვინ სტყუის?—(ჩვენ ესლანდელი ძვე-
ლი და ახალი თაობა) . . . . . . ჴ—სა.

### დ ა მ ა ტ ე ბ ა.

9 მეფის ვახტანგის დასტურლამალი გაგრძელება).


---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

**1872**

---

ივნისი და ივლისი.

---

ჩვენ უნდა ვშობოდ ჩვენი მყობადი;
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...
***
არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა
ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფელს კი არარა
არგოს...

ნ. ბარათაშვილი.

---

ტფილისი:
ხ. მელიქოვის და ამხ. სტამბა.
1872.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისაც ამ 1872 წ. და ან წარსული წლების „მნათობის" ფული არ შემოუტანია, რედაქცია სთხოვს რაც შეიძლება მალე გამოგზავნოს, ამ ადრესით: ВЪ ТИФЛИСЪ. УЧИТЕЛЮ ДУХОВНОЙ СЕМИНАРІИ, ГЕОРГІЮ НИКОЛАЕВИЧУ ІОССЕЛІАНИ.

*Дозволено Цензурою, Тифлисъ 30 Августа 1872 г.*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მაცი ხვიტია

## 26

ყარაული, რომელსაც ზედ დაასტა მაცი, დიდ ხანს ვერ მოვიფიქრს, თუ რამოხდა იმის თავს. ბურანში მყოფს იმას რაღაც დაეცა ზედ, ის წაიქცა და შეშინებული მინამ გონს მოვიდოდა, მანამ აღარცარავინ იმის გარშემო სჩანდა და აღარცარა სადმე იმისი თოფი იყო. ამან უფრო შიშის ზარი დასცა. იმას მაშინვე წარმოუდგა ეშმაკეული და მთლად ჩაუვარდა ენა. უნდა დაიწყოს ყვირილი და ვერ დაუძრამს კრინტი; უნდა გაიქცეს, და არ ემორჩილებიან მუხლები. ამ ყოფით ის ძლივს მოახერხებს საპყრობილეში ყარაულებთან მისვლას, ერთს დაიძახებს: «ვაი ჩქიმს ჭირის უფალს!» და დაეცემა ზედ ყარაულებს. შეშინებული ყარაულები წამოცვივიან და ნახამენ თავის ამხანაგს უგონოთ. ისინი ძლივს ჩააგდებენ იმას გონსა.

— რა იყო, რავა მოგივიდა?—ჰკითხამენ ყველანი გაოცებით.

— ვუბედურება!... ვაი უბედურებას!... ეშმაკი... ეშმაკმა თოფი ქე წამტაცა...

— რავა იტყვი მაგას!... ეშმაკი რავა მოგტაცებდა თოფს!

კი, შენუ მოუკვდე... ისტე წამტაცა, რავარც ეხლა გიმზერ თქვენ. . მისთანა უშველებელი არ კი სმენია ჩემს ყურს... თვალები, რავარც ცეცხლი ისტე უბრიალებდა... მისთანა კუდი კაი გამბეჩისაც არ

მინახავს, რავარც გველი, ისტე ისლაგნიდა... ვაი ჩქიმ ტორონინს! ვაი უბედურებას!...

ამ ცხადი საბუთებისათვის არ შეეძლოთ არ დაეჯერებინათ სხვა ყარაულებს, და დილამდის არც ერთს იმათგანს არ დაუხუჭავს თვალი, იმ აზრით, რომ ეს ეშმაკი კიდევ ეწვეოდა ამათ რისამეს მოსატაცებლათ.

დილით ეს საკვირველი ამბავი აცნობეს სასახლეში. აქაც ამ ამბით შეფიქრიანდნენ ყველანი. ამდროს სასყრობილედამ მოიტანეს ამბავი, რომ მაცი სკიტია აღარ არისო თავის ორმოში, იქ მხოლოდ ჭურია დამტვრეული იმისი ჯაჭვები და ბორკილებიო.

ამ ამბავმა მთელი სასახლე, მთელი გარშემო მცხოვრებლები აღძრა და დააყენა ფეხზედ. ყველანი, გაოცებულნი, მიჭრბოდნენ ერთმანერთან, ჭკვითხამდნენ და უამბობდნენ ერთმანერთს მაცის გაქცევას. ზოგი იძახდა, რომ ვითამც მაცის ყველა ყარაულებისათვის ყელები დაეღადროს, კედლები გამოენგრიოს და გაგცეულიყვეს; ზოგნი იძახდნენ, რომ ვითომც მაცის ეშმაკისთვის სული მიეყიდნოს და ეშმაკს ამოეძვრინოს ის სასყრობილედამ, და რომ თოფი არ ესროლონო, ყარაულებისათვის თოფი წაერთმიოს; ზოგნი იძახდნენ, რომ აფხაზეთის მთავრის ჯარი შემოსეულიყვეს ჩუმათ ზუგდიდს, გაეტეხნოს სასყრობილე და ისე წაეყვანოს მაცი. ესენი და ამგვარი ხმები დადიოდნენ გაოცებულს და განცვიფრებულს ხალხში. ხალხი ათასობით მოდიოდა სასყრობილესთან დანტვრეულის კედლებისა და დახოცვილის ყარაულების სანახავათ. ისინი კიდეც იჩვენებოდნენ დანტვრეულს ადგილებზედ.

— აი, აი, ბატონი, ვუმზირე, ვუმზირე, რავა გასეთქილია კედელი,—იჩვენებოდნენ ზოგნი ოდნავ გაზზარულს კედლების ნალესს კირზედა.—აქანა მაცის კი არ გაუჭირდებოდა გაძრომა.

— ვარ, ვარ სქენი ჭირი,—გაიძახოდნენ სხვები.—მაგი არაა.

ჭედლები შიგნითაა, რომ გაუნგრევია მაცის. მაცი გარეთ რჩება, გამან-გრევდა რომ შეეტყოთ მცხოვრებთ.

— ა! ასტე ჭური კისრებ დაღადრული ყარაულები, ა! — გაიძახოდნენ სხვები იმგვარის რწმუნებით, რომ თითქო ეს არის ზედა სდგომოდნენ ამ ყელებ დაჭრილს ყარაულებსაო.

ყარაულები თავის მხრივ მართლულობდნენ თავს.

— აჰ! ისტე დაგვაძინა ეშმაკმა, რავარც მკვდარი. კი ვგრძნობდით, რომ ეშმაკი უნდა ყოფილიყვეს დამძინებელი, მარა, აჰ! შენ არ მოუკვდე, ჩვენ კიდარ გვეიძარით... აბა ეშმაკის წინააღმდეგი კაცს რაგა შეუძლიან.

— კი, მარჩიელმა კი მითხრა, — გაიძახოდა ერთი ყარაული, — რომ თუ ილორში არ ილოცე ეშმაკის საფრთხე კი დაგდევსთქვა... რაგა ი დალოცვილმა ღმერთმა არ დამაცალა ლოცვა... შემეყარი მისი ჭირი: რავარც დავბრუნდები შინ, კი მაშინვე გავუდგები ილორის გზას... რა სასუმარია: დაგვძინა ერთ ღამეს, დაგვაწვა ეშმაკი თავს და წეიღო შენი სული ჯოჯოხეთს.

აქ რომ ეს ამბავი იყო, სასახლეში აღარა ხჩანდა ყმაწვილი დედუფლის აფხაზი. ის ქებეს და არც ის, არც იმისი ცხენი არა ხჩანდნენ. არ სადა ხჩანდა თვით დედუფლის საჯდომი ცხენიც.

ამან უფრო შეაფიქრა ყველანი.

ყარაულებმა დაჭყარეს ხმა, რომ ეშმაკი, რომელმაც ესენი დააძინა და მაცი გააპარა, იყო სწორედ ეს ყმაწვილი აბხაზი, რომელიც მშვენიერი ყმაწვილის სახეში შეეპარა დედუფალსაო. ეს ხმა მოეფინა ხალხში და ხალხი ერთიანათ უფრო აზვიადებდა ამ ეშმაკის უნარებს. თვით იმისი ცხენიც გამოიყვანეს ეშმაკათ.

— კი, ცხენიც ეშმაკი იყო, შენუ მოუკვდე, — გაიძახოდნენ ისინი: — ნახე რავარც ქარი ისტე მოჰქროდა დოლში. შენი თავი არ მოუკვდეს, რომ მას ადგილზედ ფეხები არ ეკარებოდა... დედა, დედა, რაგა უცნაური მოხდა!...

აქ რომ ეს ამბავი იყო ცხენზედა, ერთმა ვიღამაც სასახლეში შენიშნა, რომ ცხენი მარლანიას ცხენს ჰგვანდაო. ამ ამბავმა სხვებსაც მოიყვანა გონს და ბევრმა დაიწყო მტკიცება, რომ სწორედ ის ცხენი იყო მარლანიას საჯდომი ცხენი. ამ ცხენის ვინაობის შეტყობამ მოიყვანა სხვებიც ფიქრზედ.

— კი, ძალიან არ ჰგვანდა მაგი აბხაზი ჩალაჩავას ახულს, ეგას, — სთქვა ერთმა ხორგელმა კაცმა, რომელიც ვაჭრობდა ზუგდიდში.

— კი, შენუ მოუკვდე, — იტაცა თმებში ხელი უმაწვილმა მთავრის მემკვიდრემ, ჯამლეთ — მთლა, რაგარც ვნახე მაგი აფხაზი, ვფიქრობდი, რომ მინასამიქვა სანცახას... ვიცნობ, მთქვა და კი ვერ მოვკელ აზრს... მთლა ისტე ეგა იყო ეგ, რაგარც მე ვარ მთავრის მემკვიდრე...

— აჰ, შენ არ მომიკვდე, ომარ არ იყვეს მკვდარი, — გავარდა ხალხში ხმა, — ნახე რავა საქმე მოახდინა! მთლა ქვეყანა დაატყუა, მკვდარი ვარ თქვა და აწი მაცი მას მოუტაცნია,... ამა, და ის დედუფლის უმაწვილი აფხაზი თვით მარლანია ყოფილა... ვაი აწი ქვეყნის უბედურებას... ვაი ვუბედური გვაჯის ბრალი.... აჰ, შენ არ მოუკვდე აწი ჩვენს მთავარსაც აქანა არ ედგომინოს... დედა, დედა, დედა, მისთანა უნახავის ნახვას!...

ხალხში რომ ეს ამბავი იყო, გურანდუხტას არ ეძინა. იმან საჩქაროთ მოახდინა განკარგულება, რომ სადაც უნდა ყოფილიყო ეძებნათ და ეპოვნათ მაცია და ეგაც. ის იყო საშინელი აღელვებული ამ უცნაურის მოტყუებისაგან. იმისი თავის მოყვარება გარდიქცა ახლა შურისძიებათ, ახლა მაცის სიკვდილის მეტი აღარა ტრიალებდარა მის გულში.

— ვერ წახვალ ვერსად, მოგძიებ თვით ცის კიდეზედაც და ისტე ჩემ თვალწინ შეგაწვეინებ ნელს ცეცხლზედ და ვაყურებინებ ქვეყანას შენს სატანჯველს, — განიზრახავდა ის გულში.

ის ყოვლის თვის ძალით შეუდგა თავის აზრის შესრულებას და მინამ იმათ იპოვნიდა, უბრძანა შეპყრობა ეგას სახლობისა.

## 27.

ოდიშის დაბალის ხალხის მდგომარეობამ მიაღწია უკანასკნელებამდინ. ცალკე ნიადაგ ცარცვა და ცალკე თავად-აზნაურობის და მთავრის სახლის ამათს კისერზედ დაწოლამ მოიყვანა ისინი განწირულებაში. ოდიშის გლეხკაცი იყო სრული კუთვნილება თავის ბატონისა და მთავრისა. იმას უნდა შეენახა ესენი სულიან ხორციანათ. თვით ცოლნი და შვილნი ამათი იყვნენ სრულს ბატონებისა და მთავრის უფლებაში უფრო, ვიდრე ამათსაში გლეხკაცი ითმენდა ყველა ამას უნებლიეთ. მაგრამ ყველას თავის ბოლო აქვს. ისინი მივიდნენ უკანასკნელებამდინ, მაგრამ კიდევ ამ მდგომარეობიდამ გამოსვლის ღონეს არა ჰხედავდნენ. ხალხში შეიქნა მითქმა-მოთქმა. ამათ ჰნასეს ერთ თავის სახსნელ ღონეთ კეისრის თხოვნა. კეისრის სახელმა გააღვიძა ამათში მხნეობა და იმედი, თუმცა არავის ხალხში არ გაეგებოდა ნამდვილი მნიშვნელობა ამ სახელისა, მაგრამ ჰქონდათ გაგონილი, რომ კეისარი არის ძლიერი; და თუ არ დიდს ძალას ამათი მეფის ღონე არავისა ჰქონდა. მთავარსა და სხვა თავის დაწყობილებაებში არა ჰხედავდნენ იმ ღონეს, რომელსაც ამათთვის ეშველა.

რაკი ეს სახელი გაისადეს ხელმძღვანელათ, ხალხს ეგონა, რომ ყოველს ჩვენს გაჭირვებაში კეისარი უმალ მოგვეშველება, რაკი ერთ გახსენებთ იმის სახელსა და გამოვიდებთ იმისთვის თავსაო. ამ ფიქრით ხალხში შეიქნა მოძრაობა. ყოველგან ისმოდა მხოლოდ კეისარის სახელი. ხალხში დავარდა ხმა ამ სახელის ხშირათ ხსენებით, რომ კეისარი მოდის თვის ჯარებით იმათ სახსნელათაო. ამ ხმებმა უფრო და უფრო გაამხნევეს ისა. იმათ უფრო და უფრო გამოიდეს თავსა. ბოლოს აღელდა ხალხი, მოხდა შეთქმულობა.

თავად-აზნაურობა არ ათხოვებდა ამათ ყურსა და იგდებდა მასხრათ, რაკი არა ჰქონდათ ჩვეულობა ყამახების წინააღმდეგობისა. იმათ ფიქრათაც ვერ წარმოედგენათ იმგვარათ დაჩაგრულთა და მორჩილთაგან ფხისა და ძალის გამოჩენისა. ისინი არ ერწმუნებოდნენ ამას, კი-

დრომ ერთს მშვენიერს დღეს არ გაიღვიძეს და არა ნახეს თავის კა-რებებზედ თავისი ყაზახებში გაბარებული, ძუძუმწოვარს ბავშვებში ჯგუფე-ბით; მინამ არ დარჩნენ უსადილონი და უსაზრდოვონი.

ამ საშინელებას სამეგრელოს მაღალი წოდება ვერას დროს ვერ წარმოიდგენდა. ის ყველას მოიფიქრებდა, და იმას ვერ მოიფიქრებდა, რომ მეგრელი გამზრდელი ასე გაიმეტებდა თავის გაზრდილებსა და უძუძუოთ მოუყრიდნენ უსუსურს ბავშვებს პატრონებსა. მაგრამ ამ უბე-დურებასთან, ისინი დარჩნენ სრულებით უსაზრდოვოთაც. ყაზახებმა მოუ-სპეს დიდკაცებს გზავნა სადილვახშმის სამზადისისა. ამისგამო იმათ მოუ-ლოდა ცალკე ბავშვების უძუძუოთ დახოცვა, ცალკე თავათ შიმშილით ამოწყვეტა, რადგან არ იყო ჩვეულება, რომ ოდიშის დიდს კაცს თვით გაეჩინა წლის საზრდო. ისინი სცხოვრებდნენ გლეხ კაცის ხარჯზედ. რიგით უნდა ეჭამა ამათთვის გლეხკაცს პური, რიგით უნდა ეზიდ-ნათ ამათვის დღიური საზრდო. უფრო ღარიბნი, რომელთაც ამგვარათ შენახვით ვერ აუვიდოდნენ თავისი ყაზახები, ცდილობდნენ თითონაც წლის სარჩოს დამზადებასა, მაგრამ ბევრი გლეხების პატრონები არ იმცრობდნენ ასე თავს, რომ თვით ეზრუნათ წლის საზრდოსათვის.

ისინი ამ უცებისა და უცნაურის ამბისაგან ჩავარდნენ საშინელს განწირულებაში. იმათ დიდხანს არ იცოდნენ რა ექნათ. ბოლოს მიმარ-თეს მთავრის დახმარებას. მთავარი იღუმებდა და თუმცა ჰპირდებოდა პირად დახმარებას, მაგრამ საქმით არაფერს გამჭრიახობას არ იჩენდა. იმას გულში ჰქონდა ჩანასხოვრებული ამ დიდკაცობის ნიადაგ წინაა-ღმდეგობა ამისი, და ის ერთმხრივ მოსურნეც იყო, რომ ესენი დას-ჯილიყვნენ და დასტყობოდათ ამისი დაუხმარებლობა.

აქ რომ ეს ამბავი იყო, ყაზახობა უფრო გაამხნევა ამათმა უმო-ქმედობლობამ. იმათ აშკარათ ამართეს ამათზედ იარაღი. შეიყარა ჯარი და მისცეს ცეცხლი რამდენსამე თავად-აზნაურების შენობაებს და სარ-

ჩოს. იმათ აირჩიეს რამდენიმე მოთავე, დასხეს მძიმე ხალიჩებით გადაფენილს ტახტრევანზედ, დაიდვეს თავზედ, ატარებდნენ ყმეგვარათ სოფლიდამ სოფლამდენ და უწოდეს ამ მოთავეთ ახალი დადიანობა. იწყეს ამათ სასარგებლოთ სარჯის კრება.

განდეგილი ყაზახები, ვისაც კი შეეძლო იარაღის ხმარება, გაიყო სამ ნაწილათ: ერთი შეიკრიბა ჯვარსა, მეორე ტაიას, მესამე კურძოს. აქედამ თარეშობით ესხმოდნენ თავად-აზნაურობას. სარჩო საცხოვრებელს მათსას აძლევდნენ ცეცხლს, ქალთა აუპატიურებდნენ საქვეყნოთ. ერთის სიტყვით არც ზნეობით არც ქონებით არა ჰზოგავდნენ ისინი თავენთ წინააღმდეგთ.

თავად-აზნაურობა, თავზარდაცემული, ეცნენ ერთმანერთს და იწყეს ალაგ ალაგ გროვება და ერთობა.

ყაზახობა თან და თან აიშალა და მოძრაობა მოედო მთლათ ოდიშს. იმათ აიღეს სამუშაოზედ ხელი და მოდიოდნენ ათასობით განდეგილებში შეყრილს ჯვარებთანა. მთლათ ოდიში დადგა ფეხზედ.

რაკი თავად-აზნაურობამ ნახეს თავი უპატრონოთ და განწირულებაში, შეიდეს თავს;—ერთი ღა დარჩენოდათ: ან უკანასკნელობამდინ გამოედოთ თავს, ან დახოცვილიყვნენ მტრის ხელითა, შიმშილითა და უბინაობით. ამათ მდგომარეობა აღარ ითმენდა დაყოვნებას. ამათ გამოიდეს თავს.

ყაზახობამ რომ ჩრდილოეთისაკენ მოიყარეს თავი, თავად-აზნაურობამ იწყო გროვება სამხრეთისაკენ. იმათ იწყეს მზადება დასასხმელათ. ალაგ ალაგ იწყეს კინკლაობაცა. ომები იწყობოდა სამთავროში, თითქო მთავარი არსად იყვესო.

ამგვარი მთავრის ჩაუგდებლობა და მთავრის უთაურობა, საშინლათ აღელვებდა გურანდუსტ დედოფალს.

— ჰპა, მთავარი მერქვას, მეფის დარი კაცი ვიყვე და ჩემი საყმო მთლა არაფრათ მაგდებდეს, რას ვაქნევ მისთანა დიდებას!... დე-

ლუპოს მისთანა კაცი, რომ თვის გვირგვინს ვერ მოიხმარებს [illegible]-ბის!

ამგვარის ფიქრებით იყო აღელვებული გურანდუხტ, რომ ერთს დღესაც სწვდა ის ყრონტში თვის მეუღლეს—ვამეყს.

— რას იზამ, შე უბედურო, რას? რა გქვიან შენს სამთავროში?! მეფე ხარ გვირგვინოსანი და უკანასკნელი ბილწი ყაზახები თავს წამოგსხდომიან... რავა უნდა შენ დედაკაცს უზრახოდე დედაკაცობას, რომ თვით დედაკაცზედ უარესი ყოფილხარ!.. შენ თუ არ იქ და მე გავალ თვით საჩხუბრათ... რომ მოკვდე კი მიჯობს მისთანა დამცირებას ჩემს სამთავროში.... ვინლა შერცხვენილი იქნება ან შენ მთავრათ ან მე დედუფლად ჩაგვაგდოს. ისტე უკანასკნელათ გაგვხდიან, რავარც პამპულას.

აქ ვამეყს მეტი ჩარა არა ჰქონდა, უნდა როგორმე ბხა გამოეჩინა

ამან გაუგზავნა გლეხკაცებს კაცი, რომ თუ არ დამშვიდდებოდნენ ის ავად მოეპყრობოდა იმათ.

ყაზახებმა პასუხის მაგივრათ, გამოუგზავნეს მთავარს გაგზავნილი კაცების თავები და შემოუთვალეს, რომ ჩვენ კეისრის გარე სხვა ბატონი და პატრონი არ ვინ გვიცნიაო.

ამ ამბის მიტანამ უფრო აალელვა გურანდუხტ.

— აჰ! კი არ ღირს მისთანა მთავრობა და დედუფლობა, რავარც ვართ ჩვენ ჩემი ქმრის ხელში... დიდებულს დიდება არ ამჩნდეს— მისთანა სიცოცხლეს კი ცალფულათ არ ავიღებ... მუდამ შერცხვენა ჩემი არაა ჩემგან დასათმობი... კი ვაცემინებ ჩემთვის თაყვანს... კი ვათაყვანებ მათ ჩემს გვირგვინს.... კი ჩემი ქმრის ხელით უკეთეს პატივს არ უნდა ველოდე, მარა.. ჩემს დიდებას არ ვანაცვალებ არც ქმარს და არც შვილს... უნდა ჩემს გვირგვინს სცემდნენ შესაფერს პატივს... მარტუა მიჯობს ჩემი დიდების მოვლა!... აქამდისაც მემართა ჩემი თავის პატრონობა ამდენ სირცხვილს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 28.

ამ ამბის მოტანამ ააღელვა თვით კამეყიცა. ის შეუდგა ფიქრსა, რომ მიეღო ზომიერი ღონისძიება ამ არეულობის ბოლოს მოსაღებელათ. ის შუაღამემდის იყო უძილოთ და ჰფიქრობდა სვალისათვის საქმის შედგომას.

ის ჰფიქრობდა და ამ ფიქრსა და აღელვებაში ატანდა ჩიბუხს ძალას, რომ იმან იგრძნო საშინელი მოწყვეტა და დაუწყო საძილედ თავმა ძლევა. ის გაუხდელათ მიესვენა ტახტზედ მძიმეთ შეკერილს მუთაქებზედ და დაეძინა ღრმა ძილით... ძილით, რომლიდგანაც აღარავის არ გაეღვიძნია.

დილით შევიდნენ მსახურნი გასაღვიძებლათ და წარმოიდგინეთ იმათი გაოცება, როდესაც კამეყ ნახეს უსულოდ გათიჩხებული. ის იდვა ისე, თითქო მართლა სძინავსო, ხოლოდ აღარა ჰსუნთქავდა.

ამ ამბავზედ შეიქნა საშინელი აღიაქოთი და წივილ კივილი

გურანდუხტ, ამ ამბის გაგონებაზედ, დაეცა გულშემოყრილი და ძლივს მოიყვანეს გონსა. ის საშინელის განწირულებით გასწიოდა, იგლეჯდა თმებსა, იხოკდა სახესა და მოსთქვამდა გულის საკლავის სიტყვებით. ჩაუცვივდა თვალები, მიუმტკნარდა სახე. აღარავინ ელოდა იმის გადარჩენას მწუხარებისაგან, ყველა ელოდა ამისას კამეყუთან თან დაყოლებას. ყველა ნუგეშცემით და მწუხარებით ეხვეოდნენ გურანდუხტს, და ასურიელებდნენ წამდა უწუმ გულშემოყრილს. უმცროსი შვილი ადგა განუშორებლივ დედას თავსა, სტიროდა და სცემდა ნუგეშსა შეწუხებული გურანდუხტ პატარას ხანს მოვიდა გონსა. იმან ჰხედა თავის სიყრმის შვილს. ის განწირულებით მოეხვია იმასა, მიიკრა გულში, დაეწაფა ტუჩებზედ და დიდს ხანს გულის კვნესით ჰკოცნიდა და უწუწნიდა ტუჩებს.

— შვილო, რატომ მე არ დამმარხეთ ჩემს [illegible] ჩემს ვამეყამდის... შვილო გამაძღე შენის მზერით, შენის [illegible] რო გულით მივეგებო ჩემს ვამეყს... შვილო თქვენ უნდა ორივე ერთათ დაგვიტიროთ.

შემდგომ ამგვარის მწარის მოთქმისა, გურანდუხტ დაეცა უგონოთ. ხალხი მოეხვია და უწყეს ისევ სურიელება. იმას წამდა უწუმ მისდიოდა გული და ყოველს მოსურიელებაზედ ის ისვამდა ტუჩებზედ რაღაცა წამალს და უზიოდა ტუჩების სივიცხეს. ყველა მეჭურრებდა ამის მწუხარებას განწირულებით.

პატარას ხანს უკან, შემდგომ ისე ცხარეთ გულსა და ტუჩებში დედისაგან ჩაკრობისა, დაუწყო გულს ფერება მთავრის უფროსს შვილს, ჯამლეთს, რომელსაც ისე მწარეთ ესალმებოდა განწირული გურანდუხტ. იმას უმატა სისუსტემ თან და თან. შეიქნა ახლა ამაზედ ყრიამული. დედუფალს ვერავინ ატყობინებდა ახლა ახალს სამწუხარო ამბავს. მემკვიდრემ საღამომდის დალია სული.

თუმცა ამ უბედურებასაც დიდს ხანს უმალავდნენ გურანდუხტს, მაგრამ იმას თითქო გული უგრძნობსო, დაიწყო წამდა უწუმ კითხვა თავის უფროსის შვილისა.

— სადაა ჩემი ნუგეში? სადაა ჩემი სამოთხის გზა?... მომგვარეთ გავძღე მის ყურებით. ვიდრე მიდგის პირში სული.—გაიძახოდა მობრუხმული გულის ყრისაგან გურანდუხტ. მაგრამ მომგვრელი აღარავინ იყო. შვილი იმისი იდო უსულოთ.

რაკი აღარა და აღარ აჩვენეს ამას თავისი უფროსი შვილი, ამან დასუსტებისაგან მიგნავებულის ხმით დაიწყო განწირულებით ძახილი.

—რა მომდის ქრისტიანებო!... რას მითქვამს გული... მამკალით, ნუღარ მაცოცხლებთ... რას მითქვამს ჩემი გასაქვავებელი გული!... სადაა ჩემი ჯიგარი?.. სადაა ჩემი სიცოცხლე?!. სადაა ჩემი ჯამლეთ? ვის გიყვართ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი, მამკალით. წაწყმედილი... მამკალით, რომ არღა ისმინოს ჩემმა ყურმა სხვა უარესი უბედურება...

აქ ჰელდარავინ შეიმაგრა ტირილისაგან თავი და ყველა აქ მყოფი დაიწყეს ამ მწარე სიტყვებისაგან შემაგრებული ქვითინი. ისინი გრძნობდნენ, რომ მშობლური გული დედისა გრძნობდა სხვა უარესს და უცნაურს უბედურებას.

— სთქვით! — გასძახდა განწირულებით გურანდუხტ: — გამიყარეთ გულში დანა... მითხარით ჩემი უკანასკნელი უბედურება.

აქ ის თითქმი უსულოთ დაეცა მიწას.

ყველა ელოდა: აცა კვდა, აცა კვდა ქვეც თან გაჰყვება თავის ქმარ-შვილსაო.

იმ ღამეს გურანდუხტამ მოიკითხა თავისი ქალი, თინთინე.

— თინთინე, — მიმართა გურანდუხტამ მიხწნეულის ხმით: — მიშველე, ნუ მამკლავ: ჩემი სიცოცხლე კიდევ კი საჭიროა ჩემი წვრილი შვილებისთვის. ისევ მე, გაუბედურებული, ვიტანჯო ცოცხლივ ჯოჯოხეთის ცეცხლით კი მიჯობს, ვიდრე დავიგულებდე უპატრონოთ ჩემს დანაშთენს შვილებს.

თინთინემ დაუწყო რაღაცა მოსაღონიერებელი წამლების მლევა. იმღამეს დედუფალს დაეძინა ტკბილათ. მეორე დღეს გაიღვიძა უფრო გამხნევებულმა. მაგრამ ქმარ შვილის დასაფლავების დროს ის დიდს ხანს ეგდო უსულოთ. ის უკანასკნელათ დაემხო იმათ კუბოს და ძლივს ააგლიჯეს თითქმის სრულიად გაციებული.

მაგრამ თინთინეს მარჯვე წამლები ამხნევებდნენ გურანდუხტას. ამ წამლებისაგან ის მეორე დღეს იყო კარგა მოღონიერებული, თუმცა საშინელი მწუხარება და დავრდომილება ისახებოდა იმის სახეში.

თინთინეს წამლებმა ის ისე მოაღონიერეს, რომ ის საშინელის სიმხნევით შეუდგა სამთავროს მართვას. იმან საკუთარის ხელით მისწერა აფხაზეთის მთავარს და ბეჟან შარვაშიძეს, სამურზაყანოს მა-

ტონს, წიგნი და სთხოვდა ჯარების დახმარებას აღელვებული ოდიშის დასამშვიდებლათ. ის მშვენიერის სიტყვებით ჰსახავდა იმ ჭირვარებასა, რომელიც ამას ასე უცნაურათ მოადგა ამის ცოდოების მოსაკეთხათ; ის უჩვენებდა და უმტკიცებდა ცხოველის სიტყვებით, რომ ესენი ყოველს ბედსა და უბედურებაში უნდა ყოფილიყვნენ ერთნი, რადგან ყველანი არიან ერთ რიგათ ღვთისაგან გვირგვინ ნაკურთხნი და ერთს ბედსა და ერთრიგს ხალხში ჩავარდნილი. ის მარჯვე სიტყვებით აღვიძებდა იმათს გულში თავის მოყვარებასა, ძველს ამათშორის მეგობრობასა და ურთიერთობასა. მეორეს მხრით გურანდუხტ ჰგზავნიდა ამგვარივე წიგნებით იმერთა მეფესთან, რომელსაც აგონებდა, რომ იმერეთი არის სამეგრელოსაგან შეწუხებული და თუ ის არ დაესმარებოდა ამათს დამორჩილებაში, იმერეთი ვეღარა გზით ვერ მოისვენებდა.

ერთის სიტყვით გურანდუხტ ერთს ორს დღეს უკან აღარ იცნობოდა. იმან მაგრა დაიჭირა სამთავრო სადავეები ხელში და განემზადა სრულიად აღრეულობის მოსასპობელათ.

—აწი კი ჩემს ხელთაა ყოლისფერი და არვის ჩემ წინააღმდეგს არ ვაკადრებიებ.—სთქვა იმან გულდამშვიდებით და შეუდგა საქმეს.—დედუფალს უნდა თავის შესაფერი დიდება.

29.

აქ რომ გურანდუხტას დარჩა ამგვარი გამარჯვება და ჩაიგდო ხელთ სამთავრო სადავეები, იქ ასეულს უაზახებს ემატებოდა თან და თან ძალა.

არ ეძინათ არც თავად—აზნაურობათა. იმათ სრულიად თავისუფლათ მოიყარეს თავი, დასწყეს რაზმები და დაიძრნენ გურმოსაკენ, სადაც იყო ერთი ნაწილი განდევნილების შეყრილი.

შეყრილი უზახობა, სრულს განცხრომაში იყვნენ და ეწყოდნენ

ქეიფს ნაალაფევის ქონებით. მოთავენი იყვნენ ნიადაგ დამთვრალნი და ქეიფში. ისინი აღუთქვამდნენ ხალხს ყოველს ბედნიერებას.

— კი, მისთანა საქმე მოვახდინოთ, რომ ჩვენს უბედნიერესი არ მოიძებოდეს მთელს დედამიწის ზურგზედ, — უქადაგებდნენ ისინი ხალხს.

— შეგვეყარა თქვენი ჭირი! — გასძახოდა ამათ ყაზახობა სრულიად დაიმედოვნებული მამავალის ბედნიერებით.

ისინი, დამაძღარნი და საკმაოდ დალეულნი ამყამათ, მოელოდნენ ნიადაგ ამგვარ ცხოვრებას.

— გვიბრძანეთ დიდებულნო, გვიბრძანეთ ასალო დადიანებო მისთანა საამური სიტყვები. — შეჰღაღადებდა კიდევ ხალხი.

— ჰო, და მოსულა ჩვენი დრო: აწი ჩვენ შევიქმნებით ბატონები და ბატონები უნდა გვყავდეთ ჩვენ ყმათ. აჰა და არ შევირცხვენთ თავს და მოხმარებას კი შევიძლებთ... რაც მათ კაი საჯდომი ცხენი და ჯორი ჰყავთ, მთლად ჩვენ დავიმკვიდრებთ და ვერცხლის დეზებით გოუდგებით თბილის ქალაქის, ქუთაისის და ყულევის შარას...

— ჰო, სქანი ჭირი! ჰო, სქანი ღორონთი! — შესძახოდა აღტაცებით ხალხი.

— კი, დავბრძანდებით ჩვენი ბატონების სასახლეში, ფარჩეულს ნოხებზედ, მოვუსხდებით მათს სავსე ჭურებს, ჩვენი ვენახებიდამ რომ აქვთ სავსე, და მთლად არ გამოვილევთ კაი ღვინოს და კაი ყალიონს.. სადაც მათ ასული მოგვეწონება, ქე დავისხამთ სასახლეშით მუახლეთ და ვამღერებიებთ კაი მილის პირებს და ტკბილად ქე გაფხაიებთ ბროლის თითებით ფეხის გულებს.

— ჰო, სქანი დიდება! — შესძახა კიდევ მომავალის ბედნიერებით გატაცებულმა ხალხმა, რომ ამ დროს შეიქნა რაღაცა არეულობა.

უცებ მოვიდა ამბავი, რომ მოვიდა თავად-აზნაურობა დაგვესხმებიანო.

ხალხს წაუგვარდა ენა. ზოგნი არეულნი ეცნენ [illegible], ზოგნი გამშრალნი იდგნენ ალაგობრივ და არ იცოდნენ რა ექნათ.

ამ დროს შეიქნა მწარე ყიჟინა ერთი ხუთასი ცხენოსანი, მშვენივრათ დაიარაღებული თავად-აზნაურობა მოადგა ამათ.

ერთმა ამათმა დანახვამ დასცა ამათ შიშის ზარი. უცებ ბატონების დანახვამ გააღვიძა ამათს გულში ის შიში დამოკრთალება, რომელიც დედის ძუძუდამვე ჰქონდათ ამათ სისხლში შეწოვილი. იმათმა საშინელმა მრისხანე ყიჟინამ არია ეს სამი ათიათასამდის შეყრილი ყმასობა და ისინი, გამაგრებისა და დასჯდრის მაგივრათ, ეცნენ უთოფოთ ტყესა და იმავე დღეს ეცნენ თავის სახლებსა.

თავად აზნაურობა აქედამ ემგერა ქოყოს შეყრილს ხალხსა და აქაც ეს ამბავი მოხდა, რაც გორმოს. დარჩა მარტო ჯვარს განდეგილება. იქ შეწყვეტილი უფრო თავისუფლებას და გაწვეულნი სხვა და სხვა მეზობელს თავისუფალს სახლებში ტრიალსა, სიარულს და აბრაგობას, დაუხვდა. ამათ მაგრადა დიდს ხანს ვერას აწყობდა ამათთას თავად-აზნაურობის ჯარი.

ჯვარელობამ მოიმხრო თავისუფალი სვანეთიდამაც ჯარი და დაუწყო თვით მოხვევა თავად-აზნაურობას, რომ ამ დროს მოუვიდათ ამბავი ამ ჯარში მყოფთ სხვა ოდიშის ალაგებიდამ მოსულთ ხალხით, რომ დედუფლის ჯარები შესია თქვენს სახლებსა და იგლეჯენო. იმათ ჩქოვეს საჩქაროთ თავის სახლობათების მიშველება და თითო-თითოთ ანუ ბევრს განდეგილებას თავი და გაეჩქარნენ ცოლშვილს და დედმამას. ჭპლარას ხანს უკან ჯარს შეყრილს ჯარისა აღარ დარჩა მეოთხედიცა.

ამ მტერეთაც მოადგათ სხვა თავად-აზნაურობასთან დედუფლის ჯარის ჯარიც შერვაშიძისა და იმერთა მეფისაგან მოშველებულის ჯარებით; მეორეს მხრით დადიშქელიანის ჯარი სვანეთიდამ.

ჯვარელობამ შეუკრა ამათ გზები და გაიმაგრა სიმაგრეები. ისინი უკანასკნელობამდის აპირებდნენ ბრძოლას და მოელოდნენ, რომ ამათთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიდებდა სხვა ოდიშელობაც თავს. მაგრამ ყველა იყო [illegible] რათ დარჩნენ მარტო ქხენი. საგზალი შემოაკლდათ, ცოლშვილს მტერი შეესია. იმათ მეტი ღონე არა ჰქონდათ; აიღეს ხელი თავის განძრახვაზედ და დაიშალნენ თავთავის სახლებისაკენ, ცოლშვილის მისა-პატრონებლათ.

## 30.

ეს დროები იყო, როდესაც ქავს მოუვიდა ცნობა, რომ იმას დედმამა და და-ძმები დაუტყვევებს და ჰყავთ სატანჯველში, რომ აწვალებინათ სად არის დამალული ქავო. იმან შეიტყო, რომ ჰქონდათ ამისი მშობლებს და და-ძმათ მიცემული ვადა და თუ ამ დროს არ მოიყვანდნენ ისინი ქავს, ყველას თავებს დასჭრიანო.

ამავე დროს რაკი შეიქნა მოძრაობა სამეგრელოში, მაციმ არჩია გაცლა სვანეთში. ის იყო აზნაური და ამისგამო ყამასყეს გერ მიუდგებოდა, და თუ მისდგომოდა თავად-აზნაურთ, იცნობდნენ ამას და უეჭველია, რომ მოღალატე არ გამოსჩენოდა და არ გაეცათ მთავრისთვის. ამისგამო იმან დროებით ქავა გაუშვა იქვე ცომაიებთან სამურზაყანოს და თვით გავიდა თავისუფალს სვანეთში, სადაც აპირებდა ბინის მოკიდებას და იქ დასახლებას თავის ქალი და სხვა სახლობით, რომელნიც ეგრეთვე ჰყვანდა ცომაიებთან.

ქავა, ამ ამბის გამგონე, იყო საშინელს განწირულებაში. ახლა იმისი საყვარელი მშობლების, იმის პაწაწინა და-ძმების სიცოცხლე იყო დამოკიდებული ამის გამოჩენაზედ. თუ გამოჩენილიყო, უნდა გამოსალმებოდა საუკუნეთ თავის უძვირფასეს მაცის, რომელსაც ამოდენა შრომა დატანჯვა გაეწია ამისთვის და რომელზედაც თვით ქავს ჰქონდა იმოდენა აურაცხელი ამაგი; ამასთან ამ გამოჩენით თითონაც უნდა გამოსალმებოდა სიცოცხლეს. თუ არ გამოჩენილიყო, და უნდა

ამის გულისთვის დახოცვილიყვნენ სატანჯველით ამისი დედმამა, ამი-სი დაა-ძმანი.

ეგას ფიქრისა და ჯავრისაგან დაეკარგა ძილი, დაეკარგა მადა ის ხაშინლათ ჩამოდნა. მთელი დღე იყო ჩუმათ და არავის ხმას არ ხცემდა იმას დაეკარგა თვით ცრემლებიც, რომ ამითი მაინც არის გა-ეგრილებინა თავისი გული, თავისი მწუხარება.

ის შეუდგა მეცადინეობას, როგორმე მშობლების ჩუმათ გამო-ღხნისას, მაგრამ ყოველი შრომა შერჩა ამაოთ. იმათი განთავისუფ-ლება იყო შეუძლებელი. ისინი იყვნენ მიუდგომელს ადგილს დამწყ-დეულნი, მცველები ჰყვანდათ ისინი, რომელთაც თვით დედუფალი იც-ნობდა და რომელთაც გულით მიენდობოდა.

მოატანა ვადამ, რომელიც ჰქონდათ ეგას სახლობას დადებული ღხნა იმათი არსაიდამა სჩანდა.

ეგამ გადიწყვიტა გულში თავის გაწირვა და თითქო მოუშვა გულზედაო, ის შეიქნა უფრო მხიარული

მოვიდა დღე, რა დღესაც უნდა დაეხოცნათ ეგას მშობლები და დაა-ძმანი.

წინა დღეს ეგა ისევ ჩავარდა ფიქრში. ის იმ დღეს შეიქნა უა-რესი მწუხარე. სახლში ვერავინ მისვედრილიყო ამის მწუხარებას. მა-ცამ, რომელიც ჯერეც ისევ სვანეთში იმყოფებოდა, არა იცოდარა ეს ამბავი.

ეგა არავის უტყდებოდა თავის მწუხარებას. იცოდა, რომ რაკი შეუტყობდნენ ყველაფერში ხელს მოუცრიდნენ. ის იყო ჩუმათა. გა-მოუთქმელობა უფრო ჰკლავდა.

დაღამდა. ხვალ დილას უნდა გამოსალმებოდნენ ამისი მშობლე-ბი და დაა-ძმანი სიცოცხლეს.

ცოლმაიების სასხლში ყველა მიეცა ძილსა. ეგას არა სძინავს. იმას

უძგერს საშინლათ გული. ის ესალმება გონების ფიქრით ქვეყანას, რაც იმისთვის ყველაზედ უძვირფასესია სიცოცხლეში; ის უგზავნის უკანასკნელ სალამს თავის სანატრელს მაცის; ის ესალმება უკანასკნელათ სიცოცხლეს. იმას აქ წასკდა ცრემლები და დიდსა და დიდს ხანს იღვრებოდა ეკას გული ცრემლითა.

— კი, მაინც და მაინც უნდა მოვკვდე მაცის დანატრულებული. უნდა მოვკვდე, როდესაც ჯერ არც კი მიცხოვრია... აქნობამდინ რომ ვცხოვრებდი, მაგი სიცოცხლე კი არ, სიკვდილზედ უარესი იყო... სიცოცხლეს სხუმის ველოდი და, აჰ!...

აქ ჩაუვარდა ეკას ენა. იმას შეაწყვეტინა ფიქრი ქვითინმა.

იმან შეიმაგრა თავი. დრო იყო. დასანება დაღუპავდა აიმასაც და იმათაც, ვისთვისაც თავსა სწირავდა.

— მშვიდობით ჩემო მაცი!—წამოიცდა ეკას უნებლიეთ პირიდამ და ის წამოხტა ქვეშაგებიდამ.

იმან გადაავლო იქაურობას გამოსალმების სახით თვალი და დაიწყო ჩაცმა.

ღამე იყო ნათელი. სავსე მთვარე ჰფენდა დამშვიდებულს ბუნებაში, მშვენივრათ მიწმენდილს ცაზედ, თვისთ ნათელ მკრთალთ სხივთა. ვარსკვლავები მხიარულათ კამკამებდნენ ცის კამარაში თვით ტყე იყო დამშვიდებული და არ იძროდა არც ერთი ფურცელი. ყველა იდუმალებდა. ყველა თითქო რაღაცა ტკბილს განცხრომას და მოსვენებას მისცემოდა. ისმოდა შორს მხოლოდ მრისხანე ინგურის ხრიალი და ოშოთვა. ამ დროს ერთი მხედარი, მსწრაფის ნაბიჯით მიეშურებოდა ზუგდიდის გზას. ის იყო ეკა. ეკა აძლევდა უკანასკნელს სალამს ამ მშვენიერს ბუნებას, მშვენიერ ღამეს. ის მიაშურებდა თავის თავს ჯალათის ხმალისაგან, რომამითი გამოუხსნა ისინი, რომელნიც ამისგულისთვის უბრალოთ უნდა დასჯილიყვნენ.

ინათლა დილამ. მთელი ზუგდიდის ხალხი იყრიდა ზუგდიდის მოედანზედ. შუაგულს მოედანზედ იყვნენ შეყრილი [illegible] ქრის ამართულს ფიცრულს მაღლობთან, სადაც ამ დღეს უნდა დაეჭრათ თავები ქვას მშობლებისა და დაა-ძმათათვის.

შეიყარა ბრბო ხალხისა. ყველანი იყვნენ ჩუმათ, თითქო რაღაც საშინელებით მოცულნი. ყველა ლაპარაკობდა დაბალის იდუმალის ხმით, ყველა ელოდა საშინელს სანახავს. ხალხი მოუთმენლათ იყურებოდა საპყრობილესაკენ. საპყრობილეს ეხვია ჯარი.

პატარა ხანს უკან დედუფალი გამობრძანდა მრავალის ამალით, ყოვლის დიდებით შემკული. იმას ედგა თავზედ გვირგვინი. ამგვარის დიდებით ხალხს ჯერ არ ენახა თავისი მთავრის სახლი

დედუფალი დაბრძანდა იმისთვის განგებ გაკეთებულს მშვენივრათ ხალებითა და ოქროს ქსოვილებით შემკობილს, მაღალს ტახტზედ.

გამოიყვანეს საპყრობილედამაც ხვიჩა ჩილაჩავა თავისის ცოლით და ოთხის პატარა ქალვაჟებით. დედა ეგასი იყო მთლათ ფერ წასული. ის არ გაირჩეოდა მკვდრებში. იმას ყოველს ნაბიჯზედ ეკვეთობოდა მუხლები. ის კრა სძრავდა კრინტსა: იყო მთლათ გაჩუმებული. პაწაწინა დაა-ძმანი ეგასი საშინელის გადაკრულის ფერით გაჰკიოდნენ მწარის გულის გასაგმირის ხმით. ისინი ეხვეწებოდნენ მცველებს, ეცემოდნენ მუხლზედ, უკოცნიდნენ ხელებს და სთხოვდნენ შებრალებას. ხვიჩა, მამა ეგასი იყო აქამდინ მხნეთ; მაგრამ რაკი დაინახა თავისი ცოლშვილი, ნაკეთუთქა გული, იმას მოერია ცრემლები. იმან დაუწყო ხვეწნა მცველებს.

— აპატიეთ თქვენი ცოლშვილის სადღეგრძელოთ ჩემ ცოლშვილს, ჩემს პაწაწინა შვილებს... მე მამკალით... მე ვარ ყოლიფერში დანაშაული.... მაგათ არაფერში არ მოუძღვით არაფერი ცოდო... თქვენი ღვთის გულისათვის...

ბიბლიოთეკა

აქ ხვიჩაც დაეცა მუხლებზედ და დაუწყო მუხლებზედ ხვეწნა მსაჯულებს.

ხვიჩა ჯიგლიგებით წამოაგდეს და გაიძღოლეს წინ.

რაკი გადიწყვიტა იმედი, ხვიჩამ იწყო მხნეობა და უწყო მაგრება ცოლშვილს, რომ ამისი შეშინებით ისინი უფრო არ მისცემოდნენ გაწირულებას.

— ნუ გეშინიანთ. —ამხნევებდა ახლა ის ცოლშვილს, — დედუფალი რომ ნახავს თქვენს სიმართლეებს, შეიბრალებს ჩემს თავს და არ გაგიმეტებთ უბრალოთ წახდენათ... დედუფალი კი არაა ამათთანა ულმერთო!...

ისინი მოიყვანეს სასჯელის ალაგას. მღვდელმა აუგო ანდერძი.

ხვიჩა დაეცა მუხლის თავებზედ და ხელ განპყრობილი ევედრებოდა დედუფალს ცოლშვილის პატივებას. იმას წაუშინეს კიდევ ჯიგლიგები. იმედ გადაწყვეტილმა, რომ არ უყურო ჩემი ცოლშვილის საცოდაობასაო, თვითონ უთქმელათ გაწია დასასჯელს მაღლობს ადგილზედ, რომ დაესწრო ცოლშვილს სიკვდილით.

— მაცის მოჰკითხოს ღმერთმა ჩემი და ჩემი ცოლშვილის ცოდო! —დაიძახა ხვიჩამ და გადასდო სამკვეთელოზედ თავი. ჯალათმა გაიძრო ხმალი და დაუწყო ლესვა.

ხალხი კრინტ მიწყვეტილი შეჰყურებდა ამ ამბავს, რომ უცებ შეიქნა რაღაცა ყრიამული

დედუფლის წინ წადგა ცხენ და ცხენ ისევ ის ყმაწვილი აფხაზი, რომელმაც დოღშა გამოიჩინა თავი და ქემო დედუფალსა. ის იჯდა იმავე ცხენზედ; ეცვა იგივე ტანისამოსი, მხოლოდ სახეზედ იყო საშინლათ შეცვლილი.

ამის დანახვაზედ დედუფალმა უნებლიეთ შეჰძახა: აჰ! და აუქნია ჯალათს ხელი ჯალათმა ამართული ხმალი დაუშვა ძირს.

დედოფალმა ბრძანა სასიკვდილოების განთავისუფლება.

## 31

ყაძახები დამშვიდდენ და დაემორჩნენ თავის ბრძანებლებს, მაგრამ იმათ თავისმა გაბრიყვებამ და აშლამ არ ჩაუარა მექთათა. იმათ სახლებს შეესია ოდიშში მოწვეული ჯარი და თვით ოდიშის ჯარიცა და მიჰქონდათ, რაც კი რამ მოეძებოდათ.

დედოფალს უჭირდა თავის სახლის გამართვა, და ღონე არსად იყო. ღონეთ გამოუჩნდა გადასხლევინება აშლილის ყაძახებისა. საუკეთესო ქალი და ვაჟი მოჰყვანდათ სასახლის დასამშვენებლათ; სარჩო საცხოვრებელი სასახლის გასამდიდრებლათ.

დედოფალს აწი ძალა ჰქონდა ხელთა: ერთი სამეფოს და სამი სამთავროს ჯარი ახლდა თანა, რომელთაც ჯილდოთ ჰქონდათ გადაწყვეტილი ოდიშის სახლის ნაალაფევი. იმან ამათ იმედით განიძრახა გულებში დასჯა იმ გამოჩენილთ თავად—აზნაურთა, რომელნიც არ უდებდნენ აგრე რიგათ ამას და საზოგადოთ მთავრის სახლს თავსა. ამან დაუწყო მიზეზების კრეფა და დაუწყო თითო-თითოთ კლება იმათა.

შეშინებული თავად-აზნაურობა და შემძლე გლეხობაც გაეცალნენ გარშემო სამთავროებსა და სამეფოში. თავად-აზნაურობა ისეც არ უყურებდა სიამოვნებით ამათს გლეხებზედ მოსეულს ჯარებსა, რომელნიც თუმცა კითომც ამათის გულისათვისა სჯიდნენ, მაგრამ იმ გლეხების წახდენა იყო ამათი პირდაპირი ზარალი, რათგან, როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, აქაური დიდკაცობა არ იყო დაჩვეული პირად შრომასა, ისინი იყვნენ დამყარებულნი ყაზახების სარჩოზედ. ყაძახების აგლეჯით ესენიც უნდა დამთენილიყვნენ უსაზრდოვოთ.

ამათ პირველადვე გაუგზავნეს დედოფალს თხოვნა გლეხების პა-

ტივების, მაგრამ ის არამც თუ არ ისმენდა ამათ თხოვნას, არამედ წაუღგა ბევრს ამათაგანს მიზეზშიაც და იმათი საცხოვრებლიდან, რომელიც შესდგებოდა ცხენებისა, იარაღისა და ავეჯეულობათაგან გადადიოდა მთავრის სახლში და ჯარების ხელში.

ამ შემთხვევით ისარგებლა მაცმა, რომელსაც მოუვიდა ამბავი ეკას შეპყრობისა და დაიწყო ტრიალი წუმ წუმათ ზოგიერთა სამეგრელოს ადგილებში. ის ეზრახებოდა სხვა და სხვა მრიელთ თავადთა.

ის ერთს დღესაც მივიდა მანუჩარ დადიანთან, რომელიც უველა თავადებში ირაცხებოდა გამოჩენილ მძლავრ კაცათ და პირიან ადამიანათ.

დიდი ხანია მანუჩარის სახლი და სახლი მაშინ მყოფის მთავრისა იყვნენ ერთმანერთთან აშლილში. მანუჩარის სახლობა რაცხდა თავის თავს დაჩაგრულად, რადგან უფროსი სახლისანი იყვნენ ესენი და მთავრობა ეკუთნოდათ ამათ. მაგრამ ამისი მამაპაპების სიყმაწვილეში, აწინდელთ მთავართ დაიპყრეს ტახტი და დასხდნენ ოდიშის მთავრათ.

გურანდუხტმა იცოდა, რომ მანუჩარის სახლობა ელოდა მარჯვე დროს, რომ დაებრუნებინა თავის დიდება და ოდიშის ბატონობა. ამის გამო ის ელოდა მარჯვე შემთხვევას, რომ მოესპო ეს გვარი. მარჯვე შემთხვევაც ეს იყო: იმას ჰყვანდა მრავალი ჯარი.

მაგრამ მაცის შემწეობით მანუჩარ გადურჩა ამ უბედურებას. მაცმა ურჩია მანუჩარს გაცლა, მინამ აქ იყვნენ ჯარები

მანუჩარ, რომელიც თითონაც ჰფიქრობდა ამას, ერწმუნა მაცის და გაეჩქარა თავისუფალი სვანეთისაკენ.

გავიდა თუ არა მანუჩარ, შემოესია წუმათ ღამე ამის სასახლეს ჯარი, მაგრამ სასახლე დაუხვდა ცარიელი. იმათ, გაჯავრებულთ მისცეს სახლს ცეცხლი.

დატვირთული მრავალის ნაშოვრითა და ნაალაფევით, მოსულნი სხვა სამთავროებიდამ და იმერეთიდამ ჯარები, აღარა ჰრაცხდნენ საჭი-

როთ სამეგრელოში დარჩენას. იმათ მოჰბეზრდათ დიდს ხანს სასახლ-კარისა და ცოლშვილის დაშორება. ისინი ცოტ-ცოტათ გამეპარებოდნენ თავის სახლებისაკენ. პატარას ხანს უკან დარჩა დედუფალს მხოლოდ თავის სახლის ერთგული ოდიშელობა. ისინი იყვნენ მცირენი.

მაცი, რომელიც დადიოდა ჩუმ-ჩუმათ სამეგრელოში და ამხნევე-ბდა ხალხს დაჰპირდებოდა მალე მიშველებას და ხსნას, განუზრახავს დე-ვნილთ თავად აზნაურთა და გლეხთ. მაცის შემწეობით, მანუჩარ შე-იკრიბა საკმაო ჯარი დევნილთაგან და მოისყიდა მრავალი მეომარი თა-ვისუფალი სვანეთიდამ. ის დაიძრა სამეგრელოსაკენ. ხალხი ათასობით გადადიოდა მანუჩარისაკენ.

გურანდუხტ ჰხედავდა თავის ცუდს მდგომარეობას და გაუძღვა თვითონ ჯარებს. დედუფალი დაუხვდა მანუჩარს ჯარებით მესურს და აუტეხა უცებ ბრძოლა. გაცხარებულს ომში გურანდუხტ, კაცურათ ჩა-ცმული, თვით ამხნევებდა და ამაგრებდა ჯარებსა. ცხარე ბრძოლისუკან მანუჩარის ჯარებმა იწყეს უკან დაწევა და თითქმის გარბოდნენ, რომ ამ დროს მაცი მოვიდა ახალი ჯარით. გურანდუხტ თითონ გადადი-ოდა ხმალ და ხმალ მტრის გუნდში, მაგრამ საშინელმა შემოტევამ მა-ცის ახლად მოსულისა ჯარისამ და შემდეგ თვით მაცის გამოჩენამაც, დასცა შიშის ზარი გურანდუხტას ჯარს. იმათ აღრიცეს ზურგი და გამოიქცნენ გამორბოდა თვით დედუფალიცა. იმას უკრავდნენ გზას მაცისა და მანუჩარის ჯარები, რომ არ გაესწროთ იმათ ზუგდიდისა-კენ. გურანდუხტ მხნედ ჰკრეფავდა დაფანტულთა, და დამარცხებულთ ჯართ. იმან ამ შეკრეფილის ჯარით შეასწრო ჭკაჭვიჯის ციხეში. აქ აპი-რებდა ის გამაგრებას, მაგრამ ციხეს მთლათ შემოერტყა გარს ჯარი. საგმალი არა ჰქონდათ საკმაო, რომ შესძლებოდა დიდს ხანს გამაგრე-ბა ციხეს გარშემო შემოუყენეს მანუჩარის ჯარმა ოციჩხი და მისცეს ყო-ვლმხრივ ცეცხლი. ციხიდამ ისროდნენ თოფებსა ზამბურაკებს. მაგრამ აღარც საკმაო წამალი ჰქონდათ.

გურანდუხტ შევიდა ფიქრში, რომ ჯარი წაესეოდა მალე ზუგდიდს და დაიჭერდნენ სასახლეს ამის სარჩო საცხოვრებლით დამშვიდებით. იმან განიზრახა, როგორმე ციხიდამ ჯარებით გამოსვლა, გაპობა მტრის ჯარისა და გასწრება ზუგდიდისაკენ. ის დაესხა უცებ ჯარს. მაგრამ პატარა ხანს უკან მაცმა და მანუჩარმა აქციეს ის უკან.

გურანდუხტ ამითიც არ მიეცა განწირულებას. იმან შუაღამისას ჩაიცვა ეკას ტანისამოსი, და გამოვიდა ციხიდამ. ის პირდაპირ მიადგა მაცის ჯარებს და გამოუცხადა, რომ ის არის ეკა და ვითომც გამოჰპაროდეს დედოფალს. იმათ სიამოვნებით გაუშვეს ის მაცისაკენ. გურანდუხტ ამგვარათ გავიდა ამათ ჯარებიდამ და იმავე ღამეს იყო თავის სასახლეში.

33.

გურანდუხტმა არ მოჰკლა ეკა. იმან იფიქრა, რომ როგორც ეკა ჩავიგდე ამის მშობლების დაპყრობით, ისე ეკას დაპყრობით ჩავიგდებ მაცისაო. ის განიზრახავდა საშინლათ მაცის დასჯას. ის დაჭერის უმალ უპირებდა მაცის თვალწინ ყოველდღე უპატიურებით დასჯას ეკას, ვირემ ამ სატანჯველში ამოუვიდოდა ეკას სული. შემდგომ თვით მაცის უპირებდა თავის ერთგულ საყვარელ ეკასთან მზითვათ გაყოლებას.

გურანდუხტამ ჩაამწყვდევინა ეკა ისევ რუხის ციხეში. იმას ჰქონდა განზრახული, რომ მაცი კიდევ მოვიდოდა ამის გასანთავისუფლებლათ. ეკას სამყოფ საკანთან გამართა გურანდუხტამ თავისის ხელით მიწიდამ მოყოლებული შიგ საკნის სანათურამდინ რამდენიმე სხვა და სხვა ხელოვნების დაფარული ხაფანგი, რომელნიც, რაწამს მოჰხვდებოდა კაცის ფეხი, მოეშვებოდნენ და შეჰბოჭავდნენ კაცს. ამ დაშვებაზედ ყველა ხაფანგი იღებდა ზარის ხმას, რომლითაც გააღვიძებდა ყარაულებს. ყარაულები იდგნენ ეკას საკანს გარშემო, რომელთაც ჰქონდათ

სასტიკათ ნაბრძანები ფრთხილათ ყოფნისა. ამას გარდა დედუფალმა დაუნიშნა ეკას ვადა, რომ თუ ამ ვადაზედ არ მოვიდოდა მაცი, მოსჭრიდა ამას თავს და გაუგზავნიდა მაცის. მეორეს მხრით ჰპირდებოდა, რომ თუ მაცი მოვიდოდა—აპატიებდა ორივეს.

ეკამ რაკი ნახა, რომ ასე მალე არ მოკლეს ისა, მეეცა იმედი, რომ მაცი როგორმე განმანთავისუფლებსო. ის თითქმის ყოველ ღამე მოელოდა რამე შემთხვევას თავის განთავისუფლებლათ, მაგრამ ყველა იყო ამაო: მაცი არსად ჩანდა, მთქმელიც არავინა ჰყვანდა მაცის ამბისა.

რაკი მაცმა თავისის ჯარებით უკუ აქცია დამარცხებული დედუფალი ჭაქვიჯის ციხეში, იმან განიზრახა გურიაში, მსწრაფლ წასვლა რამოდენიმე ჯარებით რუხის ციხისაკენ. ის ელოდა დილასა, რათგან, საფიქრელი იყო, რომ დედუფალი ისარგებლებდა ღამის სიბნელითა და დაესხმოდა ამათ კიდევ ჯარებითა. ამისგამო საშიშელი იყო ღამე ჯარების დასუსტება და იმის გაცლა.

ინათლა თუ არა, მაცი ერთი ხუთასი მარჯვე ბიჭით ეძგერა რუხის ციხეს. მეციხურები დიდს ხანს არ გაუმკლავდნენ ამასა და მისცეს უმალ ციხე ხელში. მაცი ავარდა ციხეში, და ეკა აღარ დაუხვდა, სადაც ეგულებოდა. იმას უთხრეს, რომ დედუფალმა გადიყვანა ის რამწამს წამოვიდა მანუჩარზედ საომრათაო.

რუხის ციხიდამ ეკა გადიყვანეს ზუგდიდს სწორეთ იმ ორმოში, სადაც ეწყვდია მაცი.

ისევ ღამე იყო, რომ დედუფალი ქვეითი, ეკას ტანისამოსით, რომელიც წაიღო ამგვარის გაჭირვებისათვის და რომელიც ეკას ეცვა თავის აფხაზურს ტანისამოს ქვეშ, მოიჭრა თავის სასახლეში, შეჰკრიბა საჩქაროზედ თავის ერთგული მსახურები, მხლებლები და ერთი სამოციოდე სასახლეში დარჩენილი მცველები. შეჰკრიბა საჩქაროთ ცხე-

ნები და ჯორები, აჭნარგა ყველა ისინი ყოველის მვირთვასნის ნივთეულებით და ავეჯეულებით; შესხა ზედ თავისი ამ მოკლე ხანებში მოტაცებული მშობლებისაგან მშვენიერი ყმაწვილი ქალები და ბიჭები და გამგზავრა მსწრაფლათ ანაკლიისაკენ.

გავარდა ელვასავით დედოფლის დამარცხება, ჭაქვინჯის ციხეში შემწყვდევა და მანუჩარის გამარჯვება. ამ ხმამ მიატანა თვით ეკამდისაც, რომელსაც ერთი ყარაული ეხვეწებოდა, რომ მაცის მაპატიებინე და მე უჩვენებ იმას შენს ბინასაცაო.

ეკა გამხიარულებული ელოდა ყოველს წუთს მაცისა და იმის ჯარებს. იმას უცებ მოესმა ხმაურობა და კითხვა ეკასი. ეკას დაუწყო მხიარულებით და სიამოვნებით გულმა ცემა. ის ელოდა მაცის და ემზადებოდა იმის ყელზედ მოხსვევნათ, რომ ამასთან ამისავე ტანისამოსით და რამდენიმე მცველებით შევიდა გურანდუხტ.

— აბა, აქანე წამოდი შენ, ქალბატონო!... არ გავახარებ კი შენზედ შენს მაცას... გქმიოს მან სათანთრეთში... იქ მე უფრო დამჭირდება შენი თავი... შენ სილამაზეს მე კი მევიხმარ... დაგღუპავ, დაიღუპოს მაცის თავი.

ეკას სტაცეს ხელი და ხელ-ფეხ შეკრული წაათრიეს სასახლესთან. აქ შესვეს ის სხვა ლამაზ ყმაწვილებთან ერთს ბარგ-წამოკიდებულს ჯორზედ და გაიძღოლეს წინ.

რუსიდამ მაცი გამწარებული ეცა ზუგდიდის საპყრობილეს. იქ შეიტყო ეკას გატაცება. მაცი ხალხით გამოეკიდა ანაკლიას გზას. ანაკლიას სცნო, რომ დედოფალი არ ჩასულა იქა. მაციმ შეიტყო, რომ დედოფალმა შესცვალა გზა, რაკი იფიქრა, რომ აქეთკენ გამოეკიდებოდნენ და წავიდა გუდავასაკენაო. მაცი გამოეკიდა გუდავას გზას, მაგრამ აქ შეუკრა გზა გვაჯი შერვაშიძემ.

დედოფალმა გაასწრო გუდავიდამ. ის აქედამ გავიდა სტამბოლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

33

გურანდუსტ მივიდა თუ არა სტამბოლს, დაიჭირა ერთი კარგი სუბრთა სასტუმრო ყოვლის თვის მოწყობილებით და დადგა. იმან რამდენსამე დღეს არ გამოუცხადა არავის თავის სტამბოლში მოსვლა.

გურანდუსტ თუმცა იყო შუახანს მიტანებული დედაკაცი, მაგრამ სახე ჰქონდა ისე სუფრთა, როგორც მეჰფერის ახალგაზდა ქალსა. თუმცა იმის სახეში ისახებოდა, რომ ამას ბევრი ფიქრი და გამოცდილება უნდა გამოევლოსო, მაგრამ თავის დროზეთ გურანდუსტამ იცოდა იმგვარი სახის მიღებაც, თითქო ამის თავს ბუზი არ გადაფრენილაო. ყოვლრიგი უმანკოების გამოხახვა შეეძლო გურანდუსტას თავის პირისახეზედ. ის იყო მაღალი, მშვენიერი წარმოსადეგი დედაკაცი. სანასხობა ჰქონდა მართლაცა და დიდებული; ლაპარაკი, როცა საჭირო იყო, მშლავრი და შემაგონებელი. ყოველს თვის მობაასეს უნებლიეთ იმონებდა ისა და ჰხდიდა თვის მსმენელათ და მორჩილათ. იმავ სიყმაწვილით გურანდუსტას ემონებოდნენ თავის ტოლები; იმავ სიყმაწვილით ის თაოსნობდა ყველასა და გაუძღოდა თვით სათამაშო საქმეებშიაც. იმას არამც თუ თავისი ტოლები და თავიზედ ბევრით უფრო უფროსებიც ემორჩილებოდნენ და უგონებდნენ ყველა საქმეს. სადაც იყო გურანდუსტ, იქ იმის მეტი სხვა საქმის დამწყობი არავინ გამოჩნდებოდა, და თუნდა კიდეც გამოჩენილიყო, ისე ეჭირა გურანდუსტას თავი, თითქო ყველა ამისი სახის მეტყველება გამოსთქვამდა, რომ იწყობ კი საქმესა, მაგრამ ნუ თუ უჩემოთ რამ შეგიძლიაო. ასე რომ თვით ეს საქმის დამწყობნი უნებლიეთ ეკითხებოდნენ ამას რჩევასა. ის ტოლებში არავის არ უყვარდა: მაგრამ საკვირველი იყო, რომ თითქო ვერც უამისოთ სძლებდნენ. იმისი ერთი შეხედვა იმ ყმაწვილის ტოლის რომლისაც რამ ამას არ მოეწონებოდა, მთლათ აშრობდა იმ

ყმაწვილსა; მათ ანასხოვრდებოდათ ამისი ამგვარი ამაყ[illegible] რობით იმათთან გცევა, მაგრამ ერთი ამის დამშვიდებით [illegible] დასხედვას, მოჭყვანდა ისინი ალტაცებაში და თითქო ამითი სულში ჩაუქვრაო. იმან არამც თუ თავის ტოლები და ამხანაგები, თვით დედმამაც რაღაცა მოწიწებით და კრძალვით უყურებდნენ. ყოველს თავის სურვილზედ თვით მშობლების წინ ისე მკაცრათ იდგა, რომ თუ არ შეუსრულებდნენ, ის თვით შეასრულებდა, თუნდა ეს შესრულება ვინ იცის რა ფასათ დასჯდომოდა. ამგვარათ იზრდებოდა გურანდუსტ, შეჩვეული იმ ფიქრსა, რომ ყველა ამაზედ დაბლა იდგა, ყველა ამას უნდა დამონებოდა. ის ცხადათ ჰხედავდა თავის ძალას და სხვების უძლურებას ამასთან.

ამასთან გურანდუსტ, გარდა თვის წარმოსადეგობისა, რომელიც მოგაგონებდა უფრო ამაყს რაინდს, ვიდრემ უძლური ქალის ყაგლასა, ის არ იყო ულამაზოცა. თვალები იმისი ბრიალებდნენ ძალისა და გამბედაობის გამომეტყველებით, თითქო გეუბნებოდნენ: თუ შენ არ შეასრულე ჩემი ნება, მე შენ შენს უნებურათ შეგასრულებინებო. იმისი ალისფერი და ცალმსარეს კიცხვით ღიმილით აპრეწილი, ტუჩები თითქო გეუბნებოდნენ, რომ ვინ შენა და ვინ მეო: შენ უნდა იყვე ყოველი ჩემი სურვილი შემსრულებელიო. იმისი აბრაშუმებრ ქერა თმაწარბი თითქო აძლევდნენ სრულს სანასაობას იმის სახის გამომეტყველებას. ერთის სიტყვით ის ყოველის თვის სანასაობით, მოძრაობით, მისვრამოსვრით გამოსთქვამდა თვის უპირატესობას და უმაღლესობას სხვებზედ.

გურანდუხტ. შემდეგ თვის სტამბოლს მისვლისა, მესამე დღეს ყველა თავისუფნით წამოყვანილის ლამაზი ქალვაჟებით წავიდა აბანოში. აქ თითონაც საკუთრივ დაიზილა სხვა და სხვა გამასუფთავებელის და გამამშვენებელის წამლებით; უბრძანა ამგვარათვე დაზელა სხვებისაც. იმან აქ უბრძანა ყველას სუფრთათ და ლაზათიანათ დართვა. ერთის კვირის

განმავლობაში არ მისცა იმან ნება იმათ კარში გამოშვებისა, რომ აღარ დაშჩენოდათ მგზავრობა და დაღალვა. უბრძანა ეგრეთვე კაი საჭმელებისა მაძღრისათ მლევა; ყოველ დღე ზედა კვალად დამასუფრთავებელის წამლებითა. იმისი თუნთისე იყო ამათში ყველაფერში დასხელოვნებული. ერთს კვირას ეს საუკეთესო ოდიშის მშვენიერნი, შეიქნენ ერთი ორათ უმშვენიერესნი. იმათ ყველას ედოთ დიდკაცური სახე, თითქო ეს არის ყველანი ესლა გამოყვანილიათ რომელიმე რომის პატრიცის სახლებიდამა. მართლაცა და საკვირველია ოდიშის მშვენიერება: თვით უღარიბესი ყმახის სახლში, რომელიც იმავ მამაპაპიდამ სიღარიბისა დამწუხარებიდამ არ გამოსულან, შეჰხვდები ყმაწვილ ქალვაჟთა, ტიტველებს, შიშველებს, ჭუჭყიანებს, რომლებისაც სრულებით ვერ დაიჯერებ, რომ არ იყვნენ ესენი შვილნი რომელისამე მეფლათვე მდიდარის დიდკაცის გამშვენიერებულის სახლისა.

გურანდუხტამ შეჰკრიბა ცნობა ყველა დიდკაცებისა, რომელთაც ჰქონდათ განვლენა სულთანზედ; შეჰკრიბა ცნობა ყველაზედ, რომელთაც ჰქონდათ განვლენა ამ დიდკაცებზედ და ყველას საჩუქრებით გაუგზავნა სამეგრელოდამ წამოყვანილი მშვენიერი ქალვაჟნი. მაშინ უფრო ბევრნი და უმშვენიერესნი მოიპოვებოდნენ სამეგრელოში, რათგან ნიადაგ ამ მშვენიერთა გაყვანით მხარიდამ უნდა მამავალში დამჩენოდა ოდიშ და კლო მშვენიერებისათვის.

უკეთესს საჩუქარს კოლხიდის დედუფლიდამ არ მოელოდნენ ოსმალთა დიდი კაცნი: ეს იყო საუკეთესო და უძვირფასესი ნივთი იმათთვის, რომელთა სამოთხეს და ბედნიერებას შეადგენდა მშვენიერი ყრმანი, და უმშვენიერესთ ყრმათ ისინი ვერსაიდამ ვერ მიიღებდნენ.

შემდეგ ამ საჩუქრების მიღებისა, გურანდუხტას სურვილით, მოვიდნენ სანახავათ რამდენიმე პირველი ვეზირის დაახლოვებული პირნი და ზოგიერთა თვით სულთანის კარის კაცნი.

გურანდუსტამ მიიღო ისინი, როგორც ნანდვილმა დედუფალმა. გურანდუსტ არც თუ მდიდრულათ, არც თუ დედუფლურათ თუმცა ჩაცმული, ის იყო უბრალო ტანისამოსში, მაგრამ იმისმა დიდკაცურმა ქცევამ, იმისმა ერთრიგათ შეწუხებულმა სახემ, როგორც იციან შეწუხება მხოლოდ დიდებულთ, და ერთრიგათ ბატონ კაცურმა სანახაობამ მნახველნი მოიყვანა რაღაცა მოკრძალებაში.

გურანდუსტ ამათ არ ელაპარაკებოდა ისე, როგორც მახივარი, ან როგორც დახაგრული, რომელთაგანაც ეს გამოელის წყალობას: ეს ელაპარაკებოდა იმათ, როგორც დედუფალი სხვა ხელმწიფის მაღალ-ბარებს და რომელთაც უნდა ახსოვდეთ, ვისთანაცა აქვთ საქმე. ისინი არ მოელოდნენ ამგვარ შეხვედრას. მაგრამ უცებ ჰხახეს, რომ იმათ იმისთანა ადამიანთან არა ჰქონდათ საქმე, როგორსაც მოელოდნენ. იმათ უცებ იგრძნეს რაღაცა მოკრძალება. ისინი შეჰყურებდნენ გურანდუსტს, როგორც ადამიანს, რომელიც არ არის იმათი ტოლი და რომელსაც ესენი ეკადრებიან მხოლოდ მსლებლათ.

მაგრამ ამ გვევასთან, გურანდუსტ იყო ისე ღმობიერი ამ თავის სტუმრებთან, ისე მწყალობელის კილოთი და ყურადღებითა, ისე პატივის ცემითა, რომ ეს სტუმარნი უნებლიეთ ჰგრძნობდნენ თავს წყალობაში ჩაგარდნილათ და ბედნიერათ, რომ ამგვარი დიდებული კაცი რულობს ამათთან ასე თავდაბლათ ლაპარაკს.

ისინი დაბრუნდნენ შინ აღტაცებულნი, არამცთუ მარტო ამის პიროვნობით, არამედ მშვენიერებითაც. პატარას ხანს უკან გავარდა ჰოლხიდის დედუფლის მშვენიერება მთელს სტამბოლში.

ამგვარების გამგონემ, პირველმა ვეზირმა კალად რაცხა დაესწრო თვით ნახვა დედუფლისა.

დედუფალმა ეს უფრო სხვაფრივ მიიღო. ეს მიიღო ისე, როგორც შეჰფეროდა ამის ხარისხსა. ისე, კი არ მიიღო, ვითომც ის

ამისი ტოლი ყოფილიყუს: იმასაც აგრძნობინა თავისი [illegible] სანა-
ხაობით, რომ ეს თუმცა დევნილი იყო და უჭირდა ამისი თავი, მა-
გრამ მაინცა და მაინც ეს იყო დედუფალი გვირგვინოსანი და ეს უბ-
რალო ძლიერი კაცი.

ამგვარი გურანდუხტას ქცევა ცოტა არ იყო ეწოთირა დიდს ვე-
ზირს. ვის? დიდს ვეზირს ოტამანისას, რომლისაც ხელთ არის და-უ-
სრულებელი სახელმწიფოები, რომლისაც წინაშე თრთიან ევროპის
ხელმწიფენი და ცდილობენ ამის დამეგობრებას და ამხანაგათ ისდიან,
ერთი პაწაწკინა სამეგრელოს დევნილი და ახლა უბინაო დედუფალი
არამცთუ ისე არ ეპყრობა, როგორც თავიზედ უფროსს, არამედ ეპ-
ყრობა დედუფლურათ, მაშინ როდესაც თვით ბრწყინვალე და დიდე-
ბული სულთანი არის ამის ხელთა და ატრიალებს, როგორცა ჰხურს.
ვეზირმა ისურვა იმგვარათ თავის დაჭერა, რომ ეგრძნობინებინა გურან-
დუხტასათვის თავისი ვინაობა; მაგრამ რაღაც უცნაურათ ჰგრძნობდა
თავის უძლურებას. გურანდუხტას სახე, გურანდუხტას ქცევა უხმოდიუთ
აგრძნობინებდა იმას, რომ მართლაცა და ჩემზედ უდიდებულეს ადა-
მიანთანა მაქვსო საქმე.

იმას ამ ჩოთირმა გაუარა. როდესაც საშინელის სიტყვებით და-
იწყო დედუფალმა თავისი მწუხარების გამოხატვა; როდესაც ვეზირმა
იგრძნო რომ, რა მწუხარება უნდა ყოფილიყო მართლაცა, როდესაც
ამისთანა დიდებული მძლავრი ადამიანი მისულა იმ დამცრობამდინ, რომ
თავიზედ უმდაბლესს შესჩივის და სთხოვს დახმარებასა. იმას ყოველი
თავის მოყვარება ჩაქრალა, როდესაც ამ მშვენიერს, მძლავრს დიდე-
ბულს სახეზედ დაინახა ცრემლები თავის ქმრისა და შვილის დახო-
ცვაზედ.

— კი, დიდებულო ვეზირო ესტე თვალწინ, გულით მძინარეს
მამიკლეს უცნაურის საწამლავით მანუჩარის მოგზავნილთ კაცთ ჩემი

დიდებული მეუღლე, რომლისა წინაშე თრთოდა მთლათ [illegible] და ჩემი იმედი და იმედი მთელი თვის სამთავროსი, ჩემი [illegible] და ჩემი გულის საკუთარი შვილი.

— დიახ!—გაიფიქრა დიდმა გეზირმა გულში:—აი სწორეთ სულ-მწიფე ადამიანი... ამგვარს ხელმწიფეს არ აფასებდეს თავისი ერი და ქწინააღმდეგებოდეს სწორეთ ღირსეულათ არიან დასასჯელნი.

გურანდუსტას მწუხარებამ და ცრემლმა გაუარეს გეზირს შიგ გულში. ახლა გეზირი ისე ჰგრძნობდა თავის თავს, რომ ეს ღირსიც არ იყო იმისი სლუბისა.

გეზირი იქამდინ დაიმონა გურანდუსტას დიდებულმა ხანახაობამ, ბცევამ, ცრემლმა, რომელსაც გეზირთან ეს ჰხმარობდა ისე დარდის შე-საგონებლათ არა, როგორც დამშვენებათ, რომ გეზირმა წასვლის დროს დაივიწყა ცალის მუხლით, დაიდო დედუფლის ხელი თავზედ და აღუ-თქვა ურყევი სათხოვარის შესრულება და პირათ სულთანის ნახვა.

გეზირი გამოვიდა და დიდს ხანს უდგა თვალწინ უბედურება-ში მთავარდნილი დიდებული მშვენიერის კოლხიდის დედუფალი; იმისი მაღალ გამომეტყველი სახე, იმისი ცოცხალი და დიდების მფრქვეველი თვალები, იმისი წყალობისა და სიბრალულის გამომთქმელი გული, იმი-სი ღმობიერი ხანახაობა და სიტკბოება.

პირველი გეზირის მოხსენებით, ისურვა სულთანმა გურანდუსტას ნახვა. ის მოვიდა ამის ნახვით აღტაცებაში. ის პირველათ შეჰხვდა დე-დაკაცს, რომელიც იმჟრდა თავს ამის თანასწორეთ, როგორც დიდე-ბული, და როგორც სახიათის ძალა, ამის უმაღლეს. სულთანს ეს ეზვენა უმშვენიერესად. ამან აღუთქვა ურყევი თვის დახმარება და სთ-ხოვა მიეცა ნება ხშირად ნახვისა.

გურანდუსტამ ამ თხოვნით თითქო აზრათაც არ მიიღო რასა ნიშნავსო და ტკბილის ღიმილით გამოუცხადა თავის სიამოვნება ამის

ნახვისა ყოვლად უმწიკვლო სახით. მაგრამ სულთანი უფრო გამოცდილი იყო ამ საქმეებში, ის მოუთმენლად ელოდა გურანდუხტის შეხვედრას.

გურანდუხტ ყოველს მისვლაზედ ეგებებოდა სულთანს, როგორც სახელმწიფო საქმისთვის მოსულს, კეთილის გულით და უმწიკვლოთ და ყოველს სულთანის გადაკვრით ლაპარაკზედ, აგონებდა შეუნიშნავათ, რომ სულთანის სურვილის შესრულება იყო დამოკიდებული გურანდუხტას თხოვნის შესრულებაზედ.

სულთანის ბრძანებით შეუდგნენ ჯარების მზადებას სამეგრელოში გასაგზავნათ. მრავალი საჩუქრები ძვირფასის ნივთებისა მოსდიოდა გურანდუხტს სულთანისაგან. სულთანი მიხვდა შემდეგ ბევრის მეცადინეობისა თვის სურვილს. ყოველ საღამოს სულთანი მიდიოდა მარტო, რამდენიმე მხლებლების ამარა და ატარებდა გურანდუხტასთან დროებას.

მოატანა გამოსალმების დრომ. გურანდუხტა უნდა დაბრუნებულიყო ჯარებით თავის სამთავროში. სულთანს ემძიმებოდა იმისი დაშორება. ის აყოვნებდა გურანდუხტს. გურანდუხტს ეჩქარებოდა თავის მტრების სისხლში ბანება

— კი, ჩემო დიდებულო სულთანო, უკეთესი კი მყავს შენთვის გამზადებული... იცოდიე ჩემათ, ვირე მოგბეზრდებოდეს და მე უმალ გნახავ ისევ აქანა, რავარც დავამშვიდებ ჩემს ხალხს და დავიმკვიდრებ სამთავროს.—უთხრა ერთხელაც გურანდუხტამ, რაკი ატყობდა, რომ აყოვნებდა იმას სულთანი.

ამ სიტყვებთან გურანდუხტა გავიდა და შემოიყვანა ეკა.

ეკას მშვენიერებამ მთლათ გააოცა სულთანი. ის დიდს ხანს უყურებდა გაშტერებული ეკას. და შემდეგ უბრძანა გასტუმრება თავის ჰარამში, სადაც უნდა ჩაებარებინათ ეკა საჭურისებისა და ჰარამის მო-

ულლი ქალებისათვის. თვითონ დარჩა უკანასკნელათ გურანდუხტასთან.

მეორე დღეს გურანდუხტა მრავალის ჯარებით, მრავალის ტყუ-ითა და მძვირფასის ნივთეულებით, რომელიც მიეღო სულთანისაგან, გამგზავრდა სამეგრელოსაკენ.

## 35.

მოულოდნელათ მოადგა გურანდუხტ დიდძალი ჯარით სამეგრელოსა. მანუჩარ დადიანმა რაკი შეიტყო შემოსევა გურანდუხტასი, მაშინვე დაუწყო მაგრება ციხეებს. ის ჯერ დაუხვდა რუხის ციხესთან, მაგრამ ჯარი დიდძალი ახლდა გურანდუხტას და მანუჩარა არ მოელოდა დროთი სხვა ჯარების მოშველებას, ამისგამო ამან დააყენა რუხს მეციხეები სანდო მოთავე კაცებით და თითონ გაეჩქარა შუქვიჯის ციხისაკენ. აქ დაუხვდა საკმაო ჯარები. ამან შეაზიდვინა საკმაო საგძალი ციხეში და მეგება ვალად მამავალს ამაზედ გურანდუხტას. ბრძოლა გაიმართა უულისკარს, ასწაულთმოქმედის წმინდა გიორგის ეკლესიასთან. გურანდუხტაც და მანუჩარიც ცხარე ცრემლით ევედრებოდნენ ღვაწლით შემოსილს წმინდა გიორგის გამარჯვებასა და აღუთქვამდნენ აურაცხელს შესაწირავსა. ბრძოლა იყო ცხარე და ხანგრძლივი, მაგრამ ვერ უდგრო მეგრელობამ დიდძალს ოსმალის ჯარსა, რომელსაც შეეშველა აფხაზეთის მთავარიც, რომელიანაც წამოიღო გურანდუხტამ სულთანის ბრძანება. მანუჩარ, რაკი ნახა ახალი ჯარიც, გაეჩქარა ციხეში. თავისი ცოლი, კესარია, გაისტუმრა სხვა ჯარების მოსაკრეფათ და მოსაშველებლათ. თითონ გამაგრდა.

ბევრს ხანს ადგა გურანდუხტ ამ ციხესა, მაგრამ ამისი მიდგომა გახდა შეუძლებელი. თავის მხრივ მანუჩარ არ ასვენებდა ამათ და წამდა-უწუმ ესხმოდა თავსა და აძლევდა ზარალსა. აფხაზობას მოჰბეზრდათ აქ ტრიალი და თხოულობდნენ დათხოვნას. მეორეს მხრივ ისმოდა, რომ მანუჩარის ცოლმა შეჰყარა დიდძალი ჯარი და მოდის

ქმრის მისაშველებლადაო. გურანდუხტას საქმე იყო ხათ[illegible] ოსმალის ჯარს ეს ვერ ენდობოდა, იმან მიჰმართა ხერხსა.

ჭაქვიჯის ციხე სდგას ერთს დიდს, მაღალს კლდის ბორცვზედ და გადაჰყურებს მაღლიდამ ჭანის წყალს. მისადგომი ამ ციხეს არა აქვს არსაიდამა, გარდა ერთის ბილიკისა, რომელიც მოსდევს ჭანის წყლიდამ ყულის კარისაკენ. ამ მაგარს, მიუდგომელს მაშინდელის დროისა და იარაღისათვის ციხეს ჰქონდა ციხის კედლებიდამ ერთ ვერსამდინ გვირაბით გაჭრილი კლდე და ეს გვირაბი გადის ბილიკის მეორე მხარედამ, ესე იგი ჩრდილოეთიდამ ჭანის წყალზედ. ეს გვირაბი იყო დამალული, მტერთაგან საიდუმლოთ გასასვლელ-გამოსასვლელი სხვა და სხვა საჭიროებისათვის. მაგრამ ამ გვირაბის ამბავი იცოდა გურანდუხტამ უკეთა.

იმან ერთს ღამეს გასცა ბრძანება, რომ ჯარი მზათა ყოფილიყო გვირაბის კართან. თვითონ უცებ გაჰქრა რამდენიმე სანდო კაცებითა.

შუაღამე გადასული იქნებოდა, რომ უცებ ციხის ყარაულებს მოადგა მანუჩარის ცოლი კესარია. ყველამ ხმასა, მისვლა-მოსვლასა და ტანისამოსში იცნეს კესარია.

— ჩქარა გამიშვით მანუჩართან, თვარ დეიღუპოს ჩვენი მტერი, რავარც მთლად დევიღუპეთ ჩვენ. გურანდუხტას ჯარი მთლა ეიყარა აქედამ და წყესია მოდინასეს და მესხურს. ჩემი ჯარი გაუშვი იქანა სახ-ხუბრათ და გამოვეშურე აქეთკენ, ახლა კი გვაქვს დრო რომ მივეშველნეთ.

ყარაულებმა სასწრაფოზედ გააცილეს ციხემდინ კესარია თავისის მხლებლებით და ჩააბარეს ციხის კარის ყარაულთ. იმათ სასწრაფოზედ შეუშვეს ისა. ის გაეჩქარა მანუჩარის სადგომისაკენ და უბრძანა, რომ მანუჩარ არ გაეღვიძებინათ. მსახურთ იცნეს კესარია და შეუშვეს მანუჩარის საწოლში. კესარია შევიდა და შეიკეტა კარი.

მანუჩარს ეძინა მაგრათ. შემდეგ მთელის დღის მოუსვენრად და-ტარებისა. კესარია მივიდა ბრთხილათ და ამოიღო კ[illegible] სასუნებელი. იმან ეს სასურნებელი მიუტანა ბრთხილათ მანუჩარს ცხ-ვირთანა. კესარიას ცალხელში ეჭირა სასურნებელი და ცალხელში ამა-რთული ხანჯალი. თუ ვინიცობაა მანუჩარ იგრძნობდა ამ სასურნებელს და გაიღვიძებდა, მზათ იყო რომ იმავე წამს გაეგმირა ის ხმა ამოუ-ღებლივ. მანუჩარ გაუგებრივ ისუნთქავდა ამ სასურნებელს. მანუჩარ თან და თან მიეცა უფრო ტკბილს და სასიამოვნო ძილს. ის ჰხედავს სიზმარში დამარცხებულს ოსმალის ჯარს და დაჭერილს გურანდუხ-ტას, რომელიც ამას ეხვეწება შეწყნარებასა. მერმე ჰხედავს თავს შემ-კობილს რაღაცა მძიმე გვირგვინით, მძიმე ბრწყინვალეს ძვირფასს ტა-ნისამოსში.... ჰხედავს, რომ ის ვითომც ზის ხონთქარის ტახტზედ და ყველანი თაყვანსა სცემენ, როგორც ხონთქარსა. მერმე თან და თან ეკარგება სიზმარი, ეძლევა რაღაცა ნეტარებითი სიტკბოება. შემდეგ ჰკარ-გავს გრძნობას. ეკარგება სუნთქვა. კესარია ადევნებს ყველა ამის სუნ-თქვას და სუნთქვის მოძრაობას ყურსა, ბოლოს რწმუნდება, რომ მა-ნუჩარ აღარ არის ცოცხალი. ის დაჰფარავს ხანჯალს კაბის ქვეშ და გამოდის საჩქაროზედ გარეთ.

— ნურვინ შეაწუხებთ მთავარს! მას დაღალულს დეძინია. ჯა-რისაც ნუ ვინ შეაწუხებთ, მოისვენონ ამაღამ, რომ ხვალ დიდი გზა და დიდი ჩხუბი გვმართებს.—უბრძანა იმან კარის კაცთ და მსახურთ და თითონ გასწია გვირაბის კარისაკენ.

იქ კესარიამ გამოსცვალა ყარაულები.

— აწი თქვენ დეიძინეთ და მეისვენეთ, რომ ხვალ დასვენებუ-ლები უნდა გოუდგეთ გზას, და ესენი უყარაულებენ: ესენი არ არიან ისე დაღალულები, როგორც თქვენ. მარა ხვალ კი ემართებათ გასვლა და ჭიდილო მე მამთხოვეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყარაულებს დიდათ იმათ დათხოვნა. იმათ დიდი [illegible] ქრეოდათ.

კეისარიამ თავისთან მოყოლილი მსლებლები დააყენა კარებთან და თითონ ერთის კაცით გასწია გვირაბისაკენ, ხანათურით ხელში. გავიდა გვირაბს და იმან გადიარა აქ ტანისამოსი კეისარიასი: ის იყო გურანდუსტ დედუფალი. ის შემოუძღვა გვირაბში ჯარს და ღამის სიბნელეში გაავსო ციხე თავის ჯარით. აქ უცებ დაესხა მძინარე მანუჩარის ჯარს. მანუჩარის კაცნი ეცნენ მანუჩარს, მაგრამ ის იდო უსულოთ.

გახელებულმა ჯარმა, გურანდუხტას ბრძანებით ჰმუსრეს მძინარე ჯარი მანუჩარის, მინამ დაილალებოდნენ და გაძღებოდნენ სისხლითა. ათასში ერთმა ბედნიერმა ძლივს გაასწრო ცოცხალმა, სხვები დატყვევებული წაასხეს გამარჯვებულთ თანა.

ამ ამბავმა დასცა შიშის ზარი მთელს ოდიშს. ყველა ეჩქარებოდა თავის ერთგულების გამოცხადებას; ვისაც არ ჰქონდა პატიობის იმედი, გარბოდნენ სადადიანოდამ.

36.

სად იყო ამ ხანებში მაცი?—მაცი დაედევნა მაშინვე გურანდუხტას და გავიდა სტამბოლს. ის დიდს ხანს დაეძებდა გურანდუხტას სადგომს და კითხულობდა იმის ამბავს, მაგრამ ყველა იყო ამაო.

ამ უცნობს მაცისთვის და უზარმაზარს ქალაქში, რომელიც სრულებით არაფერს არას აგონებდა ამას სამეგრელოსას, ის ვერას მიხვედრილიყო.

მაცი, როგორც უცხო და უცნაური კაცი, რომელიც როგორღაც სულ სხვანაირათ ხამურათ იქცეოდა სტამბოლში, დაიჭირა სტამბოლის პოლიციამ. ბევრი ეკითხნენ ამის ვინაობას, მაგრამ მაცი არას ეუბნებოდა. იმან იცოდა, რომ რაკი გაიგებდნენ ამის ვინაობას, დაუ-

ბრუნებდნენ გურანდუხტას და იქ სახრჩობელას მეტი სხვა არა მოე-ლოდა რა.

რაკი ბევრი გამოკვლევის შემდეგ ვერ გაიგეს ამის ვინაობა, სტამ-ბოლის მართებლობამ მიიღო ის შემოჩენილ კაცათ, რომელსაც უნდა გაეგო სტამბოლის მდგომარეობა და გაეცა მტრის ხელთა. ამას გა-დუწყვიტეს მოკვლა. მაგრამ აქ მაცი გაიგეა. ის, როგორღაც, უცებ შეჰხვდა აქ ყულევში მოვაჭრე ბერძნებს. ეს გამოეცნაურა იმათა. ისინი ჯერ შეჰკრთნენ მაცის დანახვაზედ, შემდეგ, რაკი დაინახეს ის მეგო-ბრულის სახით, იმათ ამათაც, რომ ნახეს ნაცნობი მხარის კაცი ამ სიშორეთ. ისინი გამოელაპარაკნენ ამას.

ამ ბერძნებმა უამბეს, რომ გურანდუხტ დაბრუნდა სამეგრელოში დიდძალი ჯარითა, მოჰკლა მანუჩარ, გასწყვიტა იმისი ჯარი და ამო-წყვიტა მთლად თავისი წინააღმდეგნი და დაიმორჩილა მთლად სამე-გრელო. უამბეს საშინელი გამდიდრება გურანდუხტასი და იმისი მე-ფურათ ცხოვრება, რომელიც აქნობამდის არასოდეს სამეგრელოს არ უნახავსო. ამათგანვე შეიტყო, რომ ეკა დედუფალს ხვანთქრისათვის მიეცია ჰარამშიაო.

ამ სიტყვების გაგონებაზედ, მაცის დაესხა თავბრუ იმას მოა-წვა სისხლი თავსა და პირში, და დიდს ხანს, თითქო ნაკრავივით, იყო სუნთქვა შეკმედილი.

ამათგან მაცი გამოვარდა მთლათ უგონოთ, გიჟივით ატაცებული და გასწია. იმან იარა დიდს ხანს, უგონოთ, მოუსაზრებლათ. ის გა-ვიდა ქალაქს გარეთ, ზღვის პირას. ის დაემხო აქ პირქვე და მორ-თო ტირილი.

იმის შორიახლო ირეოდნენ ათასობით ხომალდები, ცეცხლის გემები, ნავები, ფილუკები და სხვა და სხვანაირი ზღვაში სასიარულო გაზმულები. ხალხი ჭინჭველის გორასავით მიდიოდა და მოდიოდა ამ

ადგილებისაკენ. ყველა მოძრაობდა, ყველა ეჩქარებოდა ცხოვრების-გზას და იჩენდა სიცოცხლეს. მხოლოდ მაცის გული იყო მკვდარი. იმას ბევრით უჯობდა სიკვდილი ამ ცხოვრებას. ის სტიროდა თავის ბედს, ის მზათ იყო გაეგმირა თავისის ხელით თავისი გული.

— რა შევცოდე მისთანა ღმერთს, — ჰფიქრობდა ის, — რომ არ მამცა ერთი დღეც არის სიამოვნებით ეგას შეყრისა?.., რატომ მე გამამარჩია ამგვარის მოუნელებელის ცეცხლისთვის?!

მაცი რამდენჯერმე წაეტანა ტამბაჩას გულში მისაცემლათ და რამდენჯერმე ისევ შესდგა.

— ეგას უნახავათ? ეკითხებოდა ის თავის თავს. — მოვკვდე და ერთი კიდე არ ვნახო ჩემთვის დალუპვილი ეგა?!.. იქნება მაინც არ მეინელოს ჩემი სიკვდილი?.., იქნება მას კიდევ ახსოვდეს იმისთვის გაწირული უბადრუკი მაცი?!..

— რავა ესხომება მას მისთანა ბედნიერებაში ჩემი თავი! — მიუბრუნდებოდა შემდეგ მაცი თავის თავს. — რავა გაახსენდება ხვანთქრის სასახლეში, დიდებაში მყოფს, მჭვარტლიან ფაცხაში, ნახევარზედ ნადორივით ტყეში მგდები, ყისინის ნოხით გულმოკლული მაცი...

— კი, მარა, — ჰფიქრობდა თან და იმხნევებდა გულს მაცი: — თუ ის იქნება ბედნიერი, არც მე მმართებს მის ბედნიერებით თავის მოკვლა. მის თავი, მის ბედნიერებისთვის მინდოდა... თუ ის უბედური იქნებოდა, ერთს დღესაც არ ვიცოცხლებდი თავს... ამაზედ ბედნიერი ჩემს ხელით რავა იქნებოდა ის... მაშ რათ უნდა ვსწუხდე მის გაშორებას, თუ მას ბედნიერათ ვიგულებ!?.

იმხნევებდა ამითი მაცი გულს, მაგრამ ეს არ იყო იმისი გულის პასუხი. ყოველს წარმოდგენაზედ, რომ ეგა დაშორდა იმას, ეგა ეკუთვნის სხვას და არა ამას, გული ეკოდებოდა და უწყლულდებოდა ათასფერათ.

მაცის ვერას დროს ვერ წარმოედგინა იმგვარი ქალთა დამწყვდევა, რომელიც ჰხუჟევდა მაჰმადიანთა დიდკაცობის სასახლეში. დაჩაგრული ქალთა თავისუფლებას, ის ჰფიქრობდა, რომ ეგა თავისუფლად ივლიდა სერალში. ამის გამო იმან გასწია პირდაპირ სერალისაკენ. იმან ბევრი უარა გარშემო სერალს. უარა ერთი დღე, ორი დღე, სამი. იყურებოდა ყოველს ჯუჯუტანასა, ყოველს სანათურში, ყოველს კარში. მაგრამ არსად ეგა არა სჩანდა. მაციმ რის ვაი ვაგლახით გაიგო ჰარამის სამყოფი. კითხულობდა ეგას ამბავს, მაგრამ ვერა შეეტყორა: სად ან რა ალაგას იყო.

მაციმ განიზრახა ღამით გადაპარვა ჰარამში.

იმან დაშინჯა სერალის კედლები და ნახა, რომ ამაზედ ისე ასვლა შეუძლებელი იყო. იმის კედლებს არც კიბე ასწვდებოდა.

ის მივიდა ღამე ამ კედლებთან სატეხით, დაუწყო საფეხურების კეთება. იმისთვის საკმაო იყო მცირეც არის ხელფეხის მოსაკიდებელი, რომელზედაც შესაძლებელი ყოფილიყო თითის წვერების მიბჯენაც არის. ის თან ადიოდა ამ კიბურებზედ, თან თავიზედ მაღლა იკეთებდა საფეხურებს. ის თითქმის ნახევარ კედელს ასული იყო, რომ მოესმა ხმაურობა და ფეხის ხმა სერალის გარს მვლელი ყარაულებისა, რომელთაც მოესმათ ეს რაკუნი. იმათ დაინახეს მაცი კედელზედ და გამოექანნენ კედლისაკენ. მაციმ უცებ ისკუპა და გადმოევლო. მაცის გამოუდგნენ, მაგრამ ნახევარზედაც ვერ მოსწვდნენ. იმას დააყოლეს თოფები. შეიქნა ყიჟინა.

ამ ხმაურობამ დააყენა ფეხზედ მთელათ სერალის მცხოვრებლები. ერთს წამს მოსცვივდნენ იანიჩარები და სხვა ჯარები, მაგრამ გვიანღა იყო. მაციმ უშველა თავსა.

ამ ამბავმა მიაღწია სულთანამდის. სულთანმა შეიტანა იჭვი ცოლებზედ. მაგრამ ვისთან მიდიოდა ეს გაბედავი ღამის მესტარი, არა-

ვინა ტუდებოდა, თუმცა სასტიკი საიდუმლო გამოიჭ[illegible]მოსჭრნეს ყველას თავს.

მეორე დღესვე გამოვიდა სასტიკი ბრძანება, რომ ეპოვნათ ეს სერალის სიწმინდის დამარღვეველი. პოლიციამ მთელი სტამბოლი გადმოაბრუნა, მაგრამ ვერაფერი აზრიც ვერავიზედ ვერ მიიტანეს.

სულთანმა რამდენიმე ცოლი გამორეკა სერალიდამ, რომელნიც უფრო მოძველებული და მობეზრებული ჰყვანდა და რომლებზედაც ამისგამო უფრო შეიტანა იჭვი.

მაცამ დაატყო რომ საქმე ცუდათ იყო და ერთს უცხო ქვეყნის ხომალდზედ გამოიპარა რამდენიმე ხნობით, ვიდრე ამაზედ მიწყდებოდა ხმები. ის აპირებდა კვალად სტამბოლში დაბრუნებას ეგას სამებნელათ. მაგრამ ამ დროს იმას მოასწრეს ერთს ოსმალოს ქალაქში, როგორც საიჭო კაცს, შეიტყეს აქ ბევრი მიების უკან, რომ მაცი იყო მეგრელი და გამოისტუმრეს სამეგრელოში.

36.

ჭაქვიჯის ციხის აღების და მანუჩარის სიკვდილის შემდგომ, კესარიამ ძლივს გაასწრო გურანდუხტას ლეჩხუმს. აქედამ, თავის მახლობლების რჩევით, ის წავიდა სტამბოლს.

ბევრი მეცადინეობის შემდგომ, კესარიამ მოიტანა ფირმანი, რომ სულთანი აძლევდა ამას ნებას სამეგრელოში თავის მამულებში ცხოვრებისას. მეორეს მხრით მოვიდა გადაწყვეტილება სამეგრელოში, საიდამაც დიდძალი საჩივრები შედიოდა სულთანთან, რომ მემკვიდრენი ვაშეყისა რჩებიან მთავრათ სამეგრელოში, მხოლოდ იმ დრომდის, ვიდრე ამათ მთავრობა მოხსათმენი იქნება ოდიშის ხალხისაგანაო.

გურანდუხტა ამან უფრო აალელვა და აგებინა შური მანუჩარის სახლობისათვის. იმან ამ სულთანის ფირმანის უკან ცხადი წინაამდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გობა აღარ შეეძლო კესარიასი.

თავის მხრივ კესარია არ ივიწყებდა თავის ქმრის სისხლსა და ნა-ადგ ცდილობდა ხალხის აღელვებას და ხანდურავს გურანდუხტაზედ.

ისინი ერთს ყალიბში არა თავსდებოდნენ.

გურანდუხტა ჰხედავდა, რომ მინამ მანუჩარის სახლისა არის ვინ მე, არ მოისვენებდა არც ესა და არც ამის შთამამავლობა. კესარია ჰხედავდა, რომ მინამ გურანდუხტა და ამისი შთამამავლობა არის, ამისი შვილები, რომელნიც იყვნენ ნანდვილი მემკვიდრე მთავრის შთამამავლობანი, არ ეღირსებოდნენ თავის სამკვიდროს. ისინი შეუდგნენ ყოვლის ღონისძიებით ერთმანერთის მოსპობას. ისინი ცდილობდნენ ახმარნათ ყოვლი თვის ოსტატობა, ყოვლი თვის ხერხი თავის საწადელის შესასრულებლათ. ცხადი ბრძოლა ამათგან შეუძლებელი იყო, რათგან დამნაშავეს ხონთქარი ავათ მოეპყრობოდა.

გავიდა რამდენიმე ხანი და უცებ მოუკვდა კესარიას შვილი, გავიდა რამდენიმე ხანი და გადაჰყვა მეორე შვილი თან. პატარა ხანს უკან მოუკვდა მაზლი, უნცროსი ძმა მანუჩარისა, იმას გადაჰყვა თან ორი მოზრდილი შვილი კესარიასი; ამათ გადაჰყვნენ მთლათ მაზლისწულები კესარიასი. დარჩა ერთიც კიდევ, ძუძუმწოვარა ბავშვი კესარიასი, რომელიც იყო გაბარებული ძიძასთან. კესარია იძულებულ გახდა გასცლოდა თავის წინააღმდეგ თავის უკანასკნელი ბავშვით სვანეთში.

გაძლიერებული და გამდიდრებული გურანდუხტ, არა სჯერდებოდა მარტო თავის სამთავროს. ის თავის სახლის გასაძლიერებლათ უცებ შეესია ლეჩხუმს, რომელზედაც დიდი ხანის ჰქონდათ წინააღმდეგობა და დავა იმერთა მეფეს და დადიანებს. გურანდუხტამ მოიმხრო გვაჯი შერვაშიძე და აფხაზეთის მთავარი. ამათ შემწეობით დაამარცხა იმერთა ჯარები, დაიპყრო ლეჩხუმი და გამოუცხადა სამთავროთ.

შემდეგ შეურიგდა იმერთა მეფეს და გადაუგდო გვაჯი შარვაში-

მე და დაიპყრა სამურზაყანო; აქედამ პატარას ხანს უკან დაიჭირა სვანეთს და დაიპყრა ერთი ნაწილი სადადიშქელიანო სვანეთისა. გურანდუხტამ გაზარდა სადადიანო: ის აღარ ჩამოუვიდოდა არც ერთს ქართულს მეფეს.

ამ ღელვასა, ნიადაგ ომებსა და დაუცხრომლობაში მიაღწია სამეგრელომ უკანასკნელებამდინ. საუკეთესო აზრაგნი და ძურდი კაცნი გასწყვდნენ ბრძოლასა და დევნაში. ერთმანერთში აღარა ჰქონდათ რა, რომ, ეპარნათ, ნამუშავარი აღარ მოდიოდა, რადგან მუშაობა მთლათ შედგა, რაკი არც მოსვენება იყო და ყველა ხარჯი ომისა და აღრეულობისა დაწვა მუშა ხალხს. თვით პირველ პირთ მიაღწიეს უკანასკნელებამდინ. ისინი აღარა ჰხედავდნენ დასასრულს თავის მდგომარეობასას. აშლისა და შეთქმულობისა აღარა ჰქონდა იმედი კეისარიასა და იმის მომხრეების მეცადინეობით და შეგონებით იმათ განიზრახეს ჩუმათ სათხოვრის გაგზავნა ხვანთქართან, რომ ჩამოეცლიათ ამათთვის თავის მთავრის სახლი.

დაწერილი ქაღალდი გამგზავრდა რამდენიმე არჩეული კაცის ხელით სტამბოლისაკენ. გადაყენება მთავრის სახლისა იყო უეჭველი იმ ფირმანის ძალით, რომელიც აძლევდა ნებას ამათ მთავრობისას, ვიდრემ ეს იქნებოდა მოსათმენი ხალხისაგან. ახლა ხალხი თხოულობდა ამათაგან განთავისუფლებას.

ეს შეიტყო გურანდუხტამ. ის უცებ გაჰქრა სასახლიდამ.

როდესაც არჩეულნი ქაღალდის მისართმევლათ მივიდნენ ტრაპიზონს, იმათ უცებ სთხოვეს, რომ მისულიყვნენ ტრაპიზონის ფაშასთან.

აქ უცებ დაუხვდათ ამათ გურანდუხტ.

ისინი ჯერ არამც თუ შეჰკრთნენ და კიდეც შეშინდნენ საშინლათ. მაგრამ რაკი გურანდუხტ ნახეს ალერსით და ტკბილის სახით, ისინი გამხნევდნენ. ერთი ორი დალაპარაკების შემდეგ გურანდუხტას-

ლას, მოვიდა თავის საკუთარის ფეხით ამასთან. ამას ხედავენ ყველა მონასტერში მცხოვრებნი, ყველანი უნდა დარწმუნდნენ, რომ სიდონია მართლაცა და არავის ტოლი არ არის.

ამ ნახვასთან გურანდუხტამ მოუტანა ამას თავის საკუთარის ხელით მშვენიერი ბრილიანტით შემკული საჩუქრები და მარგალიტის კრიალოსანი. სიდონია იყო აღტაცებულივით სიხარულისა და ბედნიერებისაგან.

ამ ამბების უკან, კიდევ რამდენჯერმე ნახა გურანდუხტამ სიდონია მონაზონი, მიიწვია თავისთან, და მასუკან გამგზავრდა ისევ ზუგდიდისაკენ.

ერთი ორის კვირის უკან გავარდა ხმა, რომ დედუფალი უპირებს სიდონიას მონაზონს დაჭერას და მოკვლასაო. ამ ხმების გავარდნაზედ სიდონია მონაზონი გაიქცა ოდიშიდამ რა დღესაც ის გაიქცა, იმავე ღამეს დაუხსნენ ამის ხენაკს გურანდუხტას კაცები, მაგრამ სიდონია აღარ დაუხვდათ აქა: ის გავარდა სვანეთში, თავის ძმისწულს კესარიასთან.

— აჰ! ჩემო ძმისწულო, ჩემო ბედნიერებავ! — ეხვეოდა ის კესარიას, — მეც მეწვია შენი ბედის საწყრი: კინალამ წევიწყმიდე სული და ჩაუვარდი ხელთ მას ამძვინებულს. გვდევნის არ თუ მარტო მე და შენ, არამედ უპირებს ყველა ჩვენი მასადგვარის მოსპობასაც, მოსპოს მის სული ღმერთმა.

აქ რომ სიდონია მონაზონი მოვიდა, გურანდუხტასთან ამ დროს გაგზავნილი ჰყავნდა კესარიას ერთი მარჯვე მეთოფური სვანი. იმას ბეეთქვა ჩუმათ კესარია. ეს გათქმა არ იცოდა თვით კესარიას გარდა არავინ.

— აჰა თუ ამამყრი მის ჯავრს, — მკვიდრი დედუფალი ოდიშის მაშტინ მე ვიქნები და გაგაკეთებ, გააკეთოს ღმერთმა ჩემი სული და ჩემი ერთი შვილი. იმდენს ოქროსა და ვერცხლს მოგანიჭებ, რომ ბეყოთ შენ და შენს ცოლშვილს საუკუნოთ.

ამ პირობაების გარდა, გურანდუხტამ მისცა თავისი ქმრის, მანუჩარისეული თოფი და იარაღი და ზოგიერთა სხვა საჩუქრები.

სვანი შეუდგა საქმეს. ის ყოველ დღე ჭყარაულობდა გურანდუხტას და ეძებდა მარჯვე დროს.

ერთხელაც გურანდუხტ აპირებდა ჯარებით გურიის მთავარზედ

გასქვას და ჰქონდა ამისი დაწყობილობა, რომ ამასთან შეეძლო სიდო-ნია მონოზანი და გამოუცხადა კესარიასა და იმის კაცის ერთს დღეს დახოცვა. გურანდუხტ გახარებული მოეხვია იმას და აღუთქვა მრავა-ლი წყალობა.

— აწი კი ჩემი სახლი არის ბედნიერი შენგან, ჩემი დედის უძვირფასესო სიდონიავ! ჩემი ჩვილები იქნებიან შენგნით საუკუნოთ დავალებულნი. აწი მე ვარ მთლად მოსვენებული: სხვა მტრის მე არ მე-შინია. კესარია იყო ყველაზედ უფრო საშიშარი ჩემთვის. მის ბორო-ტი გული ამოიჭამდა, ჩემს გარე, სხვა ჩემს შვილებსაც. აწი კი ღმერთს მოუხედნია ჩემსკენ.

პატარას ხანს უკან ის, გახარებული, გაემზადა ჯარების დასაშინ-ჯათ, რომელიც უნდა შეურილიყო რუსის ციხესთან.

ის მშვენიერის რახტით შეკმაზულს ცხენით გაემგზავრა რუსი-საკენ. მას ახლდა მრავალი ამალა, სულ მშვენივრათ დაკმაზულნი. ის სრულიად ჰგვანდა ბრწყინვალე დედუფალს: ოქროსა და ვერცხლს გაჰ-ქონდა ლაპლაპი, ბრილიანტები, რომელიც უბოძა ამას სულთანმა, და რომელიც ხშირათ ეყარა დედუფალს, მოსჭრიდა კაცს თვალებს.

დედუფალი თავის ამალით ჩავიდა ერთს ვიწრო დაღმართს, რო-მელიც ხევით მიდის ნიკოსიადამ რუსს. გახარებული დედუფალი, ანა-ვარდებდა თავის მშვენიერს ცხენს, რომელიც თითქო თვითაც ამაყობ-და, რომ ამისთანა დედუფალი დამყავს ზურგითაო. გურანდუხტ ასე მხიარული არასოდეს არ ენახათ. ყველანი იყვნენ ამის მოლხენით მხი-არულათ. გურანდუხტ აღუთქვამდა ყველას წყალობას.

ამ დროს გავარდა ტყის ხშირებიდამ ტყვია და გაუარა გურან-დუხტას გულში.

ამალა აირია.

გურანდუხტ უსულოთ გადმოეშვა ცხენიდამ.

ანტონ ფურცელაძე.

(დასასრული შემდეგ ნომერში იქნება).

# მაცი ხვიტია

36.

გურანდუსტას სიკვდილი მოვიდა სტამბოლს. ამ ხანებში მოკვ-
და ჯავრისაგან ამის მწყალობელი სულთანიც, რომელიც ამ ყამათლო-
მებოდა რომელსამე ევროპის ხელმწიფეებს და ნიადაგ მოსდიოდა და-
მარცხება თავის ჯარებისა და ნახევარ საოხმალოს დაჭერა მტერთაგან.
აქამდის დაუმარცხებელი და მტერთათვის შესაზარავი მფლობელი შე-
ურყეველის ოტომანის ბრწყინვალეს პორტისა, ვერ ინელებდა ამ თავის
დამარცხებას. ის ჰგზავნიდა ახალ ახალ ჯარებსა, ახალ-ახალ სარდლებ-
სა, მაგრამ ყველა იყო ამაო: ჯარები იყვნენ ბრიყვნი და მოუხეშავნი,
მაშინას მსგავსად გამოწყობილნი და გონებაც მაშინად ჰგცეოდათ; სარ-
დლები იყვნენ გონება გაუხსნელნი დაჩვეულნი განცხრომით ყოფნას
და დაიმედებულნი მხოლოდ თვის გარეგანს მუშურულს სანახაობა-
ზედ,—ისინი იყვნენ დახელოვნებულნი მხოლოდ საზინისა, ჯარებისა
და ავისვე ხალხის ცარცვაში, რომელსაც იმათ სულთანი არას-დროს
ამერთა ღა და თვითცა ხელს უმართავდა, რათგან ისიც თავის მო-
ამ საქმისავით უყურებდა ხალხს, როგორც პირუტყვთ, რომელთაც
დნენდად უნდა ემუშავნათ თავის პატრონებისათვის. ამისგამო ამ ომე-
ლი, სარდლები მხოლოდ ცდილობდნენ, რომ თვითონ გამდიდრებული
ყვნენ, და სალდათებმა კი, შიმშილისა და სიტიტვლისაგან შეწუხებულთ,
არ იცოდნენ რაზედ უნდა გამოედოთ თავსა და შეჰკდომოდნენ მტერ.

ხა. პირველხავე შეხვედრაზედ არა ჯარები უფრო გამოირჩნენ, არა სარდლები: სარდლებს ენანებოდათ იმოდენა ქონების დატოვება და უნდოდათ კიდევ ეცოცხლათ, რომ დამტკბარიყვნენ თავისის მრავალის საცხოვრებლითა; ჯარები ინანავდნენ თავს თავის უპატრონო და უსაზრდოვოთ დატოვებულის ცოლშვილის საპატრონოთ. ამ ამბავმა სულთანი თან და თან შეაშფოთა და იმან ირჩია, რომ არ მოესწრებოდა თავის საშინელს დამცრობას, გადუწყვიტა თვითვე თავის თავს სიკვდილი.

ეს დროება იყო, რომ მოუვიდა ამბავი სტამბოლს გურანდუხტას შვილს კოწიას, რომელიც აქ გაგზავნა იმავ პატარაობითვე გურანდუხტამ სასწავლებლათ, რომ მოკვდა დედა შენი და მოუპატრონე შენს სამთავროსაო. ის მაშინვე დაბრუნდა სამეგრელოში და მიიღო მთავრობა.

გაზდილი ოსმალთა დიდკაცთა შორის, იმას არავითარი შრომა არა გააჩნდარა, იმის სიცოცხლის აღსარება იყო: მშვენიერი ქალი, კაი ძაღლი, კაი ცხენი, და ნიადაგ განცხრომით შექცევა.

—უამითოთ, შენ არ მოუკვდე, კაცი მანუულათ არ ღირდეს!— ეუბნებოდა ის თავის დაახლოვებულებთ.

იმან მიჰყო ხელი დედისგნით დატოვებულს ცხოვრებას და დაიწყო ქეიფები. ყოველ კვირას ჰქონდა გამართული დოლი, სადაც თვითონაც ხშირათ იღებდა მონაწილეობას და იჩენდა თვის ცხენებს და მხედრობას; ყოველ დღე იცვლიდა თითქმის მშვენიერთ ქალ[illegible] ქალთ და სადაც კი დაიგულებდა, ამათ სამოვნელათ არა ჰზ[illegible]ვითარს ხარჯს, არავითარს ნივთს; ყოველ დღე ატარებდა ნად[illegible] დროს, ყოველ ღამე ჰქონდა გამართული ლხინი.

მართველობა ხალხისა ამისთვის იყო გაუგებარი. იმას უკვირ[illegible] რომ არ იყო გზები სამეგრელოს მშვენიერს ვაკე ადგილებზედ და ვერ წარმოედგინა, რომ გზები, რომელიც ამას ენახა სხვა ქვეყნებში, იყვნენ

მმართველობას თაოსნობით და ხალხის ხელით გაკეთებულია ყველაფერი, რომ ხალხი იყო ამ სიღარიბეში და ვერ მოეფიქრა, რომ ამგვარის ლარიბს ხალხს ამისი ყვლეფა უფრო კიდევ უარესათ აღარიბებდა და ამის უთაურობა უფრო ძირსა სცემდა. ის ხალხის ღარიბულათ ცხოვრებას აბრალებდა იმათ უნდომრობას, თორემ ჩისტე ღარიბი კაცი რავა იქნება, რომ კაი ცხენი, კაი სახლი, კაი ტანთსაცმელი და სადილათ კაი ირმის ხორცი არ ჰქონდეს. ირემი რავა ძნელი საშოვარია: გადი ტყეში, წეიყვანე მეძებრები, ქხროლე თოფი და მოჰკალ! მარა, ისტე მერტლებას და მიმშალს რო არიან დაჩვეულნი, შენ არ მოუკვდე, ველარ გადაჩვეულან! ამგვარის იმათის სიცუდე— კაცისათვის ის არა ჰხედავდა საჭიროთ, რომ შეებრალებინა ისინი და უარესაც ართმევდა იმათ უკანასკნელს ხარჩოს.

ამგვარს ამის მმართველობის დროს, წაიჭიმეს აფხაზებმა თავი და დაიწყეს შემოსევა სამეგრელოში და ცხადლივ დღისით ტაცება საქონლისა და საცხოვრებლისა. თვით სამეგრელოში ერთი ორად იმატა ქურდობამ და მტაცებლობამ. გვაკვი მარკვაშიძემ დაიწყო ცხადლივ ბატონობა სამურზაყანოში; დადიშკელიანები აღარ აძლევინებდნენ წართმეულს სვანეთის დადიანისთვის ხარჯს. კოწია ეწყოდა ქეიფს, ის არაფერს არ უგდებდა ყურს, ის თვის შესაქცევრათ ართმევდა უკანასკნელს გროშს თავის გაღატაკებულს ხალხს.

შეჭირვებულმა ამ ცხოვრებისაგან, მეგრელთ ჩუმათ შეუთვალეს იმერთა მეფეს დაპყრობა სამეგრელოსი და აღუთქვეს თვით დახმარება ამ საქმეში. მეგრელთ მოსაზრეს, რომ უკეთესს ვერავის მოჰმართავდნენ, რადგან სარწმუნოებაც ერთი ჰქონდა და მეზობლებიც ესენი იყვნენ და ხალხნიც ერთნი. მაშინ იმერთა მეფემ მოიმხრო მეფე ქართლისა და შემოესია ოდიშს. ის დიდი ხანია ეძებდა მარჯვე დროს, რომ დასხმოდა სამეგრელოს, გადეერია დადიანები და დაეპყრა ცა-

ბე ოდიში და ცალკე წართმეული გურანტუსტასაგან ლეჩხუმი, მარჯვე დროც ეს იყო: გურანდუსტა აღარ იყო ცოცხალი, მანუჩარის ცოლი, კესარია, რომელიც იყო სამეგრელოს მთავრობის მოდავე და საშიში, აღარც ის იყო ცოცხალი; გურანტუსტას სისხლის მწყალობელი სულთანი მოკვდა; ოსმალო იყო ომებში გაბმული და შეწუხებული; გურანდუსტას მემკვიდრე, კოწია იყო უმღური დარდიმანდი, ხალხი თსოულობდა იმერეთთან შეერთებას.

იმარჯვა ეს დრო იმერთა მეფემ და შემოესია სამეგრელოს დიდძალის ჯარით. ხალხი ხელგაშვერობილი ეგებებოდა იმერლობას, როგორც თავის მხსნელებს.

ეს ამბავი მოუყვიდა კოწიას, და არ იცოდა, რა უნდა ექნა. თავისთან ყველა მასლობელნი ჰყვანდა იმისთანა კაცები შერჩეულნი, რომელნიც სრულებით ყველასთვერში ჰგვანდნენ ამასა: ქალებზედა და მსეცებზედ ნადირობის მეტი არა იცოდნენ რა. ამ ამბის გაგონებაზედ ისინი კოწიაზედ უარესათ დარჩნენ პირ დაღებულნი. ოდიშში კაცი არ გამოჩნდა, რომ გამოეჩინა იმერლებისთვის წინააღმდეგობა. იმერლობა შემოერტყა ზუგდიდს სწორეთ იმ დროს, როდესაც კოწია ბრძანდებოდა განცხრომაში ერთს მშვენიერს ქალწულთან. იმას მასლობელნი ღამითვე, კოწიას გაუგებრივ გაიგცნენ ზუგდიდიდამ. კოწიას არც კი შეატყობინეს, რომ ამისთანა უბედურება ადგებოდა თავს. კოწია ასე უცებ არ მოელოდა ამ ამბავს. ის თავის დღეში არ შეჰხვედროდა პირისპირ არა გაჭირვებას და არა მწუხარებას; იმას ესეები გაეგონა მხოლოდ როგორც ანდაზა, როგორც გასართობი ამბავი. ამისგამო ის ვერას დროს ვერ წარმოიდგენდა, რომ ეს ანდაზათა და მესავცევრათ მოგონილი ამბები იქნებოდნენ ნანდვილი მოვლინებანი ცხოვრებაში და თვით ამასაც მოელოდა ეს დღენი. როდესაც იმას მოხდიოდა ამბავი, რომ იმერთა მეფე შემოესია ოდიშსაო, იმას ეს უფ-

რო სუმრობასა და შექცევასავით მიაჩნდა, და ვერ მო[illegible] ისინი აქამდინაც მოაღწევდნენ. ალბათ თავის ქვეყანაში მოჰბეზრებია შექცევა იმერთა მეფეს, ეფიქრებოდა კოწიას გუნებაში,—და აქანა წამოსულა შესაქცევრათ, ჩვენს ქვეყანაში. მეც, როცა მომბეზრდება ოდიში შექცევა, შევესევი იმერთა ლამაზ ქალებს, და წამოვასხამ იქიდამ რაც კაი ცხენები და კაი ძაღლებია; მოუკიდებ გამხმარი ხის ოდაებს და ვიცქირებ ცეცხლს და ვუმზერ სიამოვნებით, რაგვარც ალი დოუწვავს ცას ტანებას, და შეიქს გუგუნს». იმან, გაზრდილმა ნებივრობასა და ფუფუნებაში უცხო ქვეყნის [illegible]ცებთა შორის, არ იცოდა გაჭირვება, და უცებ ქვეშაგებში მყოფს, შექცევითა დროს გამტარებელს მოასხენეს, შეშინებულთა და დასისხლიანებულთ მსახურთა, რომ იმერთა ჯარი შემოერტყა ზუგდიდსა და დაიჭირეს მაზარით. ამათმა შეშინებულმა სახემ და სისხლმა დასცა რაღაც განწირულების უძლურება კოწიას. იმან არ იცოდა რა ექნა. თოფის სროლა, ყიჟინა და მწუხარების ყრიამული თან და თან უახლოვდებოდა ამის სასახლეს. ამას დაუწყო გულმა და ფეხებმა ერთნაირათ თრთოლა. ის ვერ ახერხებდა ვერაფერს; ვერც გაქცევას, ვერც დაყვირებას, ვერც ტირილს, თუმცა ყველაფერზედ ეს მზათ იყო. იმას ამ მდგომარეობაში მოასწრეს სასახლეში შესულთა იმერთა მეფის კაცთა და ცარიელი პერანგის ამარა, თავისის ლამის ამხანაგითურთ მოჰგვარეს იმერთა მეფეს.

მეფის მრისხანე დანახვაზედ ვერ მოასერხა კოწიამ ვერაფერი, იმას წაერთვა თვით ხმაცა და ენის მოძრაობაცა. იმან მხოლოდ ეს და მოასერხა, რომ არ მოეკლათ ესა და ეპატივებინათ თავის ღმერთისათვის: დაიჩოქა ორთავ მუხლებზედ, გაიშვირა ხელები და ერთი რაღაც ნაირათ უცნაურათ შეჰბღავლა მოზარულის ხმით, უსიტყვოთ, ენის მოუძრაველათ. აქ წასკდა ტირილი, ის იღვრობა ცრემლითა.

მეფემ უბრძანა გასტუმრება. ის წაიყვანეს.

მეფემ დაიმკვიდრა მთავრის სასახლეში. გაგზავნა [illegible] ყველა სადადიანო ადგილებში და მთლად სადადიანო გამოაცხადა თავის სამეფოთ.

ამათი გათავდა იმჟამათ დადიანთა მთავრობა სამეგრელოში. გოწია დადიანი მეაყენა იმერთა მეფემ ბერათ ერთ რაჭის მონასტერში ცოდოების მოსანანიებლათა. და რათგან გოწია სრულიად დაემონა თავის სვედრს და აღარ იხენდა კვალათ დადიანობის სურვილს, ამისგამო მეფემ ბოლოს უწყალობა იმას წინამძღრობა იმავე მონასტერში. ერთხელ შიშს ნაშვმი, გოწია ვედარა ჭიდავდა კვალად გამთავრების ფიქრსაცა, ოღონდ კი ნუ დაუშლიდნენ ლამაზ ქალებს, კაი ცხენებს და კაი ძაღლებს, რომელთაც იმერთა მეფე სრულიად არ უშლიდა, ოღონდ ის თავის მხრივ ნულარ აილებდა თავში, რომ დაებრუნა თავისი სამკვიდრო.

37.

ეს დროები იყო, რომ მაცი მაგრათ შებოჭილი მოიყვანეს სამეგრელოში შემდეგ ბევრის ტანჯვისა, ბევრის მეცადინეობისა და ბევრის ღელვისა, მაცი დაბრუნდა ისევ თავის ქვეყანაში.

მაცი სიამოვნებით მოკვდებოდა, მაგრამ ამას აშინებდა ის სატანჯველი, რომელიც მოელოდა გურანდუხტას ხელში. ამ სატანჯველის მოლოდინში, ის გულმოკლული მოდიოდა სამეგრელოში, სადაც აღარ ეგულებოდა თავისი ეკა, რომლისაც მებნაში და ამის მებნის გულისთვის გაატარა რამდენიმე წელიწადი საოსმალოში. ის ბრუნდებოდა ხელცარიელი, იმან ვერც კი მოისწრო ნახვა და დაწვრილებით ამბის გაგება თავისი სასურველი ეკასი. მაცის ვერას დროს ვერ წარმოედგინა, რომ იმას თავისი ეკა დაემალებოდა სადმე და ნახვასაც არის ვერ მოაგვარებდა, მაგრამ ეს აზრი წაუხდა. ერთმხრივ ეს აღელვებდა კო-

დევ მაცის გულს. ის სრულებით თავ გადადებული ბრძოლობდა სა-მეგრელოში, რომ გზაში გაიგონა გურანდუხტას სიკვდილი და იმისი შვილი კოწიას შეპყრობა და იმერთა მეფისაგან სადადიანოს დაპყრობა.

ის იმავ თარობითვე უმალავდა ოსმალებს თავის სახელსა და გვარს და რაკი გაიგონა, რომ იმერლებს უჭირავთ ოდიში, მაშინ სრულებით აღარ ამხობდა თავის ვინაობას.

ოსმალებმა ის ჩააბარეს იმერლებს. იმერლებმა ჩასვეს ის ციხე-ში და დაიწყეს გამოკითხვა ვინაობისა. მაციმ უთხრა, რომ ეს იყო ტყვეთ წაყვანილი საოსმალოში პატარაობითვე და რაკი არ მიიღო თათრების რჯული, ამისგამო გამოისტუმრეს ისევ აქეთ.

— გვარი და სახელი ჩემი ასტე მახსოვს, რომ პატარაობით მიწოდდენ კიკოლიკას სახელათ და გვარათ კიწავას.

იმერლები შეფიქრიანდნენ და უპირებდნენ მეფეს ამ ამბის მოხ-სენებას და უცებ ეს კიკოლიკა კიწავა, მართლაცა და გ ი წ ა ვ ი დ ა ერთს ღამეს ციხიდამ.

შენს მტერს ის საქმე, რაც შიში ამისმა წასვლამ დამართა იმე-რლებს. გავარდა ხმა, რომ ეს ტუსაღი იყო ხონთქარის ვეზირი და განგებ იყო გამოგზავნილი, რომ შეეტყო ციხეების სიმაგრეები, იმე-რლების ძალა და მეგრელების მდგომარეობა, რომ უფრო ადვილათ გაერეკათ იმერლები სამეგრელოდამა. იმერთა მეფემ გასცა ბრძანება, რომ ვინც იმას დაიჭერდა, აჩუქებდა ხუთას ოქროს, და ყარაულებს, რომელთაც ეს გაუშვეს, ზოგს დასჭრა ყურები და ზოგს დასთხარა თვალები, რომ ეგ თვალები იმიტომა გქონდათ, რომ დაგენახათ ტუ-საღი, და ყურები იმისთვისა, რომ გეგდოთ იმისთვის ყური.

ხუთასმა ოქრომ მთელი სამეგრელო დააყენა ფეხზედ; მაგრამ ყველას შრომა შერჩათ ამაოთ. მესამე დღესვე გავარდა ხმა, რომ ერთ ოსმალის ხომალდში ჩაჯდა ვეზირი სულ ოქროს ტანისამოსში და წავიდა ოსმალეთისაკენაო.

ამან კიდევ უფრო დაარწმუნა ოდიშელებიც და ქართველებიც ამ ხმის სინამდვილეზედ. იმერლები აიტანა შიშმა. იმერთა მეფემ დაიწყო მზადება და უმატა ჯარებსა. ის იყო ყოველ დღე მოლოდინში, მინამ არ მოუვიდა ამბავი, რომ თითონ ოსმალები დიდს გაჭირვებაში არიან და საამისოთ იმათ არა სცალიანთო.

მაცამ მართლაცა და ისარგებლა ამ ხმის გაგონებით. იმან მეორე დღესვე მოჰკრა ყური, რომ ვითომც ეს ვეზირი ყოფილიყვეს. იმან სცადას წაიგდო ერთი მდიდარი ოსმალოს ვაჭარი, გასადა ტანისამოსი, წაიცვა და ავიდა ერთს სავაჭრო ოსმალის გემზედ, რომელიც იყო ყულევს მოსული. იქ იმან გაიხადა ეს ტანისამოსი, წაიცვა თავისავე ჩოხა და გამოვიდა. ეს იყო ის ვეზირი, რომელსაც ასე შიშით უყურებდნენ იმერლები.

მაცამ, რაკი ამგვარათ დაატყუვა თავისი მდევნელები, ხელმეორეთ განიძრახა გუნებაში დაბრუნება საოსმალოში ქვას საძებნელათ. ის თავის თავს ჰრაცხდა ახლა უფრო გამოცდილათ და ჰქონდა იმედი როგორმე ქვას ნახვისა. მაგრამ იქ წასასვლელათ იყო საჭირო ფულები, რომელიც უნდა ამას რამე ღონის ძიებით შეეძინა, ამას აგრეთვე უნდოდა ენახა თავისი დედა და დები, რომელნიც უნდა დაემშვიდებინა, რომ ეს იყო ისევ ცოცხალი. მაგრამ ეხლავე იმათი ნახვა იყო საშიშარი, რადგან გავარდებოდა სამეგრელოში ამისი მოსვლის ხმა და ელოდა სიფათი, რადგან რაც დაიმკვიდრა აქ იმერთა მეფემ, იყო საშინელი დევნა ყველა ქურდებისა და აბრაგებისა. ამისგამო იმან დაინახა საჭიროთ, რომ ჯერ ჯერობით გასულიყო სვანეთს, საიდამაც შეეძინა საკმაო ფულები და მერე გზათ ენახა თავისი დედა და დები და აქედამ გასულიყო ოსმალში.

38.

უპირველეს თავის ვალად ჰრაცხა იმერთა მეფემ, რომ მოესპო

სამეგრელოში ქურდობა და აბრაგობა, იმან გამოუცხადა ხალხს, რომ არც ერთს ქურდს, არც ერთს აბრაგს არ დაუყენებდა ოდაშში და სულ კორტოხს იქით გადაჰყრიდა იქა, სადაც თვით მზეც აღარ ამოდიოდა.

შეჩვეული ამგვარს ცხოვრებას, გადაჩვეულნი შრომით ცხოვრებას, გაუსწავლელნი ყოვლრიგს ხელობასა და ხელოვნებაში, ისინი ვერ გადაჩვეულიყვნენ ქურდობას და აბრაგობას. ამის გამო ამ მეფის ბრძანებაზედ იმათ ყურიც არ გაიბერტყეს.

მაშინ იმერთა მეფემ დააწესა ქურდობისა და აბრაგების გადასაწყვეტი სამსჯულო და შეუდგა ქურდებისა და აბრაგების ჭერას. იმან ამათ მოსაპოვებლათ არ მოინდომა ბევრი ხანი. იმან გამოაცხადა, რომ ვინც ამოაჩენდა ვისმეს ხელში ნაქურდალს, ან ვინც ამოაჩენდა ქურდსა და აბრაგს, ეძლეოდა იმას ამ ქურდისა და აბრაგის ნახევარი ცხოვრება. იმან იქირავა მცხოვრებლები გამოჩენილთ ქურდთაგან, რომელნიც ფარულათ იყვნენ მართებლობასთან შესულნი და ხალხში ისევ ხალხის ერთგულებას იჩენდნენ. მაშინ დაიწყო დენა მრავლისაგან მრავალმა გამცემმა ხალხმა და აძლევდნენ მართებლობას ხელთ, ვისიც კი ცოტაც არის ეგულებოდა ამგვარი ხელობა. აღარ იყო აქ დანდობა არც ძმის, არც ნათესავის, არც თვით ამხანაგის ამ ხელობაში. მეფისაგან დაწესებული სამსჯულო თითქმის ნახევარს ამათაგანს ჰპოვებდა დამნაშავედ და ისტუმრებდა კორტოხს იქით, სადაც თვით მზეც ძლივს ამოდიოდა, მუდამ აუღებელს თვლიანს და ყინვიანს ადგილებში.

ამგვარმა უცებ ცხოვრების შეცვლამ, შეარყია სამეგრელო მირიან ფერხვიანათ. ყველანი შიშის ზარ დაცემულნი ელოდნენ: აცა ეხლა ვისმეს დაბეზღებით დაგვესხმის მეფის კაცები და წაგვასხამენ მსაჯულებთანა, აცა ეხლაო. ამ მოლოდინსა და შიშსა ყველა ცდილობდა, რომ თითონ გადარჩენოდა ამ უბედურებას და რომ თითონ კარგ კაცათ გამოსულიყვნენ, შეჰქონდათ ერთმანერთზედ ბეზღება ჩუმ ჩუმათ და არა ჰზოგავდნენ თვით უმართლესს კაცთაცა.

ამ ცხოვრებაში ჩაცვივნულნი, ისინი თან და თან ეჩვეოდნენ და ყველა სახლი ისაკლისებდა თითოს ან რამდენსამე მწყერს ოჯახიდამ, რომელნიც ინახავდნენ ამ ოჯახებს. ამათი უფრო უჭირდებოდათ ამათ ცხოვრება და უფრო და უფრო ცდილობდნენ ერთმანერთის ბეზღებას, რომ ამითიც არის გექჩინათ თავისი საზრდო. ჩაცვივნულნი ამ გაჭირვებაში, ისინი კიდევ უფრო ვერ ითმენდნენ, რომ არ ეპარნათ, რადგან ეს ერთი ხელობაღა იყო, რომელითაც შეეძლოთ თავის შენახვა, ამისგამო ქურდობამ, კლების მაგივრათ—იმატა, მხოლოდ ქურდობა გაჩნდა უფრო ჩუმი; ჰქურდობდნენ უფრო საწყალთ ხალხთა, რომლებისაც ჰქონდათ იმედი, რომ ვერ შესძლებდნენ ქურდების დევნას და პოვნას.

შთაცვივნულთ ამ გარემოებაში, დაიწყეს ქურდობა თვით იმ მუშაკთა, რომელნიც აქამდის სცხოვრებდნენ მიწის ნაყოფიერებით, ან პირუტყვთა მოშენებით, რადგან აღარა რჩებოდათ ამათ ქურდებთაგან არავითარი საზრდო.

იმერთა მეფე ჰხედავდა ამ ქურდებთა დევნაში ყოველს სამეგრელოს ბედნიერებას, ამ ქურდობის მოსპობით ჰფიქრობდა ხალხის გამდიდრებას და წარმატებას. ამისგამო, რაც ხანი გადიოდა, იმდენი უფრო და უფრო ჰხმარობდა ყოველ ღონისძიებას ქურდობის მოსასპობელათ. ის ვერ მისვედრილიყო ნამდვილს მიზეზს ამ სიწამხდრისას, ვერ შესდგომოდა ნამდვილს საქმეებს და წესებს, რომლითაც მოისპობოდა ეს უცნაური ცხოვრება და ჩვეულება ახლად დაპყრობილის ხალხისა.

იმერთა მეფე, შთავარდნილი განათლებულ ხალხთა შორის, ცდილობდა იმათს მიბაძვას ყველაფერში და ყოველს თვის ქცევისა და დაწყობილების გარეგანს სანახაობას ამსგავსებდა განათლებულ ხალხთა, ხოლო შინაგანი მსგავსება, მიბაძვა შინაგანის მოძრაობისა და მო-

წყობილობისა იმას ვერ შეჰნიშნა დაწინაურებულ ხალხში, და ამისგამო შინაგანს გარემოებეში ის სრულებით არა ჰგვანდა ევროპიელთა. მაგალითად შეტყობილი ჰქონდა, რომ არის სასწავლებლები ევროპაშიც და ამანაც დააწყეს სასწავლებლები, სადაც გარდა ღვთის მეტყველებისა და ეგვიპტურისა და ასურულის ენისა არას ასწავლიდა. ამ სასწავლებლებიდამ, გამოდიოდნენ ხოლოდ თავხედი სწავლულები, რომელთაც თავის ზევით კაცი არ გააჩნდათ და თავის ცხვირს იქით არას ჰხედავდნენ. ეგრეთვე შეიტყო იმერთა მეფემ, რომ ევროპაში სხვა რიგი სამართალია და ამანაც დააწყესა მათ გვარი სამართალი. ამ სამართალში იყვნენ ბრალმდებლებიც, ნაფიცი რწმუნებულებიც, ისე ადვოკატებიც, მაგრამ მოსამართლეთ განონათ ჰქონდათ, რომ დამყარებულიყვნენ კანონზედ და არ მიეცათ ნება თავის სინიდისისა და კაცობრივის გულის მხილებისათჳს. ამას გარდა, თუმცა სამართალს გაემართლებინა კაცი, თუ ეს კაცი არ მოსწონდა მართებლებს, ოცდაოთხის საათის განმავლობაში შეეძლო თუნდა სარჩობელაზედაც შეეთამაშებინა ფეხები. თუ გინიცობაა იცოდა მართებლობამ, რომ ამა და ამ კაცს სამართალი ვერ უპოვის საკმაო გასამტყუნარს საბუთს, მაშინ ის თვით უსამართლოთ რასაც უნდოდა უზავდა ამ კაცს. დააწყეს სხვათა განათლებულთა სახელმწიფოთა მიბაძვით შინაგანი საერო სამმართველოცა, სადაც ყველა ფულისა და სარჯის მოთხოვნა და თვით ეს მმართველობაც იყო სრულს მართებლობის ნებაზედ. ერთი სიტყვით გარედამ ის ჰგავდა განათლებულს სახელმწიფოს, შიგნიდამ, იყო იგივ მოშლილი ჩარხი, იგივ თვითნება მბრძანებელი, რომლისათვის გარეშე თვის სურვილისა არა არსებდა არა ვითარი ნება, არავითარი სიმართლე.

ამავე მიბაძვით გაიმართა იმერთა მეფის ბრძანებით სამეგრელოში განათლებული სამართალი, სადაც ყველა დამნაშავეს ჰქონდა ნება თავის სიმართლის დასაცველათ მოეყვანა მცოდნე მოლაპარაკე კაცი,

და მართებლობას თავის მხრივ ჰყვანდა ბრალმდებელი. მხოლოდ იმერთა მეფის მართებლობამ ჰპოვა ამათით ხალხთაგან ამორჩეულთ მოსამართლეთა მოხმობა და დაფიცებულთ მაბჭობელთ დაწესება, რათგან დიდი სურვილი ჰქონდათ იმერთა, რომ სამეგრელოში ყოველ საქმის წარმოება ყოფილიყო ქართულს ენაზედ, და მეგრელებმა ყველამ არ იცოდნენ ქართული რომ შესძლებოდათ გასამართლება ქართულს ენაზედ *); რასაკვირველია მოსამართლენი, რომელნიც იყვნენ მეგრელებისთვის ქართლ-იმერთაგან დაწესებულნი, რომელთაც არც იცოდნენ მეგრელთა ჩვეულება, არც იმათი საზოგადოებრივი ცხოვრება, გარდმონაცემი და ადათები; არ იცოდნენ იმათი ჭკუისა და აზრის მდგომარეობა, იმათი ისტორიული ცხოვრება და აღზრდა,—ყველა მეგრელის მოქმედებას უყურებდნენ იმ თვალით და აზრით, რაშიაცა და როგორც თითონ იყვნენ გაზრდილნი. ყოველს მეგრელის მოქმედებაში, რომელიც არ იყო მიღებული ამ მოსამართლეებისა და მმართველების ქვეყანაში, ჰხედავდნენ საშინელ დანაშაულათ და წინააღმდეგ საქმეთ. რამდენიც აქაური ცხოვრება არა ჰგვანდა იმათს ცხოვრებას, იმდენი ჰპოვებდნენ, რომ მეგრელნი არიან მთლათ წამხდარნი და არ არიან არაში დასაზოგავნი. ახლა ამგვარს აზრს ემატებოდა ის გარემოებაც, რომ ეს უცხო ადგილებიდამ მოსულნი მოსამართლენი და მმართველენი, შეუჩვეველნი ამ ახალს ამათთვის ხალხში, სამნი და უცხონი სრულიად ამათის ჩვეულებაებისა და გცევისა, ამათის შინაურისა და გარეულის ცხოვრებისა; დაშორებულნი თავის ქვეყანას, მეგობართ, და მახლობელთ,—ესე ყოველი უმღვრევდა იმათ გულსა, და ბრაზს ისეთქამდნენ მეგრელებზედ, რომელთაც თითქო ჰპოვებდნენ ყველა ამაში დამნაშავედ. მას მაგივრათ, რომ თითონ შეჩვეულიყვნენ ამათს ცხოვრებას, დაახლოვებოდნენ ამათა, შეესწავლათ ცხოვრება და გარემოება ამათი, რომ ამითი შესძლებოდათ ამათის ავისა და კარგის მხ-

---

*) აა! ახლაც კი ჩემს ხელთა ხარ!—დამყვირებს თავისის ომახანის ხმით უფ. გიორგი წერეთელი.—აბა, გამხილებ აწი სიცრუეში თუ ვერა. სად იყო აბა მაგისთანა დაწყობილებაები იმერთა მეფეების დროს!? მარაა, თუ არ სცრუი! აწიც დაჰფიცავ—არა, თქვა?!

რის დათვასებს, ისინი სდევნიდნენ და დასცინოდნენ ყოველ[illegible] ცხოვრებას, ყოველს ამათს მოქმედებას. რაკი ჰხედავდნენ [illegible] რით გამოყვანილს ამათს ცუდს ცხოვრებას, იმათ მოინდომეს ამათი შეცვლა და გცვლა იმ ხალხით, რომელსაც თვითონ ეკუთვნოდნენ. ამის გულისთვის არა ჰზოგავდნენ არავითარს ღონისძიებას. დაანწესეს ქართლ-იმერელი ენა ყველა საქმის წარმოებასა და ყველა სამართველოსა და სასამართლო საქმეებში; აღკრძალეს მეგრელი ენა სასწავლებლებში; სდევნიდნენ თვით იმითაც, ვინც ამათთან ილაპარაკებდა მეგრულს. რაკი იცოდნენ, რომ არა ხალხი აგრე ადვილათ არა სთმობს თავის ჩვეულებაებს, სჯულებს, ენას და ხალხობას, ამისგამო ყოველ, თვის იჭვში იყვნენ, რომ უთუოთ მეგრელნი ამ ჩვენს გცვლას არ უყურებენ მეგობრულათაო, და ამისგამო ყოველს იმათს მოქმედებაში-ყოველს იმათს სიტყვაში ჰხედავდნენ თავიანთ წინააღმდეგ საქმეთა; აზვიადებდნენ ყველა ამას და აძლევდნენ პოლიტიკურს და ამასველს მნიშვნელობას. ყოველი უბრალო საქმე, გაზვიადებული და გადაკეთებული თავისებურათ, მაჰქონდათ მეფესთან და აბეზღებდნენ სრულიად უბრალო ხალხს. გარდა ყველა ამისა, ეს მოსამართლენი და მოხელენი, გაზრდილნი იმ შკოლაში, სადაც კაცს თავის გარე ქვეყანა ჩალად მიაჩნიათ, უყურებდნენ, არამცთუ მეგრელთ, არამედ თავის ხალხსაც, როგორც თავის კუჭის საზრდოს,—უყურებდნენ მეგრელებს, როგორც თავის საყმოს, რომელმაც უნდა ესენი აცხოვროს. მაგრამ რაკი თავისის აზრით არა სცნობდნენ ამათ ღირს ხალხათ, რომელსაც სცოდნოდა პატივი და ყადრი ამგვარ დიდებულთა; ამისა გამო ისინი სცნობდნენ, რომ მეგრელნი არ იყვნენ ღირსნი იმ მშვენიერს მდიდარს მამულში და უხვს ბუნებაში ცხოვრებისა, და ამ მამულს ესენი უფრო კარგათ მოიხმარდნენ უამათოთ, ამისგამო ისინი კიდეც განიზრახავდნენ გუნებაში მეგრელთ გადასახლებას იმათ ადგილ მამულიდამ სადმე საოსმალოში ან სხვა შორეულ უნაყოფო ადგილებში, და ამათ მამულების დაჭერას და დაყოფას, სადაც დაასახლებდნენ სიზნათ თავიანთ ხალხთა. ამ აზრის შესასრულებლათ ისი-

ნი იგონებდნენ ხან ხალხის აღრევას ქართლ-იმერთა [illegible], ხან შეთქმას სხვა ხალხებთან და ამგვარებთა და ასმენდნენ ამისთანაებით ამ ხალხს მეფეს.

თავისის მხრით, მეგრელნი, რომელნიც ხელ განშორობილნი მოეგებნენ ქართლ-იმერთა შემოსევას და ჰშოვებდენ ამათ მხსნელათ თავისის ძველის საძაგლის მმართველობისა და გარემოებათაგან, ახლა თან და თან რჩებოდნენ ამგვარის თავის მხსნელების ქცევისაგან სახტათა. ისინი ჰფიქრობდნენ და ვერ მოეფიქრებინათ მიზეზი იმათგან ამგვარის, ამათის დევნისა და დაჩაგვრისა. ისინი ცდილობდნენ ყოველს გვარს ამათის სურვილის შესრულებას, ყოველს ამათს ბრძანებას დამონავებას, მაგრამ ვერც ამითი იგებდნენ იმათ გულს. ისინი თან და თან მიხვდნენ თავის საძაგელს მდგომარეობას, მაგრამ კიდევ ვერ გასტეხოდნენ თავს, ვერ მოეფიქრათ, რომ ისინი იქნებოდნენ ასე გამეტებულნი იმ ხალხთაგან, რომელსაც ჰხედავდნენ თავის მეგობრათ, რომელიც პირველსავე შემოსვლაზედ ეფიცებოდა ამათ სიყვარულს. ისინა გულ-ხელ დაკრეფილნი შესცქეროდნენ იმათს ქცევას და ელოდნენ აცა რით გათავდება ამათი ეს ხუმრობა. ამათ თვალწინ უდგათ ამათი თითქმის უმიზეზოთ დალუპილი მეზობელი ხალხების მაგალითი; მაგრამ ისინი არ ენდობოდნენ თავის თვალს, ისინი არ ენდობოდნენ გამოცდილებას. ისინი თავის თავს ჰხედავდნენ შემცდარათ შესახებ თავის ახალი მართებლობის ქცევისა.

39.

რაღა თქმა უნდა, ჩემი მკითხველი მოუთმენლათ ელის ეგას ამბის გაგებას და უცემს გული: ნუ თუ ეგა დარჩა ხულთანსა და გამოუწირა თავისთვის თავდადებულ მაცისათ. საწყალი მაციო!

ნამდვილ ცხოვრების მოვლინებაში უფრო შესაძლებელია, რომ აგრე მომხდარიყო, როგორც მკითხველი ჰფიქრობს; მაგრამ მე, როგორც რომანისტს, რომელსაც უყვარს თავის რომანის გმირი ქალი, აგრე ადვილად არ დამეთმობა ჩემი არჩეული პირი, რომ მკითხველის

თვალში მოეცხოს რამე დასამცრობელი ჩირქი, თუნდა რომ ეს ჩირქი იყვეს ყოვლად აუცდენელი.

ამისგამო დავუბრუნდეთ ქვას იმ მდგომარეობას, რომელიც ამ რომანისთვის არის საჭირო და რომელიც ყოველთვის მოსალოდნია ამგვარი ქალებისაგან, თუმცა ზოგიერთებისათვის დაუჯერებელი იქნება ამგვარი საქმეები, რადგან ყველა საქმეებზედ ისინი სჯიან თავისის საქმის მოქმედებებით. მოსალოდნი მით უფრო, რომ წმინდა, ზნეგაუფუჭებელი ქალი მხელათ თუ გასცვლის თავისუფლებას, თუნდა ეს თავისუფლება ისეთი გაჭირვებისა იყვეს, რომ თავს ძლივს ირჩენდეს; — ამისთანა მდიდრულს ცხოვრებაზედ, სადაც ყველაფერი უხვი გაქვს, მაგრამ არა ხარ შენი თავისუფალი, გყავს ბატონი და ხარ შენი უნებური, ნიადაგ სხვის თვალწარბში შემაყურალი.

·სულთანის ბრძანებით, ქვა მოიყვანეს სერალში და ჩააბარეს ჰარამის ქალებსა და საჭურისებს. იმღამეს სულთანი განისვენებდა გულან-დუსტასთან. მეორე ღამისთვის უბრძანა გაემზადებინათ ამისთვის ქვა.

ქვამ ეს ამბავი მიიღო ბედნიერებათ და ყოველს სერალის უფროსების სიტყვას ასრულებდა სიამოვნებით და უცხადებდა თავის სიამოვნებას ამ ბედნიერებისთვის.

ქვას მშვენიერებამ, იმისმა ღმობიერმა სანახაობამ, იმისმა ცოცხალმა თვალებმა მოიზიდეს ყველა მამვლელი ქალებისა და თვით შეუბრალებელი საჭურისების გულიცა. ქვამ სთხოვა, რომ ეჩვენებინათ ამისთვის ყველა სადგომი და უცხო სანახავები სერალში. იმათ შეუსრულეს დიდის სიამოვნებით. ქვა დაკვირვებით ჰშინჯავდა ყველა გარემოებას სერალისას, ის ათვალიერებდა და ინახსოვრებდა ყველა შესავალ გასავალს. ის კითხულობდა დაწვრილებით რა კარები სად მიდიოდა და ვისთან მიდიოდა. ის კითხულობდა ყველა მცველებისა და მცხოვრებლების სამყოფს ადგილებსა, იქაურს, ადათებს და დაწყობილებას.

იმას იმავე დღესვე ჩააცვეს სულთანის საყოლი შესაფერი ტანისამოსი და იმავე ღამეს წაიყვანეს მარმარილოს აუზიანსა და ოქროს

ვარჟიანს აბანოში, სადაც ის დაზილეს ასის სურნელოვანის საზელავებით. ჩააცვეს ძვირფასი სუბრთა სარეცხი და მოქარგულ[illegible] საქუთარს მშვენიერს სულ სამკერდით და ოქროს ქსოვილებით შემკულს სამეფოს ოთახში.

დაბრუნდა თუ არა აბანოდამ, ეკამ მოინდომა მოსვენება. ის დააწვინეს ძვირფასს ყუათუყებში, რომელთაგანაც მოჰბერდა მშვენიერი სუნი სხვა და სხვა სუმბუქის სასურნებლებისა. ეკას დაუწვინეს ყარაულათ და მსლებლათ ერთი მოხუცებული და ჰარამში დიდი ხნის გამოცდილი საჭურისი. დაწოლის უმალ ეკამ ამოუშვა ფშვინვა. საჭურისმა დაჰხედა ეკას და დარწმუნდა იმის ღრმა ძილზედ. გაიხადა იმანაც და პატარას ხანს უკან მიეცა მოსვენებულს ძილს.

ეკამ გამოახილა თვალები და გადმოჰხედა გულის კანკალით. შენიშნა, რომ საჭურისი იყო მართლაცა და ტკბილს ძილში. ეკამ დაიწყო ფათური. საჭურისს არ ეყურებოდა. ეკამ დაიწყო სვლება. საჭურისს არ ესმოდა არც ეს. ეკა წამოდგა საშინელის სიბრთხილით და მივიდა საჭურისის ტანისამოსთან, იმან ეს ტანისამოსი ამოიდო იღლიში და წამოვიდა კარისაკენ. გააღო ბრთხილათ კარები, გავიდა, გაიხურა თან და ჩაიცვა აქვე ბრთხილათ ეს ტანისამოსი. იმან გასწია პირ და პირ სულთანის სადგომისაკენ. ჯერ აგრე რიგათ არ იყო გვიანა. მცველებმა რა ნახეს ტანისამოსი ნაცნობის მოხუცებულის საჭურისისა, მაშინვე გაუშვეს ისა. ეკა გავიდა სასახლეში. აქაც გაუშვეს ეს მხლებლებმა, რაკი მიიღეს საჭურისნათ. აქედა ეკა გამოვიდა ქუჩაზედ და გავიდა ქალაქში.

აქ ეკამ ამოისუნთქა თავისუფლადა. ახლა ის იყო თავის ხელთა, მაგრამ როგორ უნდა მოეხმარნა ახლა ამას . თავისი მოპოვნილი თავისუფლება? საით უნდა წასულიყო, როგორ უნდა მოგცეულიყო, რომ კვალად არ ჩავარდნილიყო სერალში და სხვა სერალზედ კიდევ უა-

რეხს ადგილას სხვის ხელში, სადაც ერთრიგათ არ დაჭ[illegible]ამის სილამაზესა, ეს სილამაზე გინდა ქალისა ყოფილიყო, გინდა ვაჟისა. სტამბოლში თუმცა ეს ორი თვე იყო გურანდუხტასთან, მაგრამ არც კი იცოდა სად აღმოსავლეთი იყო, სად დასავლეთი, რათგან გურანდუხტა ამას მზესაც კი არ უჩვენებდა. ნაცნობი უფროც იმას აქ არავინ ეგულებოდა და თუნდა კიდეც რომ ჰყოლოდა, რას გაიგებდა იმის სადგომსა, რომ არც ერთი ქუჩა სტამბოლისა იმას არ ენახა.

იმან მოუსაზრებლათ გასწია, საითაც შეხვდა. იარა, დიდს ხანს იარა, მთლათ ფიქრებ აღელვებულმა და გზა კვალ დაბნეულმა და თითქმის გათენება იქნებოდა, რომ ის გავიდა ქალაქს გარეთ. აქ მოესმა რაღაცა საშინელი გრგვინვა და ხუილი. იმან იცნო შფოთიანი შავი ზღვის ხმა. ის მივიდა ზღვაზედ. ზღვა იმ ღამის ნაავდრობისა გამო ჰღელავდა საშინლათ და ახშოვებდა ყოველს ხმას, ყოველს მოძრაობის ხმაურობას გარემემო. ეკას ამ საშინელი შფოთიანი ზღვის გრიალისაგან დაეყუშო და მოუჩლუნგდა დარდები და მწუხარება. იმან დაუწყო გულისცემითა და გასატანჯი იმედით ცქერა იმ მხარეს, სადაც ზღვის გაღმა ეგულებოდა თავისი ოდიში, თავისი სატრფო მაცი, რომლის გულისთვისაც ამან დასტოვა დიდება, დასტოვა მაღალი და ამისთვის სიზმრათაც მოუფიქრებელი ცხოვრება.

ის იჯდა ამგვარ განრუებით დაფიქრებული, და მოწყვეტილი დაღალვისა და ღელვისაგან მიეყუდა ერთს ძელს, რომელიც, როგორც ეტყობა, უნდა ყოფილიყო გემის ძელთაგანი. ის შევიდა ისევ თავის სამეგრელოსა და მაცის ფიქრში, რომ ამ დროს მოესმა რაღაცა ხმაურობა. სიტყვები თითქმის ენჩემა მეგრულსათაც. თითქო მოესმა იმას თავის სახელიც. ეკამ ცქვიტა ყურები. დილა კარგა გარიჟრაჟი იყო. იმან მოჰკრა თავის შორი ასლოს მეგრულ ჩოხას თვალი. იმან იცნა მაცი. ამ დანახვაზედ, ეკამ ერთი შეჰკივლა და დაუბნელდა თვალთ.

რამდენსამე წუთს ეკამ მოიფშვნიტა თვალები, მოიმაგრა გული და გა-ექანა იმ ადგილისაკენ, სადაც დაინახა მატი, მაგრამ მატი იქ აღარ იყო. ეკა, შემკრთალი, შეჩერდა და შევიდა ტყეში, ხომ არა მამეჩვენა-რაო, რომ ამ დროს, დაინახა შორს, მატი გარბოდა სწრაფის ნაბიჯით. ეკა საშინელის განწირულების ყვირილით მისდევდა მატის. ამ ყვირი-ლზედ მატი უფრო გარბოდა, რადგან ეკა ამ უცხო ტანისამოსში იმან მიიღო სტამბოლის პოლიციის მოსამსახურეთ, რომელნიც დასდევ-დნენ ამას დასაჭერათ, როგორც საეჭვო კაცს. მატი შეერია ყრუ ად-გილებში. ეკამ ველარ მოჰკრა თვალი მატის. ის განწირულებით, უნე-ბურათ, მთლათ უგონოთ გარბოდა უგზო უკლოთ საშინელის კივი-ლით: «ვოი მატი! ვოი მატი!» მაგრამ მატი იყო შორსა და არ ესმოდა იმას ეკას ძახილი. ამგვარათ უგონოთ სირბილში, ეკა მიიწია ზღ-ვის პირამდინ. აქ მთლათ მოწყვეტილი და გონება მიხდილი დაეშვა უძლურათ ზედ ზღვის კიდეზედ, სადაც თითქმის ზედ ესმოდა ზღ-ვის ტალღები და უსველებდნენ ტანისამოსსა. ის ეგდო თითქმის უსულოთ.

## 40.

როდესაც ეკა მოვიდა გონსა, იმას თავს დასტრიალებდნენ რამ-დენიმე კაცი და ქალი, ეს პირნი იყვნენ ეკასათვის სრულებით უცხონი. ამ-გვარი ადამიანის შვილები ამას თავის დღეში არამც თუ ენახა, და არც კი გაეგონა. ეკა იფშვნეტდა ამ სანახავზედ თვალებსა, იგონებდა თავის გარემოებას და ვერ მოეფიქრებინა. ის იწვა ერთს კარგს საუცხოვო სახლში. იდო მშვენიერს ლოგინზედ. იმას მოაგონდა ჰარამი და შე-ვიდა ტყეში, ისევ იქ ხომ არავარ და იქიდამ გამოქცევა სიზმარი არ იყოო. ეკა გამოელაპარაკა ამათ თურქულათ, მაგრამ ამისი ლაპარაკი ვერავინ გაიგო. გამოელაპარაკა ქართულად და არავინ იცოდა. გამოე-

ლაპარაკა მეგრელათ, აფხაზურად და არც არავის ეს ენები ესმო-და. თავისის მხრით იმისი ახალი მეპატრონენი ელაპარაკებოდნენ ამას რაღასაც გასარკებულნი, რომ ჰნახეს ეს მლივს გონს მოსული, ანიშნე-ბდნენ რაღასაც და ეკა ვერაფერს ვერ მიხვედრილიყო, ვერაფერი ვერა გაეგორა.

პატარა ხანს უკან ეკასთან შემოვიდა ერთი შნოიანათ მორთული თითქმის შუახანს მიტანებული კიდევაც კაი ხანასხობის და კარგი მო-ყვანილი ქალი. იმას შემოჰყვა თან ერთი დიდათ სუბრთათ ჩაცმული და დაწმენდილი, აგრეთვე შუახანს მოტანებული კაცი.

ამ ქალსა და კაცს სიამოვნებით გაუცხადეს ავათმყოფის მამვლე-ლებმა, რომ ავათმყოფი მოვიდა გონსა და რაღაცა გაუგებარს ენაზედ ლაპარაკობსო. ქალი და კაცი გამოელაპარაკნენ ეკას, მაგრამ ეკამ კიდევ ვერა გაიგორა. ეკამ დაუწყო ლაპარაკი და იმათ ვერა გაიგესრა.

მაშინ სუფრთათ ჩაცმული კაცი მივიდა ეკასთან, უნახა მაჯა და გამოუცხადა, რომ ახლა აღარა უშავსრა, კარგათ არის, ოღონდ გაფ-თხილება უნდა კიდევა და არ უნდა ჰქონდეს გაშფოთება და აღელვებაო.

როდესაც ეკა დაეცა ზღვის პირად უგონოთ, ამ დროს მოვი-დნენ ერთი მარსელელი სავაჭრო გემის მატროსები სტამბოლიდამ და უპირებდნენ გემს აშვებას, რადგან ღამით ვერ გავიდნენ, რაკი ზღვა ჰღელავდა, და დაინახეს მახლობლათ რაღაცა კუნძივითა. ისინი დაა-კვირდნენ და ემცნაურათ კაცის გვამათა. იმათ იფიქრეს, რომ უთუოთ ზღვაში დამღრჩვალა ვინმე და გამოუგდია ზღვას ნაპირზედაო. ერთი ამ მატროსთაგანი მოვიდა უნებურათ ამ გვამთან და ნახა, რომ გვამი ჰხუნთქავდა. ის დააკვირდა იმის სახეს და გაოცა იმისმა მშვენიერე-ბამ. იმან დაუწყო ამხანაგებს ძახილი. ამხანაგები მოცვივდნენ, იმათ საჩქაროთ დაუღხნეს ღილები, დაასხეს წყალი. თუმცა მოასულიერეს, მაგრამ ვეღარ მოიყვანეს გონსა; ისა როტავდა რაღასაც და გაიძახო-

და ხშირად; «ვაი, მაცი! ვაი, მაცი!» იმათ დააპირეს ოსმალეთის დამ-ხობა და ჩაბარება სტამბოლის პოლიციისა, რომ ამ დროს მოადგა ამათ კაპიტანი გემისა. იმან რომ დაჰხედა ეკას მშვენიერებას, დარჩა სასტა-თას. სახე ეკასი არ ეჩვენა იმას არც ოსმალურ სახეთ, არც ბერძულათ და არც ევროპიულათ. ის აკვირდებოდა იმის სახეს და ვერც მო-ფიქრნა, რა ხალხს უნდა ჰკუთნებოდა. იმან დაუგდო ყური ეკას ბო-დვას და ძახილს და ეს ლაპარაკი ვერ ეცნო. იმან იფიქრა, რომ უთუ-ოთ ღამის ზღვის ღელვამ სადმე ხომალდი დაღუპა და ეს იქიდამ ზღვას გამოუგდიაო. ამის გამო ამანაც დააპირა, რაკი მიმავალი იყო, რომ გადაეცა ეს პოლიციისათვის, იქნება იმან გაიგოს რამე ამისი და გაგზავნოს სამშობლოში, ან უპოვოს პატრონებიო. მაგრამ რო-დესაც ამისის ბრძანებით გაჰხსნეს ეკას გარეთ ჩაცმული დანსა, რომ ამ კაცის ტანისამოსში იფარებოდა მშვენიერი ყმაწვილი ქალი, იმანა ბრ-ძანა ეკას გემში გადატანა. აქ ეკა ნახა გემის პატრონის ცოლმა, რო-მელიც ამჟამათ მოგზაურობდა ამ გემზედ, და სთხოვა რომ ეს ყმა-წვილი ქალი დაეთმოთ ამისთვის. იმათ დაუთმეს.

რამდენსამე კვირის უკან ეკა იყო მარსელში, რომელიც ამ დიდ-ვაჭრის ცოლმა დააწვინა თვით თავის სახლში, და დაჰხსვია თავს სა-უკეთესო მარსელის ექიმები.

ეკა თითქმის ორი თვე იყო ამ უგონობაში და აი ახლა ძლივს მოვიდა გონს.

ეკა კითხულობდა სად იყო და ვის ხელში, და ვერავინ უგებდა კითხვას; ყველანა ელაპარაკებოდნენ ფრანცუზულათ, რომელიც ამას თა-ვის დღეშიც არ გაეგონა. მაგრამ ეკამ ეს კი იგრძნო, რომ ის არ იყო ჭარაში, არ იყო ოსმალებში. ეს მიაჩნდა იმას დიდ ნუგეშათ და ამ ნუგეშთან ის კიდევ უფრო ანუგეშებდა, რომ ამას ჰპატრონობ-დნენ როგორც საკუთარს—დიდის ყურადღებით და ფიცინებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმან დღითი დღე იწყო მოკეთება და ერთს თვეს უკან იყო ფეხზედ.

ის უგდებდა ყურს იმათს ლაპარაკს, ყოველს იმათს სიტყვის მნიშვნელობას და ეკა თან და თან მიჰხვდა იმათს ენას. ერთი წლის განმავლობაში ეკამ ისწავლა კარგათ ფრანციცული.

რაკი შესძლო ეკამ ფრანციცულათ ლაპარაკი და აზრების ახსნა, იმან გააგებინა იმათ, რომ ეს აჩუქა სულთანს სამეგრელოს მთავარმა გურანდუხტამ ჭარამისათვის და ეს საჭურისის ტანისამოსით გამოიპარა იქიდამ, აუხსნა რომ ეს იყო ქრისტიანი. და მინამ არ ანიშნა ადგილები, სადაც ამათ ქვეყანაა, ვერ მისვდნენ თუ რა ხალხი უნდა ყოფილიყო მეგრელები. როდესაც ნახეს ქარტაზედ, სადაც სამეგრელო იყო, მაშინ მიჰხვდნენ, რომ ეკა იყო იმ ზღაპარ თქმული კოლხიდელი, რომლისა ქალთა მშვენიერება იყო ძველადვე ყველა განათლებულ ქვეყანაში გათქმული. ეკას დაარქვეს ამისგამო ახალი მედეა. რამდენიც რჩენაში შევიდა ეკა, იმდენი ამისი მშვენიერება, ამისი დიდკაცური სანახაობა უფრო აკვირებდა ამის მნახველებს. ამასთან ამის კოლხიდელობაც აცხოველებდა ამის მშვენიერებას ბერძნების მითოლოგიაზედ გაზდილს თავის ახალ ნაცნობებს. იმის სანახავად მოდიოდნენ მრავალნი ნაცნობნი ამ დიდკაცურისა და ამის ცოლისა. ეკამ შეიყვარა მეგრული ტანისამოსი, რომელიც ამას საშინლათ ჰშვენოდა, და ყველა მნახველი მოჰყვანდა აღტაცებაში. ეკამ დაიპყრა მრავალი ახალგაზდა ყმაწვილი კაცების გული. მრავალნი ელაპარაკებოდნენ ამას სიყვარულზედ მაგრამ ამას არ ავიწყდებოდა თავისი მაცი.

ეკა, ჩავარდნილი თავის უნებურათ ამ თავისუფალს ხალხში, სადაც ვერა ჰხედავდა კაცი ქალ ყრმაში გარჩევას, სადაც სულ სხვა რიგი ცხოვრება იყო, ვიდრე ამის ოდიში, მაგრამ ცხოვრება იყო უფრო ტკბილი, ხალისიანი შემრგო და დამშვიდებული,— იმას შეჩვევარ-

ბიბლიოთეკა

და ეს ქვეყანა, შეუყვარდა ეს ხალხი. მაგრამ თავის მაცის დაშორება ანატრულებდა ამას კიდევ ოდიშსა.

ეგას შეუყვარდა თავის მშობლებზედ მომეტებულად ეს თავისი გადამრჩენელი ფრანცუზის დიდვაჭრები. ის შეეჩვია ამათა და შეუტკბა. ისინიც უყურებდნენ ამას, როგორც შვილს. ამისმა მშვენიერებამ, საკვირველმა ტკბილმა და აუწყარებელმა ხასიათმა მრავალი ამაგის გაწევამ შეაყვარა ის ამათი მეტის სიყვარულითა. ის გამოჰყვანდათ ქვეყანაში, როგორც საკუთარი შვილი. ისინი უგდებდნენ ყურს ამის სურვილს, ამის გულის მოძრაობას. ისინი ელოდნენ, რომ ეგას ვინმე მოსწონებოდა და უპირებდნენ რიგიანად გათხოვებას. მაგრამ ვერ ატყობდნენ რომ ეგას გული ვისმე მიეზიდოს.

ჩავარდნილი ამ მდგომარეობაში, ეგა ვერა ჰბედავდა, რომ გამოეცხადებინა იმათთვის, რომ ამასა ჰქონდა გულის საყვარელი თავის ქვეყანაში, ურომლისოთაც ეს ვერ გასძლებდა, და ამისგამო საჭირო იყო ამისთვის შინ დაბრუნება. ვერა ჰბედავდა ამის გამოცხადებას მით უფრო, რომ არა ჰქონდა შეძლება, რომ თავისის ხარჯით დაბრუნებულიყო; ემძიმებოდა, რათგან თავისის თავს ისეც მრავალ დავალებულად ჰრაცხავდა იმათგანა. ამასთან ამას უჭირდა კიდევ სხვა ფრევაც ფული, რომ დაბრუნებულიყო სამეგრელოში, შესძლებოდა რამდენიმე ხანი თავი ერჩინა, რომ არ გამოხჩენოდა არავის და არ ეცნოთ ესა და არ მოეგვარათ გურანდუხტასთვის.

ეგას დაუწყო მაცისთვის გულმა წუხილი. რაც ხანი გადიოდა იმდენი უფრო და უფრო შეიპყრა ეგა თავის მაციზედ მწუხარებამ. ბოლოს და ბოლოს ის შეიქნა სრულიად დაღვრემილი. მკირადღა თუ ვინმე ჰნახავდა ამის სახეზედ ღიმს.

დიდს ხანს ვერ მიჰხვდნენ ამის მოამაგენი ამის მწუხარებას და ეს დაფიქრება მიაწერეს სიყვარულს. ისინი ამაში არა სცდებოდნენ

მაგრამ იმათ ვერას დროს ვერ მოეფიქრათ, რომ იმის გული სწადდა სხვაგანა. იმათ ეგონათ, რომ ეკას შეუყვარდა ვინმე მაწყვერელი.

ერთ დღესაც მოიმარჯვა დრო მადამ ჟოზეფინამ, ეკას მოამგემა ქალმა, რომელმაც ეკა აიყვანა გემში საპატრონოთა, და დაუწყო გამოკითხვა. ეკა კიდევ ვერა ჰბედავდა ვერაფრის თქმას. მადამ ჟოზეფინამ დაუწყო გადაწყვეტით ლაპარაკი.

— ჩვენში როდია სირცხვილი, — უთხრა ჟოზეფინამ, — სიყვარული, როგორც სხვა ქვეყნებში. სიყვარული ჩვენს თავზედ არ არის დამოკიდებული, რა სირცხვილია! ყმაწვილი ქალი ხარ, შენ რომ არავინ შეგიყვარდეს — ის უფრო სირცხვილიც არის: ის დაამტკიცებს, რომ ან სნეული უნდა იყვე, ან მოშლილი აგებულებისა. სთქვი ვინ გიყვარს და ვინ იქნება ისეთი, რომ შენმა მშვენებამ ისიც არ მიიზიდოს. თუ მზითევზედ იქნება დამოკიდებული საქმე და მაგაზედ არავის არ დავიყოვნებთ. როგორც ჩვენ საკუთარს ასულს, ისე ღირსეულათ გაგისტუმრებთ.

აქ მეტი ჩარა არ იყო, უნდა ეკა გატეხილიყო და ამაზედ მარჯვეს დროსაც ვერა ჰნახავდა. ეკას მოუვიდა ცრემლები და მოეხვია მაგრა ჟოზეფინას.

— უნდა გაგიტყდე ყოვლისფერში, — დაიწყო ეკამ, — დაფარვა აღარ შეიძლება.

აქ ეკამ უამბო ყოველი თავისა და მაცის თავსგადასავლები და თავისი მაცის სიყვარული. ეკა ამას უამბობდა იმ საშინელის მოგონებით, იმ გულის სიმხურვალით, რომელიც ამტკიცებდა ამის საშინელს გაუტეხელს ხასიათს და მოუდრეკელს გულს. ჟოზეფინა განცვიფრებული უყურებდა ამ საშინელი დრამის გერიინას. ის ჰსინჯავდა თავიდამ ფეხებამდინ ეკას და უკვირდა, როგორ უნდა გამოსულიყო ეს ამბები ამ უმანკო და ნაზი სახიდამ და სხეულიდამ. მაგრამ ეკას მხურ-

ვალე და წრფელი ლაპარაკი არწმუნებდა ამას ყოველს, ამ ნათქვამის ჭეშმარიტებაზედ. ამ ამბის შეტყობამ ერთი ორად გააძლიერა ჟოზეფინას გულში ეჟას სიყვარული. ამასთან ჟოზეფინას მოუნდა საშინლათ მაცის ნახვა.

აქ ჟოზეფინამ სიამოვნებით გამოუცხადა, რომ მისცემდა ყოველს ღონისძიებას სამშობლოში დაბრუნებისას, ოღონდ სთხოვდა, რომ ჯვარის წერის უკან დაბრუნებულიყო უკან და ეჩვენებინა ამისთვის მაცი; და თუ მოისურვებდნენ ეცხოვრათ მარსელში, სადაც ეს ჰპირდებოდა მიეცა ვაჭრობის ღონისძიება.

ეჟა დაჰპირდა ამ სათხოვარის შესრულებას. ეჟამ არ იცოდა, როგორ გამოეხსნა თავისი მადლობა. ის გვალად გამხიარულდა. გვალად შეიქნა მთელი საზოგადოების მამალხენელი და მოსაწონებელი.

რამდენსამე კვირის უკან ეჟა, გამზადებული ყოვლრიგის საგზაურით და საკმაო ფულით, გაუდგა გზას. რამდენსამე ხანს უკან ის გამოვიდა ყულევში. იმან ნაიცვა ოსმალური ტანისამოსი დაიწყო კითხვა მაცის ამბისა, არავინ რა იცოდა. ეჟა ავიდა სოფგას ამავე ტანისამოსით და სახე შეცვლილი; რომ არავინ მიცნასო. იმან მიატანა თავის მამის სახლს და დაუწყო გულმა საშინლათ ცემა. ის ახე დაფარულათ უნდა შესულიყო თავის გამზდელთ სახლში და არ გამოეცხადებინა თავისი ვინაობა, რომ არ გაეწყვიტა ამისი მოხუცის ამბავი. ამას უცემდა გული, რომ დამხვდებიან თუ არა მთლიანათ ყველანი შინაო. ამას უცემდა გული, რა რომ აგარებდა თავის მამის უბრალო თიხით გალესილს ფაცხას, სადაც ზამთარ ზაფხულ კომლი სთხრიდა კაცს თვალებსა, სადაც ზამთარ ზაფხულ ნაკვერჩხზედ ტიტველა და მშიერი ამისი დედმამა და—ძმანი ტრიალებდნენ და ურეცხავათ და დაუხუხრთავებლათ, და ესენი ირეცხებოდნენ კიდევ საუკეთესო გაკეთებულ აზნაურშვილათ, —იმ მდიდარ სასახლებთან და

ცხოვრებასთან, რომელსაც ეს ორი სამი წელიწადი შეეჩვია მარსელში. იმას კიდევ სხვა ათასნაირი ღელვარებით უცემდა გულში ჰგრძნობდა, რომ იმისთვის ამ ცხოვრებაში გაძლება იქნება ძნელი. ის ჰფიქრობდა, რომ დროით, ეპოვნა თავისი მატი და დაბრუნებულიყო იმ ქვეყანაში, სადაც ასე თავისუფლად ჰსუნთქავს ხალხი, სადაც თანასწორობა არის დამკვიდრებული, სადაც ყველას შეუძლიან თავის ნებათ ცხოვრება, თავისნებათ შრომა, სადაც არა აქვს მართებლობას და მთავრის დარ კაცებს უბრალოთ კაცის დასჯისა და წვალების ნება, სადაც ყველა კაცი ცუდს საქმეზედ ეძლევა პასუხის გებას, სადაც ხალხი სცოცხლებს, მოძრაობს და ელტვის უკეთეს ცხოვრებას და გაუმჯობესებას. სამს წელიწადს მარსელში ყოფნამ არ ჩაუარა მუქთათ ნიჭიანს და მხნე ეკას. იმან მადამ ჟოზეფინას მეცადინეობით ისწავლა ფრანციცული წერა კითხვა. მსჯელსა და გონიერს ხალხში სიარულით, სადაც ეს დაჰყვანდა ჟოზეფინას და რომელნიც დაიარებოდნენ ამასთან, მალე მიხვდა ფრანცუზთა ჭკუის მოძრაობას და ლტოლვილებას, იმან დაიწყო წიგნების კითხვა და თან და თან კითხულობდა იმ წიგნებს, რომელნიც უხსნიდნენ ამას თვალებს ნანდვილს ცხოვრების მნიშვნელობაზედ. ამის ყველას მნახველი, ამის ყველას მცნობელი, ის ჰბრუნდებოდა ისევ თავის გუნებით დაძინებულს, მაგრამ ნიჭიერს ხალხში, თავის უშვერს და მოუსუშავის მართებლობის ხელში, სადაც ვერ ჰნახავდა რიგიანად მსჯელს კაცს, რიგიანათ ცხოვრების მცნობს ადამიანს. ეკას გონება იყო გაღვიძებული. ის იყო სავსე ჭკუის საზრდოს სურვილით. სამეგრელოში ამას ესეები არ მეელოდნენ.

ეკა შევიდა თავის მამის სახლში საშინელის გულის განკალით. იმან არ იცოდა, როგორ შეემაგრებინა თავი, რომ ერთი მაგრათ არ ჩაჰკროდა თავის მშობელს გულს, ერთი გული არ ეჯერებინა იმათთან თავის გულის პასუხების გამოთქმით. მაგრამ, მეტი გზა არ იყო, უნდა იმას ყველა გრძნობა დაეხშო.

ეკას დედაცა, მამაც და დაა-ძმანიც შინ დაუხვდნენ. ამასთან ამის დედას ეჭირა ერთი მეძეს ბავშვიცა, რომელიც სრულიად გაჭრილი ვაშლივითა ჰგვანდა ეკასა.

ეკამ ამოიღო რამდენიმე ოქროს ნივთი და აჩუქა პატარებსა. იმან თავის დედმამას გამოუცხადა, რომ იყო მგზავრი და დაღალული და სთხოვდა დასვენებას.

ეკას დაუბეს ცხენი და მოუმზადეს სადილი: კაი ხულგუნები ცხელს ღომში, კაი შემწვარი ეკერული ბროწეულის წვენით და ნიგვზით შემზადებული დედალი.

ეკას მართლაცა და ჰშიოდა. იმას დიდი ხანია აღარ ეჭამა მეგრული საჭმელი და სიამოვნებით მიჰყო ხულგუნსა და ცხელს ღომს ხელი.

— აქანა სხუმისაც კი ვყოფილვარ,—დაუწყო ეკამ თავის დედამამას,—მაშინ აქა ერთი ყმაწვილი ქალი გყვანდათ, ეკას უწოდებდნენ კაი ლამაზი ქალი კი იყო, მახსოვს. ვეჭობ გაგითხოვებიათ.

— რავა, უბედური დღისას, რავა ეღირსა მას გათხოვებას!—დაიწყეს წრიპინით დედამაცა და მამამაც.—მისთანა უბედურს დღის მობილიყვეს—კი არ გამიგონია.

აქ მოუყვნენ ისინი ცრემლით ეკას ამბებს და ბოლოს უთხრეს რომ გურანდუსტამ მისცა ის ხონთქარსო, და მაციც თან გაჰყვაო.

მას აქეთ მაცი არ დაბრუნებულა ოდიშს?—ჰკითხა ეკამ.

— ვინ იცის ეშმაკის გზა! იქნება დაბრუნდა კიდომაც, მარა რავა გამოუჩნდება გურანდუსტა დედუფალს?! ნახე რავა გამლიერდა მაცი! მთლა დეიჭირა სამურზაყანო, ლეჩხუმი, სვანეთი; იმერეთს და აფხაზებს მის შიშით ფათერი ვერ მოუსვენებიათ. მანუჩა დადიანი მთლად ამოწყვეტა მის მისადევარით. მის ცოლმა კესარიამ ძლივს გაასწრო სვანეთს და არც იქ მოუსვენებს მას გურანდუსტ.... რავა

გაჭმედავს მაცი გამოჩენას, თვარა სტამბოლს რავა დადგება, რომ ფეხი ეკაც დაკარგულა ხვანთქრის სასლიდამ. დედუფალს უმალ კი მოუვიდა წიგნი. ვინ იცის იქნება თვით მაციმაც მეიტაცა და გადაღუპა, გე-დიღუპოს მისი თავი... იქნება ჩვენმა ეკამ, ჩვენმა ცხოვრებამ ზღვაში-დაც დეირჩო თავი—არ გავთათრდები თქვა, გათათრდეს გურანდუხ-ტას სული, რომ ეშმაკებმა დეიპყრან.

— მაშ სულ არ ისმის ხმა მაცისა, მოვიდა თუ არ სტამბო-ლიდამა.

— კი, რატომ ზოგი ამბობს აფხაზეთსაო, ზოგი—იმერეთ-შაო, ზოგი ალანეთს, მარა მართალი არ ვინ იცის.

## 41.

ეკამ სჭამა თავის დედმამასთან სადილი და სადილთუკან გამოე-ჩქარა ეუღლევისაკენ. იმას უნდოდა ერთი დღეც არის გაეტარებინა თა-ვის მშობლების სახლში, თავის გამზრდელს ჭერს ქვეშ, მაგრამ, შეში-ნებული იმ ფიქრით, რომ კაი თუ თავი ვერ შევიმაგრო და წამოვ-სთქვა ჩემი ვინაობა; ან რაშიმე ვემცნაურო ჩემს დედმამას და გამი-ვარდეს მისვლის ხმაო, იმან არჩია დროით გაცლა.

წამოსულს მამის სახლიდამ, საშინლათ დაუწყო ეკას გულმა ცე-მა. იმან დაანება იმისთანა ბედნიერ ცხოვრებას თავი, სადაც ძლივს იგრძნო თავი თავისუფლათა, დაანება თავი მშობლებზედ უფრო ნაა-მაგარ კაცებს მაცისათვის, და მაცი არსად ჩანდა. ეკა ამაზედ დაწვრი-ლებით მაცის ამბავს ვერ საიდამ შეიტყობდა. იქნება მაცის დედას სცო-დნოდა მაცის ამბავი, მაგრამ როგორ უნდა შეეტყო იმათგან ესა? თუ ისე ეკითხნა, არას დროს არ ეტყოდა, რათგან ეშინებოდა, რომ არ გამცესო; თუ გამოსცნაურებოდა, რომ მე ეკა ვარო, მაშინ ვაითუ იმათაც არ სცოდნოდათ მაცის ამბავი და ეკას მოსვლის ხმა გავარ-დნილიყო და გურანდუხტა ამას უპოვნელს არ გაუშვებდა.

ან სად უნდა ქმებნა ეგას მატი? ეს კიდევ უფრო რომ ჩაუწყლულებდა ამას გულს. სტამბოლს? და რისთვის უნდა დამდგარიყო მატი იქა, რაკი გაიგებდა, რომ ეგა გაიგცა იქიდამა! საქართველოში? და არ იცოდა, რომელს მხარეზედ იქნებოდა დაფარული.

დიდსა და დიდს ხანს იყო ეგა ამ საშინელი ფიქრებით შეპყრობილი; დიდს ხანს უღელავდა საშინელის ფიქრებით გული. იმას უდუღდა მთლათ ტვინი, უღელავდა გრძნობა და არ იცოდა რა ღონისძიებისათვის მიემართნა. დაბრუნებულიყო მარსელში? და მაშინ ხომ უნდა საუკუნოთ გამოსალმებოდა თავის მატის, მატის, რომელიც ამას უყვარდა თავის თავზედ მომეტებულათ, რომელიც ერჩივნა თითქმის მთელს ქვეყანას.

ეგამ გადიწყვიტა გუნებაში დარჩენა და მოძებნა საქართველოს არემარეზედ მატისა.

ის დაბრუნდა ყულევს და მისწერა თავის ნაამაგევ ფრანცუზებს გამოსალმების წიგნი. ეგამ მისცა წიგნი. ხომალდი დაიძრა. ეგა ესალმებოდა ამ ხომალდით იმ უკანასკნელს გარემოებას, რომელიც აგონებდა ამას თავის საყვარელს მოამაგე ფრანცუზთა, თავის საყვარელს მარსელს, სადაც ის მიხვდა ნანდვილს ცხოვრების მნიშვნელობას, სადაც იმან იგემა პირველათ ნანდვილი თავისუფლების ნეტარება. ის დიდს ხანს ადევნებდა ხომალდს თვალსა. ხომალდი სისწრაფით მიცურავდა, გაჩქარებული ზურგქარისაგან თითქო თვით ბუნება აშურებდა იმასა, რომ გაშორდი ამ დახშულს ქვეყანასაო. რამდენსამე ხანს უკან ხომალდი გაჰქრა ეგას თვალთაგან, თითქო მთის წვერიდამ ჩაეშვა მთის ძირასა და მოეფარა მთის კალთებსაო. ეგამ მოიფარა თვალებზედ ხელი დაემხო იქვე პირქვე და დაიწყო საშინელის მწუხარებით ტირილი. ის დარჩა ახლა აუტანლებლათ იმ ქვეყანაში, სადაც ტრიალებდა ამდენი უსამართლობა, სადაც პირველსა გაგონებაზედ დალევდნენ ამის

ერთს მეჯა სისხლს, სადაც ვერ ამოუხუნთქა კაცს თავისუფლებისა: ხშ-
და ის ვერ ჰპოვებდა იმ სიამოვნებასაც არის, რომლითაც მეტრეც არის დაუსშო თავის მწუხარებას: ის ვერ დადგებოდა თავის მშობლებსა და გულის საყვარლებში, ვერ გამოუცხადებდა თავის ვინაობას და უნდა ობოლი, დაკარგული ტყვესავით ევლო თავის სამშობლო ქვეყანაში, თავის მშობლებსა, მეგობრებსა და ნათესავებში.

ეკამ მოსაზრა, რომ ტყუილი გლოვა და ოხვრით დაკარგულს ბედნიერებაზედ ის საქმეს ვერ უშველიდა. იმან მოსაზრა, რომ სჯობდა შესდგომოდა მაცის ძმის საქმესა. ამის გამო ის გავიდა ჯერ გურიაში და აჭარაში, სადაც უფრო ადვილი იყო აბრაგობა. შეიტყო ყველა გათქმული აბრაგების გვარი, სახელი, სოფელი და მოდგმა, მაცის ხსენება არსად იყო. იქ ყველას გაეგონა მაცის ვაჟკაცობა, მაგრამ აქ იმის მოსვლისა არავისრა გაეგონა. აქედამ გადავიდა იმერეთს, რაჭას, სვანეთს, ოსეთს, ალანეთს, აფხაზეთს, მაგრამ არცარა აქ რამე ისმოდა მაცისა. ყველგან ესმოდა, რომ რაც მაცი სტამბოლს წავიდა არავის გვინახავს, თუმცა ბევრი აბრაგი ირქმევდა მაციობასაო.

ეკა უნუგეშოდ დაბრუნდა ისევ ოდიშში და იკითხა მაცის დედა. უთხრეს, რომ ის რაცა ხანია აფხაზეთშია, რადგან გურანდუხტ დასდევს სასიკვდილოთაო. ეკა გავიდა ხელმეორეთ აფხაზეთს. იქ იპოვნა იმან გუქიტი. გუქიტიმ სრულებით არა იცოდარა.

ეკამ არ დაჰკარგა მხნეობა. იმან მოსაზრა, რომ ისევ დამდგარიყო ოდიშის მახლობლათ სადმე საცხოვრებლათ და ედევნებინა ყური მაცისთვის, რომელიც უეჭველი იყო, რომ თითონაც ამას ეძებდა, და დღეს იქნებოდა თუ ხვალ იპოვნიდნენ ერთმანერთს.

ამისგამო ეკამ სთხოვა აფხაზეთის მთავარს ოჩამჩირეს დუქნის გახსნის ნება. იმან გაალო იქ ფარჩეულისა და ჩითების დუქანი და დაიწყო ვაჭრობა იმ ფულებით, რომელიც იმას გამოჰყვა და დარჩა მარხულიდამ წამოღებულის ფულიდამ.

ბიბლიოთეკა

ეგამ ამასაც გამოიჩინა ნიჭი. იმან, გარდა ჩითეულისა და ფარჩეულისა დაიწყო სხვა ნივთეულობაებითაც ვაჭრობა და ალებმიცემობა როგორც აფხაზებსა და მეგრელებთან, ეგრეთვე თურქებსა და ბერძნებთან. იმან დაიწყო ყურის გდება, რა ნივთებსა უფრო ჰქონდა მოთხოვნილება ორთავე მხრივა. იმან თან და თან ამ ნივთებით იწყო ვაჭრობა. ამასთან იმან კარგათ შენიშნა და როგორც მარხულშიც გაეგონა, რომ პირიანსათ და სალი საქონლის გასყიდვა უფრო ბევრს მუშტარსაც შეხვდენდა და უფრო ბევრსაც მოაგებინებდა. იმას ჰქონდა მოსაზრული კარგათ სარჯი ყოველი თვის ვაჭრობის მოძრაობისა, მოქმედებისა, ქირისა და გასავალისა, რომ შეეტყო კარგათ სადამდინაც შეეძლო ფასის დაკლება, რომ კიდევაც საკმაო მოგებაში ყოფილიყო. იმის სავაჭრო საქმეები წავიდა ასირებულათ კარგათა. მთელი ოდიში და აფხაზეთი ეტანებოდნენ ამასა. თურქები და ბერძნები შეიქნენ პირველი ამის მუშტრები. ეგამ გამართა ერთი კარგათ ლაზათიანათ ხუფრთათ განწყობილი დუქანი, რომელიც მოაგონებდა წმინდა ევროპიულს მაგაზიანს. ამ შენობამ კიდევ უფრო მოიზიდა ხალხი, რომელიც ხშირათ უფრო სანახავათ მიდიოდა ამ შენობისა, ვიდრემ სახყიდველათა.

ეგას სიმდიდრის ხმა გავარდა მთელს გარშემო ქვეყნებში. ქურდებმა და აბრაგებმა უკრიჭეს ამას კბილები და ერთს ღამესაც დაესხნენ. მაგრამ წარმოიდგინეთ იმათი გაკვირვება, რომ ეს ყმაწვილი მეგრელი, რომლისათაც ეგა ეჩვენებოდა იმათა, დაუხვდა ისე მაგრათ, რომ რამდენიმე ამ აბრაგთაგანი ინაცვალა და სხვები გაიქცნენ, რაკი მიეშველნენ გარშემო მცხოვრებნი. აბრაგები კიდევ შეეცადნენ ამ მდიდარი დუქნის გაცარცვას. ისინი მოვიდნენ ჩუმათ და დაუწყეს საძირკველს თხრა, მაგრამ იყო ამაო. საძირკველი შენობას ჰქონდა დუღაბისა. მინამ გასთხრიდნენ, გაუგეს და კიდევ გააქციეს. ბოლოს აბრაგე-

ში წავიდნენ ჭერებიდამ, შევიდნენ, დუქანში, აანთეს სანთელი, მაგრამ წარმოიდგინეთ ამათი უარესი გაოცება, რომ ვერცარა სადმე მედუქნე ნახეს, ვერცარა საქონელი. დუქანი იყო სრულიად ცარიელი. იმათ მოხსრიკეს ყველა კუთხეები, დაანტვრიეს ყველა კარებები, მაგრამ ვერსად რა იპოვეს. ბოლოს მიადგნენ ერთს რკინის პატარა კარებსა, გამოსწიეს და გაიღო. შეჰხედეს იქ აწყვია რკინის ყუთები. ყველანი გახარებული შეცვივდნენ შიგა და დაუწყეს ყუთებს ნტვრევა... შეცვივდნენ ისინი, და დაიკეტა იმათ უკან პატარა რკინის კარებიც. მიაწყნენ აბრაგები და ვერ გააღეს; დაუწყეს ნტვრევა მაგრამ ცარიელი ხანჯლებითა და ხმლებით ვერას გახდნენ. ეცნენ ფანჯრებსა, მაგრამ ფანჯრები ჰქონდა რკინის ჩარჩოიანი, კედლები იყვნენ ქვითკირისა. აბრაგებმა არ იცოდნენ რა ექნათ. იმათ კარებისა და ფანჯრების ნტვრევით სრულიად დაანტვრიეს ხანჯლები, ხმლები და თოფებიც, რომლებითაც ცდილობდნენ კარების ჩამოგდებას. ისინი დარჩნენ ტყვეთ. მეორეს დღეს ისინი ხელებ შეკრული მიჰგვარეს მთავარს, რომელსაც ეგამ ამ ტყვებთან გაუგზავნა კარგი საჩუქარიცა და რომლებსაც არას ოდეს არ აკლებდა ეს იმასა. მთავარი მოეპყრა იმათ ღირსეულად, მით უფრო, რომ თითონ მთავარივე ელოდა მარჯვე შემთხვევას, რომ რამე მიზეზით შეეპყრო ამ გაკეთებული ვაჭარის ქონება. ეგას დუქნის სამანელები და შეუვალობა გავარდა ყველგან. ველარა ქურდი, ველარა აბრაგი ველარა ჰბედავდა შემართვას. ეგა თან და თან მდიდრდებოდა, თან და თან ამშვენიერებდა თავის დუქანს.

52.

აქ რომ ეგას საქმეები ასე კარგათ მიდიოდა, მეორეს მხრივ მოუვიდა ეგას ამბავი, რომ გურანდუხტა მოკლესო. გავიდა ხანი და მოვიდა ამბავი, რომ მეგრელებმა შემოიყვანეს ქართლელები და იმერლე-

ბი და მთავარი ჯამლეთ, გურანდუსტას შვილი ტყვეთ, მის[illegible] პა-
ტარა დაკაცადრით და დაიპყრეს ქართლ-იმერთა სამურზაყანოც [illegible]
ნა ალიაქოთი ავხაზეთშიაც. მთავარმა იწყო საომრათ მზადება. მიი-
ხმო უბისები, აბაზოელები, ჯიქები. შემოვიდნენ ქართლ-იმერნი და შე-
იქნა ომები. დიდს ხანს გაუწია ავხაზთა მთავარმა, წინააღმდეგობა მა-
გრამ დამარცხებული, ის შეიპყრეს ერთს ღამეს უცებ ტყვეთა და გა-
დაგარგეს ისეთს ადგილებში, სადაც იმან ვერ გასძლო ერთი თვეცა
და მოკვდა. დაიპყრეს აბხაზეთიც იმერთა და დამკვიდრდნენ. გავრცელდა
იმერთა მართებლობა აქაცა. აქაც ქურდებსა და აბრაგებს დაადგათ ის
დღე, რაც სამეგრელოში.

ამ ხანებში მაციმ ჩუმათ დაიწყო აბრაგობა სხვის სახელობაზედ,
რომ არ მიხვედრილიყვნენ ამის ვინაობასა. რამდენიმე ხნის განმავლო-
ბაში იმან შეიძინა საკმაო ფული, რომ ამ დროს მოესმა ოჩამჩირეს
ერთი გაკეთებული ვაჭრის სიმდიდრე. ამას უთხრეს ამ ვაჭრის სიმა-
გრე, რომ ვერა აბრაგი და ქურდი ვერ უდგებაო. მაციმ განიძრახა გა-
სვლა ოსმალში კვალად ეკას საძებნელად და გზად ცდა, რომ რო-
გორმე გაეცარცვა ოჩამჩირეს გაკეთებული ვაჭრის დუქანი. ამის გუ-
ლისთვის განიძრახა მაციმ ჯერ კარგათ დათვალიერება დუქნისა და შემ-
დეგ შედგომა საქმისა. თავისის მხრივ მაცის მარჯვე აბრაგობამ და
ხალხის შეწუხებამ არ გაიარა მუქთათა. ხალხში ლაპარაკობდნენ,
რომ ეს ახალი გამოჩენილი აბრაგი . არის მაციო. ამ ხმამ მიაღწია
იმერთა მართებლობამდის. იმათ საიდუმლოთ გასცეს ბრძანება, რომ
ედევნებინათ იმისთვის ყური და შეეტყო იმისი ბინა. მიჩენილთ კაცთ
მალე აიღეს კვალი და უწყეს ძიება, რომ როგორმე მოესწროთ იმი-
სთვის იმერთა საბრძანებელში, რომ შეეტყობინებინათ იმერთა მარ-
თებლობისთვის და ჩაეგდოთ იმათს ხელში. მაცის დღეები იყო და-
თვლილი, ყოველი მაცის მოძრაობა იცოდნენ იმერთა. მაცი ჰგრძნობ-

და ამხსა და ეშურებოდა გაცლას. იმას ჰქონდა ხაკმაო შეძლება, რომ წასულიყო ეგას სამქობნელათ. ის წავიდა და ერთიც კიდევ [illegible] დია თავისი ბიჭობა იმ შეყვარლს ოზამზირელს დუქანთან.

იჯდა ეგა თავის დუქანში და კითხულობდა წიგნსა, რომელიც გამოჰყვა იმას მარსელიდამ. დალალული წიგნის კითხვით, ის დაურდნობილიყო ცალს მკლავზედ და გაშტერებული მისცემოდა ფიქრსა. გავიდა ამდენი ხანი და მაციზედ ჭორების მეტი იმას არა ესმოდარა. გარშემო თვისსა არა ჰხედავდა არავითარს გონივრულს ცხოვრებას და მოქმედებას. სახლი, მართებლობა, ყველა იყო ველური. ესმოდა ნიადაგ ცარცვა, ტყვევნა, ხოცვა და დაუდგრომლობა. ის ადარებდა ამ ცხოვრებას იმ გონივრულ ცხოვრებასთან, რომელიც ჰნახა ამან საფრანგეთში და დგებოდა იმ აზრზედ, რომ ამის სამშობლო ქვეყნის ცხოვრება არაფრათ არ გაირჩეოდა პირუტყვთა და მხეცთა ცხოვრებასთან. იმას დაუწყო კვალად გულმა ცემა ამ განათლებული ცხოვრებისთვის. ის ატყობდა თავსა, რომ ჩაკარგნილი მარტო ისევ ძველს ცხოვრებაშა, ის ჰკარგავდა ახლად ამისგნით მიღებული აზრების ლტოლვილებას. ის ჰხედავდა თავს ტყვეთ და ატყობდა, რომ თუ კიდევ რამე ხანი დასცლოდა — შეეჩვეოდა ამ ტყვეობას. ამ გვარი მამაკაცი, ამგვარი გარემოებანი ალვიძებდნენ ამის გულში უკანასკნელს ბრძოლას და ამის დამრევ ღონის ძიებათ ჰხედავდა მხოლოდ გაცლას ამ ცხოვრებიდამ.

ამ ფიქრებში იყო გართული, რომ მოესმა ეგას რაღაცა ნაცნობი ხმა ამის დახლიდართან. ამ ხმამ თითქო გულში გაჰგმირაო, ისე აენთო ეგა. იმან მიიხედა გატაცებით ამ გაგონებულის ხმისაკენ და უცებ შესძახა: «მაცი!» და უღონოთ დაეშვა სკამიდამ ძირს.

მაციმ, რომელიც იყო მოსული ამ დუქნის დასაზვერავათ, ამ ხმაში იცნა ეგას ხმა. ამ დაძახებაზედ შეჰხედა და ამ გულწასულს ადამიანში იცნა ეგა. მაციმ ცალკე, გახარებულის, ცალკე განწირულების ხმით

შესძახა: «ეგა! ჩემი ეგა!» და ის მაშინვე ეძგერა გულშემოყრილი ადამიანს.

ამ ამბავზედ ყველა მუშტარნი და დუქანში მყოფნი შეკრბნენ. ჯერ ერთი ესა, რომ უცებ საიდამღაც გაუჩნდათ მაცი, რომელიც აქ სრულებით ვერავინ იცნა, და მეორეც ესა მაცი ამ მდიდარ უმაწვილ მედუქნეს ეძახის ეგას, ქალის სახელს, იმ ქალისასა, რომლისაც ხმა იყო მთელს სამეგრელოსა და სააფხაზოში გავარდნილი და რომელმაც მაცისთვის გამოიჩინა გასაოცარი საქმეები, ისინი უყურებდნენ ამ ამბავს და არა სჯეროდათ, თუ იყვნენ ცხადლივა. ზოგიერთა მშიშარი გულის პატრონნი კიდეც იცქირებოდნენ აქეთ იქითა, რომ მაცის არ მოჰყვეს თან ჯარი და ყელები არ დაგვღადროსო. მეორეს მხრივ ეს ამბავი გავარდა ელვასავით ბაზარში და თქრიალით მიცვივდა ხალხი, და გაოცებით დაუწყო ყურება ამ გასაკვირველს ამბავსა. მთელი ოჩამჩირე დადგა ფეხზედ.

მაცის თხოვნით, დახლიდარმა მაშინვე მოიტანა წყალი, ძმარი და სხვა სასუნებლები. ეგა რამდენსამე წუთს უკან მოვიდა გონსა და დაეკიდა კისერზედ. მაცმა ჩაიკრა ის გულში და დიდს ხანს იყვნენ ისინი ამ მდგომარეობაში.

იმათ ამავე დღეს განიძრახეს ჯვარის წერა და მაშინვე გაცლა უცხო ქვეყნებში.

პატარა ხანს უკან ეგა, ჩაცმული მშვენიერს ქალურს ტანისამოსში და მაცი მორთული მშვენიერს იარაღში, წავიდნენ ეკკლესიისაკენ, სადაც ელოდათ ამათ მღვდელი. იმათ მშვიდობიანათ დაიწერეს ჯვარი, ემთხვივნენ ჯვარს და ხატებს გულმხურვალეთა, რომ აღირსეს ამათ კიდევ ერთმანერთის თავი, ისინი აღვსილნი ნეტარებითა, ის იყო გამოვიდნენ ეკკლესიიდამ და აპირებდნენ პირდაპირ გამგზავრებას ზღვისაკენ ოხმალოში გასასვლელათ, რომ უცებ რამდენმამე თოფიარაღიანმა კაცმა სტაცეს მაცის ხელი და შეიპყრეს. მაცმა მიიხედა და

ნახა, რომ გარშემო ეგგლესიას ესვია მრავალი იმერთა ჯარი. იმან დაჰინა იარაღის მოსმა, მაგრამ გვიანღა იყო. იმას გაუკვ[illegible] მეფეს შეუღონდა გული.

## 43.

მაციზედ დანიშნა სასტიკი გამოძიება. მაცის მაგალითით უნდა დაეშინებინათ სხვა ქურდები და აზრაგებიცა. ამასთან მაცი იცნეს რამდენმამე ცისის კაცთა და უარაულთაც, რომელთაც ეს გაეგდათ და ეგონათ, რომ სულთანის ვეზირიაო. ამან კიდევ უფრო აალევა იმერთა მართებლობა. ამასთან, რაკი ესეც შეიტყეს, რომ მაცი გახდა ქმარი ეკასი, რომელიც ყოფილა ხაფრანგეთში და დაჭკავშირებია იქაურს ბევრს გამგეელს და გამოჩენილთ პირთა, ამისგამო, რომ არ მიეცათ მიზეზი ეკასთვის, რომ მიეწერა ამათი უსამართლოება იმისთანა განათლებულს ქვეყანაში, როგორც ხაფრანგეთი, სადაც უმისოთაც უნდა ხწამებდნენ ამათ ბარბაროსობას, რაკი მაცი იყო ასე სახელოვანი მთელს სამეგრელოსა და აფხაზეთში, და ეჩვენებინათ თავისი სამართლიანობა, მართებლობამ გასცა ბრძანება, რომ მაცის გამოძიების და ყოვლის გასამართლების პროცესზედ ესმართნათ ყოველნივე ფორმანი, რომელსაც ჭსმარობენ განათლებულს ქვეყნებში. გასცეს აგრეთვე ბრძანება, გასამართლება მაცისა მამხდარიყო დაფიცებულთ მაბჭობელთ დასწრებითა. მაგრამ რადგან არ ენდობოდნენ მეგრელთა, ეს დაფიცებულნი ამორჩეულიყვნენ იმერლებთაგან.

ეკამ ამაში დაინახა შეღავათი თავისის ქმრისათვის. იმან არ დაჰკარგა იმედი მაცის გამოხსნისა. იმას მაშინვე მოაგონდა ერთი გამოჩენილი მარსელის ადვოკატი და განიზრახა თავის უკანასკნელი ღონისძიების დადება და იმისი დაბარება. იმან მაშინვე მისწერა წიგნი თავის ნაამაგევ მარსელელ დიდვაჭრებსა ამის შესახება. ადვოკატმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დაიზარა წამოსვლა იმ სიშორე ქვეყნიდამ.

ამ ამბავმა მოაღწია იმერთა მართებლობამდინ და დაატყვევს, რომ ცავდებოდნენ ზარალში, რათგან არა ჰყვანდათ რიგიანი ბრალმდებე-ლი. ამისგამო ბრალმდებელათ ამოარჩიეს საუკეთესო თავისი ქვეყნის ადვოკატი.

მოვიდა დღე მაცის გასამართლებისა. ორი გამოჩენილი ადვოკა-ტი ერთი ბრალმდებელათ და მეორე გამმართებლათ უნდა შეურიდი-ყვნენ იმისთანა კაცზედ, რომლისაც მოქმედებაები ცხადათ ეუგრუნ დამ-ტკიცებულნი არამც თუ მარტო სხვა პირთა ჩვენებაებითა, არამედ თვით დამნაშევისაგან გამოტყუსითა.

მრავალი ხალხი შეიყარა ამ ამბის საყურებლათ არამცთუ მარტო სამეგრელოსა და აფხაზეთიდამ, და თვით ქართლისა და იმერეთიდა-მაც. თვით მეფეც დაესწრო ამ სჯაში. შემოიყვანეს მაცი და მაცის-თანა თანამოზიარენი. იმათ შემოჰყვნენ თოფიარაღიანი ყარაულები და სხვა ამოღებული პირები საიდუმლო პოლიციისა. შემოვიდნენ მოსა-მართლენი და დაფიცებული მაბჭობელნი. შემოვიდა ბრალდებულიცა. შემოვიდა მაცის ადვოკატიცა.

ბრძო ხალხისა სულ განაბული იყო გაუნძრევლათა და მოელო-და საქმის დაწყობასა. აკა იჯდა შორიახლოს და ელოდა ბოლოს სა-მინელის ალელვებით და გულისცემითა. ადვოკატი რაღასაც გამოელა-პარაკა აკას. აკას პირზედ გადაჰფერა სიამოვნებამ. იმან მადლობის კი-ლოთი დაუქნია თავი ადვოკატს.

მაცი წამოიყვანეს და წაიკითხეს ბრალდების ქაღალდი, და ჰკით-ხეს ის ჰრაცხავდა თავს ამ საქმეებში დამნაშავედ თუ არა, მაცამ აღიარა, რომ ის ყველა ამ საქმეების მომქმედი არის.

აკას უარესათ გადაჰკრა ფერმა. ცხადი საქმე იყო, რომ მაცის ადარ უნდა ჰშველებოდა. იმან წინაშე სამართლისა თავისის პირითვე

აღვიარა ყველა ამ საქმეების მოქმედება. ეგამ განწირულე[illegible] თავის აღვოკატის და სტაცა ხელში ხელი. აღვოკატმა გრძნო რომ ეგა წასჩურჩულა ეგას, ეგამ მოიმაგრა გული.

„აი, უფალნო მოსამართლენო, იწყო ბრალმდებელმა, ბრალდებული უფ. მაცი ხვიტია, თვითვე თავისის პირით აღვიარებს თავის დანაშაულობას ყველა იმ საზარელ საქმეებზედ, რომელიც თქვენ მოისმინეთ როგორც გამოძიებიდამ, ეგრეთვე ბრალდების ქაღალდიდამ. მაგვარი დამნაშავენი. ჩვენი კანონების ძალით (მუხლი ესა და ესა) მაცი ხვიტია უნდა დაისაჯოს თავის სამშობლოდამ დაკარგვით საუკუნოთ მადნებში სამუშაოთ. თქვენ ჰხედავთ უფ. მოსამართლენო და დაფიცებულნო, რომ არავითარი შემამსუბუქებელი სიმართლე არ მიუძღვის ხვიტიას თავის საქმეში. რაც თავს მოსწრებია ყოველთვის ქურდობასა და აბრაგობაში ყოფილა. რეულა ყოვრიგს მმართებლობის წინააღმდეგ საქმეში, ურევია და უბრიყვებია ხალხი. ხალხი და მართებლობა შეუჯახებია ერთმანერთისათვის და უღვრია უმანკო სისხლი. არა ჰქონია მაგისგნით მოსვენება არამცთუ მარტო ოდიშს, არამედ თვით აფხაზეთს, სვანეთს, გურიას და იმერეთს. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ რომ ჩვენმა განათლებულმა მართებლობამ შემოსვლის უმალ ოდიშში, გამოაცხადა, რომ ყოველ მკვლელს აბრაგებს და ქურდებს განებებთ თავსა, ოღონდ ასლად ქურდობა და აბრაგობა ნულარ იქნებაო. მაგრამ ხვიტიამ არამც თუ არ დაიშალა, პირიქით მაგან დაიწყო უარესი ქურდობა და ავაზაკობა. არ გაუმაგრდა მაგას არც დაკეტილი, არც ციხე და არც სიმაგრე; არც მდიდარი და არც ძლიერი კაცი, — ყველა მაგისთვის იყო ერთი, ყველა მაგისათვის იყო ხსნილი. წარმოიდგინეთ რა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ის ხალხი, რომელსაც კი მისწვდებოდა მაგისი ხელი! ყოველი საკუთრების პატრონი ჰკარგავდა შეძენის ხალისს, ყოველი მუშაკი ჰკარგავდა სასოებას, რა-

თვან არ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ შერჩებოდათ თავისი ნაღვაწლი. ყველა მხოლოდ იმას ელოდა, რომ თვალთმაქცი მაცი და იმისი მსგავსი წაიღებდნენ და მოისმარებდნენ ამათის ღვაწლითა და ოფლით შექნილს სარჩოს. ამგვარს ნიადაგს მოუსვენარსა და უიმედო ცხოვრებას მოსდევს ის ხიღარიბე, რომელსაც თქვენ ჰხედავთ დღეს ოდიშსა და მის მსგავს ქვეყნებში. ყველანი ცხადათ ჰხედამენ, რომ შრომა და ნაღვაწლი არა რჩებათ ხელში და ჰფიქრობენ, რომ ვიშრომებთ თუ არ ვიშრომებთ, ყველა ერთ ბარში გამოვალთო. ამისგამო ყველანი რჩებიან ისევ გულხელდაკრეფილნი უოფნას ან ქურდობითა და აზრაგობით ცხოვრებას. მოსპეთ ქურდობა და აზრაგობა, მაშინ ნახავთ რა როგათ დაწინაურდება ხალხი, მეტადრე ამისთან მდიდარს და უხვს, უოვლრიგის ბუნების დაწყობილებით შემკობილს ქვეყანაში, როგორიც არის სამეგრელო და აფხაზეთი. ეხლა ჩვენს განათლებულს მმართველობაზედ არის ვალად დებული, რომ მოსპონ ეს ბოროტება ამათს ხელით ჩაცვივნულთ ხალხში და დაამყარონ რიგიანობა, სამართლიანობა და წესიერება; მისცენ ყოველს მუშაკს და მოღვაწეს ღონისძიება მშვიდათ და გულდასმობით საქმის შედგომისა, რომ მთავრელობის ქვეშ განათლებულის სახელმწიფოსი გავრცელდეს კეთილდღეობა და ბედნიერება ხალხში, სადაც ყველა მუშაკს გაბედვით შეეძლოს სთქვას, რომ ჩემი შრომა შემრჩება ხელთა და ვერვინ წამართმევსო. ამგვარათ შრომით დაჯილდოება და თავის ღვაწლით შექნილის სარჩოს დამკვიდრება წაახალისებს ყველას საქმეზედ, ყველა შეუდგება მხნეობასა და შრომას; ყველა ეცდება სარჩოს წარმატებას. ხალხი გაბედნიერდება, გამდიდრდება. და დღეს უფალნო მოსამართლენო და დაფიცებულნო თქვენ წინაშე სდგას ის საშინელი დამნაშავე, რომელიც არის მოთავე უოვლრიგის წესის დარღვევისა, საკუთრების შეურაცხმყოფელი და წინააღმდეგი უოვლრიგის წარმატებისა და მომსპობი შრომისა და

მუშაკობისა. ერთი სიტყვით ძირი ყოვლრიგის ბოროტებისა და ხალ-ხის უბედურებისა. მაგვარ კაცთაგან, როგორც წყლან მომდინარეობს, წარმოსდგება უსალისობა მუშაკისა და მოღვაწისა; უსალისობისაგან წარმოსდგება სიღარიბე, რომელსაც მოსდევს თან შიმშილი და სიტი-ტვლე. შიმშილსა და სიტიტვლეს უნდათ დაკმაყოფილება. ამ დასა-კმაყოფილებლათ მეტი გზა არ არის უნდა მოასდინონ ბოროტება: ან გაცარცონ, ან იქურდონ, ან მოჰკლან კაცი რადგან შიმშილისა და სიტიტვლისაგან შეწუხებული კაცი თავის თავის დასაცველათ მზათ არის ყოველის ბოროტებისათვის. ასლა, უფალნო მოსამართლე-ნო და დაფიცებულნო, თქვენ გაქვთ დიდი ვალი, რომ დაე-ხმაროთ თქვენს განათლებულს მართებლობას ამ დიდს, მძიმეს და ყო-ვლათ მაღალს კეთილს საქმეში, როგორც ბედნიერება ხალხისა და მოს-პობა ხალხთა შორისა ბოროტებისა, რომელიც აგდებს მთელს ამო-დენა ხალხებს სიღარიბესა და სიავაზაკეში. თქვენ თქვენის დასჯითი, გადაწყვეტილებით, ხვიტიას სახეში დასჯით ყოველთ მაგის მიმბაძავთ და მიმადევართ და ამითი ჯერ ერთი, რომ იხსნით სხვათ მრავალთ უბედურებისაგან, რომელშიაც ისინი უეჭველია ჩაცვივიან ხვიტიას დაუს-ჯელობით, რათგან მაგისი მაგალითი წაახალისებს იმათაც ბოროტე-ბაზედ; მეორეც ესა დაიხსნით ხალხთ ბოროტთა ხელთა და საქმე-თაგან და გაუხსნით გზას კეთილდღეობისა და სინიდისიერის შრო-მისათვის. ხვიტია არის შემცოდე, ჩვენი კანონი სჯის შემცოდეთა. თქვენი ვალია, ათასთა საბედნიეროთ დაჰსაჯოთ ერთი. ხვიტია ღირ-სია ყოვლრიგის სასჯელისა.»

ამ ბრალმდებელის სიტყვებზედ ყველამ შეჰხედეს ერთმანერთს. მოსამართლენი კმაყოფილებით იქნევდნენ თავსა. დაფიცებულნი ჩურ-ჩულებდნენ. ეკამ სრულიად გადიწყვიტა იმედი. ხალხში შეიქნა ღადღადი.

— თქვენ რას იტყვით ბრალდებულის დამცველო ამაზედა?— ჰკითხა თავმჯდომარე მსაჯულმა მაცის ადვოკატს.

— მე ბევრი სათქმელი მაქვს, — უპასუხა იმან, — და ვითხოვ უგულითადესად მისმინოთ როგორც თქვენ, ეგრეთვე მიაქციოთ სრული ყურადღება ჩემს საბუთებს. ამასთან უფალნო მოსამართლენო და მაბჭობელნო, მე გთხოვთ ამ ჩვენ მსჯელობის დროს გამოხვიდეთ იმ აზრებიდამ, რომელიც ჩვენგნით გასარჩევს საგანზედ წინათვე გაქვთ აღებული. მე გთხოვთ დადგეთ ამ საგანზედ, როგორც გარეშე პირი, რომელსაც არცარა წარმოდგენია და არცარაფერში დასწვია გული იმგვართ მოქმედებათაგან, რომელსა ბრალად სდებენ სვიტიას. უამისოდ შეუძლებელია საქმისა სიწმინდით გადაწყვეტა და სამართლიანათ გაბჭობა. ძნელია იმ კაცის მოსამართლეთ დაყენება, რომელიც გასასამართლებელს პირს ჰხედავს თავისავე მტრათ. მაშინ მოსამართლე სამართლიანის თვალით კი არ უყურებს ბრალდებულს, უყურებს ისე, როგორც ბრალდებული და ხლევის მთხოვნელი. მაშინ რაღა თქმა უნდა არ უნდა მოველოდეთ სამართალს, უნდა მოველოდეთ მხოლოდ სასჯელს, ზღვას ნატკენობისათვის. როდესაც თქვენ დადგებით იმ აზრზედ, როგორც გარეშე პირი ამ საქმისა, გამოიღებთ თავიდამ წინათვე გულში ჩანერგილს აზრებს შესახებ გასარჩევის ბოროტებისა და მოისმენთ ყურადღებით ორთავე მხარის საბუთებს, მაშინ შეგიძლიანთ წმინდის სამართლით გადაწყვეტა და გაბჭობა საქმისა. შეუდგები საქმესა.

აქ დაიწყო ადვოკატმა.

«სრულიად ამაოდ ვრაცხავ იმ ცარიელი სიტყვებით მჭევრმეტყველებას, რომელსაც სხვათა ჰხარჯამენ ხოლმე თქვენ წინაშე თქვენი გულის მოსალბობლათ. ამგვარი ჩემი ქცევა დაამტკიცებს მხოლოდ იმასა, რომ თქვენი გონების და მართლმსჯელობის იმედი არა მქონია. მჭევრმეტყველებით მოსტყუვდება მხოლოდ ბავშვი და ბავშვებრ გონება გაუხსნელი კაცი. მე მინდა მხოლოდ გასაგონარის ენით გე-

ლაპარაკოთ ამ საგანზედ მეცნიერების გამოკვლევის ძალით, რომლი-სა წინაშე ყოველი მჭევრმეტყველება არის უძლური. მე მინდა გელა-პარაკოთ ასე უფრო იმისთვის, რომ ცხადის საბუთებით დაგიმტკი-ცოთ, რომ დანაშაულს უნდა უყურებდენ სრულიად სხვა თვალით, ვი-დრემ უყურებთ ჩვენა და ჩვენი კანონები. ამის დამტკიცება უფრო იმისთვის მინდა, რომ თქვენ ხართ მოთაცვივნული იმ ხალხში, რო-მელიც არ არის ჯერ ცრუ ცივილიზაციის წამხდარი აზრებით გონე-ბა დაზიანებული და რომელსაც, როგორც ჯერედ გონება გაუფუჭე-ბელს ბავშვს შეუძლიან მიიღოს ყოველი ახალი რიგიანი საქმე და ჩაი-ნერგოს გულში, თუ ამ საქმეებს მმართებლობა შეუდგება გულმოდ-გინეთ და ცოდვნითა

ბრალმდებელმა ცხადის საბუთებით დაამტკიცა დანაშაულობა უფ. ხვიტიასი. ამაზედ ყველა თქვენგანის გული დარწმუნებულია. რასაკვირ-ველია იმ აზრზედ მდგომთათვის, რომელშიაც ჩვენა ვართ აღზრდი-ლი, ბრალმდებელის დამტკიცება საკმაოა და ცხადია, მაგრამ ავიღოთ ხელი ჩვენში ჩანერგული აზრებიდამ, ჩავაკვირდეთ კარგათ საქმეს, ავწო-ნოთ მეცნიერების ძალით, და მაშინ დავინახავთ, რომ უფალი ბრალ-მდებელი სარგებლობს ჩვენის უმეცრებით, აქეზებს ჩვენს წამხდარს მი-დრეკილებათა და ნაცვლათ იმისა, რომ გამოგვიყვანოს შემცდარი აზ-რებიდამ, გვაჟყარებს უფრო და უფრო ამ აზრებზედა გვიღვიძებს, სა-ბრალეულის მაგივრათ, სიძულვილს სრულიად უმანკო კაცებზედ, რო-მლებისაც ალაგას ჩვენ იქნება უარესი საქმეები გვექნა და რომელთა-თვისაც ჩვენი საქმეები იქნება უფრო ბოროტათ სჩნდეს, ასე რომ, რომ შეიცვალოს გარემოება და ჩვენი საქმეების გასამართლება,—იმ საქმეებისა, რომელიც ჩვენ დიდპატიოსნებათ მიგვაჩნია,—შეჰხვდეთ იმათ, იქნება უარესს სასჯელს მიგვცენ.

«მე გთხოვთ უფ. მოსამართლენო და დაფიცებულნო გამოადე-

ვნოთ გონება ჩემს ლაპარაკს და გადავიდეთ ძველს მეგრელთა ცხო-
ვრებაში. ძველის ძველადვე, სადამდინაც კი კაცის გონებას და ისტორიას მისწვდება, ჩვენ ვხედავთ კოლხიდას (სხვათა შორის და უფროც დღევანდელს სამეგრელოს) განათლებულ და განვითარებულ ქვეყნათ. ის გასაოცებელნი საქმენი, რომელიც მედეამ ჩაიდინა წინაშე არგონავტთა, ამტკიცებენ, რომ მეცნიერება დიდათ გაღსნილი და განვითარებული ყოფილა აქა, ასე რომ სხვა ხალხები და თვით ბერძენნიც, რომელნიც ირაცხებოდნენ მაშინ განათლებულათ, ვერც კი მისვედრილან ამ მეცნიერებას და უწოდებიათ ამგვარს მედეის საქმეებისთვის მიხნობა და ჯადოქრობა. ამას გარდა დიდი ჭომარსი კოლხიდის ღვინოებს ასმევს ბერძენთა ღმერთთა, როგორათაც ღმერთების საკადრისს ღვინოსა, ისე ხასხლოვანი ყოფილან მაშინდელი ნაწარმოებნი მეგრელთა. ძველი მეისტორიენი გვიამბობენ, რომ ქარტა ყველაზედ წინ შეუდგენიათ სამეგრელოში. ესე უეჭველივე ამტკიცებს დიდს ნიჭს და დიდს ღტოლვილებას მეგრელთა მეცნიერებისა და განათლებისადმი. არც ერთის ძველის მოგზაურისა და არც ერთის მატიანესაგან ძველს დროში არ გვესმის, რომ ამგვარი ქურდობა და ავაზაკობა გავრცელებული ყოფილიყოს სამეგრელოში. ამას მხოლოდ ვხედავთ ბოლოსა და ბოლოს, და შემდეგ გამოჩენილის მოგზაურის შარდენისაგან გვესმის საშინელება ამგვარის საქმეებისა სამეგრელოში. რა იყო მიზეზი, რომ უცებ ხალხმა აიღო ხელი თავის კულტურაზედ, თავის სამეცნიეროსა და განათლების გზაზედ? ცხადი საქმეა, რომ, როგორც სხვა ყველაფერი; არც ეს უნდა მომხდარიყო უმიზეზოთ, უნდა დიდი და ხანგრძლივი ყოფილიყო, რომ აღებინა და დავიწყებინა ხალხისათვის ის საქმენი, რომელნიც ამას ამღლევდნენ წარმატებას და კეთილდღეობას. არც ერთი ხალხი, არც ერთი კაცი, თავის გონებაში მყოფი ხელს არ აიღებს იმისთანა საქმეზედ, რომელიც ამას ამყოფებს მოგებასა და მოხვენებაში. მიზეზი ამგვარს მდგომარეობაში ჩავარდნი-

ხა, ცხადია, არ იყვნენ თვით მეგრელნი. მიზეზი ამისა იყო შემოსევა მძლავრის მტერისა, რომელმაც შემუსრა თავისუფლება და ბედნიერი არსებობა მეგრელთა. ერთხელ დარეულს და მოუძლურებულს საქმეს აღარ უხვენებდნენ მტრები და ნიადაგ ესეოდნენ, სტაცებდნენ სარჩოსაცხოვრებელს, ქონებას, ცოლს, შვილს. უხოცავდნენ ბრძოლაში საუკეთესო მუშა კაცთა, უწვამდნენ სამყოფ—საცხოვრებელსა; არ უყენებდნენ არავითარს ნაღვაწსა. ამასთან შემოერტყნენ ამათ გარშემო ის გაცარცული მტერთაგან ხალხი, რომელთაც შეეძლოთ რჩენა მხოლოდ ცარცვითა და ტაცებითა, ხალხნი ისეთნი, რომელნიც თვის უშვერებისაგამო ვერ ისმარდნენ თავის მწირს ადგილებსა, რომელნიცა თხოულობდნენ დიდს ცოდვნასა და შრომასა. ეს ხალხნი ესხმოდნენ და ცარცვავდნენ მეგრელთა. მძლავრი მტერი არ უყენებდა ამათ ნამუშავარს მანდორსა და სახლში. მეგრელთ დაუკარგეს ამათ თავის სანგრძლივის მოუსვენარის ცხოვრებით ძველი ცოდვნა და სალისი. მეგრელნი დაღარიბდნენ, დაიმცნენ, დარჩნენ უბინაონი; დაავიწყდათ თავისი ძველი ცხოვრების გზა. ისინი ჰხედავდნენ მხოლოდ ცარცვასა და ბოროტებას. თითონ აღარა ჰქონდათ ცოდვნა და არც ასვენებდნენ იმას ამისთვის. შიმშილი აჭირვებდა, შიმშილი თხოულობდა დაკმაყოფილებას. წელან უფ. ბრალმდებელმა სამართლიანათ აღიარა, რომ შიმშილი არის ყველას გამბედველი. კაცს თავისი თავი ყველას ურჩევნიან. კაცის თვისება და აგებულება ისეთია, რომ თავის გარეშე სხვას ყველას ისე უყურებს, გორც თავის რჩენისა და კეთილდღეობის ღონისძიებას. შიმშილი არის პირველი შემძვრელი კაცისა. ქვეყანა არის ხარკე კაცისა. შიმშილი აღვიძებს კაცის გულში სურვილსა, რომელსაც უეჭველი დაკმაყოფილება უნდა, თუნდა რომ კაცი თვით რკინის სასიათებისა იყვეს. სურვილს შესრულება უნდა. ყველანი, ვინც კი არტყიან მეგრელთა თავის სურვილს იკლამენ ცარცვითა და მტაცებლობითა, მეგრელნი არა ჰხედამენ სხვა მაგალითსა. ყველა იმასა სწავლობს, რასაც ჰხედავს.

ყველა იმას მოქმედობს, რასაც სხვები სწადიან. რაც არ [illegible] და არ უსწავლია, კაცს იმის წარმოდგენაც არ შეუძლიან. მაშ რა უნდა ექნათ მეგრელთა თავის ბუნების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ? ეს მოთხოვნილებანი ისეთნი არიან, რომ თუ არ დააკმაყოფილე, გემუქრის სიკვდილი და კიდეც მოკვდები. ისიც როგორ მოკვდები! ერთბაშათ კი არა, რომ მორჩე და მოისვენო. არა, კვდები სატანჯველით, წვრილ წვრილათ, მოუსვენრათ. მაშ დარჩათ მხოლოდ შესწავლა იმ ხელობისა, რომლითაც სცხოვრებდნენ შემოსული და გარეშემო მცხოვრები ხალხები, რომელთაც უმეტრებისა და ადგილსამყოფის სიმწირის გამო სხვათაშორის ცარცვა და ქურდობა და დარჩენოდათ რჩენის ღონეთ. ამას შეეჩვივნენ თან და თან წვრილ წვრილათ მეგრელნი. შემდეგ იწყეს ამ საქმეებში ხელოვნება და როგორც მაღალი ნიჭის პატრონი ხალხი, ამ საქმეშიაც გამოიჩინეს დიდი ნიჭი. შემდეგ ეს საქმე გადიქცა საქებურათაც დასაკვეხურათაც რათგან შეიქნა საყოველთაო და ამახთან რჩენის ღონეთ. ყველა მხნე და ნიჭიერი ვარჯიშობდა ამ ხელობაში, ყველა უხეირო, უნიჭო და უძლური რჩებოდა ამ ხელობის გარეთ, ან არა და ყოველთვის ებმოდნენ მახეში და რჩებოდნენ უღონისძიებოთ. იმათ დარჩათ ღონეთ მიწის ნაყოფიერება, რომელთაც ჴმარობდნენ ქურდები და აბრაგები და ამათ უშვებდნენ ისევ ისე სახამშრალს. ასე რომ მხოლოდ უნიჭონი და უძლურნი რჩებოდნენ მშვიდობაში და ყოველი ნიჭიერი და მხნე იყო შემდგარი ქურდობასა და აბრაგობის საქმეზედ. ამგვარი კაცნი იყვნენ მოსაწონარნი ყველასაგან. ამგვართ კაცთ აქებენ მშვენიერნი ქალნი სამეგრელოსანი. ამათთვის აწყობდნენ ტკბილსა და ქების სიმღერებსა და მღერობდნენ დღეობაებსა და ლხინებში. ამათი უფრო ადებინებდნენ თავს ვაჟკაცთა. როგორც მიმშილი არის კაცის გამამხნევებელი სარჩოს შექნაში, ეგრეთვე ლტოლვილება ქალისადმი არის გამღვიძებელი კაცის გულში ქალის მოწონებისა და იმის მოსაწონარი საქმეების შესრულებისა შიმშილი, ქალთა

მოწონება, საზოგადო აზრი,—ყველა იმასი ჩასძახოდა, რომ ქალსაც შეეძლო ყოფილიყო მარჯვედ იმ საქმეებში, რომელიც ქალთა—ჩვენ აზრით დიდ დანიშნულებათ მიგვაჩნია, თავის მხრივ ქალნი ამგვარის აზრის შერყევინით და კაცთა ცარცვასა და ქურდობაზედ წახალისებით არ იყვნენ გასამტყუნარნი. ისინი, ჩაცვივნულნი ოჯახობაში, შვილების და სახლის მოსავლელათ, იყვნენ დიდს შიმშილსა და მოთმინებაში, რავი მტერთ დაუკარგეს ამათ თავისუფლება და მშვიდობიანობა. ამისგამო ამათ რაც უფრო ქურდი და აზრაკი კაცი იყო, უფრო კარგათ არჩენდა და ინახავდა. მაგ მდგომარეებაში მყოფთ კაცთათვის უფრო კარგი და საქებური ის არის, ვინც უფრო მოყვლის და შეინახავს. ამისგამო იმათ ქურდებსა და აზრაკებზედ შეადგინეს კარგი აზრი, რათაგან ისინი უფრო ჭპატრონებდნენ ამათა.

«ეს ისტორიული მიზეზნი. ახლა გადავიდეთ მეორე მხარეზედ, რომლითაც ჩვენ ეს საქმენი არ უნდა გვეჩვენნენ ასე საზარლებათ, როგორც გვეჩვენება.

„ჩვენ გვაღელვებს ისა, რომ ჩვენის ღვაწლითა თუ შრომით შეძენილს სარჩოს გვაცლიან ხელიდან,—ერთის სიტყვით გვაგლეჯენ ჩვენს საკუთრებას, რომელსაც ჩვენს მაგივრათ ჭხმარობენ ისინი. გთხოვთ კიდევ დაკვირვებასა და ამ შედარების კარგათ გარკვევასა. მე ვამბობ, რომ ჩვენ ქურდობა და ცარცვა იმისთვის გვაღელვებს, რომ გვაგლეჯენ ჩვენს საკუთრებასა და ჩვენს ღვაწლს ჭხმარობენ ისინი. სხვა მიზეზი ამ საქმეებზედ აღელვებისა ჩვენ არა მიგვიმღვისრა. ახლა განახოთ მარტო ამგვარი საქმით გვერთმევა ჩვენი საკუთრება და ნაღვაწლი. ამას რომ კარგათ განვიხილავთ, ჩვენ ვნახავთ, რომ როგორც მეგრელნი ქურდობასა და აზრაკობას არიან შეჩვეულნი და მიაჩნიათ საქებურათ, აგრეთვე სხვა ყველა ხალხნი შეჩვევიან სხვა უარესით და უფრო ხამაგლით საქმეთა, რომლითაც ერთნი სცარცვამენ მეორეს,

აკლებენ უკანასკნელს საკუთრებასა, თითონა მდიდრდებიან და დარიბნი უფრო და უფრო უკანასკნელდებიან. ჩვენ ვნახავთ, რომ მუშათის საქმენი, რომელნიც ჩვენ საქებურათა და საკვეხურათ მიგვაჩნია, უფრო მავნე და საძაგელნი არიან ხალხისათვის, ვიდრე ქურდობა და აბრაგობა. სხვათა შორის ავიღოთ ალებმიცემობა, რომელიც ყველა მცირეც არის განათლებულს ქვეყნებში გავრცელებული. საქონელი უშურავს ალებ მიცემის კაცსა. მე დამჭირდა საქონელი. მოვდივარ ალებმიმცემის კაცთანა და ვევაჭრები საქონელსა. იმას საქონელი დასჯდომია მანათი. ეს ნაღდვილი ფასი ამ საქონლისა მხოლოდ თვითონ ალებმიმცემმა იცის. ფასი საქონლისა არც მე ვიცი და არცა მაქვს შემთხვევა, რომ შევიტყო. ვაჭარი მანათიანს საქონელს მიფასებს ორმანეთათ. ის ჰსარგებლობს ამ შემთხვევაში ჩემის გაჭირვებითა და უმეცრებითა. ამისგამო, საქონელში, რომელშიაც ბევრი ბევრი მანეთზედ ორი შაური ერგებოდა თავისი ღვაწლის ფასი მართმევს მანეთზედ მანეთს მოგებასა.

აქ თითონ მანეთში მპარავს მე ისა ოთხ აბაზ უზალთუნსა. ასე, რომ ასი მანეთისა რომ ვივაჭრო, ის იგებს, ანუ უკეთა ვსთქვათ, მპარავს მე ოთხმოც და ათს მანეთსა, ათ მანეთის მაგივრათა, რომელიც იმას ერგებოდა. ეს ვაჭარი თან და თან მდიდრდება და იმენს ქონებასა. საწყალი კაცი უფრო ღარიბდება, რათგან იმას ყოველთვის უჭირს საქონელი, და ამ საქონელში ნიადაგ ატყუებენ და ჰპარავენ. გკითხავთ მე უფ. მოსამართლენო და მაბჭობელნო, გვაღელვებს ჩვენ ეს საქმეები? ყუურებთ ამ საქმეებს ცუდათა? გსჯით კანონით ამგვარ კაცთა? ან საზოგადო აზრი ჰსთაკილობს იმათ? არ მიგვაჩნია ამგვარათ გამდიდრებული კაცი პატივცებულათ? რატომ არ უნდა ჩვენ გვაღელვებდეს ესა და გვაწუხებდეს?! წეღანა ვსთქვით, რომ ქურდობა და ცარცვა იმისთვის გვაწუხებს, რომ გვაღე-

ბენ ჩვენს საკუთრებასაო. ნუ თუ, როდესაც ერთი გპარავს ის დასა-კლისია და საწყენი, და როდესაც მეორე—ის კი არა? რომ დავაკვირდეთ ის ქურდობა და ცარცვა უფრო შესაწყნარებელია, რომელსაც ვხდევნით, ვიდრე ის ქურდობა, რომელიც ჩვენ შეგვიწყნარებია და პატივსაცემრათაც მიგვაჩნია. გავსინჯოთ კარგათ, რომ ეს აზრი უსაფუძლო არ გეგონოთ. ქურდს და აბრაგს ყოველთვის ეშინიან, რომ არ მიასწროს პატრონმა და არ დაიჭიროს, ამისგამო ის ყოველთვის ვერა ჰბედავს თავის ავკაცობასა. ქურდსა და აბრაგს დაუმალავ, დაუკატავ, დაუდგები იარაღითა და ძალითა და არაფერს დაანებებ. ქურდსა და აბრაგს თუ უპოვე ნაქურდალი ერთი ორათ დაიბრუნებ. ქურდი და აბრაგი მოიპარავს და მოიტაცებს, და მოჰპარავენ და მოსტაცებენ სხვა იმათზედ უფრო გაჭირვებულებს. მაგრამ, რას უზავთ თქვენ მაგალითად ალებმიცემის გაცთას? გიჭირს საქონელი. გიფასებს მამასისხლათა. გინდა იყიდე, არ გინდა წაბრძანდი. ტანისამოსი, ფეხსაცმელი, დასახურავი, სასლის ავეჯეულება და სხვანი მრავალნი ისეთი საჭიროებანი არიან, რომ უამათოთ არ შეიძლება. მეტი ჩარა არა გაქვს—უნდა იყიდო და აძლევ იმ ფასსა, რომელსაც გთხოვენ. გსთქვათ გაიგე კიდეცა, რომ ვაჭარმა მოგატყუა და მანათში ორი მანეთი ანუ მეტი გამოგართვა—რას იზავ?-არაფერსა. იმიტომ რომ ამგვარი ქურდობა ჩვენგანაცა და კანონისაგანაც შეწყნარებულია. რაც უფრო მდიდარი ვაჭარია, იმდენი უფრო ქვეშ გვგებით და პატივსა ვცემთ, თუმცა რავდენიც უფრო მდიდარია, იმდენი ამისი სიმდიდრე იმას ამტკიცებს, რომ უფრო ბევრი მოუტყუებია და გაუცარცვავს. ამასთან რაც უფრო მდიდარი ვაჭარია, იმდენი, უფრო შეუძლიან ატყუოს სხვები და სხვები ამას ვერას გამორჩებიან, რათგან აქვს ამას ღონე უსხვებოთ შესძლოს რავდენი ხანიც უნდა, და სხვები კი უამისოთ ვერ შესძლებენ, რათგან არა აქვთ ის საჭირო ნივთნი, ურომლისოთაც ვერ

გასძლებენ და რომელნიც ამისგან უნდა მიიღონ. მეორეს მხრივ, რაკი ამგვარი ძალა აქვთ ხელთ აღებმიცემის კაცთა, ისინი მეტად სარგებლობენ ამ ძალითა. მუშტარი კი რომელიც მოკლებულია ღონეს, რომ ამანაც თავის მხრივ ამგვარათ ატყუოს სხვები, თან და თან ღარიბდება, რადგან ყველა ნივთში ართმევენ ერთი ხუთათა. ამის შრომა და ღვაწლი გადადის ცრუ და გაუმაძღარი აღებმიცემის კაცების ხელში, და ბოლოს მუშტრები ღატაკდებიან, და აღებ მიცემის კაცები ცვივდებიან ნეტარებაში. მაშინ მუშტარი, ანუ უკეთ ვსთქვათ, უფრო მდაბიო ხალხი ჰხდებიან სრულნი მონანი აღებმიცემთა, გარდა იმისა, რომ ჰყიდულობენ საქონელს მამასისხლათა, რაკი სცვივდებიან მეტს გაჭირვებაში ჰსესხულობენ ფულსა ეგრეთვე 'მამასისხლათა და ამგვარათ სულიან ხორციან ცვივიან იმათს ხელში. რაც ხანი გადის ამგვარს მდგომარეობაში, იმდენი უფრო მოდის მეფობა ვაჭართა, იმდენი ისინი იჭერენ ძალასა და ქონებას ხელთა, და იმდენი უფრო ღატაკდებიან და მონათ ჰხდებიან მილიონობით ხალხი. რა მიზეზია, რომ ამგვარს ბოროტებას, რომელსაც უფრო დიდი და საზოგადო უბედურება მოსდევს, ვიდრემ ცარცვასა და ქურდობასა, ჩვენ ვცემთ პატივსა? მიზეზი ის არის, რომ ჩვენ შეჩვეულვართ ამ საქმეებსა. ჩვენთვის შეიქნა დიდათ საჭირო აღებმიცემობა, რომ დაგვეკმაყოფილებინა ჩვენ მრავალი ბუნებრივი მოთხოვნილებანი. ამის დასაკმაყოფილებლათ გამოჩნდნენ კაცნი. ჩვენ სიამოვნებით მივიღეთ ეს კაცნი და იმათი მოქმედებანი, რაკი მოგვცეს ღონე ჩვენი საჭიროების დაკმაყოფილებისა. ამ სიამოვნებამ ისინი წაახალისა და დაიწყეს ისე გვცემა, როგორც ენებავთ. უმეცრებისა გამო ჩვენ არ ვიცოდით, როგორ დაგვეჭირა საქმე, რომ აღებმიცემა ასე საზარალო არა ყოფილიყო ჩვენთვის და ზარალის მაგივრათ ნამდვილი სარგებლობა მოეტანა. ჩვენ შევეჩვიეთ ამასა. ამითი ისინი გამდიდრდნენ. სიმდიდრესა, მხნეობას და ოსტა-

ტობასა იმათსას ვეცით პატივი. ვეცით პატივი ჩვენს ცხადათ გამტყუვნებულთა. მაშ რათ გვაღელვებს ასე ისა, რომ მეგრულნი [illegible]ბენ და ქურდობენ. ჩვენი აღებმიცემობა და იმათი ქურდობა, ორივე წარმოსდგენენ გაჭირვებისა და საჭიროების მოთხოვნილებისაგან. ორივენი წარმოსდგენენ თვით მომქმედთა უნებურათა, ისინი ამაში ცოდვას კი არა, დიდს სიკეთესა ჰხედამენ და ჰგონიათ, რომ თუ ასე არ მოვიქცეით უფრო სირცხვილიაო. ახლა როგორ გინდა დანაშაულათ დასდოთ ის კაცსა, რაზედაც ის სრულის გულით არის დარწმუნებული, რომ არის კარგი და არა ცუდი საქმე. ნუ თუ თქვენ დასჯით ან დასდებთ ბრალათა, რომ მაჰმადიანი არ არის ქრისტიანი, რომელსაც ის დარწმუნებულია, დედის მუძუდამვე შეგონებული და ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი აზრი, რომ მაჰმადიანთა უკეთესი სარწმუნოება არ არის ქვეყანაზედაო? ნუ თუ დასდებთ ბრალათა რომელსამე ხალხის შვილსა, რომ ის იმ ხალხის შვილია და არა სხვა ხალხისა? როგორც არ არის ჩვენი ნება, რომ დავიბადნოთ მაგალითათ ნემეცათ, რომელსაც გვშობილვართ ქართველათ, ეგრეთვე ჩვენთვის შეუძლებელია შევისწავლოთ ნემეცების აზრები და ადათები თუ ჩვენ ეს აზრები და ადათები გვაქვს შესწავლული. ამავე მდგომარეობაში უნდა იყვნენ ჩვენთვის მეგრელთა აბრაგები და ქურდები: რასაც შინა ჰხედავდნენ, ის აქვთ გასწავლული და ძვალსა და რბილში გამჯდარი. რაც არ უნახავთ და არ უსწავლიათ — ის არ მოეთხოვებათ.

«რასაც ვნებას აძლევენ ქურდნი და აბრაგნი მეგრელთა ხალხსა, ამგვარს სავნებელ საქმეებს ჩვენ ყოველს ნაბიჯზედ შევხვდებით თვით უგანათლებულესს ქვეყნებშიაცა, რომლებიც წარმოსდგება ისევ ხალხების უმეცრებისაგან. როგორ მოვთხოვოთ ახლა ხალხსა და დავსაჯოთ ისინი, რათა ხართ მაგ უმეცრებაშიაო? გარდა აღებმიცემობისა ავილოთ თუნდა დიდი მამულების პატრონები, რომლებიც აქირავებენ

თავის მიწებსა. ვინც ქირაობს მიწასა, ალბათ უჭირს, ან სრულიად არა აქვს, ან თუ აქვს საკმაო არა აქვს, რომ ჰქირაობს, ვინც აქირავებს—იმას ბევრი აქვს და აქირავებს. ყველა კაცი არის ბუნების შვილი. ბუნება ყველა კაცს ბუნებითათ აძლევს სოლოდ ჯანს და გონებას, რომლითაც უნდა იცხოვროს ყოველმა კაცმა. გარდა ჯანისა და გონებისა კაცს საკუთრება არა აქვს ბუნებით დაყოლილი. სხვა ყველა ეკუთვნის ბუნებასა. კაცმა თავისის შრომით უნდა გამოიტანოს ბუნებიდამ საცხოვრებელი. ვინც ჰქირაობს მიწასა, შრომობს და შრომით მოჰყავს საზრდო. ვინც აქირავებს მიწებსა, (ან თუნდა ფულსა) ის მუქთათა ჰზის და თავის ჯანს ტყუილათ ათას გასართობსა და შეუსაქმევ საქმეებში ჰლუპავს. რაში აძლევს ახლა ეს მშრომელი კაცი თავის ნაშრომს მიწის პატრონსა? ის ტყუილათ ჰკარგავს თავის ჯანსა, ეს ჯანს ჰხმარობს სასარგებლოთ. ის იღებს მხოლ იმ მიწაში ქირას, რომელიც ეკუთვნის ბუნებას, და ბუნებისგნით მხოლოდ ამ ბუნებაზედ მშრომელს კაცს. რა არის ამგვარი მიწისა ანუ სხვა რისგანმე ქირის აღება?—ქურდობა. გაცარცვა კაცის ჯანისა, რომელიც ყველაზედ უფრო მომეტებულათ ეკუთვნის კაცსა, რომელიც არის მხოლოდ ნამდვილი საკუთრება კაცისა. ჯანიანს კაცს ჰმართებს მუქთათ შენახვა მხოლოდ უჯანო და ხნეული ხალხისა. ჯანიანისგნით სხვის კისერზედ წოლა არის ქურდობა, რადგან თავის ჯანს არა ხჯის, და ჰსარგებლობს სხვის ჯანითა, რაკი ჰხედავს იმის გაჭირვებასა და იცის, რომ ის ძალაა თუ ნება უნდა ემსახუროს ამას. ჩვენ არამც თუ ვითმენთ, რომ ერთი კაცი ჰსარგებლობდეს ერთის კაცის ჯანით და ნაღვაწითა,—ჩვენ იმდენი უფრო საქებურათა გვყავს ის კაცნი, რამდენიც ამ კაცთ უფრო ბევრი სხვა კაცის ჯანი ელევათ, რამდენიც უფრო ბევრი კაცის ჯანს იმსახურებენ იმ ადგილებშია, რომელიც არ არის ამათის ჯანითა და ჭკუით შემენილი. ზოგჯერ ერთი კაცი ჰნთ-

ჭამს ათასობით კაცის ჯანს მიწის მიქირავეებსა თუ ქარხნებსა და სხვა ამგვარ სამუშაოებში, და ჩვენ ამ კაცთ ვუყურებთ დიდებით და ლო-ლადებითა. ამგვარი უსაზომობით და უწესობით არის ქვეყანა მოცუ-ლი. ჩვენ ამათ ვუყურებთ სრულიად გულგრილათ, რადგან თვალიცა და ყურიც შეჩვეული გვაქვს, რადგან ამგვარეობაში გავზრდილვართ, რადგან სხვა ცხოვრება ჩვენ არ შეგვისწავლია და ჩვენთვის არავის ჩაუგონებია ამათი სიცუდე და სიბოროტე, რადგან ჩვენ თითონ ამა-ში გავზრდილვართ, რადგან ჩვენ თითონ ყველანი გამზადებულნი ვართ ამ საქმისათვის, ჩვენ თითონ ყველანი ურევივართ ამ საქმეში. რომ გავარჩიოთ კარგათ, ჩვენ ცხოვრებაში არ დარჩება სამართლიანობის კვალი, ყველანი გამოვალთ ბრალდებულნი ამ უსამართლობასა და უწე-სობაში თუ ეს ყველა ჩაგვივარდა დანაშაულათ, მაშინ ყველანი შევიქნებით დასაკარგნი და ადგილსაც ველარ ვიშოვნით ჩვენ დასაკარგავისას. რა არის საკუთრათ დანაშაული? დანაშაული მხოლოდ ის არის, რო-მელსაც კაცი დარწმუნებულია, რომ ესა და ეს საქმე ცუდია, შეუძლიან რომ ეს ცუდი საქმე არ მოასდინოს, და მაინცა და მაინც მოასდენს. რომელსაც კაცი სრულიად დარწმუნებულია, რომ ჩადის კარგს საქმესა და ეს ამისი მოწონებული საქმე სხვის თვალში არ კარგა და არც იცის, თუ ეს სხვისთვის ცუდიაო, ეს დანაშაულათ არავის არ ჩაუ-ვარდება. ეგრეთვე, რომელსაც კაცი, თუმცა დარწმუნებულია, რომ ეს საქმე ცუდიაო, მაგრამ სხვა ღონე არა დარჩენია რა, რომ უნდა ჩაი-დინოს, არც ეს არის დანაშაული, რადგან ამაზედ არ იყო ამ საქმის ჩადენა დამოკიდებული: ამგვარი შეცოდებანი ისეთებივე არიან, რო-გორც მაგალითად უსაბედო საქმენი. უსაბედოსათვის არა სჯის კანო-ნი იმიტომ, რომ ან არ იცოდა, რომ მოხდებოდაო ან არ უნდო-დაო. ამგვარივე სწორეთ ეს საქმენიცა. ხვიტია და მაგის მსგავსნი კაცნი მთელის სულით დარწმუნებულნი არიან, რომ არა არისრა მა-

გათს საქმეებში ცუდი. მაგათ სრულიათაც არ უდევთ ცუდი საქმე გულითა. მაგრამ მაგათ და უნებურათ, მაგათთა უცოდინარობით ხდებიან ცუდნი საქმენი მაგათ ხელიდამ. თუ დაისჯებიან ესენი, უნდა მაშასადამე დაისაჯნენ უსაბედი საქმის მომხდენიცა.

«რასაკვირველია, რაკი ჩვენ სასჯელს შეჩვეულნი ვართ, არ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ სხვა ღონისძიება ხალხთა ზნეობისა და ცხოვრების გასასწორებლათ. მე რომ ამეებს ვამტკიცებ და ვლაპარაკობ, თქვენ იქნება გულში ჯვარიც მოგდით, რომ ერთმხრივ გიმტკიცებთ რომ ყველა ცუდში, ყველას წილი გვიდევსო, მეორეს მხრივ გიკრძალავთ თითქმის სასჯელსა და კი არ გიჩვენებთ ღონესა, რომლითაც ეშველოს ქვეყანასა უწესობისა და უსამართლობისაგან. მე მსურს ჯერ ბოლომდის ამ მოკლე სიტყვით მიგიყვანოთ იქამდის, თუ რა წარმოხდგება იქიდამ, რომ ვსაჯოთ ყველა სვიტიას მსგავსი კაცები. მე ვგონებ, რომ ის საკმაოთ დავამტკიცე, რომ იმათ არ მიუძღვით თავის საქმეებში დანაშაული. ისინი თვისდა უნებურათ და გაუგებრათ ახდენენ ცუდს საქმეებსა. ეს საქმეები არიან საქებურნი ხალხისაგან. ვინც ამათ ჩაიდენს არიან საჩინონი, შვრებიან მოსაწონარ საქმეებსა. ვინც არ ჩადის ამასა, არ ჩადის იმიტომ რომ არის უღონო, შეუძლებელი. საზოგადო აზრი უყურებს იმათ, როგორც უვარგისთ. რიგიანი ქალი იმათ ქმრათ არც კი იკადრებს. მაშასადამე საზოგადო აზრში ესენი არიან უფრო დამნაშავენიც, რადგან ვერ ასრულებენ საზოგადო მოსაწონ საქმეებსა. მაშასადამე აქ ვისაც კი შეეძლო, ყველა უნდა შესდგომოდა საზოგადო მოსაწონარ საქმესა. და ისეც იყო. აიღეთ, განიხილეთ კარგათა, შეადარეთ აბრაგები ისე მშვიდობიან ხალხთა სამეგრელოში; შეადარეთ მარჯვე და გამოჩენილი ქურდი ისე უბრალო უმანკო მეგრელს და თქვენ ნახავთ, რომ საუკეთესო ვაჟკაცნი, საუკეთესო ნიჭიანი კაცნი შესდგომიან ქურდობასა და აბრაგობასა და უო-

გლად უხეირონი და უნიჭონი დარჩენილან ამ ხელობის გარეთ, არამც თუ სამეგრელოში, ყველგან ისე, რომ საუკეთესო მხნე და ნიჭიერ-ნი შესდგომიან იმ საქმეებსა, სადაც უფრო გამოსაჩენი და შესაძენი საქმეა. თუ კაცი არ შესდგომია იმ საქმეს, რომელიც საზოგადოები-საგან მოწონებულია, თუნდა რომ ეს საქმე ცხადი სავნებელიც იყვეს, ის კაცი არ ვარგა სრულიად. რიგიანი კაცი არა მოწონებულს საქმეში არ დარჩება უკანა, თუ არ არის გონებით გახსნილი და არ არის დარწმუნებუ-ლი, რომ ეს საზოგადოების მოწონებული საქმე ცუდია. ამგვარი კა-ცნი იპოვებიან ძალიან ძნელად თვით უგანათლებულესთ ხალხთ შორი-საც და სამეგრელოში, ხომ ან სულ არ უნდა იყვნენ, ან თუ არიან— უნდა იყვეს იშვიათი. სხვები თუ არ გაჰყოლიან საზოგადოებისაგან ნაქებს საქმესა, ამტკიცებს სრულს იმათ უნიჭობასა, უძლურებასა და უხეიროებასა. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ყველა ქურდებსა და აბ-რაგებს გადუწყვიტეთ დაკარგვა და დალუპვა თავის სამშობლოდამ, მა-შინ როგორა ჰფიქრობთ: სარგებლობასა უშვრებით ხალხსა, თუ ზა-რალსა? რასაკვირველია სრულიად დარწმუნებული ხართ, რომ სარგე-ბელსა. მაგრამ აი რა ზარალს უშვრებით და ვნებას აძლევთ ქვეყანას და თქვენდა უნებურათა ჰსდებით თვით ისეთი დამნაშეები, რაოდენ-საც ვერც ერთი დამნაშავე, რომელსაც თქვენა ჰსჯით ვერ იზავს. წე-ღან დავატკიცე, რომ საუკეთესონი არიან ქურდნი და ავაზაკნი; უა-რესნი და უხეირონი ამ ხელობას გარეთ დარჩენილნი. დაიკარგნენ სა-უკეთესო ძენი ქვეყნისა, დარჩნენ უარესნი. ჯერ ერთი ესა, რომ ამ უარესთ როგორ უნდა შეინახონ ქვეყანა და ხომ დარჩნენ ამ დაკარ-გულთ ვაჟკაცთა ცოლშვილი უსაზრდოვოთ, რომელთაც მხოლოდ ეს და დარჩენიათ, რომ ახლა თითონ იქურდონ, იუნამუსავონ და პა-ტარას ხანს უკან თითონაც თან გაჰყვნენ ქმარშვილსა. მაშინ, გკით-ხავთ, ვიღასთვის არის ეგ თქვენი ზრუნვა?! მეორეც ესა, თუნდა აწეც

არ მოხდეს, და მოისპოს ამით ქურდობა და აბრაგობა, რაც მოუვათ იმ ნიჭიერთა და მმოძრავთ მეგრელთა? თქვენ უკეთ გაგიგიათ იცით და შემჩნეული გექნებათ ბუნების კანონი, რომ კარგი დედმამისაგან ჩამოდიან კარგი შვილები, ცუდებისაგან—ცუდნი. ამ კარგებს რომ დააკარგავთ, ხომ გაწრიოკდა, გაუნიჭოვდა, გაბედხეირდა ამისთანა ნიჭიერი და მახვილი ხალხი, როგორც მეგრელნი. რაკი გაუნიჭოვდებიან, წახდებიან და დაიგვალებიან, ხომ გაგიხდათ თქვენვე თავში საცემრათ და დასაწვავთ კისერზედა! ამაზედ თქმა აღარ უნდა თქვენი ყურადღება არავის მიუგდევია. მაგრამ აქ გმართებთ დიდი დაფიქრება, თუ არ გინდათ რომ ჩაავგდოთ თქვენი თავიცა და მთელი ქვეყანაც საუკუნო უბედურებაში; თუ არ გინდათ რომ შთამომავლობისათვის, რომელიც უმეწყვლის მისვდება ავსა და კარგსა, დარჩეთ უსამართლოთა და მთელათ უშვერ ხალხათ.

ახლა გადავიდეთ იმ ღონისძიებასთან, რომელიც არის ნამდვილი წამალი ამგვარათ საზოგადოების სიწამხდრისა და აშლისა. როგორც ხალხი არის წამხდარი ცუდის მაგალითებით, რომელსაც ისა ჰხედავს თვის გარშემო, როგორც არის წამხდარი ცუდის გაზრდილობით; ისე ამ ხალხს გააკეთებს მხოლოდ კარგი მაგალითი და კარგი გაზრდილობა. როგორც კაცს აქნევინებს სიმშილი და სიღარიბე ცუდს საქმეებსა, ისე როცა ჩაავგდებ ხალხს კარგს მაგალითებში, კარგს გაზრდაში და მისცემ ცხოვრებისა და შრომის სახსარსა, ის შეიქნება კარგი და კეთილი. ამისგამო არის უპირველესათ საჭირო, რომ გახადოთ ყველა კაცი თავის საქმეში თავისუფალი, მხოლოდ ამ თავისუფლებით არ ავაწროებდეს სხვის თავისუფლებას, რამდენსაც საზოგადო წრეში იმას ეს თავისუფლება ერგება; მიეცით ხალხს ადგილი სახემწიფო საქმეებსა და მმართველობაში. დაუმართეთ გზები. მიეცით საყოველთაოთ სწავლა, სწავლა ნამდვილი, რომელიც აგითარე-

ბდეს იმას ბუნების კანონების გამოკვლევასა და მოვლინებებში და საზოგადო კანონებსა და მოვლინებაებში. მიეცით ხასხარ[illegible] ხა შეძლოს ერთს მეორეზედ წარმატება. ამ გზაზედა სდგას დღეს ხა-ფრანგეთი; ყოვლის თვის ძალითა ამაზედ ხდგანან და ზოგში კიდეც ჰაჭარბებიათ ამერიკას, შვეიცარიას და კიდე ზოგიერთებს. თქვენში უფრო ადვილია ეს საქმენი, რათგან, როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი თქვენში ცრუ ცივილიზაციის აზრი არ არის დამკვიდრებული და ძვალ-ხს და რბილში გატანებული. თქვენი მაღალი ნიჭი, თქვენი უხვი ბუ-ნება, თქვენი მდებიარება ყველა გაძლევთ ნებასა, რომ ყველაზედ უფ-რო ადვილათ შეასრულოთ ეს საქმენი და თქვენი ხალხები ჩააგდოთ ბედნიერებაში. ერთის სიტყვით მოაშორეთ ბოროტის მომქმედთ ამ საქმის აღმძვრელნი გარემოებანი, და მაშინ აღარ მოგინდებათ იმ გა-ცთა დასჯა, რომელნიც თავის ცოდოებში არ მოუძლვით არა ვითარი დანაშაული; მაშინ აღარ მოგინდებათ თქვენ სინიდისზედ აღება ათასხის კაცისა და იმათისის ცოლშვილის საცოდაობისა. ახლა იმედი მაქვს, რომ არც ერთი თქვენგანი არ ისურვებს სვიტიას დასჯას, რათგან ყველა თქვენგანი დარწმუნებული უნდა იყვეს, რომ სვიტია არის ცუ-დი საქმეების მომქმედი, მაგრამ არა აქვს დანაშაული. დასჯა შეესაბა-მებათ მხოლოდ დამნაშავეთა შემცდართ იმიტომ არა სჯის კანონი, რომ აქვს სახეში, რომ შემცდარს არ ესმის თავისი დანაშაული, ეხე იგი იმათი გონება არა ჰხედავს ამ საქმეში არაფერს ცუდსა. ეგრეთვე ხვიტია და მაგის მსგავსნი არა ჰხედამენ არაფერს თვის საქმეებში ცუდსა. მაგათი გონება დიდის მუმუდამკე შეწყვლილია მაგ ცუდს საქ-მეებსა, როგორც კარგს და რიგიანს საქმესა. ეგენი სრულებით ვერა ჰხედამენ მაგათს სიცუდეს.»

აქ მარხელელმა ადვოკატმა გაათავა. ბრძო ხალხისა სულგანაბუ-ლი უგდებდა ყურს ამ პირველათ იმათგან გაგონილს სჯასა. გაათავა

ადვოკატმა და რამდენიმე წუთი ხალხი იყო ისევ გაჩუმებული და გა-შტერებული უყურებდნენ ადვოკატს. მერე უცებ შეიქნა [illegible] და ღაღანი. ეკა ეცა ადვოკატს და დაუჭირა ორივე ხელით ხელები და გახარებული უცხადებდა მადლობას. ბრალმდებელმა რამდენჯერმე ჩაახველა და წამოდგა. ხალხი ისევ დაეშვა მერხსა და განაბა სული. ისინი ელოდნენ მოუთმენლად, თუ რა პასუხს უგებდა ის ადვოკატს. იმან დაიწყო.

«არ შემიძლიან, რომ არ ვეთანხმო ბევრში უფ. ადვოკატს. მაგრამ არ შემიძლიან კიდევ უფალნო მოსამართლენო და დაფიცებულნო არ მივაქციო თქვენი ყურადღება რამდენსამე გარემოებას, რომელიც გაუშვა მხედველობიდამ უფალმა ადვოკატმა და ურომლებითაც თქვენ მართლაცა და უნდა გეწყენოთ, ვითომც ხვიტიას დასჯით ჩაიდენდით უსამართლობას. უფალი ადვოკატი გვიმტკიცებს, რომ თითქმის ყოველი ცუდი ზნე კაცისა წარმოსდგება გაზრდილობისა, გარემოებისა და ცუდის მაგალითებისაგანაო. ამაზედ შეუძლებელია რომ არ დავეთანხმდეთ. ამის წამალი არისო, ბრძანებს ისა, რომ ეს გარემოებანი ჩამოვაცალოთ, მივცეთ კარგი შესაფერი გარემოებანიო და სიცუდე და ბოროტებას მოისპობაო. ესეც ყოვლად ჭეშმარიტია. მაგრამ როგორც ხალხის წარმატებისათვის არის საჭირო ბევრი ხანი, ეგრეთვე იმის ამ სიწამხდრიდამ გამოყვანისათვის. ამგვარათ ხალხის შეცვლას, როგორსაც გვიქადაგებს ადვოკატი უნდა დიდი დონისძიება; უნდა გაცნი, რომელთაც შეეძლოთ ღირსეულად დაჭერა სახალხო სასწავლებელი ადგილისა, რომ თავისის ცოდვნით, თავისის ზნეობით, თავისის ხალისით გადაახალისონ და გაწრთვან ხალხი. სად არის, გკითხულობ მე ამოდენა ღონისძიება საქართველოში, რომ ერთბაშათ დაიმართოს მაღალი სასწავლებლებიც და სახალხო სასწავლებლებიც, სადაც ასწავლიდნენ ნამდვილს მეცნიერებას, კაცის გონების გამხსნელს

და ბუნების დამმორჩილებელს? ამასთან, სად არის იმდენი სწავლულნი, რომ ყველა ამგვარს სასწავლებელში დავაყენოთ თითოეუ[illegible]? ამ ღონისძიების მოპოვებას უნდა მრავალი ხანი და ამგვართ კაცებთა მომზადებას კიდევ უფრო ბევრი და ამაზედ კიდევ უფრო ბევრი დრო უნდა ასლა ამ კაცთაგან თვით ხალხის გაწრთვნასა. ეს ძალიან გვიანი საქმეა, ამას უნდა მოველოდეთ მხოლოდ შორს მამავალში. მინამ რა უნდა ვქნათ? მინამ ხომ იტანჯა მუშა და მშრომელი ხალხი? მინამ ხომ ამოუვიდა სიღარიბეში ხალხს სული? ქურდობა და აბრაგობა ისეთი ბოროტებაა, რომ როგორც სხვებს უკარგავს ხალხს შრომასა და შეძენაზედ, რათგან ყოველი მოღვაწე თავის ნაღვაწლს არა ჰრაცხავს თავისათ, ეგრეთვე არა მდიდრდებიან და არა კეთდებიან აბრაგნი და ქურდნი, რათგან ისინი ნიადაგ სცდებიან ამ საქმეებზედ და მაშასადამე თავისის ღვაწლით არა ჰმატებენ ბუნებიდამ არაფერს საზოგადოებასა და სცხოვრებენ სხვის შრომითა, რომელიც, რასაკვირველია, არ ეყოფათ ორივე მხარეს, მეტადრე მაშინ, როდესაც ეს მშრომელნიც ამ ქურდთა და აბრაგთა გადამკიდე არა შრომობენ საკმაოთ; მეორეც ესა, არა მდიდრდებიან იმიტომ, რომ აშურებენ ნაქურდლისა და ნატაცები საქონლის მალე გასაღებას და ჰყრიან თითქმის უფასურათა; მესამეთა იმიტომ, რომ ხშირათ თვით ამათაც სცარცვამენ და ჰქურდამენ სხვები; მეოთხეც იმიტომ, რომ ხშირათ პატრონები პოულობენ ამათს ხელში ნაქურდლებს და ახდევინებენ ერთი ორათ, ერთი შვიდათ. ამგვარს მდგომარეობაში ცხადი საქმეა, რომ ხალხი ნიადაგ გაჭირვებასა და სიღარიბეში უნდა იყვეს. რაკი ხალხი იქნება ღარიბი და გაჭირვებული, ჯერ ერთი ესა რა გული ექნება სწავლისა და წრთვნისა; მეორეც ესა, რა ღონისძიებით და შეძლება, რომ დაიმართოს გზები, სასწავლებლები და რიგიანი წესდებულებანი. ამათ ყველას უნდა დიდი ღონისძიება. საიდამ შეიძინს ხალხი ღონისძიებას, თუ ეს

წესი სხვა რამე ღონისძიებით მცირეც არის არ შეიცვალოს? მამაკაცის ბედნიერება არის დამოკიდებული ღონისძიებაზედ. ღონისძიებანი მოპოვება—მოსპობაზედ იმ გარემოებათა, რომელიც ჰბადავს უღონისძიებლობას. ეს გარემოებაც ის არის, რომ მოისპოს ქურდობა და აბრაგობა. თუ არ მოისპოს—შემცირდეს მაინც. მართალია, თუ ყველა ქურდნი და აბრაგნი მოვსპოთ ახლად დაპყრობილს ქვეყნებში, ზარალის მეტს, სარგებლობას ვერ მოუტანთ, რადგან საუკეთესო ხალხისა და მამეტებული ნაწილის მოსპობა მოგვინდება. მაგრამ თუ მეორეს მხრივ სულ მთლად დაუსჯელად გაუშვით და მივანებოთ თავი ყველასა, მაშინ ჩვენ ვნახავთ იმ საშინელებასა, რომ ძმა ძმას აღარ დაინდობს და შვილი მამასა. ამისგამო მაგალითისათვის უნდა დაისაჯნონ პირველი გამოჩენილი ქურდნი და აბრაგნი სამაგალითოთა, რომ ამათი მნახველნი სხვებიც შეფიქრიანდნენ და შეიკავონ, თავი აყაზაკობისაგან. ამითი, მართალია, მთლათ და ერთბაშათ იქნება არ მოისპოს ავკაცობა, მაგრამ უეჭველია, რომ არ შემცირდეს. შემცირდება ამათი მაინც, რომ უარესნი მოაკლდებიან მხარესა და ამათგან მაინც ქმნებათ დასვენება ხალხსა. მაშინ ხალხი ცოტ ცოტათი ისევ წასალისდება საქმეზედ, ცოტ-ცოტათი დაწინაურდება ხალხი ღონისძიებით და ცოტა ცოტათი დაიწყებს ის წესებისა და ღონის მიებების შემოღებას, რომელსაც გასწავლის უფ. ადვოკატი. ამისგამო, უფ მოსამართლენო და მაბჭობელნო, თქვენ არ უნდა გაუშვათ დაუსჯელათ მაცი ხვიტია, რომელიც არის, უპირველესი აბრაგი სამეგრელოში და რომლისაც დასჯით თქვენ მოუტანთ დიდს სიკეთეს მთლად სამეგრელოს და რომლითაც თქვენ განწმენდთ თქვენს სინიდისს მით, რომ გექნებათ ხელში დაშინება სხვათა ქურდთა და აბრაგთა და ამით წარმატება ხალხისა. თუ არა და ყოველს შემთხვევაში, როდესაც გაიგონებთ თქვენ სამეგრელოს სიღარიბეს და ავაზაკთაგან შეწუხებას, თქვენი სინიდისი ჩაგძახებთ, რომ თქვენა ხართ ამაში დანაშაულიო.»

უფალი ბრალდებული გახდა ყველაში ჩემი თანახმა. იმან კერძ კი იცის რა, — დაიწყო ისევ ადვოკატმა, — რომ შესდგომოდა დამტკიცებას, რომ ხვიტია და მის მსგავსნი კაცნი არიან თავის საქმეში დამნაშავენი. მაშასადამე ის გახდა თანახმა, რომ იმათ არ მიუძღვით დანაშაული. მეც ეს მინდოდა, რადგან კანონიცა და სინიდისიცა მხოლოდ სჯიან დამნაშავეთა. უფ. ბრალმდებელი თხოულობს, რომ დაისაჯოს ხვიტია ისე კი არა ვითარცა დამნაშავე, არამედ დაისაჯოს მაგალითისათვის. წელან მე დავამტკიცე და თვით ბრალმდებელიც გამასდა თანახმა, რომ ქურდობა და აბრაგობა რაკი საქებური იყო ხალხში, რაც უფრო გამოჩენილი ქურდი და აბრაგი იქნებოდა, იმდენი უფრო მოხსენონი იყო, და ეს ქურდნი და აბრაგნი იყვნენ საუკეთესო პირნი ხალხში როგორც ნიჭიერებით, აგრეთვე აგებულებით. ახლა გკითხავთ, ვინ უნდა დაისაჯოს მაგალითისათვის? ის კაცი, რომელიც პირველი გამოვიდა მთელს ხალხში თვისი ნიჭიერებითა და იმ საქმეებში, რომელნიც იყვნენ საჩინონი მთელს ხალხში? ეგ გამოდის ბოროტების დევნა კი არა — ნიჭიერების დევნა, რადგან ხვიტიამ სრულიადაც არ იცოდა, რომ ჩადიოდა ბოროტ საქმესა და არც მოელოდა, რომ შეურთდება იმ ხალხსა, რომელსაც ამასთანა საქმეები არ მოსწონსთ. იმასა ჰქონდა მაღალი ნიჭი, დიდი სიმკვირცხლე და ესენი ჩინა იმ ხელობაში, რომელნიც ამაღლებდნენ კაცს ქვეყნის თვალში. რაც შეეხება იმასა, რომ ხალხი გალარიბებულია ქურდობისა და აბრაგობისაგანა და არ შეუძლიან შეიტანოს ის წესები და დაწყობილებანი, რომლებიც იმას გადაახალისებენ და დააყენებს სხვას გზაზედაო, ამის ღონე სრულიადაც არ არის დასჯა უდანაშაულოთა. ერთს მოსპობთ, მეორე გამოჩნდება. აქ კანონი ბევრს ვერას გახდება, რადგან ყველასათვის საზოგადო აზრი უფრო ძლიერი და აღმძვრელია, ვიდრემ შიში და კრძალვა კანონისა. კანონს იქა აქვს დიდი ძალა, რა

ხალხის აზრზედაც ის არის დაწერილი, რომლითაც კანონის სჯის იმ კაცთა, რომელნიც თვის ქცევით არიან წინააღმდეგნი საზოგადო აზრისა და შემოღებულისა. ამისგამო არც ერთს რიგიანს ხალხს არ შეჰფერის სხვა ხალხში იმ კანონების შეტანა, რომელნიც აღძრულან და დაწესებულან სხვა ხალხის ცხოვრებასა და გარემოებაში. ყველა ხალხს აქვს თავის საკუთარი გარემოებანი, ჩვეულებანი, დაწყობილებანი, რომლისაც სამნი არიან სვანი. ერთი ხალხის ისტორიულს ცხოვრებას რომ შეუმუშავებია ერთნაირი ჩვეულება და აზრები, მეორე ხალხში შეუმუშავებია სრულებით წინააღმდეგნი. ახლა როგორ უნდა ერთი ხალხის კანონით დავსაჯოთ მეორე, როდესაც ერთიც თავის შემუშავებულ მხარეს ჰპოვებს სამართლიანათ და მეორეც? აი ამგვარათ, მეგრელების მსგავს ხალხში არ გამოდგება სხვების კანონები. ამათ მხოლოდ გონების გაღსნით უნდა დაანახოთ თავისი შეცდომილებანი. ღონისძიებაც ამგვარათ გონების გაღსნისა არ არის სასჯელი, როგორც ჰპოვებს უფ. ბრალმდებელი. ჯერობით თუ ხალხს ფული და სხვა ღონისძიება არა აქვს, ჯანი კარგი აქვს. გამოიყვანეთ ეს ხალხი და დაამართვინეთ გზები. რაკი ექნებათ გზები, ამათს ნაყოფიერებას ექნება გასავალი გარეშე ხალხებში. რაკი ამიდამ დაინახავენ სარგებლობას, მრავალნი თვით ქურდნი და აბრაგნი მიჰყოფენ ხელს ნაყოფიერებას, და ჰპოვებენ, რომ აქედამ უფრო სარგებელში არიან, ვიდრემ თავისას ხელობითა. ამასგარდა, რაკი ექნებათ გზები, დაიწყებენ აქ სიარულს უცხო ქვეყნელები რომლებსაც, თუ სხვაში არა, ტანისამოსსა და გარეგანს სანახაობაში მაინც მიჰბაძავენ, და ყველგან განათლება ეპარებათ უმეტეს ხალხებს გარეგანის სახსახობის გადაღებიდამ. შეიძენენ მცირე ფულებს თავისას ნაყოფიერების გასაღებით, ექნებათ კარგი გზები და გავლენ სხვა ქვეყნებში, ნახვენ იქაურს ცხოვრებას და დარწმუნდებიან, რომ იმათი ცხოვრება და მდგომარეება

სჯობს, ამათისას. მაშინ თითონაც მიჰბაძავენ იმათა. რაკი [illegible] ამგვარი მოთხოვნილებანი, დაინახვენ საჭიროთ ვაჭრობასა, რომლითაც დააკმაყოფილონ ეს მოთხოვნილებანი. ვაჭრობა გაუიაფებს იმათ გარედამ შემოტანილ საქონელს და მოაგებინებს შიგნით მოყვანილს საქონელში. ამგვარათ შეიძვრის ცხოვრება, დატრიალდება ხარხო. აქ შესაძლებელიც იქნება ცოტ-ცოტათი სასწავლებლების დაწესება. ამასგარდა, დღეს დიდი ალაგი უჭირავს სესხსა. დაუწესეთ რიგიანი ბანკი, საიდამაც შეეძლოთ სესხი. ამასგარდა პირველი დაწყობილებებისათვის, უშოვნეთ და მიეცით სარგებლითა. ამ ნასესხი ფულებით დაუმართეთ ის სასწავლებლები, რომელიც საჭიროა ამათის ბუნებისა და გარემოებისათვის. ეს სასწავლებლები ამათ უცებ დაანახვებს, რომ ამათს ბუნებაში ცარცვა და ქურდობა არ არის სასარგებლო, რო ბუნება უფრო უხვად აჯილდოებს, ვიდრემ ქურდობა. შევლენ ცნობასა და წარმატებაში და თავის ვალს მალე გადიხდიან. აქ საჭიროთ არა ვრაცხ ყოველი ღონისძიების ჩამოთვლას. ეს ორი მაგალითიცა კმარა ჩემს საბუთათ. აქედამ მოვა ყველა ახალს წესზედ. აქ მხოლოდ არის საჭირო რიგიანი ხელმძღვანელობა. რიგიანი ხელმძღვანელი ამ ნიჭიერს ხალხს, ამ უხვს და შემკულს ბუნებაში მალე დააყენებს ფეხზედ, ასე რომ რამდენიმე ათის წლის განმავლობაში, იქნება ეს ხალხი აღარც კი ჰგვანდეს თავის თავს. მაშასადამე აქაც ამათ ბრალდება დასჯა იმ კაცთა რომელთაც უმანკოებაზედ დამთასისმდა უფალი ბრალმდებელი და რომელთაც მაღალს ნიჭიერებაზედ არ არის იჭვი. ამისგამო, მე ვფიქრობ უფალნო მოსამართლენო და დაფიცებულნო, რომ დიდი შეცოდება იქნება წინაშე სინიდისისაცა და წინაშე კანონისაცა გისრად ღება უდანაშაულო კაცის დასჯისა. ამითი ვერ მასცდებით თქვენ ვერც იმ საწადელს, რომელსაც აღგითქვამთ თქვენ უფალი ბრალმდებელი. პირიქით ამგვარი კაცები არიან პატივსაცემნი, რადგან სხვა გარემოებაში,

სხვა მდგომარეობაში, ესენი თავისის მაღალის ნიჭით და მხნეობით იქნებოდნენ ქვეყნის ფეხზედ დამყენებელნი.

აქ დაფიცებული მაბჭობელნი გავიდნენ მოსასზრაკათ მათის გადაწყვეტილებისა.

ხალხი მოუთმენლათ ელოდა გადაწყვეტილებას. ეგა იცვლებოდა წამდა უწუმ ფერიდამ. ხან ერთებოდა თოვლსავით, ხან ფითრდებოდა სულ მთლათ. ის ყოველს მოძრაობაზედ, ყოველს ჭრაჭუნზედ, სტებოდა და იყურებოდა იმ მხარისაკენ, საიდამაც უნდა გამოსულიყვნენ დაფიცებულნი. თვით ადვოკატიც დიდის მოუთმენლობით ელოდა გადაწყვეტილებას და იკვნეტდა ტუჩებს.

მათი უფრო სხვა ფიქრმა იყო იმ დროს: ისა ჰფიქრობდა, რომ როგორ მოეხერხებინა, რომ გაგცეულიყო.

შემდეგ ბევრის ხნის განშორებისა, დაფიცებულნი მაბჭობელნი გამოვიდნენ. ხალხი წამოდგა ფეხზედ და მთლათ გატაცებული ელოდა გამოცხადებას. დაფიცებულთ გამოუცხადეს, რომ ისინი არ არიან მომზადებულნი ამგვარი ორთავე მხრივ წარმამდგარი აზრების გადასაწყვეტათ და ამის გამო ვერ კისრულობენ ვერც გამტყუნებას, ვერც გამართლებას.

ამ დროს წარმოსდგა მეფის მოხელე ერთი, რომელსაც ებარა იმჟამათ სამეგრელოს გამგეობა და გამოაცხადა კანონის სახელით, რომ ის იჭერს მათი სვიტიას და უწყვეტავს მადნებში სამუშაოდ დაკარგვას. მათის შემოერტყნენ თოფიანი ჯარის კაცნი და გაუძღვნენ საპყრობილესაკენ.

44.

მთვარიანი ღამე იყო. აქა იქა ირეოდა ღრუბლები. საშინელს ტალახში, რომელიც დამდგარიყო დღის ავდარზედა, საშინლათ აბრ-

კოლებდა ერთ ოროოდე ყარაულსა, რომელნიც მიელალებოდნენ მაცის და სამს სხვა ავათმყოფს ტუსაღს ქუთაისისაკენ, სადაც უნდა გაესტუმრებინათ ისინი მადნებში სამუშაოთა. მაცი უცებ შეიქნა ავათ. ყარაულებმა მისცეს ნება ურემზედ დაჯდომისა. მაცი დაუჯდა ხელფეხ შებორკილი და გაეხვა ნაბადში. უცებ მოისმა შორიახლო სამი თოფისა ერთათ გავარდნა. ყარაულებმა ცქვიტეს ყურები. იმათ დაამზადეს თოფები. გავიდა ხანი და არავინ გამოჩნდა.

— ალბათ თუ ვინმე მასხარობს,—გადასწყვიტეს ყარაულთა და დაიმშვიდეს ისევ გული.

— მაცი კი ავათ არის და ვერ წაგვივა, თუნდაც რომ მოუშველნენ,—დაიმშვიდეს ამითიც გული, და დაიწყეს ისევ ლაზღანდარობა, და აქეთ იქით ჭყიპურტება.

თოფების ხმის გაგონებაზედ, მაცი მთლათ მოიბღუნძა ნაბადში, როგორც მუცელ დაგვრემილი კაცი. იმან დაუწყო ხელებზედ ბორკილების წვა. ისინი ედებოდნენ სახსრებზედ მაციმ გასწია რაც ძალი და ღონე ჰქონდა, და გაიძრო ცალი ხელიდამ. სისხლი თქრიალით წავარდა. ბორკილს თან გაჰყვა მთლათ ხელის ზურგის ტყავი. გაიძრო მეორე ხელის ბორკილი და დარჩა მეორე ხელის ზურგიც უტყაოთ იმან დაიწყო მუშაობა ფეხებზედ. აქ უფრო გაძნელდა საქმე. ბოლოს გასწია და გაიძრო მარჯვენა ფეხიდამ, რომელზედაც ბორკილი ჰქონდა გაკეთებული სამათ ნაკეცილს მარვლის ტოტსა და პაჭიჭზედ. მაციმ გაიძრო და გაატანა თან მრავალი ხორციცა, მარცხენა ფეხიდამ. იმან უცებ ისკუპა და გადახტა წინ ურემზედ, რომლიდამაც გადააგდო მარს მეურმე. ჰკრა ქიშტი და დასცა წინა ყარაული, რომელსაც უცებ გამოსტაცა თოფი. აქ მოაგონდა მაცის ნაბადი, რომელიც დარჩა ურემზედ. მობრუნდა ერთი თვალის დახამხამებაზედ, ეცა ნაბადსა, აიტაცა და გასწია. ამ უცნაურს ამბავზედ ძლივს მოვიდნენ

ყარაულნი გონსა. იმათ ერთბაშათ დაადევნეს თოფები. ერთმა ტყვიამ გაჰკრა მარცხენა მხარეში. მაციმ არ შეიმჩნია და გაფრინდა ჩვეული სისწრაფით. ყარაულები დაედევნენ უკან და შეჰყვნენ თან ტყეში. ყუცებ დაინახეს ყარაულთა, რომ მაცის მიაგება ვიღამაც ცხენი და გასწია. ყარაულნი შეწუხებულნი დაბრუნდნენ და ამცნეს მახლობლათ მყოფთ იმერთა მეფის მოხელეთა. იმათ მსწრაფლ აცნობეს გარშემო მცხოვრებთ. მთელი სამეგრელო თითქმის ამავე ღამეს დააყენეს ფეხზედ.

იმავე ღამეს მაცი და ეკა, რომელმაც დაახვედრა ამას გზაში ცხენები და რომელთანაც შეითქვა ის იმ ალაგას შეყრასა, ჩავიდნენ ყულევს გემზედ ჩასასხდომათ, რომ გასულიყვნენ სამეგრელოდამ. იმ ღამეს არ იყო გემი. მეორე დღეს გამოჩნდა მლივს გემი, რომელიც უნდა მოსულიყო გზათა, წაეღო აქედამ ბარგი და წაესხა წამსვლელები. მაცისა და ეკას დაუწყო გულმა სიხარულით ცემა. ისინი ჭმოდებოდნენ იმ ქვეყანას, სადაც გამოიარეს ამდენი მწუხარება, ამდენი ტანჯვა, თრევა, უპატიურობა ტყვეობა და სხვა ამგვარები. ეკა გახარებული ეხვეოდა მაცის.

— აწი კი ვეღარავინ წარმტაცებს შენს თავს. კი ნახავ, რავარც გონივრული და ადამიანური ცხოვრება, სადაც მე ჩავარდი უშენოთ. მის ღელეში კი ოდიში აღარა გაგახსენდება. მაგ წყლულებს კი მალე დაგირჩენ. აწი კი ღმერთია მოწყალე.

— ჩვენ დამშვიდება მაშინ გვმართებს, როდესაც მივალთ მის ადგილას მანემდის ჩვენი თავი კიდევ საფთხურშია.

აქ რომ ესენი ამას ლაპარაკობდნენ, უცებ მოჰკრეს ყური, რომ ჯარი მოდის და მაცის ეძებენო. აქ გემის მოცდა აღარ იქნებოდა. ისინი შესხდნენ მაშინვე ცხენებზედ და გასწიეს ანაკლიის გზისაკენ, იმ იმედით რომ იქაც არის იქნება შევხვდეთ გემსაო. იმათ დაიწყეს იხე ჩქარა სიარული, რამდენსაც კი ნებას აძლევდა მაცის წყლულება. მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტმა სისხლის დენამ და ტკივილებმა მაცი მთლად დაასუსტეს. ისინი ვერ მიდიოდნენ იმდენათ ჩქარა, რამდენათაც კი საჭირო იყო, რომ გასცლოდნენ მდევარსა. მდევარი მოსდევდა ამათ კვალ და კვალს. ანაკლიაში ამათ ვერა ნახეს გემი. ჯარის ხმაურობა თითქმის ესმოდათ; მაცი შიმშილისა და დაჭრილობისაგან შეწუხდა. ის ვეღარ იმაგრებდა ცხენზედ თავს. ის ეჭირა ეკას ცალის ხელით და მიერეკებოდნენ ისე ცხენებს. ამათი უკან დაბრუნება აღარ იქნებოდა. ეკამ მოახერხა გასვლა გუდაუთში, სადაც იქნება, რომ დახვედროდა გემი. მაცის მეორე ცხენზედ შემაგრება გაჭირდა. ეკამ გაუშვა თავისი ცხენი და შემოუჯდა მაცის უკან. იმან შუაღამისას შეაგდო საშინელს ინგურში ცხენი და შემდეგ მრავალის ტანჯვისა, გავიდა გაღმა, სადაც ცხენი დაღალული მგზავრობისა და წყალთან ბრძოლისაგან, სრულებით მოუშვა და დაწვა. ამავე ღამეს ეცა განარჯიას მუხვრს ერთს ყაძახის სახლს, იშოვნა ბლომათ ღომის ჩალა, სიმიდი, სულგუნები, ღვინო და მჭადი. იშოვნა შესახვევები და მოვარდა საჩქაროზედ. იმან შეუხვია მაცის წყლულები, მოანაყრა პატარა, დაალევინა ღვინო. მოაჭამა ცხენს ჩალა და სიმინდი. გაიხედა მთვარიანს ღამეზედ და დაინახა ინგურის პირზედ გაღმიდამ ჯარი მოსული, რომელიც როგორც ეტყობოდა ათვალიერებდა, თუ როგორ უნდა გამოსულიყვნენ აქ ესენი. ამასთან ეკამ შენიშნა რომ ჯარი ბრუნდებოდა ქვემოთკენ, როგორც ეტყობოდა ფილუკებით გამოსასვლელათ. მაცის აღარ შეეძლო სიარული და უჭირდა მოსვენება. ცხენი ეგრეთვე იყო მოქანცული. დასვენება უჭირდა ამასაც. ეკამ მოახერხა, რომ პირობიდამ ჯერ კარგა შეუგვიანდებოდა ჯარსა. ამისგამო განიძრახა მანამდინ შესვენება, ვიდრემ მაცი და ცხენი შეისვენებდნენ. ეკამ მოიფიქრა, რომ დაეთვალიერებინა ზემო მხარეცა. ის წავიდა კარგა მოშორებით. იმან შენიშნა დიდი ჯარი, რომელიც, როგორც ეტყობოდა, ერტყმოდა ტყესა და უახლოვდებოდნენ

იმასა. ეგა მაშინვე ეცა მაცისა. დაუოკნება აღარ შეიძლებოდა. ისინი იყვნენ საშინელს საფარში. ერთს მხარეს ზღვა, მეორე მხარეს ინგური, მესამე მხარეს ჯარი, მეოთხეს ტყე. სამურზაყანოს ზღვის პირას ტყე, საშინელი შესაზარავი, საშინელი მიუდგომელი და უკაცური. ეგას მეტი გზა არ დარჩენოდა, უნდა შეჰფარვოდა ტყესა, რომელსაც ყოველ მხრივ ერტყმოდა მართებლობის განკარგულებით დიდძალი ჯარი, რომ არსად გაჰსლოდათ მაცი თავისის ეკათი. ეგა მიელალებოდა ცხენს, რომელზედაც იჯდა ცოტა მოღონივრებული და შესვენებული მაცი. ეგას ცხენი ეჭირა სადავითა და მოუძღოდა წინ. ისინი შევიდნენ საშინელს უდაბურს და ჭაობიანს და საფლობიანს ტყეებში. ისინი მიდიოდნენ უგზო უკლოთ. იმათ ესმოდათ ჯარების ხმაურობა, რომელიც, როგორც ეტყობოდა მისდევდნენ კვალ და კვალს. ცხენი თან და თან იფლობოდა და ვეღარ ამოდიოდა საფლობებიდამ. მაცი თან და თან მიუძლურდა, ხმაურობა თან და თან მოასლოვდა. კვალზედ ისინი ვეღარ წაუვიდოდნენ. ეგამ გადმოსვა მაცი ცხენიდამ. დაუშინა ცხენს მათრახი და გააგდო უკან. ცხენმა ფრუტუნით გასწია ტყიდამ გასასვლელათ და შეეფეთა ჯარსა, რომელმაც მსწრაფლ სტაცა ამას ხელი. იარეს კვალზედ კიდევ ჯარებმა და უცებ დაიკარგა ცხენისაცა და კაცისაც კვალი. ჯარები გაოცებულნი ეძებდნენ კვალსა, რომელიც უეჭველია რომ არ დასჩნეოდა ამ მუდამ ტალახიანს და საფლობს ადგილებში, აქ ჩიტიც ვერ გაივლიდა, რომ კვალი არ დასჩნეოდა და ორი კაცის კვალი კი სრულად არსადა სჩანდა. ჯარს აურია დავთარი.

ეგამ როგორც გადმოსვა მაცი ცხენიდამ, მიებჯინა მხარში და უმარჯვა იმ ხშირს ტყის ადგილებსა, სადაც ბლომათ ეყარა დანტვრეული და დაყანდებული ხე. იმან იარა და ატარა მაციც ამ ხეებზედ, რომ იმათი ფეხი არ მოხვედროდა მიწასა, სადაც კვალი ფეხისა ცხა-

დათ აწნდებოდა, იარა ასრე, ვიდრემ შესძლებდა მაცი სიარულსა. მაციმ ველარ შესძლო სიარული. ეკამ შეიტკვნა პატარა და მოიგდო მაცი ზურგზედა. ამგვარათ ხეებზედვე სიარულით ატარა ეკამ მაცი კარგა ხანს, ვიდრემ შეიყვანდა იმას იმისთანა ურჩ ადგილას, სადაც ძნელიღა იყო იმისი მიგნება. მაცისა და ეკას გამოქცეულთ საგმალი. მაცის ამ თრევისა და სირბილისაგან სისხლმა დაუწყო ისევ დენა საშინლათა. ეკამ გაასვია მაცი თავის ნაბადში, დაუგო მეორე ნაბადი, რომელიც თითონვე ესხა ზედა და გასწია ამგვარივე ხეებზედ სიარულით, ვიდრემ შეიძლებოდა, საითაც მისვლა. იმან იარა დიდს ხანს და ეძება კაცთა საცხოვრებელი. არსად კაცის კვალი არა სჩანდა. იმას მხოლოდ ესმოდა ტყეში ხმაურობა მდევართა, რომელნიც დაეძებდნენ ამათ. მოატანა საღამომა, რომ ეკა მლივს გამოვიდა პატარა ნათელში ამ საშინელის დაბურვილის ტყიდამა, სადაც მზის შუქი ვინ იცის რამდენი ათასი წელიწადია დედამიწას არ ენახა, მაღალი ხის ტოტებისაგან დაბურვილსა. აქ მოჰკრა ეკამ თვალი მეძროხეების სადგურსა. ამან დაანახვა მეძროხეებს ფული. ამ ფულის დანახვაზედ აღუთქვეს იმათ ყოველრიგი სამსახური. მაშინ სთხოვა ეკამ, რომ ესწავლებინათ იმისთვის დაჭრილობის და სისხლის შემწყვეტი წამალი. იმათ ასწავლეს. აქ ეკამ სთხოვა ამათ რძე, ყველი და მჭადები. იმათ ფულში ესე ყოველივე დიდის სიამოვნებით შეუსრულეს. ეკა დაბრუნდა საჩქაროზედა და დაეკარგა გზა ღამის სიბნელეში. ტყეში ღამე, რომელიც ცოტა არ იყო კიდეც მოიღრუბლა, თვალთაგან თითქმის არა სჩანდა რა. მხოლოდ ალაგ ალაგ ჰხედავდა ეკა მდევარის ცეცხლებს, რომელნიც, დაენთოთ იმათ ღამითა და მოსწოლოდნენ ნაბდებზედ გარშემო. ეკა მოსწყდა ამ მებნაში. იმას ეკვეთებოდა მუხლთა. მაგრამ რა რომ მოაგონდებოდა მაცი იმ განწირულებაში გაშვებული, ის იმხნევებდა თავსა და მიეშურებოდა, რაც შეეძლო. ინათლა, რომ ეკამ მლივს იცნა ის ადგი-

ლები, სადაც გაუშვა მაცი. იმის მახლობლათ მოჩანდა ცეცხლები, რომელნიც როგორც სჩანდა უნდა ნათებოდათ მდევარსა. ამან წარსტაცა ეკას უკანასკნელი სასოება. ის გაეჩქარა მაცისაკენ საშინელის გულის ძგერითა. მაცი ძლივძლა ჰსუნთქავდა. ის იყო მთლათ დაცლილი სისხლისაგან. ეკამ, მთლათ სისხლ აღელვებულმა, დაუწყო მაცის წყლის სხმა და სურიელება. მაცი მოვიდა ოდნავ გონსა, ერთი შეჰხედა გამოსალმების თვალით ეკასა და მოუშვა სულ მთლათ უგონოთ. ეკამ სტაცა გიჟივით ხელი, ჩაიკრა გულში და ჩაუკვარდა ქნა. ამ დროს წამოადგა ამათ თავს მდევარი. იმათ დასცეს უიყინა და დაახალეს თოფები. ეკას აღარა ესმოდარა. ის აღარავისა ჰხედავდა. ის იყო შთანთქმული მაცის დაკარგვის ფიქრითა. შემინებული მაცის საქმეებისაგან, მდევარმა ვერ შეჰბედა ახლო მისვლა და დაუშინეს ხელმეორეთ თოფები. ეკას გაუარა რამდენმამე ტყვიამ გულში, და ის დაეშვა ზედ მაციზედ, იმის გულზედ ზედ დაკონებული. ამ თოფსა და უიყინაზედ, მაციმ ერთი კიდევ გაახილა თვალები. ამ დროს ეკა დასვრეტილი ტყვიისაგან დაეშვა იმის გულზედ. მაციმ მოჰხვია ხელი და ჩაიკრა გულში, თითქოს ამითი უნდა დაიცვას ის მტრის ტყვისაგანაო. რამდენმამე ტყვიამ გაუარა მაცისაც გულში. იმან აღსენა ერთიც კიდევ ეკას სახელი და დალია სული.

ანტონ ფურცელაძე.

1872 წელს.

(დასასრული).

# მ ე გ ო ბ რ ი ს ა დ მ ი

## გ ო ჩ ა ს.

მე მახსოვს, გოჩავ. სიყმაწვილეში
რა უდარდელათ დასტოდი შენა,
როგორ ხარობდი დედმამის ხელში,
როგორ გესმოდა ჭირი და ლხენა.

თუ კი რითიმე კუჭს გაიმღერებდი,
ფეს შიმკლობისა არ გეშინოდა;
ქუდს ხომ მაშინ შენ აღარ ჰქებდი,
პერანგს ამარას არა გრცხვენოდა.

წინ მაიდანი და ბურთი ხელში,
ეს იყო შენი ბედნიერება,
ასე გეგონა შენ სიცოცხლეში
არა რის სხვა რამ დანიშნულება.

ეხლა კი, ძმაო, გამოიცვალე,
არ არის შენთვის აწ ნეტარება;
ამ ცრუ სოფელმა ერთობა მალე
ნაღვლად გიქცია ტკბილი ცხოვრება.

შენთვისა ის დრო გაქრა, წავიდა,
როდესაც ველზედ დატანტალობდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდეს სარტყელი ყელზედ გეკიდა
და უდარდელად ქვეყნად სცხოვრებდი.

ის უდარდელნი სტომა, სიცილი
რომელნიც შენს გულს წინეთ ატკბობდნენ,
ეხლა არ გახსოვს; მოგდის ტირილი,
რაკი....... გულს გიწუხებენ.

შენა გაწუხებს . . . . . . . - .
რადგან არ მოაქვს მას სასურველი,
რაც მამულისთვის საჭირო არი,
როგორც ბავშვისთვის თვისი მშობელი.

გაწუხებს მამულის მოურწყველობა,
რადგან ურწყლობით მცენარე ჭკნება;
გოხნების თვალი სულსა გიშფოთებს
და ამის გამო გული გიკვდება.

გაწუხებს....... საქმითა მრუდი;
გაწუხებს ტუზი, საქმეში გუზი;
გაწუხებს წვერი, ბუნების მტერი
გაწუხებს უქმი, სხვისით ნასუქი.

ბევრირამ სხვაცა გაწუხებს შენა,
რომელთ სათქმელათ მე არ მაქვს ენა,
მაგრამ მათშიდაც ეს ჩემი გული
ისე თან გიგრძნობს, ვით წყლულსა წყლული.

ს. მიმისტარიშვილი.

1872 წელსა.
თფილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიიხარ, ჩემო ნეტარებავ,
დამენახვე, ნეტამც სად ხარ?
მთლათ მომწყვიტა ცხარე ბრძოლამ,
სიბნელისგან თვალთ მაკლდება,
მხნე სმა ჩემი შემზარავი,
დღეს არს კვნესა და ვაება,
და რამდენიც ბეტანები
გარს მეხვევა ბნელი მეფე.
სად ხარ ჩემო ნეტარებავ?
დამენახვე გამამხნევე.
თუ იმედი არა მქონდეს,
რომ როდისმე შეგეყრები,
უშენობით ვერ გავსძლებ და
თავს მოვიკლავ გეფიცები:
ამ სიცოცხლეს სჯობს სიკვდილი,
თუ ვიცოცხლო ვგავდე ცოცხალს!
სად ხარ ჩემო ნეტარებავ,
რათ არ მასმენ ცხოვრების ხმას?
ნუ თუ ჯერაც არ გაივსო
მსხვერპლით თხრემლი, წინ რომ გვიდევს
და თვისის უბრსკულის ძირით
კიდევ ბევრს ხანს დაგვაშორებს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქმარე შეწირული,
იხმინე ხმა ვაებისა,
გამობრწყინდი ნეტარებავ,
მოგვეც სხივი ცხოვრებისა.

ა. ფ.

1872 წელს.

# მონების ცხოვრებიდამ

(თარგმნილი რუსულით).

I

რომის იმპერია არის დამყარებული სამხედრო დესპოტიზმზე და დამონავებულთ ხალხთ ყვლეფაზე. ის სცხოვრობს ომით და მხოლოთ ომით შეუძლიან არსებობა. რომის პატრიციებისთვის მონანი საჭირონი არიან და რომი თავისის მძვინვარე ლაშქრებით მიემართება სამხრეთისკენ და ჩრდილოეთისკენ, აღმოსავლეთისა და დასავლეთისკენ, იმონავებს ხალხს და ათასნი უბედურნი, დაჭრილნი და დატყვევებულნი ცვივდებიან ტყვეთ—გამყიდველთ ხელში, რომელნიც ყველგან დასდევენ მძლევა—მოსილს რომის ჯარებს.

მრავალნი ტყვენი გამოუგზავნა გალიიდამ ცეზარმა თავისს გაუმაძღარს ქვეყნის შვილებს,—მაგრამ იმათთვის ესეც ცოტაა და ცეზარი უნებლიეთ უფრო და უფრო ღრმათ შევიდა გალლიაში. ჩრდილოელის გალლია, ანუ ბრეტანი, ჯერ კიდევ იყო ისევ თავისუფალი, იქ სცხოვრობს ძლიერი, გამრჯელი და ახოვანი ხალხი, რომელსაც დიდად უყვარს თავისუფლობა. ეს ქვეყანა არის სავსე მცხოვრებლებით და ამ ქვეყანაში მოიპოვება მრავალი ძრიელი და კარგი ხალხი, რომელიც ძალიან გამოდგება სამონავოთ. ამისგამო ეძებდნენ ყოველთვის მიზეზს, რომლისაც პოვნა ძნელი არ იყო, ცეზარი ჰგზავნის ელჩებს და ხარჯს

ითხოვს. ბრეტანიას მცხოვრებნი უარზედ დგანან და მაშინ ცეზარს მიჰყავს თავისი ლაშქრები ვანნას ბრეტანის დედა-ქალაქისაკენ.

აქ გალლებმა შემოიკრიბეს თავიანთი ძალა, შემოიკრიბეს თავიანთი სახლობანი, რომელთაც სხმენ ურმებში და ადევნებენ ჯარებს უკან. მთელს გალლიის შუაში ახოვნებით და პატიოსნებით ვერვინ უდრიდა ალბინიკს, რომელიც იყო ხალხის წინა-მძღომელთაგანი; სიმშვენიერით და ახოვნებით ვერავინ უდრიდა იმასს ცოლს, ხიომარას, რომელიც იყო დედა ორის ტყუპა შვილისა იულიანისა და გენასი. ხიომარამ და იმისმა რძლებმა ეტლზე ჩამოჰკიდეს თოკებით სქელი ტყავები, რომელთაც უნდა დაეცვათ იმათი შვილები მტრის შვილდ-ისრისა და ქვებისაგან.

გალლნი პირველნი დაეცნენ რომაელებს, იმათმა მსწრაფლმა შეჯახებამ მაინც ვერ შეარყია რომაელების რაზმი. გალლების ახოვნება სუსტად აღმოჩნდა რომაელების ხელოვნებასთან. რომაელების ჯარებმა, რომელნიც იყვნენ შეიარაღებულნი ფოლადით და სპილენძით სძლიეს ნასკვარ-შიშველთ და ცუდად შეიარაღებულთ გალლებთ. მთელი მინდორი მოიფინა მკვდრებით. თუმცა ზოგიერთნი, რომელნიც დარჩნენ კიდევ ცოცხალნი, უბრალოდ ცდილობდნენ გადარჩინათ ურმები, სადაც იყვნენ დაფარულნი ამათნი ცოლ-შვილნი, და დაუზოგავად იგერებდნენ, მაგრამ არც ერთი იმათგანი არ გადარჩა ცოცხალი. ხიომარას ეტლი რჩებოდა თითქმის დავლათ რომაელთა, რომელნიც სიხარბით უყურებდნენ შიგ მსხდომთ მშვენიერ ქალებს. ჯარის კაცნი კიდეც მიჰვარდნენ ეტლს, გძელი შუბებით დაამტვრიეს აფარებული ფრთები და ბევრიც აღარა აკლდათრა, რომ ეტლს დაჰპატრონებოდნენ, როდესაც ხიომარამ რაღაც უთხრა თავის რძლებს, რომელნიც მაშინვე გაიქცნენ იქა, სადაც იმათი შვილები იყვნენ შეფარებულნი დანარჩენი ფრთებიც შემოამტვრიეს ეტლს რომაელთა. ხიომარამ ერთ

ხელში დაიჭირა მახვილი, მეორეში თეთრი სახურავი და იქნევდა იმით, მახვილი გადააგდო მიწაზე და ამითი ის ანიშნებდა, რომ ქალებს ნებ-როთ დამორჩილდება. ხიომარამ მწუხარებით შეხედა იმ მხარეს, საი-დგანაც წავიდნენ იმისი რძლები და განმეორებით დაიწყო ქნევა სახუ-რავისა, რომლითაც აწვენებდა ხან ზღვას და ხან ცას. ამ ამბით რო-მაელი მხედარნი გაწყრნენ და იდგნენ ისე ეტლის წინ, რომ ამ დროს ხიომარამ მწრაფლად აიტაცა მახვილი და კლვის უწინარეს ჩაურჭო ისა საითოდ იქვე მდგომს სამს გაუთხოვარს ქალს, რომელთაც თი-თონვე მიუშვირეს იმას თავიანთი მკერდები. მაშინ დანარჩენმა უმაწვი-ლმა ქალებმა მარჯვედ და მწრაფლ დასცეს ერთმანერთს მახვილი და დაეცნენ ეტლის წინ დახოცილები. ერთმა ხიომარას რძალთაგანმა აი-ყვანა ხელში ორი უმაწვილი და გამოვიდა იმ ადგილიდამ, სადაც უმა-წვილები იყვნენ შეხიზნულნი. იმას საწყალად მოაბა ერთი თოკის წვე-რი ეტლის ბოლოს და მეორე მოაბა თითონ ყელზე და მოახვია თა-ვის შვილებს, გადმოხდა ეტლიდამ და სამნივე ესე წამოიხრჩნენ. ეს სულ ასრე მწრაფლ მოხდა, რომ რომაელებმა ვერ მოასწრეს შეე-ყენებინათ ეს მკვლელობა. ხიომარას ქმარმა, დაჭრილმა ალობრიგმა ნახა თავის ხიზნის აუცილებელი დაღუპვა, მაგრამ ის კი ვერ შეეძლო და-ენახა რა მოუვიდა იმას პატარა შვილებს, რომელნიც ისხდნენ ეტლში უკანა: ის იწვა თავისს მკვდარს ცხენის ქვეშ და მალე ცნობა დაეკარ-გა ბევრის სისხლის დენისაგან.

როდესაც გონებას მოვიდა, ნახა ფარდული, სადაც მირს, ზეზე იწვნენ ბევრნი გალლნი, რომელნიც დაჭრილობისაგან ოხრა-დნენ.

პირველს მოძრაობაში ალობრიგმა შეიტყო, რომ იმისი ფეხი ბო-ძზე მაგრულია. იმას იარები შეხვეული ჰქონდა, მაგრამ ის თითონვე საშინელის სისუსტის მეტს არაფერს არა ჰგრძნობდა. როდესაც იმან

მიიხედ-მოიხედა, ნახა, რომ ფარდულში ორმოცდა ათამდის კაცნი იყვნენ და ყველანი ბოძებზედ იყვნენ მიკრულნი. ფარდულის შუაგულში იყო რამდენიმე შეიარაღებული კაცი. ისინი სტოლთან ისხდნენ, სჭამდენ და მღერობდნენ. ზოგნი იმათგანნი ფარდულში დადიოდნენ და სიმთვრალისგან ბარბაცობდნენ. იმათ ხელში ეჭირათ მოკლე ტარიანი მათრახები, რომელთაც ჰქონდათ რამდენიმე თასმა მობმული და იმათ ბოლოებზე ებათ პატარა ტყვიები. ამ მათრახებს იქნევდნენ და დაცინებით ტყვეებს უყურებდნენ. — ჩვენ სადა ვართ? ჰკითხა ალბინიკმა ერთ დაჭრილს ბებერს, რომელიც იმის გვერდით იწვა.

— ტყვეთა ვართ, განში.

ალბინიკს მოაგონდა სიკვდილი ყველა თავის ნათესავებისა და დასაჯერებელი სიკვდილი თავის ცოლისა და შვილებისა. მაგრამ იმას კიდევ ეჭვი აწუხებდა: დაიხოცნენ ჩემი შვილებიო თუ არა? მაგრამ ისევ მალე დამშვიდდა, რადგანაც დარწმუნდა, რომ იმათი სიკვდილი აუცილებელი უნდა ყოფილიყო. შემდეგ იმან წარმოიდგინა თავისი მარტოობა, ერთი საშინლად დაიღრიალა და აღარ უნდოდა დაენახა ქვეყანა, პირქვე გადაბრუნდა თავის საგებში. და დამალა სახე ჩალაში, რომელიც, იმას ბალიშის მაგივრათ ჰქონდა. გილასაც ნასვამს მცველებთაგანს არ მოეწონა ალბინიკის ღრიალი, რომელიც კაცს გულს უხეთქავდა და უბედურს დაჭრილს ტყვეს ხეტყვის დაგვარათ მათრახით ზურგზე წაუშინა უწყალოთ და დაუწყო გინება. როგორ? ვის სცემენ მათრახს? — განა ჰბედვენ მთელის ხალხის წინამძღომელის გენოვეის შვილის ცემას? იმან არ უგდო ყური სისუსტეს და წამოვარდა ფეხზე და უნდოდა მცველს მიჰვარდნოდა, მაგრამ ჯაჭვებმა დაიჭირეს. ის დაბარბაცდა და მუხლებზე დაეცა, მაშინ მცველი მისდგა და გმელის მათრახით დაუწყო ცემა პირზე, გულზე და ზურგზე. ამ დროს სხვა მცველებმაც მოირბინეს, ალბინიკს ხელებზე ბორკილები გაუკეთეს და დაუწყეს ცე-

მა საშინელის სიმწარით. ერთიც ვნახოთ უეცრათ ერთი მოხ[illegible] ტანისა, გამოჩნდა, ჭაღარა წვერიანი, თეთრ-თმიანი, და წითელ სახიანი.

მცველებმა როგორც გაიგონეს იმისი ხმა, მაშინვე შეაყენეს ცემა. იმან რომელსად რაღაც დაუწყო ჩქარა ლაპარაკი, ხანდისხან ალბინიკზე აჩვენებდა და ეტყობოდა, რომ გაჯავრებული იყო. იმას ახლდა კიდევ ორი კაცი. ერთს იმათგანს ეცვა შავი ტანისამოსი; სახე იმას ჰქონდა მოღრუბლული და ამაყი; მეორეს იღლიის ქვეშ ეჭირა პატარა ყუთი. მოხუცმა—ტყვემ, რომელიც ალბინიკის გვერდით იწვა, მწუხარებით უთხრა იმას და უჩვენებდა პატარა წითელ სახიანს სქელ კაცზედ.

— ჩარჩი!... ჩარჩი!....

— რა ჩარჩი? ჰკითხა ალბინიკმა.

— ის, რომელმაც იყიდა დაჭრილები.

— როგორ თუ? განა ჩარჩები ვაჭრობენ დაჭრილებით, და სულთამბრძოლებით?

— განა შენ არ იცი, უთხრა დაღონებით მოხუცმა,—რომ განის ბრძოლის შემდეგ ბრძოლის ველზედ მკვდარნი უფრო მეტნი დარჩნენ, ვიდრე ცოცხალნი და რომ იქ ერთი გალიც ვერ იპოვეს, რომ დაჭრილი არა ყოფილიყო. რადგან მრთელი ტყვე აღარ დარჩა, მონების ვაჭრები, რომელნიც ყოველთვის რომის ჯარს უკან დასდევენ დაჭრილს ტყვეებს დაეცნენ, როგორათაც ყვავი მძვრსა.

— მაშ მე მონავარ? დაიძახა ალბინიკმა,—მე მიყიდეს და ისევ გამყიდიან!

ჩარჩი მივიდა ბებერთან და ჰკითხა.

— ერთი მითხარი, ბებერო ქოფაკო, რა მოუვიდა შენ მეზობელსა? გონებაზე მოვიდა თუ არა? რას ლაპარაკობდა ისა? რას აკეთებდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჭკვიანე თითონ იმას, ვასხედ მიუგო ბებერმა და გადაბრუნდა მეორე გვერდზე.

ჩარჩი დაიკუზა ალბინიკთან; იმისა შეჭმუხვნილი სახე განათლდა, გაიღიმილა, დაიწყო ჩქარი ლაპარაკი და თითონვე კი აძლევდა თავის თავს პასუხებს.

— დიას მოხუცებულო გონებას, ჩემო გულადო ხარო? ჭო ადიას!... ეს უკეთესი... ეგ კარგი ნიშანია... იუპიტერის მადლმა! ახლა მადის მეტი საჭირო აღარა არის რა. მაგრამ რაღაც მოგიხვდის? მართალი არარი? ხო? უფრო კარგი! ერთი კვირის შემდეგ შენ მოღონიერდები. ა ეს მხეცი მცველები...

ესენი ნამდვილ მთვრალები არიან... მაგათ გცემეს შენა? ხოო?.. ეს არ მაკვირვებს მე... ამათ არაფრის უკეთესისა ნიჭი არა აქვთ... შენი ცემა გაბედეს... შენი ცემა!... შენ კი ძლივს დგეხარ ფეხზე... ამასთან გალიის ტარიმის გაცემა თუ არ გამოსთქვა თავისი გულის ჯავრი, აწყენს ეს იმასა და ცუდი ბოლოც ექნება. მაგრამ ეხლა რომ აღარა ჯავრობს, განა არა ჯავრობს? არა? უფრო კარგი! მე მაქვს ამათზედ გასაჯავრებელი. აბა, რომ დამხჩვალიყავი სიბრაზისაგან, მაშინ, აბა რა ენაღვლებათ ამ მხეცებსა, რომ მე დავკარგო ოცდა ხუთი ან ოცდა ათი ოქროს ხუ. რომელნიც მე შემიძლიან მივიღო შენში, ჩემო ჩინებულო ხარო... მაგრამ რომ უფრო უშიშრად იყო, მე წაგიყვან შენ იმისთანა ადგილს, სადაც შენ მარტო დარჩები და სადაც უფრო მოსვენებული იქნები, ვიდრე აქ. იქ იწვა ერთი დაჭრილი, რომელიც წუხელის მოკვდა, ჩინებული იყო ეს დაჭრილი! მშვენიერი! იმისი სიკვდილი ჩემთვის დიდი წაგებაა... ღმერთო, აღებმიცემის საქმეშიც რამდენი წაგება მოსდება ხოლმე. აბა, გამოიწი, წავიდეთ.

ვაჭარმა ალბინიკს ჯაჭვი მოხსნა; ხელში გაუყარა და იმ კაცის შემწეობით, რომელსაც შავი ტანისამოსი ეცვა, წაიყვანა. მოიყვანეს

პატარა რკინის ფანჯრიან ოთახში და დასვეს ფიცრის (ტახტის მაგვარს) სკამზე. შავი ტანისამოსიანი კაცი რომის ექიმი [illegible] ალბინიკს იარები შეუკრა, დააწვინა ხის ყუთზე, რომელიც იმას კრაოტის მაგივრად ჰქონდა, და წავიდა.

— იუპიტერის მადლმა, უთხრა ალბინიკს ვაჭარმა მხიარულის და კმაყოფილის სახით, რომლისაგანაც ალბინიკს უხვდებოდა ჯავრით გული, რომ შენი იარები ცხადად რჩებიან; ეს წმინდა სისხლის ნიშანია. აბა, ახლა, მე მგონია, ჩემო დიდებულო სარო, რომ შენ მოსვედი გონებაზე და რომ, უეჭველია, ყველა ჩემ კითხვაზე პასუხებს მომცემ, მართალი არ არ არის?... მაშ დამიგდე ყური. .

ჩარჩმა ამოიღო ჯიბიდან წმინდა სამთლით წასმული ტაბლიტები და სტილეტი და სთქვა:

— მე არა გკითხავ შენს სახელს. მინამ ვინც გიყიდის შენ თითონ არ მოგცემს თავის ნებით სახელს, შენ გერქმევა ხარი... კარგი სახელია, განა? და კიდეც გიხდება შენ ეს სახელი.

— რათ მეძახი შენ მე ხარსა? ჰკითხა ალბინიკმა.

— აბა რისთვის ვეძახი ამ შენ ბებერს მეზობელს ქოფაკსა? ამიტომ რომ იმას მართო ტყავი და ძვლები აქვს დარჩენილი ტანზედ და შენკი ჩინებული მაგარი აგებულება გაქვს! რა განიერი მხარბეჭი გაქვს, რა მაგარი სახსრები!....

ამ ლაპარაკში ჩარჩი სიამოვნებით უყურებდა ალბინიკსა, იფშვნეტდა ხელებსა და ფიქრობდა იმ ფულზედ, რომელიც ალბინიკში უნდა მიეღო.

მაღალი და მოყვანილი ტანი გაქვს და! ჩაელაპარაკებოდა კიდევ ჩარჩი, — ყველაზედ მაღალი ჩემს მონებში შენა ხარ; რადგან შენ ძალიან მთელი და სრული კაცი ხარ, ამისათვის გიწოდე სახელათ ხარი.

ამ სახელით გაგყიდიან შენ აუქციონით. ალბინიკმა იცოდა რა

საშინელებაა მონობა და აქებდა გულში იმ დედებს, რომელნიც ჰკლავ-დნენ თავის შვილებს იმისთვის, რომ მონათ არ გამხდარიყვნენ. ამან იცოდა რომ რომაელნიც მონებს შინაურ საქონლად რაცხვენ. იმას ვერ შეეძლო აეტანა მონობისაგან დამცირება, მაგრამ დამშვიდებული იყო ამიტომ, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა, როგორც კი შესვდებოდა პირველი მარჯვე შემთხვევა, თავი მოეკლა. ალბინიუმა სწორეთ არ იცოდა თავის შვილების და ცოლის თავის ხელით დახოცვა და და-სარწმუნებლათ ჰკითხა ჩარჩსა:

— სად მიყიდე შენ მე?

— რომის მინდორზე, იმ ადგილებზედ, სადაც შენ უგონოთ იწე-ქი. იქ იყო მთელი გროვა გამოუყენებელი მძოვრებისა, მაგრამ ჩემმა ნათლიამამამ ესკულაპიშვილმა გაშინჯა შენი იარები და დამარწმუნა რომ ისინი საშიში არ არიან და რომ იმათ გამოისათ შენ თვის არ დაჰკარგამ მე როგორც კარგი მცოდნე ჩარჩი წაგგვარი შენ ფეხი და უთხარი ჯარის კაცებს, რათ მინდა ეს ამოდენა მძოვრი: ან რაში უნ-და გამოვიყენო, რომ არც კი სუნთქამს.

მე დავიწყე ფეხით ბრუნება. აჰ ერთი უყურეთ, ვეუბნები მე იმათ, ამას არა აქვს სიცოცხლის ნიშნები, ის კვდება, «ჩემო პატიოსანო მარსის შვილებო; ის კიდეც გაციებულა»... ერთი სიტყვით მე შენში მიმიცია ორი და იმედი მაქვს ოცჯერ უფრო ძვირათ გაგყიდო, მეტადრე თუ რომ ხელობაც იცი.

ჩარჩმა ისევ ამოიღო თავისი ტაბლიცები, დაიწყო იმაზე სტი-ლეთით წერა და სთქვა.

— მაშ ეგრე შენი სახელია ხარი, გალი-ბრეტენის ტომი-დან.

ამას მე თითონ ვხედავ... მე კარგი მცოდნე ვარ ამ საქმეებისა.

. . . . . რა ერთი წლისა ხარ?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ოცდა ცხრისა.

— შენი ხელობა?

— მე ვარ გუთნის-დედა.

— გუთნის დედა? სთქვა თავის იმედში მოტყუებულმა ჩარჩმა და თან თავის კეფას იფხანდა. ოხ! ოხ! გუთნის დედა... მაშ შენ არა ფერი სხვა ხელობა არ იცი?

— ამას გარდა მე ჯარის კაცი ვარ.

— ოხ! ოხ! ჯარის კაცი; ვინც საყელოს ხმარობს იმას სიცოცხლეში არ მოუხდება შუბის ანუ მახვილის ხმარება... შენი ხასიათი, ჩემო საყვარელო ხარო?

— ჩემი ხასიათი?

— მართალი თქვი, ჩემო მეგობარო ხარო, თორემ შენი მყიდველი თავის დროზე გაიგებს და თუ ტყუილი გამოდგა შენი ნათქვამი ეს ტყუილი შენ ძვირათ დაგიჯდება.

— მაშ თუ ეგრეა—დასწერე შენ ტაბლიცებში: მუშა ხარს უყვარს მონობა და ის ლოკავს იმ ხელსა, რომელიც იმასა სცემს.

— შენ ხუმრობ! როგორ იქმნება, რომ გალლის ხალხის კაცს ტყვეობა უყვარდეს? ის უფრო შეუძლებელია, რომ ორბს, ან ქორს უყვარდეს ყაფაზა.

— მაშ დასწერე შენ ტაბლიცებში, რომ როგორც ხარი მოვა თავის ღონეზე, მაშინვე პატრონს წელებს გამოაურეინებს და ტყეში გაიქცევა თავისუფლად ცხოვრებისათვისა.

— ეს უფრო გავს მართალს, მაშ გამიგონე რა დავსწერე: № 7 გალლო-ბრეტანის ხარი საშინელი ღონიერია, ძალიან დიდი ტანისაა, ოცდა ცხრა წლის ჩინებული მუშა ცხარე და კრდომილის ხასიათისა; მაგრამ ხან ალერსით, ხან დასჯით შეიძლება იმის დაჭკვიანება.

— აი რა მოუვიდა თავისუფალს და ამაყს კაცს! უთხრა ალბანიკმა თავის თავს. — სულ ჩემი დანაშაულობა მხოლოდ ის არის, რომ მე ჩემს სამშობლო ქვეყანას ვიცვავდი და ვიფარავდი მტერთაგან! ჩარჩის ისე ლაპარაკმა გააბედვინა ალბანიკს და ჰკითხა ხომ არ უნახავს იმას იმ ადგილს ახლო, სადაც ალბანიკი იპოვნა, საბრძოველი ქედი ზედ ჩამომხრჩვალი დედაკაცით.

— მინახავს თუ არა მე ისა? უპასუხა ჩარჩმა: იმაში იყო თერთმეტი მკვდარი დედაკაცი — რა მშვენიერები! თვითეული იმათგანი ღირ-და ორმოცი ან ორმოც და ათი ოქროს სუ, მაგრამ ყველა ისინი მკვდრები არიან და ვერა ვის მოგებას ვერ მოუტანენ.

— ცოცხალი ყმაწვილები ხომ არ გიპოვნიათ იქა?

— ორი თუ სამი ყმაწვილი მეესწროთ და ცოცხალი გამოუღოთ თოკიდან, რომლითაც იმათ დედებს ისინი ჩამოეხრჩოთ, ოს ეს გალლის დედაკაცები! როგორც ღომი ისეთი ფიცხელნი არიან.

— და სად არიან ეს ყმაწვილები, სად არიან ისინი? მალე მიპასუხე, დაიძახა ალბანიკმა.

— შენ რისთვის გინდა ეს იცოდე?

— იქ იყვნენ ჩემი შვილები.... ჩემი იულიანა და ბენგენა.

— რამდენი წლისანი?

— რვისა და ათის წლისა.

— მე არ ვეწევი ყმაწვილების ვაჭრობას; ისინი, უთუოთ, იყიდა სხვა ჩარჩმა, რომელიც საკუთრათ ყმაწვილებითა ვაჭრობს.

— ყური დამიგდე... მე მირჩევნია, რომ ისინი დაიხოცნონ, ვიდრე მონათ გასდნენ; მაგრამ რომ ისინი ცოცხალი იყვნენ და გასაყიდათ გაიყვანონ!.. მითხარი როგორ უნდა შევიტყო მე ესა?

— მერე რად გინდა შენ ესა?

— იმისთვის, რომ ჩემი შვილები ჩემთან მაინც დარჩნენ.

ჩარჩმა დაიწყო სიცილი.

— ჰაი შე ფუყო თავიანო! უთხრა ჩარჩმა; შენ არ იცი, რომ ასს მყიდველში ოცი სულელი არ იშოვება, რომელთაც ისურვონ ყიდვა მუშაკი გუთნის დედისა თავის ორი პატარა შვილით, თუ ამათ დედა თან არა ჰყავთ. შენ რომ გამეყიდე შენის შვილებითა, მაშინ ნახევარ ფასსაც ვერ ავიღებდი შენში, ამას გარდა ორი მუქთა ხარჩი უნდა ტყუილათ ჩამეჩრჩებინა აბა, გესმის? არა, შენ არ გესმის, შენ ისე მხეცურათ და უგულისყუროთ მიყურებ, რომ სწორეთ არ გესმის, რასაც გეუბნებიან. მე შენ გიმეორებ, რომ ჩემთვის უფასოთაც მოეცათ შენი შვილები, მაშინაც შენა და შენს შვილებს ერთათ არ გაგიყვანდით დასაყიდათ.

ესლაც არ გესმის, შე თავგამოლაყებულო! მხოლოდ ესლა იგრძნო ალბინიკმა რარიგი აურიცხელი სატანჯველები მოსდევს სიმახვილე მონობასა, ის ფიქრობდა, რომ იქნება რომ იმის შვილები ცოცხალნიც არიან, მაგრამ ვერ გაიგებს ვინ იყიდის იმათა და ვინ არა, ანუ სადა და რამსიშორეზედ იქნებიან განსყიდულნი.

ამ ფიქრებმა ალბინიკი ისე აიტანეს, რომ სიმწარისაგან აღარა გაეგებოდა რა და თითქმის ვედრებით ჩარჩს უთხრა:

შენ მატყუებ მე... ვის რათ უნდა რომ იყიდოს ბავშვები, ვინ მოინდომებს ამ ქოროფების ყიდვას, ამ უსარგებლო მუქთათ მჭამლებს?

— ოჰო! ვინც ყმაწვილებით ვაჭრობს, იმას ძალიან სასარგებლო მყიდველები ჰყავს, მეტადრე, თუ ყმაწვილები ლამაზები არიან... ლამაზები არიან შენი შვილები?

— დიახ—უთხრა ალბანიკმა და თვალ წინ ცოცხლათ წარმოუდგა თავისი ლამაზი ქერა შვილები, რომელნიც როგორც ტყუპები ისე ჰგვანდნენ ერთმანერთსა და რომელნიც იმის წინ უკანასკნელათ დაჰკოცნა—დიახ ისინი არიან მშვენიერები... როგორც იმათი დედა იყო მშვენიერი.

— რაკი მშვენიერები ჭყოფილან შეგიძლიან დამშვიდდე, ჩემო ხაუმარელო ხარო, უთხრა ალბინიკუს, ისინი კარგათ [illegible] დაბინავებულნი: ვინც უმაწვილებითა ვაჭრობს, იმათ კარგი მუშტრები ჰყავთ ბერ და მსუნაგთ სენატორთ შორის, რომელთაც მოსწონებიათ მწიფე ხილი და ეძებენ წაგულაკსა, ამბობენ რომ იქ მალე მოვაო მდიდარი და წარჩინებული კაცი კრემიონი... იმას ძალიან უყვარს მაგვარები... იმან მოიარა რომის კოლონიები სამხრეთის გალიისა და იქ უნდა ჩამოვიდეს თავის პატარა სამოძარი ნავითა, რომელიც ისეთი მშვენიერია, როგორც სასახლე... ის სუნით ქებს მაგისთანებს და უეჭველათ ძალიან მოინდომებს აქედამ ლამაზი სახის გალლიის ყმაწვილების წაყვანასა და თუ შენი შვილები ლამაზები არიან, კარგბედში ჩაცვივიან, იმიტომ რომ დიდებულმა კრემიონმა ძალიან იცის ნორჩი შემოუსვლელი ხილისა.

ალბინიკუმა ჯერ ვერ გაიგო რაზე ელაპარაკებოდა ჩარჩი, მაგრამ როგორც მიხვდა ამ ლაპარაკს, დაეხვა საშინელი თავბრუ იმ ფიქრისაგან, რომ იმის შვილებს, თუ საუბედუროთ ისინი სიკვდილს გადარჩნენ, იტალიაში ჩაიყვანენ და საშინელ მდგომარებაში ჩააგდებენ... ის ისე აღშფოთდა და ასეთი ნაღველი და შიში იგრძნო გულში, რომ იმან დაიჩოქა თავის ჩალის ლოგინზე გაუშვირა ჩარჩსა ბორკილით შეკრული ხელები, დაღონებულის სახით, ჩაუვარდა ენა და ვეღარ მოასერხა რა სათქმელათ და დაიწყო ტირილი.

— აბა რა არის ესა, ჩემო კარგო ხარო? რა დაგემართა?

— ჩემი შვილები? სთქვა იმან და ტირილისაგან ვერ მოუბრუნებინა სული; ჩემი შვილები, თუ ისინი ცოცხალი არიან!...

— შენი შვილები?

— რაც შენა სთქვი, საშინელია ის ბედის წერა გელით... თუ იმათ მიჰყიდიან იმ ხალხს...

— ხომ არ გაგიჟებულხარ? გააგრძელა ჩარჩმა, რასა ხედავ შენ შინელს იმ ბედის—წერაში, რომელიც შენ შვილებს მოელის? ოჰ, თქვე გლენო! თქვენ ნამდვილი ბარბაროსები ხართ! იცოდე, რომ იმისთანა სასიამოვნო ცხოვრება არავის არა აქვს, როგორც პატარა ფლეიტების დამკვრელებს და მოტანცავებს, რომელნიც იმ მდიდარს ბებრებს დროს ატარებინებენ. რომ ნახო ეს პლუტები ფერ წარსული ლოყებით ყვავილების გვირგვინით მორთული თავებით, ოქროს კლიტეებით მოფენილი გძელი კაბებით და გძელი საყურეებით... პატარა ქალებმა რაღა მოგახსენოს; რომ ნახო შენ ისინი თეთრ ტუნიკებში... ალბინიკის თვალებზე სისხლის დრუბელი გადაეხვივნა, გაბრაზებული და გამწარებული ის ეცა იმ არამზადა ჩარჩსა, მაგრამ ბორკილებმა კიდევ არ გაუშვეს, და ის დაეცა თავის ლოგინზე. რო ნახა, რომ თავის სიახლოვე ვერც ჯოხი, ვერც ქვა ვერა ამისთანა ვერ იპოვნა რა, მოიბღუნმა და ისე სიმწარისაგან დაუწყო თავის ბორკილებს კვნეტა, როგორც შებოჭილმა მხეცმა.

— რა მხეცები არიან ეს გლენი! დაიცინა ჩარჩმა, აიწია მხრები და გადგა განზედა.—როგორც ჯაჭვით დაბმული მგელი, ისე ღრიალებს და თავს ითქვებს. ამისთვის რომ, იმისა შვილები მდიდარს და ნაიერს ცხოვრებაში ჩაცვივიან. უმჯობესი იქნებოდა რომ შენი შვილები უსახურნი ყოფილიყვნენ! იცი ვის ერგებოდნენ მაშინ ისინი? ისინი ერგებოდნენ იმ მდიდართ დიდებულთ კაცებთა, რომელთაც უყვართ მომავალის შეტყობა ახალი დაკლული ყმაწვილების შიგნეულით, რომელიც ისევ ცოცხალ-ცოცხალია? ალბინიკს იმედი მიეცა და დაიძახა:

ღმერთო! მიეცით ჩემ შვილებს ამ გვარი სიკვდილი, დაეხსენ უმანკოთ შეუერთდნენ თავიანთ უბიწო დედას მომავალ ცხოვრებაში. იმან ხელმეორედ დაიწყო ტირილი.

— საყვარელო ჩემო მეგობარო ხარო! უთხრა ჩარჩმა,— მე არ შევცდი რომ ჩავწერე ჩემ ტაბლიცებში ფიცხი და [illegible] მეთქი; მაგრამ თუ ინაღვლი შენ შვილებზე, მაშინ გახდები, შესახედაობას დაჰკარგამ და შემიყვან მე ზარალში... მაშინ ნახე შენი ყოთვა, ჩემო საყვარელო ხარო! მე ხამი კი ნუ გონივარ შენზე უარესიც დამიჭკვიანებია... ახლაკი დრო არის სადილის ჭამისა. სჭამე გულიანათ. თუ გინდა, რომ ჩემი მოწყალება მიიღო; ეცადე რომ ორ კვირაში რომელიც აუქციონამდის დარჩენია, გასუქდე .. თუ არა... ოო! მაშინ... მეცოდები, ჩემო საყვარელო ხარო, რაც დღე მოგელის... შემდგომ ამისა ჩარჩი გავიდა და დააგდო ალბინიკი მარტო იმისთანა გამაგრებულ სამნელეთში, რომ გაგცევაზედ ფიქრიც არ შეიძლებოდა. ალბინიკს შეეძლო სხვა ტყვე ღალებისამებრ კედელზედ თავი გაეხეთქა ან შიმშილით თავი მოეკლა, მაგრამ იმას სიკვდილი არ უნდოდა, სანამ არ გაიგებდა, ცოცხალნი არიან იმისი შვილები თუ არა? თუმცა ალბინიკი ამაყი ღალღი იყო, მაგრამ შვილების სიყვარულის გამო სხვადა სხვა ხრიკების ხმარებაც კი გაბედა, ოღონდ ჩარჩი თავის მხარეს მოეზიდა, რომ იმისგან შეეტყო რამე თავის ტურფა იულიანის და მშვენიერი გენას მდგომარეობა; იმას უნდოდა ყველა ღონის მიება ეხმარა რომ აეცილებინა ისინი იმ ბედს, რომელიც იმათ ელოდა, ორი კვირის განმავლობა დამწუხრებულმა ალბინიკმა თავის შვილებზე ვერა— ფერისთანა ვერა გაიგო ჩარჩისგან, რაც ის არ უთხრეს რომ გრემიონი ჩამოვიდა თავისის მშვენიერის ნავით, ერთის ამ ყმაწვილების მეიდველის სახელის გაგონებით ალბინიკი თრთოლვამ აიტაცა. გაყიდვის დღის წინა საღამოზე ჩარჩმა ალბინიკს თითონ მოუტანა ვახშამი და ღალური ძველი ღვინო. ალბინიკმა უარი ჰყო იმასთან თავის მამულის ღვინის დალევისა.

— როგორც გინდა — უპასუხა ჩარჩმა: მე მხოლოდ მინდოდა ერთი

თასი დამელია რომ შენ ჩავარდნილიყავი კარგი ბატონის ხელში და მეც კარგი ფასი ამეღო შენს გასყიდვაში და მეორე თასი [illegible] დამელია რომ შენ შვილებს დაახლოვებოდი.

— როგორ? რასთქვი? დაიძახა ალბინიკმა—შიშისგან და იმედისგან აღტაცებულმა:—შენ შეიტყე რამე ჩემ შვილებზე?

— ვერაფერს ვერ გეტყვი—უთხრა ჩარჩმა და იმისთანა სახეც აჩვენა ვითომც წასვლა უნდოდა: მე ღვინის მეტი ვერა ფერი ვერ გამიხსნის ენას, მაგრამ მარტო კი არ მიყვარს სმა.

— მაშ თუ ეგრეა, მე დავლევ დაიძახა ალბინიკმა, ჩარჩმა ერთი თასი ღვინო ალბინიკისთვის დაასხა მეორე თავისთვის.

— ღმერთმა ინებოს რომ შენ მომატებულ ფასად გაგეყიდო, სთქვა ჩარჩმა და ღვინით ტუჩები დაისველა.

— ალბინიკს აღარ ახსოვდა ჩარჩმა დალია ღვინო თუ არა, ღმერთმა მაჩვენოს ჩემი შვილების თავი სთქვა ალბინიკმა და დასცალა მთელი თასი ღვინო, რომელიც იმას ჩინებულათ ეჩვენა, ჩარჩმა ალბინიკს უამბო, რომ იმის ამხანაგმა იყიდა ორი ყმაწვილი რვისა და ცხრის წლისა ქალი და ვაჟი, რომელნიც ჩამოკიდებულნი სათმარ ეტლში ეპოვნათ იმ ადგილს ახლო სადაც ალბინიკი იწვა, ყმაწვილებში იპოვნეს ნიშნები სიცოცხლისა, გარდაჩინეს სიკვდილსა და რომ ის ვაჭარი, რომელიც ისინი იყიდდა აუკციონში ჩარჩის გვერდით იდგება რადგანაც ეს ადგილი წილის ყრით იმას ერგო, რომ იმისგამო თუ ხვალ ტყვების გასყიდვა იქნება, ალბინიკი ნახავს თავის შვილებს. იმ დროს როდესაც ჩარჩი ყმაწვილების გასყიდვას დაწვრილებით უამბობდა, ალბინიკმა შეამჩნივა რომ თავი უმძიმდებოდა და თვალები ეხუჭებოდა, იმას დგომა ველარ შეეძლო და კედელზედ მიეყუდა, ჩარჩმა გაიცინა: საყვარელო! უთხრა იმან, მე მგონია რომ ჩემმა ღვინომ იმოქმედა შენზე, არ უნდა შეწუხდე რაც უნდა მოგივიდეს, მე იმის-

თანა სასხრები მაქვს, რომელნიც მიადვილებენ ხაქონლეფს გაუფუძვას. შენ თუმცა მობრუნდი და კიდეც გასუქდი მაგრამ დიდი ხნის დამწუვდეულობამ და სხვა მიზეზებმა კარგი ელფერი დაგიკარგეს; ხვალ კი ჩემი სასწამკლავის გამო ისე მხნეთ იქნები თითქო ეს არი ეხლა მინდვრიდან მოსულხარ, მე ვიცოდი ნებას არ მომცემდი რომ შენთვის კარგათ ტუალეტი გამემართა და იმიტომ ამის წინააღმდეგი ღონისძიება კიდეც მივიღე.

— რა ტუალეტი? ძლივსა ჰკითხა ალბინიკმა.

— ის ტუალეტი, რომლიც მონას ეფერება. უთხრა ჩარჩმა და იმ დროს სტოროჟს დაუძახა და ფანჯარა ფარდით ჩამოაფარა, რომ ქუჩიდამ ვერ დაენახათ, რას იმოქმედებდა. ყუთიდამ ამოიღო სხვა და სხვა მინები, კუბები, პატარა ვერცხლის ჯამი და სხვა იარაღი რომელთა შორის სამართებელიც იყო. შემდგომ ალბინიკს შეხედა და მინას ახადა, რომელშიაც იდვა საპონი. ალბინიკს ეწვენა, რომ ეს მომზადებაები ისეთ რიგათ ამცირებენ კაცის ღირსებას, რომ თუმცა გაშეშებულივით იყო, მაინც წამოვარდა ფეხზე, დაიწყო ქნევა ფეხებით და ხელებით, რომელნიც ბორკილებიდან განთავისუფლებული ჰქონდა და დაიძახა:

ახლა კი აღარ მიკეთია ბორკილები და თუ ახლო მომეკარე როგორც მატლი ისე გაგსრესამ.

— მე ვიცოდი, რომ შენ მიწიანათ აღმოაღაგებდი, უთხრა ჩარჩმა და თან მმიმეთ ასხამდა ვერცხლის თასში ზეთსა, რომელშიაც ასველებდა ღრუბელსა—მე შემეძლო შემეკარი, მაგრამ შენ მალადობას დაიწყობდი და ამათი ავნებდი შენს შეკრულს სახსარებს; მეიდველები გაიგებდნენ, რომ ურჩი ხასიათისა ხარ; შენ იქნება ყვირილიც დაბეწყო, რადესაც მონაობას ნიშნათ თავით მოპარსვას დაგიწყებდნენ.

დალისთვის თავის მოპარსვაზედ უარესი დამცრობა აღარ მოი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრობდა და ამიტომაც ალბინიკმა ამ მუქარაზედ უკანასკნელი ღონის-ძიება მოიხმარა და დაიყვირა:

— მე შენ მოგკლავ, თუ ჩემის თუნდ ერთი თმისთვის ხელი გიხლია.

ო? დამშვიდდის, აყვარელო ხარო,—უპასუხა ჩარჩმა დასამართებლით ხელში მოვიდა ალბინიკთან:—მარტო ერთ თმას კი არა, ერთ ბეწვსაც არ შეგარჩენ თავზედა და ეხლავ მაგ შენ თავს ისე მოვატიტვლებ როგორც ცეზარის თავი. საწამლავი, რომელიც შენ ეს არის ეხლა ღვინით მიიღე, გაგხდის სრულიად უძრავსა. მართლაც ალბინიკმა გონება დაჰკარგა და მაგრათ დაეძინა.

II

იმ დღეს, როდესაც საზოგადო გასყიდვა უნდა ყოფილიყო, ჩარჩმა გაალვიძა ალბინიკი, რომელსაც ღრმა ძილით ეძინა. უბედურ ტყვეს მოაგონდა რაც წინა დღეს მოხდა და შფოთიანათ თავზე ხელი მოისვა. როგორათაც თავი, აგრეთვე წვერი მოპარსული ჰქონდა; ეს იმას ძალიან ეწყინა; არ გაშფოთდა როგორც წინა დღეს, მაგრამ როგორდაც უაზროთ შეხედა ჩარჩს; გუშინდელი დალეული საწამლავი კიდევ მოქმედებდა იმაზე; თუმცა თავის თავს მრთლიანათ და მაგრათ გრძნობდა, მაგრამ რაღაც სიზანტე სძლევდა. ჩარჩი სიამოვნების სახით ალბინიკს უყურებდა. პერანგი გახადა და ტაბლიცა, რომელზედაც იმის სახელი და თვისება ეწერა, ყელზე ჩამოჰკიდა, მხრებზე საბანი წამოასხა და თავზე წითლის ფოთლების გვირგვინი დაადგა. ალბინიკს ხელები უკან ჰქონდა შეკრული, ფეხებზე კი ბორკილი ედვა. ამ სახით ჩარჩმა ალბინიკი წაიყვანა ვანნის ქალაქის მეიდანზე, სადაც აუქციონი წარმოებდა; სხვა ტყვებიც იმასთან ერთად გასასყიდათ წაიყვანეს და როგორც ალბინიკი, აგრეთვე ყველანი დანარჩენნი დალონებულნი და და-

მოჩრდილებულნი იყვნენ. ამათ თვალები დაშვებული იყო, თითქო ცდილობდნენ ერთი ერთმანერთისთვის შეეხედნათ. ორი თუ სამი კაცი ამათში ალბინიკის მეგობრები იყვნენ, ერთმა იმათ შორის ალბინიკს გვერდით გაუარა და სმა—დაბლივ უთხრა: ალბინიკ! ჩვენ მართალია გაპარულები ვართ, მაგრამ თმები ისევ გვეშლება და ეგრეთვე გვეშლებიან ფრჩხილებიცა. ისინი მოიყვანეს რაღაცა ფიცრულში, რომელიც ტილოთი იყო გადაფარებული და ჩალით მოფენილი. იმას მარჯვნივ და მარცხნივ მხრივ სხვები ამასთანვე ფიცრულები ქუჩის მგზავსად ერთ გვერდებზედ იყვნენ გამწკრივებულნი. აქ ჯგუფად დასეირნობდნენ ჯარიცრები, სალდათები, ტყვების მეიდველნი, ჩარჩები და სხვა ხალხნი, რომელნიც რომის ჯარს ეკუთვნოდნენ. ისინი ბალაგნებში ისხდებოდნენ და თან ტყვებს დასცინოდნენ. ბალაგანი, რომელშიაც, ჩარჩის სიტყვით, ალბინიკის შვილები უნდა მსხდარიყვნენ, დაკეტილი იყო; იქიდამ ისმოდა გინება, საშინელი ყვირილი და ტკივნეულობითა ოხვრა დედაკაცებისა, რომელნიც ლაღურად ლაპარაკობდნენ: «დაგვიხსენით, დაგვიხსენით! ის გვირჩევნია სირცხვილის ჭამასა».

— თავიანთ ჭკუაში ეს სულელი დედაკაცები სდებენ თავებსა. იმათ აშიშვლებენ, რომ მეიდველებმა კარგათ გააშინჯონ და ისინი კი გადარეულებივით ღრიალებენ,—ეუბნებოდა ალბინიკს ჩარჩი.

პატარა ხანს უკან ზარები დარეკეს, რომელიც იყო ნიშანი ვაჭრობის დაწყობისა; ყველა მხრიდამ მეიდველებს სთხოვდნენ ფიცრულებში შესვლას. ჩარჩმა ალბინიკი დამალა, რომ ჯერ რაც მცირე საქონელი ჰქონდა ის გაეყიდნა; ბოლოს დროს ალბინიკმა დაინახა თავის მომავალი პატრონი: ის იყო თმებ-გათეთრებული სახის კაცი, იმას ეცვა კარის ტანისამოსი; საშინლად კოჭლობდა და დაბჯენილი იყო ჯოხზე, რომელსაც ვაზის ფორმა ჰქონდა და რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტურიანის სარისხს ნიშნავდა. ჩარჩმა ალბინიკს სრულებით გახადა და იმ სახით გამოაჩინა თავისი საქონელი, რომლითაც იმას მაღალი თავი მოჰქონდა. გროვა მოსყირენი შეიყარნენ ფიცრულების გარეშემო. მეიდველმა ჯერ წაიკითხა, რაც ეწერა ფიცარზე, რომელიც ალბინიკს ყელზე ეკიდა, შემდგომ საქონელს დაუწყო შინჯვა. გული, ხელები და მხრები ტყვეს ხელით გაუზომა, მერე ალბინიკის ღონის გასაგებლად ჩარჩმა უბძანა იმას, რომ ტყვის სწორნი აეღო ძირიდამ და თავზე მაღლა აეწია. როდესაც იმან ეს შეასრულა, მაშინ უბძანეს სიმარდის საჩვენებლად რამდენჯერმე იდაყვის სიმაღლის ჯოხზე გადახტომა, თუმცა ბორკილები ძალიან ამძიმებდნენ, მაგრამ მაინც ალბინიკმა ესეც აასრულა.

—ახლა დაგვრჩა გამოვცადოთ რა მშვიდობიანი ხასიათისა ხარ,— უთხრა ჩარჩმა და მცველს მათრახი გამოართვა, მაგრამ მეიდველმა წაართვა იმას ხელიდამ.

—ეს ბებერი მელა არ მენდობა მე,—უთხრა ჩარჩმა ალბინიკს: იმას ეშინიან, რომ მე ნელა გცემ, ჩემო საყვარელო ხარო! მოითმინე და აჩვენე მაგას, რომ შენ მოთმინებით შეგიძლიან აიტანო ტანჯვა.

ამ სიტყვებზე კოჭლმა მუშტარმა ხეტყვასავით წაუშინა ალბინიკს მათრახი მკერდსა და ზურგზე; ალბინიკი ისე იმ გაუგებელი წამლის განვლენის ქვეშ იყო, რომელმაც იმას სულ დაუკარგა თავის სიამაყე, თავისი თავმოყვარეობა და გაბედულობა. იმან დაიწყო ტირილი, დაეცა მუხლებზე და ისე სთხოვდა შეწყალებასა.

იმ დროს, როდესაც მაყურებლები, რომელნიც ბაღაგანის გარეშემო მოგროვდნენ და რაც კი შეეძლოთ იცინოდნენ, გაჯავრებულმა, დალის ამისთანა სიმშვიდით, ცენტურიანმა დაანება იმის ცემას თავი; ჩარჩმა კი როგორც მგელს, ისე დაუწყო იმას ალერსი და დაგლეჯილ და დაფლეთილ ზურგზე ნელ ნელა გადუსვა ხელი და უთხრა: —შენ თუმცა

ღონით ხარი ხარ, მაგრამ სიწყნარით კი ბატკანი ხარ, მე არ შევსცდი შენში.

გაშრობა გაათავეს, ჩარჩმა კოშკისგან მრავალი ოქროს ფული მიიღო, რაღაც ელაპარაკა კიდევ იმას, მიუბრუნდა ალბენიკს და უთხრა:

— შენ ახალ ბატონს ჰგონია რომ შენ კარგათ ვერა ხარ ბორკილში ჩაბმული და ამიტომ უბძანა რომ ფეხების ბორკილები დაამძიმონ.

ამ ბორკილებმა ისე რიგათ დაამძიმეს ალბინიკი რომ იმან ფეხები ველარ აიღო, და უნებურათ დაჯდა ძირსა. ამ დროს აიხსნა ის ტილო, რომელიც ჰფარავდა პირდა პირ ბალაგანს.

შიგნით ერთის მხრით ისხდნენ სამი მშვენიერი ქალი, უმაწვილი დედაკაცები, ანუ გასათხოვარი ქალები; ისინი თითქმის შიშვლები იყვნენ და ფეხები შებორკილებული ჰქონდათ; ისინი ერთმანერთს მიჰკვრიყვნენ ისე რომ ორი იმათგანი სირცხვილით შეწუხებულნი მალავდნენ თავიანთ სახეს მესამის ქალის გულზე ამ უკანასკნელს ფერ— მიხდილს, მოწყენილს, ხმელის და გაშლილის შავის თმის ნაწნავებით დაეშვა თავი თავის გადახდილს და დაწყლულებულს გულზე. იმათ მახლობლათ ორი სამის წლის უმაწვილები, რომელთაც წელზედ თოკი ჰქონდათ მობმული, უზრუნველათ იცინოდნენ და ჩალაზე ეყარნენ. ბალაგანის მეორე მხარეზედ მაღალი ტანის დედაკაცი, ბორკილშეყრილი ფეხებში და ხელებში, იდგა უძრავათ, როგორათაც სტატუის სვეტზედ მიყუდებული, რომელზედაც ის იყო მიკრული წელით; იმას ჭაღარა თმა ჰქონდა გაწეწილი, თვალები უძრავი, პირისახე ყვითელი და საშიშარი; იმის გულიდან ხან და ხან ისმოდა ხარხარი უგუნური და შემაძრწუნებელი. ბალაგანის შუა გულს იყო საკუჭნაო. ალბინიკმა იფიქრა ვითომც იმაში არიან დახშულნი იმის შვილები; იმას თავში სუბუქათ სი-

ხსლი აუვარდა და ამ შემთხვევამ აუწყო იმას ხუხტი დონის მობრუნება. იმას ჯერ ისევ თვალი საკუჭნაოზე ეჭირა, როდესაც ბალაგანში შემოვიდა მშვენიერად ჩაცმული მოხუცებული კაცი. ეს იყო ცნობილი პატრიცი კრებიონი, დასუსტებული, ხნიერობისა და გარყვნილობისაგან მქრქალი, თვალებში სიცოცხლე აღარ იყო; საზიზღარს და დაღრეჯილს სახეზე სქლათ ეყარა ფერ უმარილი. თავზე ეხურა ქერა დახუჭუჭებული პარიკი, ყურებში ეკიდა მძვლი საყურეები ძვირფასის ქვებისა; სარტყელში ერჭო უშველებელი ყვავილების თაიგული, მკლს ნაკერს კაბაზე წამოსხმული ჰქონდა წითელი მანტია. ის ძლივს მიათრევდა ფეხებს და ორივე ხელით დაბჯენილი იყო ორის ყმაწვილი მონის მხრებზე, რომელნიც მდიდრულად იყვნენ ჩაცმულნი, მაგრამ იმ ნაირად, რომ არ შეგეძლოთ გეთქვათ დედაკაცები იყვნენ ისინი თუ კაცები; უკან იმას მოსდევდნენ ორი სხვა მათზე ხნიერი მონები; ერთს იმათგანს მოჰქონდა თავისის ბატონის შუბი მეორეს სალამური ოქროს ბურბჭელი.

პირდაპირ ის ბალაგანის ვაჭარი მივარდა იმასთან პატივისცემით და მოწიწებით და დაუდგა სკამი, რომელზედაც ის ჩამოჯდა. რადგანაც სკამს ზურგი არა ჰქონდა, მაშინ ერთი ყმაწვილი მონათაგანი დადგა უძრავად თავის ბატონს უკან, რომ ის იმას მიჰყუდებიყო, მეორე კი დაწვა მიწაზე.

გახვია თავის კაბის კალთებში იმისი ფეხები, რომლებზედაც ეცო მდიდრული სანდალები და მიიკრა ისინი თავის გულზე, რასაკვირველია იმ განზრახვით, რომ გეეთბო ისინი, დაჯდა რა ამგვარად, კრებიონმა რაღაც უთხრა ვაჭარს და იმან უჩვენა იმას სამი თითქმის შიშველი მონა დედაკაცები. გარყვნილმა პატრიცამ შეჰხედა სამს მშვენიერს დედაკაცებს და შეაფურთხა ნიშნათ იმათის შეურაცხებისა. ყველა მეოფემა ხარხარი დაიწყეს. ვაჭარმა უჩვენა პატარა ყმაწვილი, მაგრამ კრე-

ბიონმა უთხრა ყურით რაღაც საშინელი, რადგანაც რომაელების — სარ-
ხარი უფრო გასშინდა. მაშინ გაჯარი მოვიდა საკუჭნაოსთან და გამო-
იყვანა იქიდამ სამი ყმაწვილი, რომელთაც ესხათ გძელი თეთრი წა-
მოსასხამი; ჯერ იმან გადახადა ხურტს პატარა და ცუდი სახის ქალ-
სა; კრემიონმა მისცა მოუთმენელი ნიშანი და გაჯარმა მაშინვე შეიყვა-
ნა ეს ისევ საკუჭნაოში.

მძიმედ შეჯავრებული ალბინიკი უყურებდა ამ სცენას თავის ბალა-
გნიდამ, იმისმა გამშრალმა სისხლმა უფრო ცხოველად იწყო მიმდინარე-
ობა ძარღვებში, რაღაც ნაირმა თრთოლამ დაიწყო რბენა მთელს ტანში —
ის თან და თან ფსიზღლობდა... სამმა ყმაწვილმა დედაკაცმა და მოხუცე-
ბულმა მატრონამ დაივიწყეს თავისი სირცხვილი და სასოწარკვეთილე-
ბა და აღარ იმალავდნენ თავს მყურებლებთაგან და დედობრივის სიყვა-
რულით დაუწყეს ცქერა ორს გახვეულს ყმაწვილს, რომელნიც საზი-
ზღარს მოხუცს მიჰგვარეს, მაშინ როდესაც მოხუცმა მატრონამ, სკე-
ტზე მიბმულმა, კბილებ მოჭერით, ამართა ანთებული თვალები და შე-
ბორკილი ხელები მაღლა თითქო შესთხოვდა ღმერთებს იმ საზარე-
ლი საქმეების დასჯას.

კრემიონმა ანიშნა, დაჰხადეს ბავშვებს პირსახურავები. ალბინიკმა
იცნა თავისი ოჯლიანი და გინაა ისინი ორნივე გამხდარიყვნენ და სი-
ცივით კანკალებდნენ; თვალებზე ცრემლები მოზდიოდათ; გძელი ქერა
თმები პატარა ქალს ბეჭებზე სცემდნენ, ყმაწვილებს ერთი ერთმანე-
თის ხელი ეჭირათ, ერთმანეთზე მიკრულიყვნენ და ისე იდგნენ. თუმცა გა-
ნას სახეზე დიდი შიში იხატებოდა, მაგრამ ის წარმოსდგა თავისის ყმა-
წვილურის გასაოცარის სიმშვენიერით. ეს სიმშვენიერე იყო საკვირველი,
იმისთვის რომ იმის შეხედვით კრემიონის გამქრალი თვალები აენთო,
როგორათაც განადლებული ნახშირი. ის გაწითლდა, მიუშვირა თავისი
გამხმარი ხელები, თითქო უნდოდა ეტაცნა თავისი მსხვერპლი

და საზიზღარმა ღიმილმა გამოაჩინა იმისი გაყვითლებული, თითქმის დამპალი კბილები... შეშინებული გენა უკან გადახტა და მამას ყელზე დაეკიდა; მაგრამ ის ისევ მალე მიიყვანეს კრემიონთან. მოხუცმა ფეხი ჰკრა მიწაზე მწოლარე მონას, სტაცა გენას ხელები, შეიგდო ფეხებშუა და დაიჭირა მაგრა. თუმცა გენა ცდილობდა განთავისუფლებულიყო და ყვიროდა კიდეც, მაგრამ კრემიონმა მოგლიჯა ზონრები, რომლებითაც იმას კარგა ჰქონდა ხელები შეკრული და გახადა იმას რომ გაეშინჯა იმისი გული და გვერდი. კრემიონმა მოსვენებით გაათავა თავისი საშინელი გაშინჯვა და ვაჭარს რამდენიმე სიტყვა უთხრა; მცველმა კაბა შეუკრა ყმაწვილს, რომელიც თითქმის მკვდარი იყო, ზეწარში გასვია, ხელში აიყვანა და მოემზადა რომ ზებერს უკან გაჰყოლიყო, რომელმაც ჯიბიდამ ოქროს ფული ამოიღო და ვაჭარს ანგარიში დაუწყო. ამ განწირულს მინუტში საწყალმა ყმაწვილებმა დაიწყეს ყვირილი: «მამა! დედა!» ჰყვიროდნენ ისინი თითქო გაიგებენ ისინი და მოვლენ ჩვენ მოსაშველებლადაო. ამ ყვირილმა ალბინიკს გონება და ახოვნება დაუბრუნა; ყმაწვილების დანახვამ ისეთ რიგათ აიტაცა, ისე გაატოთიანა, რომ მძიმე ბორკილებს აღარა დაზღიარა და ბალაგნიდამ გამოვარდა, ორი ნახტომით კრემიონის გვერდით გამოჩნდა, წააქცია და რადგანაც ხელებით, რომელნიც ზურგზე ჰქონდაკრული, დახმარება ვერ შეიძლო, კბილებით პირი სახის კბნეტა-კბენა დაუწყო და ისეთ რიგათ წაუჭირა, რომ ვერც მათრახით, ვერც ჯოხით ვერც ქვებით ვერ აგლიჯეს მცველებმა ალბინიკი.

ამ საძაგელს ზებერს სული უგუბდებოდა და თავისის სისხლით ალბინიკს პირს უმსებდა, მაგრამ ალბენიკმა იქამდის თავი არ დაანება, მინამ ხორცი არ მოაკვნიტა და იმის საძაგელს, გაყვითლებულ და სიმჭდილის მგზავს სახეში არ მიაფურთხა.

— «მამავ, მამავ! ყვიროდა იმ დროს პატარა იულიანი და ცდილო-

ბდა იმასთან მისულიყო. ალბინიკი გაიწია და ისეთი საშიშარი—გასხ-
და, რომ ყველანი გადგნენ განზედ და ბორკილ—შეკრულს მონას
ახლოს ველარ მოეკარნენ.

— მამა, მამა,—იმეორებდა ტულიანი და თან ხელებს აწოდებდა.
ალბინიკი, თუმცა ხელში ეწირათ, მაგრამ მაინც გადახტა თავის შვილ-
თან, მაგრამ ვაჭარმა მოასწრო და საბანი თავზე გადაჰხურა. ამ დროს
ალბინიკს ფეხებზე ხელი სტაცეს, წააქციეს, მრავლის თოკებით შე-
კრეს წაიყვანეს ბალაგანში და ჩალაზე დააწვინეს. მერე იმას მოესმა
ცენტურიანის ჩხუბი ჩარჩთან და ვაჭართან, რომელმაც გზა გაჰყიდა.
მცირეს ხანს შემდეგ ყველანი წავიდნენ და ჩუმობა შეიქნა. რამდენიმე
ხნის განმავლობაში ჩარჩი დაბრუნდა, ბრაზიანათ ალბინიკს ფეხი წაჰ-
კრა და სთქვა:

— ავაზაკო! იცი რა მიღირს მე ის ნაჭერი ხორცი, რომელიც
შენ კრემიონს სახიდან გამოაგლიჯე? იცი შენ ესა, გარეულო მხეცო?
ის მე მიღირს ნახევარ ფასად მეტი, რაც მე შენში ავიღე, თუ
შენ რამ ბოროტი საქმე მოიქმედე მე ვალდებული ვარ იმის პასუხის
მიცემისა, სანამ შენ ჩემთან ხარ, შე საძაგელო! მე ფასი მივეცი, შენ
ქალში და კრემიონს ვაჩუქე. იმან თითონ მოითხოვა.

— ეს მხეცი არ მამკვდარა? დაიძახა გამშაგებით ალბინიკმა: და
არც ჩემი ქალი მომკვდარა.—

შენი ქალი მე დასახრჩობო! ის არის კრემიონთან, რომელიც
გადაუხდის იმას ჩემ მაგიერათ... იმას ეს წინათვე უხარიან. ამ ბებ-
რებს ხანდისხან მხეცური ჭაზრი მოუვათ ხოლმე და კრემიონი
ისე მდიდარი არის, რომ შეუძლიან აასრულოს თავისი სურვილი. ალ-
ბინიკმა ამაზე მხოლოთ მისცა ამოოხვრით პასუხი.—ეს კიდევ ცო-
ტაო გააგრძელა ჩარჩმა:—ცენტურიანს უნდოდა, რომ მე შენ უკანვე
ამეყვანე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი შვილითა...

— არა, ვის რათ უნდოდა ეყიდნა იმისთანა მგლის ლეკვი, როგორც შენი შვილი, ის იმას მისცეს დასამატებლად, ვინც მოხუცებული დედაკაცი იყო.

— ის ვიღამ იყიდა?...

— შენმა ბატონმა ცენტურიანმა

— ჩემი შვილი ჩემთან იქნება.

— შენი შვილები შენთან? შენ ისევე სულელი ყოფილხარ, როგორათაც კაპასი. შენა გგონია შენმა ბატონმა შენის სიამოვნებისთვის იყიდა შენი მგლის ლეკვი: არა, შენმა ბატონმა სთქვა, რომ იმას ყაფაზაში ჩასვამს და რომ შვილი თავის მამის უმორჩილების პასუხის მიმცემი იქნება.

«მამის პირველ დანაშაულშივე», სთქვა შენმა ბატონმა, იმის თვალწინვე დავსჯი მე იმის მგლის ლეკვსაო.»

მეორე დღეს იმის შემდგომ, როდესაც ალბინიკი და იულიანი მოჰგვარეს ახალ ბატონს, იმან უთხრა ალბინიკს?

— ყოველთვის, როდესაც შენ ცოტას იმუშავებ, შენ შვილს თითო კბილს გამოჰგლეჯენ... თუ შენ ჭირვეულობას დაიწყებ, მაშინ იმას ფჩხილს გამოჰგლეჯენ, ყოველთვის როდესაც შენ გაქცევას დააპირებ, შენ შვილს ხან ხელს, ხან ფეხს, ხან ცხვირ-პირს, ხან ყურს, ხან ენას მოსჭრიან... თუ შენ გაგცევა მოგისდა, მაშინ იმას თვალებს დასთხრიან და ფეხში შესმენ, ან თაფლს წაუსმენ და მწერს შესაჭმელად გადუგდებენ; ანუ ტანისამოსზე ფისს წაუსმენ და ნელ ცეცხლზე დასწვავენ. ახლა შენზეა დამოკიდებული რა ტანჯვას მიაყენებ შენ შვილს.

— შენ ჩემზე მორჩილი და მუშა მონა არ გეყოლება,—უპასუხა ალბინიკმა:—მხოლოდ პირობა მომეცი, რომ როდესაც შენ მადლობელი

იქნები ჩემი, მაშინ ნებას მომცემ, რომ ჩემი შვილი ვნახო;

—კარგად მოიქეცი და ვნახოთ—უპასუხა ცენტურიანმა. ამ დრომდინ დაჭერილი ამაყი ალბინიკი სუყველა მონებზე უმორჩილესი და შრომის მოყვარე გახდა; ისიც სხვა მამებთან სცხოვრებდა; იულიანი კი ყაფაზაში ჩასვეს; დილით და საღამოთი სასეირნოდ ჰგზავნიდნენ და მაღლა ზედ მობმული ჰყავდა, რომელიც არას დროს თავს არ დაანებედა თავის პატრონს. ხანდისხან იულიანე შორიდან დაინახავდა ხოლმე თავის მამას, რომელიც იმ დროს სამუშაოდამ თავის დარანში მიდიოდა. ერთხელ ალბინიკმა იმდენი იმუშავა, რომ პირველად ნება მისცეს თავის შვილის ნახვისა, გასათვისილებლად ფეხებზე ჩვეულებრივი ბორკილების გარდა კიდევ სხვა გაუკეთეს და მცველი გააყოლეს, რომელსაც არც ერთს იმის მოძრაობისათვის თვალი არ უნდა მოეშორებინა. რა რიგად გამოიცვალა ალბინიკი! გახდა, დაიღმიჭა და ტანისამოსის მაგიერად ბამბაში გახვეული, ვეღარ იცნობდით უწინდელს ამაყს, მშვენიერს და მხიარულს ალბინიკს.

ბ. მ.

1872 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიესკოს შეთქმულობა

დრამული თხზულება

შილლერისა.

თარგმნილი

ნ. ავალიშვილისაგან.

ვუძღვნი ჩემს...... მეგობარს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მომქმედნი პირნი:

**ანდრია დორია.** გენუის დოჟი. 80 წლის საკატოო მოხუცი. ჯერ კიდევ სჩანს მასში უწინდელი ცეცხლის კვალი. უმთავრესი მისი თვისება: მედიდურობა და მკაცრი, ბძანების კილოიანი მცირე-სიტყვაობაა.

**ჯიანეტტინო დორია.** დოჟის ძმის-წული. დოჟობის მეძიებელი. 26 წლისა. სიარულში, ლაპარაკში და ქცევაში—მოუქნელია, გარყვნილი და გლეხური სიამაყე სჭირს. უსიამოვნო სახის მოყვანილობა აქვს.

(ორივე დორიებს ძოწეული აც;იათ).

**ფიესკო, გრაფი ლავანია,** შეთქმულობის თავი. ტანახოვანი და დიალ მშვენიერი 23 წლის ყმაწვილი კაცია. ამაყია—შესაფერად; ალერსიანია—თავის დაუმდაბლებლად; პირფერია და დამყოლი, როგორც კარის კაცი და ეგოდნადვე მცბიერიც არის.

(უველა სეფეთ (ნობილებს) შავები აცვიათ. ტანისამოსი ძველებური-გერმანიულია).

**ვერრინა,** შეთქმულობის წევრი. რესპუბლიკის მომხრეა, 60 წლისა. მედიდურია, კუშტი და მოქუროუშული. მკაფიო სახის მოყვ:ნილობა აქვს.

**ბურგონიინო,** შეთქმულობის წევრი. 20 წლის ჭაბუკია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილშობილური და სასიამოვნო სახის მეტყველება აქვს. ამაყია, ფიცხი და ბუნებრივი თვისებისა.

**ᲙᲐᲚᲙᲐᲜᲘᲝ**, შეთქმულობის წევრი. ჩამოფხავებული მოარშიყე, 30 წლისა. სასიამოვნო გარეგნობა აქვს და გამბედავია.

**ᲡᲐᲙᲙᲝ**, შეთქმულობის წევრი. 45 წლის ვაჟკაცია. ჩვეულებრივი თვისებისაა.

**ᲚᲝᲛᲔᲚᲘᲜᲝ**, ჯიანეტტინოს კაი-ყმაა. ჩამომხმარი კარის კაცია.

**ᲪᲔᲜᲢᲣᲠᲘᲝᲜᲔ**<br>
**ᲪᲘᲑᲝ** } უმადურნი.<br>
**ᲐᲡᲡᲔᲠᲐᲢᲝ**

**ᲠᲝᲛᲐᲜᲝ**, მხატვარია. უკრთომელი, უზაკველი და ამაყია.

**ᲛᲝᲚᲐ-ᲰᲐᲡᲐᲜᲐ**, ტუნისელი არაბი. აჩირებული გაქნილი კაცია. იმის სახის მეტყველება—უცხო შეერთებაა ქვებუდანობისა და მასხარაობისა.

**ᲜᲔᲛᲔᲪᲘ**, გერცოგის მცველი. უმთავრესი მისი თვისება, პატიოსნური სიალალ-მართლე, ძალა და მამაცობაა.

**ᲡᲐᲛᲘ ᲐᲚᲨᲝᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ.**

**ᲚᲔᲝᲜᲝᲠᲐ**, ფიესკოს ცოლი. 18 წლისა. სუსტი აგებულებისაა და ფერ-მკრთალი; ნაზი და შთამბეჭდელია; ძალიან მიმზიდველია, მაგრამ ბრწყინვალე კი არ არის. სახეზედ—ოცნებითი ფიქრიანობა აჩნევია. შავებშია ჩაცმული.

**ᲘᲣᲚᲘᲐ**, გრაფი იმპერიალის ქვრივი, ჯიანეტტინოს და. 25 წლისა. მაღალია და სრული. ამაყია და კეკელა, ნათრევი სილამაზის პატრონი. ბრწყინვალეა, მაგრამ მიმზიდველობა კი არა აქვს. ბოროტი და მკიცხველი სახისაა. შავე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბშია ჩაცმული.

ბერტა. ვერრინას ასული, უმანკო ქალი.

როზა }
არაბელა } ლეონორას მოახლეები.

სეფენი, მოქალაქენი, ნემეცები, სალდათები, მსახურები, ავაზაკები.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიესკოს შეთქმულობა.

დრამა შილლერისა.

# მოქმედება პირველი.

დარბაზი ფიესკოს სასახლეში. შორიდგან ისმის საკრავების ხმა და მეჯლიშის ჟრიამული.

## გამოსვლა პირველი.

ლეონორა მასკით, როზა და არაბელლა, აღელვებულნი, შემორბიან სცენაზედ.

ლეონორა (მასკას მოიგლეჯს). კმარა! კმარა!... ახლაკი, ყველაფერი დღესავით ცხადია ჩემთვის. (სავარძელში ჩაეცემა). ვიშ! თქვენი ჭირიმეთ! მომკლა ამ ამბავმა!

არაბელლა. სინიორა!....

ლეონორა (ადგება). ასე, ჩემ თვალწინ! მერე იმ კეკლუცთან, მთელი ქალაქი რომ იცნობს რა შეილიც არის!.... მთელი გენუის დიდკაცების თვალწინ!... (სიმწარით). განა როზა და ბელლაც უნდა უყურებდნენ ამ ჩემს ნამტირალევს თვალებს!...

როზა. თქვენ აზვიადებთ, სინიორა. ეგ ამბავი უბრალო ალერსად უნდა მიგაჩნდესთ.

ლეონორა. უბრალო ალერსადაო!.. მაშ ის ტრფიალე-

ბით თვალში თვალის გაყრა რაღა იყო? ან ის მოუკრძალებული თვალ-ყურის დევნა ყველა იმის მოძრაობისა? ან ის ხანგრძლივი ზედ-დაკვდინებული კოცნა, ეხლაც რომ ცეცხლის ფერ წითელ ლაქად აჩნევია იმის შიშველ ხელს? ჰა! ის უხმოობა და ეშხით მთვრალობა რაღა იყო, გაქვავებულსავით რომ იჯდა, თითქოს ალტაცების განხორციელებული სურათიაო,—ასე ჰგონია მის გარეშემო ქვეყნიერება აღარ არსებდა და მარტო იმ Იულიას მჭვრეტელობდა და მით ნეტარებდა უკუნითს და უსაზღვრო სივრცეში? რის ალერსი? ჩემო კეთილო, მაგრამ ჯერ სიყვარულში გამოუცდელო არსებავ, შენ რა იცი ალერსსა და სიყვარულში რა გარჩევაა.

**როზა.** მით უკეთესი, მა დონნა ერთი მეუღლის დაკარგვა—ათი თაყვანისმცემლის მოპოვებას ჰნიშნავს.

**ლეონორა.** მეუღლე დავკარგო?—ერთმა უბრალო ძარღვის უწესო ცემამ უნდა დამაკარგვინოს Ფიესკო? ბამეცალე, მე გესლიანო ყბედო!—თვალით აღარ დამენახვო!.. აჰ, სწორედ უმანკო ხუმრობა იქნებოდა,—მხოლოდ უბრალო ალერსი...—არა, ჩემო ბელლავ, ასე არ არის?

**არაბელლა.** აბა, რაღა თქმა უნდა!

**ლეონორა** (ფიქრებში ჩაინთქება). Ვინიცის იმის გ უ ლ ი დამონავებულიც არის იმისგან, ვინიცის ყველა იმის აზრი მის სახელთან იყოს შებექილი? Ვინიცის, ყოველი ფერი ამ ბუნებაში მარტო იმაზედ მოუთხრობდეს იმას? მაგრამ ეს რას ვსჩადი! საით გაუტივე?.... Ვაიმე, თუ მართლა მთელი ქვეყანა რაღაც საკვირველ ალმასად გადაჰქცეოდეს იმას და იმ ალმასზედ მისი ს უ რ ა თ ი ეხატოს,—მარტო მისი სურათი?! Ვაი მე, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლა უყვარდეს იული? ოჰ, ხელი მომე, ბელლა, ჰლამის დავეცე!

(დუმილი. ხელახლად მოისმის საკრავების ხმა).

**ლეონორა.** (აჩქარებით). ჩჩუ! ამ ქრიამულსა და ყაყანში, მგონია, ფიესკოს ხმა ისმის! განა ის უნდა იცინოდეს, როდესაც იმის ლეონორა ტირის? მაგრამ, არა, ჩემო კარგო!—ეს ჯიანეტტინო დორიას ხეპრული ხმაა.

**არაბელლა.** მართლა ის არის, სინიორა! სხვა ოთხში გავიდეთ.

**ლეონორა.** შენ სწითლდები, ბელლა!—სჩანს სცრუობ. მე თქვენს თვალებში, და ყველა გენუელების სახეზედ ვკითხულობ რაღაცას, ისეთს რასმეს... ოჰ, უეჭველია, ამ გენუელებმა იმაზედ მომეტებული იციან, რასაც მეუღლის სმენამდის მოღწევა შეუძლიან.

**როზა.** იჭვიანობავ! ყველაფერს კი აზვიადებ—და!

**ლეონორა.** (ნაღვლიანად ოცნებობს). როცა ის ჯერ ფიესკო იყო, შემოვიდა ერთხელ ნარინჯის წალკოტში, სადაც ტოლი ქალები დავდიოდით ხოლმე სასეირნოდ და საცელქოდ; მშვენიერებით—სწორედ აპოლლონს ემსგავსებოდა, ვაჟკაცობით—ანტინოეს. ისე ამაყად და დიადად მოდიოდა, თითქოს ძ ა ლ ო ვ ა ნ ი  გ ე ნ უ ა მის ჭაბუკ მხრებზედ არის დაყრდობილიო. ჩვენ მალვით ვადევნებდით იმას თვალს, და როცა იმის ცისკროვანებრ ბრწყილვალე თვალები შეეტაკებოდა ხოლმე ჩვენს თვალებს, ისე დავიფანტებოდით ხოლმე, თითქოს საღმთო რამე ნივთის ქურდობაში მოგვასწრესო. ოჰ, ბელლა, რა სიხარბით ვნადირობდით იმის შემოხედვას! რა მიკერძვით სთვლიდა იმ შემოხედვებს ჩვენი ყველას მტანჯველი შური! იმ შემოხედვებმა განხეთქილების ოქროს ვაშლსავით

იმოქმედა ჩვენზედ: მშვიდი თვალები ველურის ალერსით გვეფერე-ბოდა, ნაზი მკერდი უფრო ძლიერ-ძლიერად აღიოდა და და-დიოდა და შურმა ჩაშალა ჩვენში მეგობრობა.

არაბელლა. მახსოვს. იმ საგულის-გულო საშოვარის დანახვით მთელი გენუის ქალებმა ზღვასავით ღელვა დაიწყეს.

ლეონორა. (თითქოს ზეგარდამო შთაგონებით.) ბოლოს ჩემათაც ვ'ცანი ის! — კადნიერი, საშინელი ბედნიერებაა! უდიდესი გენუას ვაჟკაცი — ჩ ე მ ი შეიქმნა! (სიყვარულით) ის, რომელიც სრულად შეთავსებული გამოვიდა დაუსრულებელი ხელოვანის კალმის ქვეშ, და რომელსაც თვისი სქესის სრული დიადობა შეერთებული ჰქონდა უზომო სიმშვენიერესთან! გამიგონეთ, სასურველნო! მე დაფარვა აღარ შემიძლიან. გამიგონეთ, სასურველნო! ერთი რამ უნდა განგიცხადოთ, (საიდუმლოებით) ის აზრი მინდა გითხრათ, მე რომ გამიელვა თავში, როდესაც ხელი-ხელში ჩართული ფიესკოს გვერდით ვიდექ საკურთხევლის წინ, — დედაკაცებისთვის აკრძალული აზრია: მე ვეუბნებოდი მაშინ ჩემ თავს: ეს ფიესკო, რომლის ხელი შენ ხელშია ჩართული, შ ე ნ ი ფიესკოა მეთქი, — (მაგრამ, წყნარა, რომ არავინ გაგვიგოს, თუ რანაირად აგვამაღლებს მისი დიდებისგან გარდამოცემული ნათელი), — სწორედ ეს ფიესკო, (ვაი თქვენ თუ ეს გრძნობა არ აღგამაღლებსთ) დიაღ, სწორედ ეს ფიესკო მ ტ ა რ ვ ა ლ ე ბ ი ს ხ ე ლ ი დ გ ა ნ გ ა ა ნ თ ა ვ ი ს უ-ფ ლ ე ბ ს მ ე თ ქ ი გ ე ნ უ ა ს.

არაბელლა (გაოცებით). რა ქალის საქმეა, თქვენი ქირიმეთ, მაგისთანა აზრი, ისიც ქორწინების დღეს?

ლეონორა. გაიკვირვე, როზა; — საფერი არ არის, განა, სასძლოსთვის ესეთი აზრი სანეტარო ქორწინების დღეს? (გან-

ცხოველდება). მე დედაკაცი ვარ, მაგრამ ჩემი სისხლის უპირატესობას ვგრძნობ და არ შემიძლიან ავიტანო, რომ დორიები უღირსობდნენ ჩემს წინაპრებზედ. დაე, მშვიდობიანი ანდრია (სასიამოვნოა იმის სიყვარული) — გენუას გერცოგად სამუდამოდ დარჩეს; მაგრამ იმის ძმისწული, ჯოანტტინო, რომ იმის მემკვიდრეა!... ის ჯიანეტტინო, ბოროტი და გარყვნილი გულის პატრონი რომ არის! მთელი გენუა თრთის იმის წინ; ფიესკოს კი, (სიმწარით) დ ა მ ი ტ ი რ ე თ, მ ე ს ა ბ რ ა ლ ო!—ფიესკოს იმისი და უყვარს.

**არაბელლა.** საწყალო, უბედურო ქალო!

**ლეონორა.** ახლა წადით—და დასტკბით იმ გენუელების ნახევარ-ღმერთის ხილვით, უსირცხვილო გემოთმოყვარეთა და კეკლუცთ შუა რომ ატარებს დროს, ყური დაუგდეთ, რა რიგი ქუჩური ანდაზებითა და მახვილობით ჰხიბლავს მათს სმენას, ან რა რიგ უცნაურ ზღაპრულ პრინცესსებზედ უამბობს მათ... აი—ფიესკო! აჰ, საყვარელნო, მარტო გენუამ კი არ დაკარგა თავისი გმირი,—მეც—ქმარი დავკარგე!

**როზა.** წყნარა ილაპარაკეთ. ტალანში ვიღასიც ფეხის ხმა ისმის.

**ლეონორა.** (შეკრთომით). ფიესკოა! წავიდეთ აქედამ! ამ ჩემი სახის ნახვა უთუოდ მოაწყენს იმას. (გარბის სხვა ოთახში. მოახლეებიც თან გასდევენ).

## გამოსვლა მეორე.

**ჯიანეტტინო დორია**, მასკით მწვანე მანტია მოსხმული და **არაბი**—შემოვლენ ლაპარაკით.

**ჯიანეტტ.** ხომ გაიგე, რაც გითხარი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**არაბი.** აბა, რასაკვირველია.

**ჯიანეტტ.** თეთრი მასკა.

**არაბი.** მესმის.

**ჯიანეტტ.** გიმეორებ—თეთრი მასკა მეთქი.

**არაბი.** გავიგე, გავიგე და გავიგე!

**ჯიანეტტ.** გესმის, არ აასცდინო, ჰა! აი, აქეთ (თავის მკერდზედ ანიშნებს.)

**არაბი.** არხეინად ბძანდებოდეთ?

**ჯიანეტტინო.** კარგი, ლაზათიანი მოსცხე....

**არაბი.** კმაყოფილი დამრჩება.

**ჯიანეტტ.** (დაცინვით). ისე, რომ საბრალო გრაფი დიდხანს აღარ ეწვალოს.

**არაბი.** უკაცრავად კი არ ვიყო და, მაგალითად რომ ვსთქვათ, იმის თავი რამდენს აიწონს?

**ჯიანეტტ.** ას ცეხინს.

**არაბი.** (თითებზედ იბერავს). ფუუუ!—მსუბუქი ყოფილა.

**ჯიანეტტ.** მანდ რას ჰბუტბუტებ?

**არაბი.** არაფერს, მსუბუქი, ადვილი საქმეა მეთქი.

**ჯიანეტტ.** ეგ შენ იდარდე. ესეც უნდა იცოდე, რომ ის კაცი სწორედ ანდამანტია. ყველა მოუსვენარი თავები სულ იმისკენ იწევენ. აბა ჰა, გაფთხილდი—არ აასცდინო.

**არაზს.** ამ ეშმაკური საქმის შემდეგ რომ მაშინვე ვენეციისკენ უნდა მოვკურცხლო....

**ჯიანეტტ.** მაშინვე, და—ჯილდოც ამ თავით მიიღე. (ქისას გადუგდებს). აბა, ვინძლო ამ სამდლეს უკან მძოვრად აქციო ის. მეტს ნულარ დააგვიანებ. (გადის).

**არაბი.** (ქისას აიღებს). აბა, ნდობა ამისთანა უნდა—აი? რა რიგად ერწმუნება ჩემს ავაზაკურ სიტყვას—უთამასუქოდ. (გადის).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოსვლა მესამე

ႩႠႪႩႠႬႨႭ, მას მოსდევს ႱႠႩႩႭ, ორთავ შავი მანტიები ასხიათ.

ႩႠႪႩႠႬႨႭ. მე გატყობ, რომ შენ ყველა ჩემს ნაბიჯს უკანა სდევ.

ႱႠႩႩႭ. მე კიდევ იმას გატყობ, რომ შენ ყველა შენს ნაბიჯს ჩემგანა ჰფარავ. Ⴂამიგონე, კალკანიო, აგერ რამდენიმე კვირაა, რაც შენი სახე ისეთ რამესაც ჰხატავს, რომელიც მარტო მამულს არ უნდა შეეხებოდეს. მე მგონია, ძმაო, რომ ახლა კი დროა ერთმანერთს გაუცვალოთ ჩვენი საიდუმლოები, გარწმუნებ არც ერთი არ ვიქნებით ზარალში. Ⴀრ გინდა ჩემთან გულღიაობა?

ႩႠႪႩႠႬႨႭ. Ⴈქამდის მზავარ გაგილო ჩემი გული, რომ, შენმა ყურებმა ჩემ მკერდში განცდის კმაყოფილება ვინიცობაა უარ ჰყონ, მაინც ჩემი გული შეჰხვდებოდა მათ ჩემი ენის ნახევარ გზაზედვე. მე მიყვარს გრაფი ფიესკოს ცოლი.

ႱႠႩႩႭ. (Ⴂაოცებული უკან დაიხევს). მე რომ შესაძლებელ ამბავთ მთელი სია გადამეჩხრიკა, იქნება ამ ამბისთვისაც მიმეგნო. შენი არჩევანი აგულისებს ჩემს მახვილ-გონიერებას; მაგრამ მე ამ მახვილ-გონიერებასაც დაუტევებ, თუ კი მაგით მოიგებ რასმე.

ႩႠႪႩႠႬႨႭ. Ⴀმბობენ—სასტიკი სათნოების მაგალითიაო.

ႩႠႩႩႭ. სცრუობენ. სათნოების მაგალითი კი არა—მთელი წიგნია ამ უგემურ საგანზედ ნაბლაჯნი. Ⴄრთ-ერთი უნდა ჰქნა, კალკანიო, ან მაგ შენ ახალ ძებნას დაანებო თავი, ან შენი გული დაუტევო.

ႩႠႪႩႠႬႨႭ. Ⴂრაფი იმის ერთგული არ არის. Ⴈქვიანობა კი—

საუკეთესო თანაშემწე ამ გვარ საქმეში. დორიების წინააღმ-დეგ განზრახვა სრულებით დანთქავს გრაფის ყურადღებას,—მე კი, ამასობაში, როგორმე შემთხვევას ვიპოვნი, რომ სახლის პა-ტრონობა გავწიო იმის სასახლეში. ის რომ ცხვრის ფარეხიდ-გან მგელს დაუწყებს განდევნას, იმ დროს დედოფალი იმის საქათმეში შეძვრება.

**საკკო.** საგანგებოა, ძმაო, საგანგებო! გმადლობ, რომ სირცხვილის ფერს მარიდებ. რაზედაც ამას წინ სირცხვილით ვერცკი ვფიქრობდი, ეხლა მე შემიძლიან ხმა მაღლივ გითხრა. მე წმინდად გლახაკი ვარ, თუ აწინდელი მმართებლობა არ დაინგრა.

**კალკანიო.** განა მაგდენი ვალები გაქვს!

**საკკო.** ახირებული! ჩემი ცხოვრების ძაფი რომ რვა წვრილად დაჭრიხო, მაინც პირველ გოჯზედვე გაწყდება. იმედი მაქვს მმართებლობის გამოცვლა გაასწორებს როგორმე ჩემს გარემოებას. მართალია, იქნება გ ა დ ა ხ დ ი ს შეძლება კი ვერ მომცეს, მაგრამ ამას მაინც იქს, რომ ჩემ მოვალეებს ძიების სურვილს დაუკარგავს.

**კალკანიო.** მესმის—და, მაშ, როდესაც გენუა, ბ ე დ-ნიერი შემთხვევების გამო განთავისუფლდება, მაშინ საკომა-მულის მამად შეიქნება ამას შემდეგ მოდი და დაუჯერე შენ პატიოსნებაზედ ლაპარაკს, როდესაც უმაქნისის კატრობა და მოარშიყის გულის-თქმა სახელმწიფოს ბედსა სწყვეტენ. ღმერ-თმანი, საკკო, მე რომ ჩვენ ორთავე უმაქნისს თავებს ვუცქე-რი, მხოლოდ ღერთსა ვკვირობ, თუ რასახით შეიძლება, რომ სხეუ-ლის სიცოცხლე მის ასოებზედ მოფენილი ჩირქიანი იარების შემწეობით ინახებოდეს. ვერრინამ იცის შენი განზრახვა?

**საკკო.** იმდენად, რამდენათაც ეს ცოდნა საჭიროა მამუ-ლის მოყვარისთვის. როგორც იცი, გენუა თითის ტარია, რო-

მელსაც ყველა თავისი წადილი და აზრები ზედ ეხვევა, მხოლოდ მისი შავარდენი თვალები ფიესკოსაკენ არის მიქცეული. იმედი აქვს შენც მიგიზიდოს თავის ჩანგალზედ და შეთქმულობაზედ დაგათანხმოს.

**კალკანიო.** ჩინებული სუნის აღება სცოდნია. წავიდეთ მოუძებნოთ და იმდენი ვებაასოთ, მანამ როგორმე იმის თ ვისუფლებაზედ გულმოდგინებას წავაქეზებდეთ. (მიდიან).

## გამოსვლა მეოთხე

**იულია,** აღელვებული, **ფიესკო,** თეთრ მანტია წამოსხმული უკან მოსდევს.

**იულია.** ბიჭებო! შათირნო!

**ფიესკო.** გრაფინა, საით მიბძანდებით? რა გნებავთ?

**იულია.** არაფერი, სრულიად არაფერი. (მსახურები შემოდიან). კარეტა მომართვან!

**ფიესკო.** თუ ნებას მიბოძებთ—კარეტა საჭირო არ არის. თქვენ, თითქოს, გაჯავრებული ხართ?

**იულია.** არა—უკაცრავად! ცოტა შორს ბძანდებოდეთ! თორემ ჰლამის კაბის ნაწიბურები ჩამომაცალოთ. გაჯავრებული?—განა აქ ძალუძს ვისმეს ჩემი გაჯავრება? ახლა არ მომეცლებით?

**ფიესკო.** (იჩოქებს). არ მოგეცლებით, ვიდრე თქვენს გაჯავრებელს არ დამისახელებთ.

**იულია.** იჰ, რა უცხოა—და! ნახვად კი ღირს, სწორედ! ნეტა ვინმემ მაინც მოიწვიოს გრაფი ლავანიას მეუღლე ამ საუცხოვო სურათის სანახავად და დასატკბობად. რას სჩადით, გრაფო? რა იქნა თქვენი მეუღლეობა? ეგ მდგომარეობა თქვენი

ცოლის ოთახში უფრო მოსახდენი იქნებოდა თქვენთვის, როდესაც ის თქვენ კოცნათ სიის გადაკითხვის დროს. შეუმჩნეველ ადგილებს იპოვიდა და სათვალეებშიაც დაკლებულს მოგინახავდათ. ზთხოვთ აბრძანდეთ, და იმ ქალებს მიჰმართოთ, რომლებთანაც უფრო იეფად შეიძლებთ მორიგებას.... ახლა, აღარ ასდგებით? ნუ თუ მაგ ალერსიანობით გინდათ შეინ-ნიონ თქვენი ცოლის კადნიერება?

ფიესკო. (წამოვარდება). კადნიერება? და ისიც თქვენს შესახებ?

იულია. სადაურიაო მითომ წამოხტომა, საყარძლის ხელის კვრა, სტოლის ზურგის შემოგცევა,—დიაღ, გრაფო, იმ სტოლისა, სადაც მე ვიჯექი...

ფიესკო. დასათმობი არ არის!

იულია. ეგ არის, რაღა? დასათმობი არ არისო?... ქმარა, კმარა! ჩემი რა დანაშაულია, თქვენი ჭირიმეთ, (კმაყოფილი ღიმილით), რომ გრაფს თვალები ესხას?

ფიესკო. თქვენი სიმშვენიერე არის დანაშაული, მადონნა!

იულია. იქ ალერსი უადგილოა, გრაფო, სადაც საქმე პატიოსნებას შეეხება. მე დაკმაყოფილებას ვითხოვ. მიბძანეთ: სად ვპოვო ეს დაკმაყოფილება—თქვენთან, თუ გერცოგის რისხვებში?

ფიესკო. სიყვარულის ხვევნაში, რომელიც გემუდარებათ მიუტევოთ იჭვიანობის დანაშაული.

იულია. იჭვიანობისაო? იჭვიანობისა?—ნეტა მითხრა, რაღა უნდა კიდევ იმ სულელს! (სარკეს მიუბრუნდება). ზანა იმისთვის ცოტა არის, რომ თანავუგრძნობ იმის გემოვნებას? (ამაყად). სად დორია, სად ფიესკო?—ზანა გრაფი ლავანიას ცოლს არც კი უნდა ესახელებოდეს, რომ გერცოგის ძმისწულს ჰშურს

იმის არჩევანი? (ბაუწვდის ხელს საკოცნელად და მხიარულად). ნუ იფიქრეთ, გრაფო, ვითომც მართლა მშურს იმის არჩევანი.

ფიესკო. (აღტაცებით). სასტიკო!—რით ვერ გეყოთ ჩემი ტანჯვა! ვიცი, ღვთაებრივო იულია, რომ თქვენდამი პატივსცემის მეტს არაფერს უნდა ვგრძნობდე. ბონება მუხლის მოდრეკას მამცნებს დორიას სისხლის წინაშე, მაგრამ გულიკი მშვენიერ იულიას სიყვარულს ემუდარება. ჩემი სიყვარული, ერთსა და იმავე დროს, დამნაშავეც არის და გმირიც, რადგან ყველა წოდებისგან დადგენილ ზღუდეების დარღვევას ჰბედავს, რომ ის ბოლოს ყოველთ დამთქმელი დიდების მზის შესაგებებლად.

იულია. რა ვაება, გრაფული სიცრუეა! ბადააგდეთ ეგ მობერილი აღტაცება. თორემ მაგის ეშხით თქვენი ენა მაშინ მაღმერთებს, როდესაც გული სხვისა სურათის ქვეშ იძერის,

ფიესკო. ანუ, უფრო ნამდვილად ვსთქვათ, სინიორა, სხვისა სურათის ქვეშ დრტვინვით სძგერს, რომ უფრო ჩქარა გაიცალოს ის თავისგან. (იხსნის გულიდგან ლეონორას სურათს და იულიას აძლევს). ამ საკურთხეველზედ თქვენი ხატი დაასვენეთ და კერპი მყისვე შეიმუსრება.

იულია. (სწრაფად შეინახავს მედალიონს და შემდეგ სიხარულით). დიდი მსხვერპლია! პატიოსნებას ვფიცავ, ჩემგან მადლობის ღირსია! (თავის სურათს შეაბამს გულზედ.) მონავ, შენი მფლობელის ნიშანი ატარე. (გადის).

ფიესკო (აღტაცებით). იულიას უყვარვარ! იულიას! ახლა ღმერთებისაც აღარა მშურს რა! ეს ღამე დაე დიდ-დღესასწაულებრივ ღამედ იყოს ღმერთებისათვის; სიხარული იყოს მის მეუფედ. ეჰეი, ბიჭებო! (ერთი ხროვა მსახური შემოვა). ეხლავ ჩემი სასახლის იატაკი სმიდეს კიპრის კეთილ-სუნნელოვან ნე-

კუთარს; საკრავების ქუხილმა გააღვიძოს შუიღამე, მისი ტყვეის გვარი ძილისაგან; და ათასმა გაჩაღებულმა ლამპარმა ცისკრი-ვით გაახელოს ამომავალი მზე. ყველამ იმხიარულოს და ბა-ხუსისებურმა ცეკვა-თამაშმა სიკვდილის სამეფო ნანგრევთ ზვი-ნებად გადააქციოს! (სწრაფად გადის. შემდეგ საკრავები დღესასწაუ-ლებრივს ხმებს უკვრენ და ამ დროს აიხდება შუა ფარდა და გამოჩნდება დი-დად განათლებული და გაბრწყინვალებული დარბაზი მოთამაშე მასკებით სავსე. გვერდებზედ სტოლები სდგას, რომლებზედაც სტუმრები სმენ და ქა-ღალდს თამაშობენ).

---

## გამოსვლა მეხუთე.

ჯიანეტტინო თითქმის მთვრალი. ლომელლინო, ციბო, ცენტურიონე, საკკო, კალკანიო. ყველანი მასკებით. ქალები და სეფენი.

ჯიანეტტინო. (ხმა მაღლა). აფერუმ, აფერუმ! ეს ღვი-ნოები თითქოს სულ იმას იძახიან—ყელში ჩაგვიშვითო; ჩვე-ნი მოცეკვე ქალებიც სწორედ ჩინებულადა ხტიან. ვინმე თქ-ვენგანი წავიდეს და მთელს გენუაზედ მოჰფინოს, რომ დღეს მე ჩინებულ ქეიფზედა ვარ და შეუძლიანთ იმედი იქონიონ... ჩემს დაბადებას ვფიცავ! დღევანდელ დღეს გენუელები კალე-ნდარში წითელი რგოლით აღნიშვნენ და ქვეშაც მოუწერენ: დღეს პრინცი დორია მხიარულად იყოო.

სტუმრები. (დოსტაქნებს აიღებენ მაღლა). რესპუბლიკას გა-უმარჯოს! (საკრავები ტუშს უკვრენ).

ჯიანეტტინო. (იატაკზედ დაახეთქებს თავის დოსტაქანს). აი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმის ნამსხვრევები! (სამი შავი მასკიანები წამოცვივიან და ჯიანეტტინოს შემოეხვევიან).

**ლომელლინო.** (განზედ გაიყვანს პრინცს). პრინცო, იმდღეს რომ ქალზედ მიბძანეთ, წმინდა ლორენცოს ეკკლესიაში რომ გენახათ...

**ჯიანეტტინო.** ჰო, ძმობილო, სწორედ ის ქალი მინდა გავიცნა.

**ლომელლინო.** მე შემიძლიან მაგის მოხერხება, თქვენო უგანათლებულესობავ!

**ჯიანეტ.** (აჩქარებით). შენ შეგიძლიან? შენა? მაშ, ლომელლინო, ამ დღეებში რომ პროკურატორობის ადგილს სცდილობდი—მოძიცია შენთვის.

**ლომელლინო.** უგანათლებულესო პრინცო, ეგ ხომ მთელს სახელმწიფოში მეორე ადგილია! სამოც აზნაურზედ მეტი ეძიებს მაგ ადგილს, და ყველა მათგანი თქვენი უგანათლებულესობის უუმორჩილეს მონაზედ უფრო მდიდარიც და უფრო წარჩინებულიც არის.

**ჯიანეტ.** (ამაყად). ჭექა და დორია! შენ იქნები პროკურატორი მეთქი! (სამი შავ-მასკიანი მიახლოვდებიან). გენუას აზნაურობა? იმათ რომ ყველა თავიანთ წინაპრები, მათი ღერბებითურთ სასწორზედ დაჰყარონ, მაინც ბიძიჩემის წვერისგან გამოგლეჯილი ერთი უბრალო ჭაღარა თმა დასძლევს—ყველა იმათ კეთილშობილებას. მე *მინდა*, რომ შენ პროკურატორი *იყო* და ეს ისე ნამდვილია, როგორც სინიორიის ყველა კენჭია ნამდვილი.

**ლომელლინო.** (ჩუმად). ის ქალი—ვერრინას მამის—ერთა შვილი გახლავსთ.

**ჯიანეტ.** ძალიან ტურფა ქალია, და, ყველა ეშმაკების გამოჯავრებული, მე უნდა დავისაკუთრო ის.

**ლომელლინო.** პრინცო!—მოგახსენებთ: მამის-ერთა-შვილია, დიდ შეუპოვარი რესპუბლიკის მომხრისა.

**ჯიანეტტინო.** დაიკარგე ჯანაბას—შენცა და შენი რესპუბლიკის მომხრეც! ჩემ გულის-თქმასთან ქვეშევრდომის რისხვა რას მიქვიან! სწორედ იმასა ჰგავს, რომ ზღვაზედ გზის მაჩვენებელი კოშკი ბიჭებისგან ლოკოკინების სროლით დაინგრეოდეს. (სამი შავი მასკიანები ალელვებულები ახლო მივლენ). განა გერცოგმა ანდრიამ ამ ძაღლ რესპუბლიკელების გულისთვის დაჭრილობის ნაჭდევებით იმისთვის შეიმოსა ტანი, რომ იმისმა ძმისწულმა გლახური ხვეწნით გამოითხოვოს მათი ქალებისა და რძლებისგან მოწყალეებაზ? ჭექა-ქუხილი და ღორია! იმათი საქმე მოთმინება და დავიწყებაა, თუ არა ბიძი-ჩემის საფლავზედ ისეთს სახრჩობელას გავამართვინებ, რომ იმათი ზენუური თავისუფლებისათვის სასიკვდინოდ თოკის წაჭერა აღარც კი სჭირდებოდეს. (სამი მასკიანები უკანვე წავლენ).

**ლომელლინო.** ეხლა ის ქალი მ ა რ ტ ო ა. იმის მამა აქ არის—ამ მასკიანებში ერთ-ერთია.

**ჯიანეტტინო.** ჩინებულია, ლომელლინო! მაშ, აბა, წამიყვანე იმასთან, და რაღა!

**ლომელლინო.** მაგრამ, ვაი-თუ თქვენ მასში მხურვალე დედაკაცს ეძებდეთ, და მის ნაცვლად მ ო უ დ რ ე კ ე ლ ი ს ა თ ნ ო ე ბ ა ჰპოვოთ.

**ჯიანეტტინო.** ძალადობა საუკეთესო მჭევრ-მეტყველებაა. აბა, ჩქარა წამიყვანე მეთქი. ვნახოთ, რომელი რესპუბლიკელი ძაღლი გაჰბედავს დათვ—ღორიასთან შებმას. (ფიესკოს შეჰხვდება კარებში). ბრათინა სად არის?

## გამოსვლა მეექვსე.

### იგინივე და ფიესკო.

**ფიესკო.** კარეტაში ჩავსვი და გავისტუმრე. (ჯიანეტტინოს ხელსართმევს და გულზედ იკრავს). პრინცო, ეხლა ორნაირათა ვარ თქვენი პატიმარი: ჩემი თავისა და ზენუას მბძანებელი ჯიანეტტინოა, ხოლო ჩემი გულის მბძანებელი—თქვენი გალმერთების ღირსი და არის.

**ლომელლინო.** ჩვენი ფიესკო ნამდვილი ეპიკურის მიმდევარი შექმნილა. დიდი საზოგადოება ხომ დაობლდება უთქვენოდ.

**ფიესკო.** ფიესკო განა დიდ საზოგადოებაშია. *ცხოვრება—ოცნებობაა*; ხოლო ბრძნად ყოფა ლომელლინო, *ტკბილი ოცნებობაა*. აბა სად უფრო ტკბილად იოცნებებ—უფლების ვაი-ვაგლახში, სადაც სულ-განაბული თვალ-ყურს უნდა ადევნებდე გამგეობის მუდამ-მოჭრიალე გორგოლებს, თუ გრძნობა ალსავსე დედაკაცის მკერდზედ? დაე ჯიანეტტინო დორიამ ზენუაზედ იუფლოს, ფიესკო—სიყვარულით დასტკბება.

**ჯიანეტტ.** წავიდეთ, რალა, ლომელლინო! აგერ შუალამე კიდეც გადავიდა. დრო გადის. ლავანია, გმადლობთ მასპინძლობისთვის. კმაყოფილი ვარ.

**ფიესკო.** პრინცო, ჩემი სურვილიც მაგის მეტი არა იყორა.

**ჯიანეტტ.** მაშ—მშვიდობით! ხვალ დორიებს თამაშობა ექნებათ და ფიესკო ახლავ მიმიწვევია. აბა, ვიაროთ, პროკურატორო.

**ფიესკო.** საკრავები დაუკარით! სანთლები მოანთეთ!

**ჯიანეტტინო** (ამაყად გაივლის სამ მასკიანს შუა). ადგილი გერცოგის სახელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ერთი სამ მასკიანთაგანი.** (კბილებ მოჭერით და ბრაზიანად) შესკრულს ჯანაბაშია, მენუეში კი არა.

**სტუმრები** (აჩქარებით). პრინცი მიდის. მშვიდობით, ლავანია. (კარებში აირევიან და ბოლოს გავლენ).

---

## გამოსვლა მეშვიდე.

**სამი შავ-მასკიანი** და **ფიესკო.** სიჩუმეა.

**ფიესკო.** მე აქ ისეთ სტუმრებსაც ვხედავ, რომელნიც ამ ჩემი დღესასწაულის საზოგადო მხიარულებაში არ ერევიან.

**მასკიანები.** (კბილების მოჭერით). და არა ერთს.

**ფიესკო.** (ალერსით). ნუ თუ ამ ჩემი კეთილი ნების პატრონმა ვერ მოვახერხე, რომ ყველა გენუელებისთვის მესიამოვნებინა? მჰეი, ბიჭებო! განაახლეთ დღესასწაული! დიდი თასები აავსეთ! მე სულაც არ მინდა, რომ მოწყენილს სახეებს ვუცქეროდე აქ. ზნებავსთ შუშხუნები? გნებავსთ ჩემი ხუმარის მასხარაობაზედ იცინოთ? ან იქნება ჩემი დედაკაცებითა გსურსთ გართობა? ან არა და ჩაესხდეთ ფარაონში და თამაშობით გაატაროთ დრო?...

**ერთი მასკიანთაგანი.** ჩვენ დაჩვეულნი ვართ ს ა ქ მ ი თ გაუსწორდეთ ხოლმე მაგ თამაშობაში.

**ფიესკო.** ვაჟკაცის პასუხია—და მოპასუხესაც ვიცნობ—ვერრინაა.

**ვერრინა.** (მასკას მოიხსნის). ფიესკო მასკის ქვეშ უფრო მალე იცნობს ხოლმე თავის მეგობრებს, ვიდრე ისინი იცნობენ ხოლმე იმას უმასკოდ.

**ფიესკო.** მაგ სიტყვის აზრს ვერ მივხვედრივარ. მაგრამ ეგ ხელზედ გლოვი მარმაში რას ჰნიშნავს? ნუ თუ ვერ-რინამ დამარხა ვინმე და ფიესკომ კი ჯერაც არ იცის?

**ვერრინა.** სამწუხარო ამბები რაში გამოდგებიან ფიესკოს მხიარულ დღესასწაულობისათვის.

**ფიესკო.** მეგობრობამ რომ მოგთხოვოს მაგ ამბის შე-ტყობა? (გრძნობითართმევს ხელს). ჩემო გულის მეგობარო! ვინ მოგვიკვდა ჩ ვ ე ნ ო რ თ ა ვ ე ს!

**ვერრინა.** ჩვენ ორთავეს! დიაღ! ჩვენ ორთავეს! მაგრამ დედის სიკვდილზედ ყველა შვილები როდი სტირიან.

**ფიესკო.** დედი შენის ძვლებიც კი გაიხრწნებოდა, მგო-ნი, აქამდის.

**ვერრინა.** (მნიშვნელობით). მე მახსოვს, რომ ფიესკო იმი-ტომ მიწოდებდა ხოლმე ძმად, რადგან იმის სამშობლოს შვი-ლი ვიყავი.

**ფიესკო.** (ხუმრობით). ჰო! კიდეც ეგა ყოფილა? შენმა მზემ, კარგი ხუმრობაა! გენუაზედ ჰგლოვობ! დიაღ, მართალია, რომ გენუა ახლა უკანასკნელ დღეებშია. ეს აზრი ახალიც არის და საგანგებოცა. ჩვენი ბერიკაცი მახვილობასაც იწყობს.

**კალკანიო.** ეგ სულაც არა ხუმრობს, ფიესკო.

**ფიესკო.** დიაღ! რასაკვირველია! ისეთი მწუხარე და მგ-ლოვიარე ხმითა სთქვა, რომ ხუმრობას სულაც არა ჰგვანდა. ხუმრობა თავის ეშხსა ჰკარგავს, თუ სიცილით ითქვა. სწორე მოგახსენოთ, სულ ვერ ვიფიქრებდი, რომ კუშტი ვერრინა სი-ბერის დროს ასე გაეშმაკდებოდა.

**საკკო.** ვერრინა, წავიდეთ! მაგას თავის დღეშიაც ვერ მოვიმხრობთ.

**ფიესკო.** გამხიარულდი, ჩვენებურო! მოდი ისევ იმ მც-

ბიერ მემკვიდრეებს მიებაძოთ, რომელნიც, კუბოს რომ უკან მისდევენ, თითქოს სტირიანო, ის კი არა თუ [illegible]ში სიცილის სლოკინი გაუდისთ. რასაკვირველია ამ საქციელის ჯილდოდ შეიძლება ბოლოტ დედი-ნაცვალსაც შევხვდეთ. რა გაეწყობა!—დაე ფხოჭოს და ჭამოს რაც შეუძლიან—ნაყროვნებამდის.

ვერრინა. (აღირებულად ადგილდება). ცაო და დედამიწავ! ნუ თუ გულ-ხელ-დაკრებილნი უნდა ვისხდეთ? სადამდის მიაღწიე, ფიესკო! მე ჯერაც არ დამვიწყებია ის დრო, როდესაც რესპუბლიკის უფლებაების მცირედი რამ დარღვევა თრთოლით შეგიკრუნჩხავდა ხოლმე გულს. დაცემულო რესპუბლიკის შვილო! რაკი შენში ვხედავ, რომ თვითონ სულსა შესძლებია გაცვეთაც, ჰლამის ჩემი უკვდავების რწმუნებაც დავკარგო.

ფიესკო. შენ შენს უწინდელ ბუზღუნს არ იშლი. რა გენაღვლება იმან ზენუა თავის ჯიბეში დამალოს ან თუ გინდ ტუნისის ბეგსაც მიჰყიდოს, ჩვენ რა? ჩვენ ჩვენთვის კიპრის ღვინო ვსვათ და ლამაზ ქალებს ვაკოცოთ.

ვერრინა. (გაშტერებით უცქერის). ნუ თუ შენი საგულისგულო დაჯერება ეგ არის?

ფიესკო. მითომ რატომ არაო, ჩემო მეგობარო! განა სასიამოვნოა იმ რაღაც ზარმაცი მრავალ-ასოვანი ნადირის მარცხენა ფეხად ყოფნა—რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა ს რომ ეძასიან? მადლობა უნდა შესჩიროთ ვინც იმას ფრთებს ასხამს და ამ გვარად ფეხებს თავის ვალის აღსრულებისაგან იღსნის. ჯიანეტტინო დორია გერცოგი გახდება. და მაშინ სახელმწიფო საქმეები ქალარად აღარ მოე- ფინებიან ჩვენს თავებს.

ვერრინა. ფიესკო, ეგ არის მეთქი შენი საგულის-გულო დაჯერება?

ფიესკო. ანდრია თავის ძმის-წულს—შვილად და თავის მამულების მემკვიდრედ აცხადებს. არა, ერთი, ფუ[illegible] გწამს, რომელი სულელი-და წაედავება იმ სამკვიდრებელს, რომელიც მისი შემძლებელობის კუთვნილია?

ვერრინა. (გაშმაგებით). წავიდეთ, ბენუელებო! (საჩქაროდ გაეცლება ფიესკოს; სხვები უკან გაჰყვებიან).

ფიესკო. ვერრინა! ვერრინა!—ეს რესპუბლიკელი ფოლადსავით მტკიცეა.

## გამოსვლა მერვე.

### ფიესკო, უცნობი მასკიანი.

მასკიანი. ლავანია, არ შეგიძლიანთ ერთი წამი დასთმოთ ჩემსთვის?

ფიესკო. (ალერსით). თქვენთვის მთელი საათიც არა მშურს.

მასკიანი. მაშ, თუ აგრეა—ინებეთ ჩემთან ქალაქ გარეთ გასეირნება.

ფიესკო. ათ წამს შემდეგ ხომ შუაღამეც იქნება.

მასკიანი. გრაფო, სიკეთე მიყავით და ეს თხოვნა აღსრულეთ.

ფიესკო. მაშ ეკიპაჟს შევაბმევინებ.

მასკიანი. რა საჭიროა, ჩემი ცხენი კიდეც გავგზავნე იქ. მეორე კი არ დაგვჭირდება, რადგან ჩვენგანი მარტო ერთი დაბრუნდება იქიდგან.

ფიესკო. (დაფიქრებით). მერე?

მასკიანი. თქვენ მოგთხოვენ სისხლიერ ანგარიშს ერთი დაღვრილი ცრემლის თაობაზედ.

ფიესკო. ნეტა ვინ არის მაგ ცრემლის პატრონი?

მასკიანი. გრაფი ლავანიას ცოლი. მე დიდი ხანია ვი-ცნობ იმ ქალს და ამიტომაც მინდა ვიცოდე, თუ რა მიზეზით ჰხვდა იმას ის პატივი, რომ იმ სულელ ქალს შეეწირა თქვენგან მსხვერპლად.

ფიესკო. ახლაკი მივხვდი თქვენს ლაპარაკს. ნეტა მიბძანოთ! არ იქნება შევიტყო ამ უცნაური გამომთხოვნელის სახელი?

მასკიანი. ამ გამომთხოვნელის სახელი იმ კაცს ეწოდება, რომელსაც ოდესმე ციბოს ქალი უყვარდა და ფიესკოს კი დაუთმო.

ფიესკო. მაშ, სციპიონ ბურგონინო ჰყოფილხართ?

ბურგონინო. (მასკას მოიხსნის). მე მოველ, მაგიერი გადუხადო ჩემს მოკამათეს, პატიოსნება რომ გამიუპატიურა და ახლა იქამდისაც დაუმადლებელი ყოფილა, რომ თვით უმშვიდესი სათნოების მწვალებლობაც განუზრახავს.

ფიესკო. (მხურვალედ მოეხვევა). კეთილშობილო ჭაბუკო! ჰხედავთ, ჩემი ცოლის ტანჯვებმა რარიგ საკვირველი ნაცნობობა მომანიჭა. მე დიდ ვგრძნობ მაგ თქვენი გაშმაგების ღირსებას, მაგრამ თქვენთან ბრძოლაში კი არ გამოვალ.

ბურგონინო. (ერთ ნაბიჯზედ უკან დაიწევს). ნუ თუ გრაფი ლავანია ისე ძაბუნია, რომ გამოუცდელი მკლავისაგან პირველი ხმლის ტრიალისა ეშინიან?

ფიესკო. ბურგონინო! მე მზა ვარ პირისპირ საფრანგეთის შეერთებულ ძალას დაუდგე,—მაგრამ თქვენ კი ვერა! მე დიდ პატივს ვსცემ მაგ ჩინებულს მგზნებარებას, უფრო მომეტებულად ჩინებული საგნისაგან აშლილს. თქვენი წადილი დაფნის ღირსია, მაგრამ აღსრულებაკი — ბავშვობად ჩაითვლებოდა.

**ბურგონიინო.** (სიფიცხით). ბავშობად!—გრაფო? მაშ სხვას შეურაცხებულ ქალს ნუგეშად ტ ი რ ი ლ ი ს მ ე ტ ი აღარა დარჩენია რა, და კაცს კი?... რისათვის' არის შექმნილი კაცი?

**ფიესკო.** ჩინებულად არის ნათქვამი; მაგრამ მაინც თქვენთან ბრძოლის ჟარს ვამბობ.

**ბურგონიინო.** (ზურგს შეაქცევს და წასვლას დააპირებს). ამას იქით მე თქვენ მეძულებით.

**ფიესკო.** (აჩქარებით). ღმერთსა ვფიცავ, ჭაბუკო, შენ მაგას მაშინაც ვერ მოახერხებ, რომ ჩემში თვით სათნოებაც დამდაბლდეს. (ხელსართმევს და ჩაფიქრდება). ბამომიტყდით, გქონდეს ოდესმე ჩემდამო ის გრძნობა, რომელსაც ჩვეულებრივ ე... ნეტა როგორა ვსთქვა, რომ კარგად გამოიხატოს?— რომელსაც პატივისცემას ეძახიან?

**ბურგონიინო.** ჰმე! განა მე დაუთმობდი იმ კაცს, რომელსაც ყველაზედ უპირატესობას არ ვაძლევდი?

**ფიესკო.** ჩემო კარგო! მე აგრე ჩქარა ვერ გადავწყვეტდი იმ კაცის შეძულებას, რომელსაც ოდესმე პატივისცემის ღირსად ვრაცხდი. ნუ თუ ხელოვანი ოსტატის ქსოვილს, პირველივე შეხედვით, მიჰხვდება და შეისწავლის შეგირდი. შინ წადით, ბურგონაინო, და მოცლით როცა იყოთ ი ფ ი ქ რ ე თ, თუ ფიესკო რათ იქცევა ასე და სხვანაირად რატომ არ იქცევა? (ბურგონიინო დუმილით მიდის). წადი, კეთილშობილო ჭაბუკო! ეს მგზნებარება, ეს ცეცხლი რომ მამულს შესწიროს ამან, მაშინ—გათხილდით, დ ო რ ი ე ბ ო!

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოსვლა მეცხრე.

ფიესკო, არაბი კრთომით შედის, სიფთხილით იყურება აქეთიქით.

ფიესკო (დიდხანს დასტერებით უცქერის არაბს). რა გინდა და ვინა ხარ?

არაბი. (ისე, როგორც შესვლის დროს იყო). რესპუბლიკის მონა ვარ.

ფიესკო. მონობა—მდაბალი ხელობაა. (თვალ-მოუშორებლივ). რას ეძებ?

არაბი. სინიორ, მე პატიოსანი კაცი გახლავარ!

ფიესკო. ეგ რომ შუბლზედ დაიწერო—ცუდს არ იზამ. მაინც, რას ეძებ?

არაბი. (თან და თან ცდილობს ფიესკოს მიახლოვებას, ის კი თან-და თან ჰშორდება). მე ავაზაკი როდი გახლავარ, სინიორ!

ფიესკო. კარგს იზამ, რომ ეგეც იმასთან მიიწერო; მაგრამ არც თუ კარგი იქნება. (მოთმინებიდამ გამოსული). ახლა არ იტყვი რას ეძებ?

არაბი. (უფრო ახლოვდება). თქვენა ბრძანდებით გრაფი ლავანია?

ფიესკო. (ამაყად). გენუის ბრმებიც კი იცნობენ ხოლმე ჩემს სიარულს. მერე რაში გეპრიანება გრაფი?

არაბი. ბაფთხილდით, ლავანია! (უფრო მიახლოვდება).

ფიესკო. (სხვა მხარისკენ გაეცლება). მჯერა, რომ უნდა გაე-ფთხილდე.

არაბი. (უწინდებულად). თქვენ წინაალმდეგ ცუდი განუ-ზრახავსთ, ლავანია.

ფიესკო. (უკან იწევს). დიალ, მე თითონაც ვხედავ.

**არაბი.** დორიას გაუფთხილდით.

**ფიესკო.** (ნდობით მიახლოვდება). ჩემო მეგობარო, ვაი თუ გაწყენინე როგორმე? მე მართლაც მაგ სახელისა მეშინიან.

**არაბი.** მაშ იმაზედ შორს დაიჭირეთ თავი. თქვენ კითხვა იცით?

**ფიესკო.** რა სასაცილო კითხვაა. მეტყობა დიდხანს ჰხეტებულხარ დიდ-კაცებში. წერილი ხომ არა გაქვს რა ჩემთან?

**არაბი.** თქვენი სახელი საწყალ ცოდვილებთან სუფევს. (ბარათს აძლევს და გვერდზედ უდგება. ფიესკო სარკესთან მივა და ქაღალდში გასცქერის არაბს. ის კი მოხერხებულ დროს უთვალთვალებს და ამასობაში მის ახლო ბოლთას სცემს, ბოლოს ხანჯალს ამოიღებს და დარტყმას და უპირებს).

**ფიესკო.** (სწრაფად მოტრიალდება და ხელში სტაცებს იმას). წყნარა, უმაქნისო! (ხანჯალს გამოსტაცებს ხელიდგან).

**არაბი.** (გაშმაგებით ფეხს დაატყაპუნებს). დასწყევლოს ეშმაკმა! მომიტევეთ! (გაქრომას ცდილობს).

**ფიესკო.** (მაგრა ჩაებღუჯავს და ჰყვირის). სტეფანო, დრულლო, ანტონიო! (ყელში წაუჭერს ხელს). მოითმინე, ძმობილო! ჯოჯოხეთის ბოროტება უნდა მოგეხდინა განა!... (მსახურები შემოვლენ). ადგილიდამ არ დაიძრა, ისე მიპასუხე! შენ რომ დღეს ასე უხეიროდ იშრომე: მაგის ჯილდოს ვინ მოქცემს?

**არაბი.** (ბევრს ცდილობს ხელიდამ გაეგლიჯოს, მაგრამ ამაოდ. მტკიცედ უპასუხებს). სახრჩობელაზედ ზევით ხომ ვერ ჩამომახრჩობენ.

**ფიესკო.** არა, ნუ გეშინიან. რაღა თქმა უნდა, რომ მთვარის რქებზედ ვერ ჩამოგაბამენ; მაგრამ ეს კი იცოდე — ისე მაღლა დაგკიდებენ, რომ იქიდგან სახრჩობელა ჩხირის ოდენადღა გეჩვენოს. მაინც ეს შენი განზრახვა ეგოდნად სახელმწიფო — ჭკვიანურია, რომ ვერაოდეს ვერ ვიფიქრებ, თუ შენი მახვილ-გონიერებისაგან იყოს შეთხზული. მაშ მოდი მითხარ ვინ მიგისყიდა?

არაბი. სინიორ, თქვენ შეგიძლიანთ უმაქმისი დამიძახოთ; მაგრამ გთხოვთ—უგუნურად ნუ მთვლით.

ფიესკო. ყველა ბილწსაც რომ სიამაყე აქვს! მითხარ, შე ჰარამზადავ, ვინ მიგიყიდა მეთქი?

არაბი. (ფიქრში). ჰე! ეს მაინც იქნება, რომ მარტო არ გამოვალ სულელი-გაცრუებული?—ვინ მიმისყიდა? ისიც ას ქეციან ცეხინად! ვინ მიმისყიდა და—პრინცმა ჯიანეტტინომ.

ფიესკო. (გაბრაზებული ბოლთასა სცემს). განა ას ცეხინად მეტად არა ღირს ფიესკოს თავი! (სიძულვილით). გცხვენოდეს, გენუის მემკვიდრევ! (ყუთთან მივა). აი, ძმობილო, მომიცია შენთვის ათასი!—წადი და შენს ბატონს უთხარ, რომ მკვლელი ხ ა რ თქო.

არაბი. (თავით ფეხამდის ათვალიერ-ჩაათვალიერებს იმას).

ფიესკო. რაზედ დაჰფიქრდი?

არაბი. (აიღებს ფულებს და სტოლზედ სდებს, შემდეგ ისევ ხელში იღებს და უფრო და უფრო გაკვირვებული უცქერის ფიესკოს).

ფიესკო. რასა სჩადი, მეგობარო!

არაბი. (გადაწყვეტით სტოლზედ დააგდებს ფულებს). სინიორ, მე ეს ფულები არ დამიმსახურნია.

ფიესკო. შე ცხვრის თავო; განა არ ვიცი, რომ სახრჩობელა დაიმსახურე! გაშმაგებული სპილო კაცებსა ჰსრესს და არა ქვემძრომებს. ორ სიტყვაზედ მეტად რომ დამიჯდებოდეს, შენ ჩამოხრჩობას ეხლავ ვუბძანებდი.

არაბი. (მხიარულად თავს უკრავს). ძალიან კეთილი ბძანებულხართ, სინიორ.

ფიესკო. ღმერმა დამიფაროს! — შენს შესახებ კეთილობას. ჩემი ქეიფია რომ შენის თანა უსაქმისი ან რამედ გავხადო ან არაფრად,—და ამიტომ—გამინთავისუ-

ფლებიხარ. ხომ კარგად გესმის ჩემი საქციელი. შენი წრო-მართებლობა ჩემთვის ზეციერი თავდებობაა, რომ მე [illegible] დანიშნული ვარ რაღაც დიდი საქმისათვის, და ამისგამო ემო-წყალეობ და თავისუფლებას განიჭებ.

**არაბი** (ნდობით). მაშ ხელი მიბოძე, ლავანია! პატივისცე-მას—პატივისცემით უნდა გადახდა. თუ ამ ნახევარ კუნძულზედ თქვენის აზრით რამე მეტი ყელი აღმოჩნდეს, მიბძანეთ და—მუქთად გამოვღადრავ.

**ფიესკო.** აქ ნადირს უყურეთ—და! სხვისა ყელის გამო-ჭრით უნდა გადამიხადოს მადლობა!

**არაბი.** ჩვენ საჩუქრები არ გვიყვარს, სინიორ. ჩვენ გვარსაც თავისებური პატიოსნება სწამს.

**ფიესკო.** ყელების—მღადვრელი პატიოსნება.

**არაბი.** ჰო და, ეს ყელების მღადვრელი პატიოსნება უფრო საიმედოა თქვენი გვარის პატიოსანი ხალხის პატიო-სნებაზედ; იმათი ხელობა ის არ არის, რომ ღვთის ფიცის გა-ტეხაც კი არაფრად მიაჩნიათ; ჩვენ სულ სხვანი ვართ, ფიცს ეშმაკსაც არ გაუტეხთ.

**ფიესკო.** შენ საუცხოვო რამ უმაქნისი ჰყოფილხარ.

**არაბი.** მიხარიან, რომ თქვენი გუნებისა აღმოვჩნდი. აბა ერთი მცადეთ—და დარწმუნდებით, რომ ჩემი ხელობა ისე ვიცი ზეპირად, როგორც წყალი. თუ გნებავთ ჩემს მოწმო-ბის წერილებს წარმოგიდგენთ, ყველაგვარი ავაზაკების ამქრი-საგან რომ მაქვს მიღებული, მდაბლიდგან დაწყობილი უმაღ-ლესამდის.

**ფიესკო.** საჭირო არ არის. (ჯდება). მაშ სჩანს ავაზაკებ-საც სწამსთ კანონები და რიგობაებიცა აქვსთ. აბა მიამბე რა-მე მდაბალი რიგობის ავაზაკებზედ.

არაბი. იქით დაკარგეთ ერთი, თქვენო ბრწყინვალებავ! ეგ ერთი საზიზღარი გძელ-ხელიანების ხ[illegible]ვალ, საცოდავი რამ ხელობაა, ასე რომ ჯერ არც ერთი გამოჩინებული კაცი არ აღუზრდია; იმათს შრომას სულ უხეირო ჯილდო აქვს: ან წკეპლები და ან დასაჭკვიანებელი სახლი, — სახრჩობელამდის მიღწევას ძნელად მოახერხებენ ხოლმე.

ფიესკო. სწორე გითხრა, მეტად მიმზიდველი მიზანია. აბა ახლა უფრო ზევითებზედ სთქვი რამე.

არაბი. იმაზედ ზევით — მსტოვრები და მზვერავები არიან. საპატიო ხალხია. იმათ სწავლას წარჩინებულნი ისმენენ და იპოებენ მათგან ყოველთ-მეცნიერებასა გულთმისნობს. წურბელასავით ჩაეყრებიან ხოლმე კაცის სულს, გულიდგან შხამს გამოსწოვენ და მთავარის ყურში გამოაფურთხვენ ხოლმე.

ფიესკო. მაგათ ვიცნობ. შენ სხვა სთქვი.

არაბი. ამათი მომდევნონი იდუმალი მკვლელნი და მომწამლავები არიან, და აგრეთვე ყველა ის ხალხი, რომელნიც ჯერ დიდხანს უთვალთვალებენ კაცს და ბოლოს ერთბაშად ეცემიან ხოლმე. ამ ჯურის ხალხი უფრო მომეტებით უგვანო მხდლები არიან, მაგრამ ეს კია, რომ ყველა იმათგანი, თავის საკუთარი სულით გადუხდის ხოლმე ეშმაკს თავის მხვედრ ხარჯს. მართლ-მსაჯულება მომეტებულ ყურადღებას იმათ აპყრობს: ძვლებს ჩარხზედ უმსხვრევს და თავებს კი მარგილებზედ ჩამოაცმევს ხოლმე. ეს მესამე ამქარია.

ფიესკო. შენ ამქრამდის როდისღა მიხვალ?

არაბი. აბა კიდეც ეგ არის და — თქვენო ბრწყინვალებავ! — საქმეც ეგ არის; მე ყველა იმათ გადავაჭარბე. ჩემი გენიოსი ყველასთვის ადრევე გასრულ-ჰასაკოვანდა. გუშინ საღამოს მე-

ბიბლიოთეკა

სამჯერ დღეში საგულის-გულო ოცი მოვახდინე, [illegible]
თხეზედ ლაზათიანად შევრცხვი.

ფიესკო. ეგ ვინ მოთხვა?

არაბი. (განცხოველებით). ეგ იმ ხალხისაა, რომელნიც ოთხ კედელში ეძებენ თავის მსახურს, ათას საშიშ გარემოებაში იკვლევენ გზას, პირ და პირ ყანყრატოში სტაცებენ ხოლმე ხელს, ვისაც ეძებენ და პირველი მოკითხვით არიდებენ მას მეორე მოკითხვაზედ მადლობას. ჩვენში იმათ უწოდებენ ჯოჯოხეთს მიმავალ სასწრაფო ფოჩტას. ისე მარდად მიმავალობენ ხოლმე, ჯანაბას, რომ მშიერმა მეფისტოფელმა ოღონდ კი ერთი თვალი დაახამხამოს—მაშინვე ჯერ ისევ ცხელი შემწვარი მოერთმევა სუფრაზედ.

ფიესკო. შენ როგორც გატყობ—გამოჯიქული ცოდვილი ხარ. მეც სწორედ მაგისთანა მინდა. ხელი მომეც. შენ ჩემთან დარჩები.

არაბი. მართლა ბრძანებთ, თუ ჰხუმრობთ?

ფიესკო. სულაც არა ვხუმრობ. წელიწადში ათას ცეხინს გინიშნავ ჯამაგირად.

არაბი. დაჰკარით ხელი, ლავანია! ეშმაკსაც წაუღია ეს ჩემი ჩარჩული ცხოვრება. როგორც გიჯობდესთ, ისე მომიხმარეთ. მე ვიქნები თქვენი მეძებარი, მწევარი, მელა, გველი, თქვენი მაჭანკალი და ჯალათი; ერთი სიტყვით—რა საქმეც გნებავს მომანდე. მაგრამ, ღვთის გულისთვის, პატიოსნურს კი ნურაფერს: ამ გვარ საქმეში როგორღაც გაუთლელი ბრიყვი ვარ.

ფიესკო. ნუ სწუხარ. მე თუ ვისიმე ბ ა ტ კ ნ ი ს ჩუქება მოვიწადინე, მ გ ე ლ ს როდი გავატან აქა და აქ მიუყვანე მეთქი. მაშ, ახლა შენ ხვალვე გაისეირნე ზენუაში და შეიტყე—

რა ამინდი დგას ქალაქში; ეცადე გაიგო, თუ რასა ჰფიქრობენ ეხლანდელ მმართებლობაზედ, რას ჩურჩულებენ ლოტე-რიების შესახებ; ეგების იმასაც მოჰკრა როგორმე ყური, რასა ჰბედობენ ჩემი თანამოქალაქენი ჩემს გაქსოვებულ ცხოვრებაზედ, ჩემს აშიკობაზედ? იმდენი ღვინო ჩაასხი იმათ, რომ მათი დაფარული აზრები ნაპირებს გადმოედინოს. აჰა ფულები: რაც შეგეძლოს მოფანტე აბრეშუმეულის ვაჭრებში.

**არაბი.** (მნიშვნელობიანად უცქერის). სინიორ!...

**ფიესკო.** ნუ გეშინიან. აქ პატიოსნური არა არის რა. გასწი, და შენი ამქარიც დაიხმარე. ხვალ კი ახალ ამბებს მიამბობ. (გადის).

**არაბი.** (მისძახის). არხეინად ბრძანდებოდეთ. ახლა დილის ოთხი საათია; ხვალ რვა საათზედ იმდენ ახალ ამბავს გაიგებთ, რამდენიც კი ას ორმოც ყურში დაეტეოდეს. (გადის).

## გამოსვლა მეათე.

ოთახი ვერრინას სასახლეში.

**ბერტა** (დივანზედ წევს, პირზე ხელებ მიფარებული. **ვერრინა** მოქურუშული შედის.

**ბერტა.** (შეშინებული წამოხტება). აჰ, ღმერთო! აი, მოვიდა!

**ვერრინა.** (შედგება და გაკვირვებით უცქერის). შვილს თავის მამისა ეშინიან?

**ბერტა.** წადით აქედამ! ან ნეტა მე გამაქცია სადმე! საშიში ხართ. მამავ!

**ვერრინა.** საშიში ვარ—და ისიც ჩემი შვილისთვის?

**ბერტა.** (მწუხარედ შეჰხედავს). არა! თქვენთვის სხვა შვი-

ლია საჭირო!

ვერრინა. ნუ თუ ჩემი ნაზი ქცევა გამძიმებს?

ბერტა. ეგ ნაზი ქცევა მე მკლავს!

ვერრინა. რაო?—სადაური მამის მიგებებაა, შვილო? უწინ რომ მოვიდოდი ხოლმე გულზედ მწუხარების მთებ დაწოლილი, ბერტა სირბილით გამომეგებებოდა და თავის კასკასით სულ მთლად გადამიყრიდა ხოლმე გულიდამ დარდებს. მოდი მომეხვიე, ჩემო კარგო; გამითბე მაგ შენ მგზნებარე მკერდზედ ეს ჩემი საწყალი გული, მამულის სასიკვდინო ცხედრის გვერთ ყოფნით რომ ყინულებრ გამლელჩებია. ოჰ, ჩემო შვილო! დღეს გამოვეთხოვე მე ყველა ამ სოფლიერ სიხარულს და (ღრმა მწუხარებით) ერთი შენღა დამრჩი.

ბერტა. (ათვალიერ-ჩაათვალიერებს). საწყალო მამავ!

ვერრინა. (ეხვევა და ხმა-წყვეტით.) ბერტა, ჩემო ერთად-ერთო შვილო! ბერტა, ჩემო უკანასკნელო იმედო!—დაილუპა გენუას თავისუფლება,—წარხდა ჩვენთვის ფიესკო! (ცხარედ მოეხვევა და კბილების მოჭერით). და შენი უმანკოებაც წარხდეს!

ბერტა. (გამოეგლიჯება ხელიდამ). მართლმსაჯულო ღმერთო!—განა თქვენც იცით?

ვერრინა. (შედგება და შეჰკრთება) რა?

ბერტა. ჩემი უმანკოება...

ვერრინა. (გაშმაგებით). რაო?

ბერტა. წუხელის...

ვერრინა. (სასოწარკვეთილებით). რაო?

ბერტა. ძალადობით... (დივანზედ დაეცემა).

ვერრინა (დიდი ხნის საზარელი სიჩუმის შემდეგ, ბლანდი ხმით). ერთი ამოკვნესაცა და—უკანასკნელი! (სამარის ხმით). ვინა?

ბერტა. ვაი მე! რა რიგად მაშინებს ეგ სამარის ხმა! ღმერ-

თო, შენ მაინც დამიფარე! სიტყვები რა რიგ ტუჩებზედ უკვდება; რა რიგად კანკალებს.

ვერრინა. შვილო, მე ხომ არ ვიცნობ იმას! ვინ იყო?

ბერტა. დამშვიდდით, დამშვიდდით, ჩემო ძვირფასო მამა!

ვერრინა. ღვთის გულისათვის მითხარ ვინ იყო? (იმის წინ დაჩოქებას აპირებს).

ბერტა. მასკიანი.

ვერრინა. (უკან დაიხევს და ღრმად ჩაფიქრდება). არა! არ შეიძლება. ეს აზრი ღვთისაგან არა მაქვს ჩაგონებული. (საშინლად იცინის). ბებერო სულელო! ასე ჰგონია ყველა შხამს ერთი და იგივე ექიდნა აღმოანთხევდეს. (ბერტას, უფრო დამშვიდებით). ჩემ სიმაღლე იყო, თუ უფრო დაბალი?

ბერტა. უფრო მაღალი.

ვერრინა (აჩქარებით). შავ-ხუჭუჭ თმიანი?

ბერტა. სწორედ გიშრის ფერი და ხუჭუჭი თმა ჰქონდა?

ვერრინა. (უკან-უკან ხევით და ბარბაცით). ღმერთო! ვაი შენ, ჩემო თავო, შენ ჩემო თავო!... ხმა?

ბერტა. მოუქნელი, უსიამოვნო.

ვერრინა. (გაცეცხლებით). რა ფერი იყო?... არა, მეტი აღარა მინდარა! რა ფერი მანტია ესხა?

ბერტა. მწვანედ მეჩვენა.

ვერრინა. (ორივე ხელს მიიფარებს პირზედ და მოდუნებული დაეცემა დივანზედ). დამშვიდდი, შვილო! თავბრუ დამეხვა, სხვა კი არა არისრა.

(ხელები მოუდუნდება და ძირს დაეშვება; პირის სახე მკვდარსავით გაუფითრდება).

ბერტა. (ხელების მტვრევით). მოწყალეო ღმერთო! ეს მამა ჩემი რამაქნა!

**ვერრინა.** (რამდენიმე ხნის დუმილს შემდეგ მწარე სიცილით). აგრე გინდა, მხდალო ვერრინა! ბოროტ-მოქმედმა შეურაცხ-ჰყო კანონთ საკურთხეველი—შენ ის არ იკმარე, ეცადე, რომ შენი სისხლის საკურთხეველსაც ბატონურად მოექცეოდა. (წამოხტება). გესმის, ნიკოლოს დაუძახე!... ტყვია წამალი მომიტანეთ... ან არა—აცა, დაიცა! ეს უფრო ემჯობინება! ჩემი ხმალი მომეცი და მამაო ჩვენო სთქვი! (თავზედ წაივლებს ხელებს). ნეტა რას ვეძებ, რა მინდა?

**ბერტა.** (ცახცახით). მამავ, შიშისაგან ჰლამის დავილიო!

**ვერრინა.** მოდი აქ, ჩემ გვერდით დაჯექ. (მნიშვნელობიან კილოთი). ბერტა, აბა მიამბე... ჰა, ბერტა, რა ჰქნა იმ თმა-ჭაღარა რომაელმა, ქალი რომ... ნეტა როგორ გამოეხატო!—ქალი რომ ნახა, მაგ შენს სანატრელ მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა შ ი? ჰა, ბერტა, რა უთხრა ვირგინიას, თავის შეურაცხყოფილს ქალს?

**ბერტა.** (ცახცახით). არ ვიცი.

**ვერრინა.** სულელო! ა რ ა ფ ე რ ი ც არა უთხრარა. (მარდად წამოხტება და ხმალს წაავლებს ხელს). აიღო ხმალი და...

**ბერტა.** (თავ-ზარ-დაცემული ყელზედ ჩამოეკიდება მამას). ღმერთო დიდებულო! რასა სჩადით?

**ვერრინა.** (ხმალს გადააგდებს). მაგრამ არა! ჯერ კიდევ არის გენუაში მართლ-მსაჯულება!

## გამოსვლა მეთერთმეტე.

### იგინივე, საკკო, კალკანიო.

**კალკანიო.** აბა, ვერრინა, მარდად მოემზადე. დღეს რესპუბლიკის ამორჩევაები იწყობა. ჩვენ სინიორიაში მივეშუ-

რებით—ახალი სენატორების ამოსარჩევად. ხალხი ბუზებსავით ირევა ქუჩებში. აზნაურობა ქალაქის სამმართველოსკენ მიეშურება. რაღა თქმა უნდა შენც წამოგვყვები (დაცინვით), რომ ჩვენი თავისუფლების გამარჯვებით გაიხარო.

**საკკო.** ეს იატაკზედ აჭოლებული ხმალი... ვერრინასაგან ნადირსავით ცქერა... ბერტას ცრემლისგან გაწითლებული თვალები...

**კალკანიო.** ღმერთსა ვფიცავ! რომ ყველა მაგას მეც ვამჩნევ ახლა. საკკო, აქ სწორედ უბედურება რამე მომხდარა.

**ვერრინა.** (ორ საყვარელს მოსწევს). დაბძანდით.

**საკკო.** მეგობარო, შენი მდგომარეობა გვაშინებს.

**კალკანიო.** მეგობარო, მაგ ყოფაში თავის დღეში არ მინახიხარ. ბერტა რომ არა სტიროდეს, უთუოდ გკითხავდი: გენუა ხომ არ იღუპება მეთქი?

**ვერრინა.** (ბნელად). იღუპება! დაბძანდით. (საკკო და კალკანიო სხდებიან) **კალკანიო** (შეკრთომით) **ვერრინა!** ღვთის გულისათვის გვითხარ რამე!

**ვერრინა.** მოისმინეთ.

**კალკანიო.** მე მაინც ცუდის მომასწავებელს რაღაცას ვგრძნობდი, საკკო.

**ვერრინა.** გენუელებო, თქვენ ორთავ კარგად იცით ჩემი გვარის სიძველე. თქვენ წინაპრებს ჩემი წინაპრების უკანა კალთა უტარებიათ. ჩემ მამა-პაპას ყველა ომში უღვრია მამულისთვის სისხლი. ჩემი დედა-ბებიები ყველა გენუელი დედათ-სქესისათვის სამაგალითონი ყოფილან. პ ა ტ ი ო ს ნ ე ბ ა ყოფილა ჩვენი მხოლოდ საუნჯე და მამისაგან შვილს, შთამომავლობიდამ შთამომავლობას ეს საუჯე დაუმკვიდრებია. მაგრამ იქნება სხვები სხვანაირად ჰფიქრობდნენ?

**საკკო.** სულაც არა!

**კალკანიო.** ღმერთია მოწამე, რომ სხვანაირად არავი-ნა ჰფიქრობს!

**ვერრინა.** ჩვენ გვარში მე უკანასკნელი ვარ. ჩემი ცო-ლი სამარეს მიიქცა და ეს ერთი ქალი დამიტოვა. ზენუელე-ბო, ხომ იცით, როგორა ვზრდი ამას! იმის თქმას გაჰბედავს ვინმე, რომ ბერტასთვის მე ცოტასა ვზრუნავდი?

**კალკანიო.** შენი ქალი—ყველა ზენუის ქალებისათვის მაგალითია.

**ვერრინა.** მეგობარნო, მე მოხუცებული ვარ. ეს რომ დავკარგო—მეორე ველარ საიდამ მომეცემა. ჩემი მეხსიერებაც ჰქრება. (სულის შემაძრწუნებელი ხმით). და ესეც დაკარგულია ახ-ლა ჩემთვის! გაუპატიურებულია ჩემი გვარი!

**ოურნივ** (საშინლად აშფოთებულნი). ღმერთმა დაიფაროს! (ბერ-ტა, სასოწარკვეთილებით დივანზედ შფოთავს).

**ვერრინა.** არა, შვილო, ნუ იჭვნეულობ! ესენი მამაც-ნიც არიან და კეთილნიც. ნუ ჰკვირობთ, ზენუელებო! (ბგრ-ძნობით და მნიშვნელობიანად). ვინც ზენუას სთრგუნავს, იმას წრ-ფელი ქალის გაუპატიურება რად გაუჭირდება!

**ოურნივ** (წამოხტებიან ისე, რომ სავარძლებს წააქცევენ). ჯიანე-ტტინო დორია!?.

**ბერტა.** (ზოდებით). რატომ ზედ არ დამენგრევიან ეს კე-დლები! აგერ სციპიონიც მოდის!

## გამოსვლა მეთორმეტე.

### იგინივე და ბურღონიინო.

**ბურგონიინო.** (აღელვებით). გაიხარე, ბერტა! სასიამო-

ენო ამბავს გეტყვი! კეთილშობილო ვერრინა, მე მოვსულვარ გთხოვოთ ჩემი ნეტარება. დიდი ხანია, რაც თქვენი ქალი მიყვარს, მაგრამ აქამდის თხოვნას ვერა ვბედავდი, რადგან მთელი ჩემი ქონება კორომანდელიდგან მეხთალ ფიცრებზედ მოცურავდა. ახლა კი ჩემი ბედი ნავთსადგურში შემოფრინდა, და როგორც ამბობენ, და თან აუარებელი სიმდიდრე მომიტანა. ახლა მე მდიდარი ვარ. მომეცით ბერტა და მე ბედნიერ ვყოფ მაგას. (ბერტა პირზედ ხელებს იფარებს. სიჩუმეა.)

**ვერრინა.** (მოფიქრების შემდეგ, ბურგონიინოს). უმაწვილო, ნუ თუ შენი გული წუმპეში გინდა ჩააგნო?

**ბურგონიინო.** [ხმალზედ წაივლებს ხელს, მაგრამ მსწრაფლ მოეშვება). მამისგან არის ნათქვამი, თორემ...

**ვერრინა.** ამას შენ ყველა იტალიელი უმაქნისი გეტყვის. ან, იქნება შენ სხვისა ნასუფრალსაც სჯერდებოდე?

**ბურგონიინო.** ნუ მტანჯავ, მოხუცო.

**კალკანიო.** ბურგონიინო მოხუცი მართალს, ამბობს.

**ბურგონიინო.** (მიჰვარდება ბერტას). მართლა: მაშ მომატყუვე, გარყვნილო!

**კალკანიო.** ბურგონიინო, წყნარა!—ბერტა ანგელოზებრივ უმანკოა.

**ბურგონიინო.** (ზაოცებული შედგება). უმანკოც არის და გაუპატიურებულიცა. ჩემი სულის ცხონებამ—სულ ვერა გამიგია. თქვენ ერთმანერთს უყურებთ და ჩუმათა ხართ. თითქოს რაღაცა შესაზარი ბოროტება აპირობს თქვენი დამუნჯებული ბაგეებიდგან გამოჭექვას.—გაფიცებთ, ამაზედ მეტად ნულარ ახელებთ ჩემს გონებას: უმანკოაო! ვინა სთქვა—უმანკოაო?

**ვერრინა.** ჩემს ქალს დანაშაული არა აქვს.

**ბურგონინიო.** მაშ—ძალადობა ყოფილა! (ძირიდამ ხმალს აიღებს). ზენუელებო! გაფიცებთ მთელი შუაწელი ქვეყნის ცოდვას!—მასწავლეთ სად ვიპოვნო ავაზაკი?

**ვერრინა.** ის ავაზაკიც იქვეა, სადაც ზენუის შემავიწროებელი ჰსუფევს. (ბურგონინიო მეხ-დაცემულსავით დგას. ვერრინა დაფიქრებული დადის წინ და უკან, შემდეგ შედგება). თუ ჩემი გულისყური არ მატყუებს და მივხდომივარ შენს გამოუკვლეველს აზრსა, ჰოი დაუსაბამო ზანგებავ, შენ გსურს ჩემი ბერტას შეურაცხებით ზენუა გაანთავისუფლო. (მიუახლოვდება ბერტას, წყნარა იხსნის თავის ხელიდგან გლოვის მარმაშს და დღესასწაულებრივად). ვიდრე თვით დორიას სისხლი არ განგბანს მაგ საშინელს ლაქას, იმ დრომდის არ მოგეკაროს შენ დღის შუქი, იმ დრომდის. (მარმაშს გადააფარებს თავზედ)—ბრმა იქმენ. (ყველანი გაოცებულები უყურებენ იმას. სიჩუმეა. ვერრინა ბერტას თავზედ დაადებს ხელს და დღესასწაულებრივად). წყეულ იყოს ის ჰაერი, რომლითაც შენ ჰსუნთავ! წყეულიყოს ძილი, რომლითაც შენ ღონეს იახლებ! წყეულ იყოს ის სულიერი, რომელიც შენც ნუგეშის ცემას მოიწადინებს! ჩადი თვით ულრმესს ჩემს სარდაფში და დაინთქე მუნ; შენმა ტირილმა და ურვა-კაეშანმა თვით დროსაც მოაბეზროს თავი. (შეძრწუნდება და ისევ გააგრძელებს). მთელი შენი სიცოცხლე მომაკვდავი მატლის ფილენჯიან კრუნჩხვას ემსგავსოს—სასოწარკვეთილ, მაწამებელ ბრძოლად შეიქნას ყოფასა და არ-ყოფას შორის. ეს შეჩვენება დაუნდობლად გტვირთავდეს შენ, ვიდრე ჯიანეტტინო უკანასკნელს სულთქმას არ აღმოჰფეთქს თვის არსებიდგან. და თუ შურის-გება ვერ დასთრგუნავს იმ მუდრეგს—მაშინ სამარადისოდ ათრიე ეს შეჩვენება, ვიდრე იმ ადგილს არა ჰპოვებდე, სადაც იმის უსაზღვრო წრის ორი წვერი ერთდება. (სასტიკი სიჩუმეა. თავზარის დაცემა გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსჭვირავს ყველას ხახეზედ ვერრინა უცქერის იმათ მტკიცე, გამჭვრეტი მზერით.

**ბურგონიინო.** შენ მამა კი არა—შავ-ბედითი ყორანი ხარ! რა ჰქენ ეგ? იქამდის როგორ შეგრჩა ძალა, რომ საწყალი უმანკო ქალი ეგოდენ საზარელი წყევით დასთრგუნე?

**ვერრინა.** განა მართლა საზარელია, ჩემო ნარნარო სასიძოვ? (მნიშვნელობიანად). ნუ თუ ახლაც თქვენგანი ვინმე, აქედამ გასული, გაჰბედავს ქადაგებას გულგრილობასა და დაცდაზედ? ბენუას ჩემი ბერტა ჰხვდა წინ მამის გული მოქალაქის ვალს ვუმსხვერპლე. ახლა თქვენ იცით, რომ თქვენი სიმხდლე და სიძაბუნე ამ უმანკო კრავისათვის დაუსრულებელ ტანჯვათ მიზეზი შეიქნება: ნუ თუ ამას შემდეგაც კიდევ დააგვიანებს ვინმე ბენუას განთავისუფლებას? ზენაარსსა ვფიცავ, ეს ჩემი სიტყვები ჰკუაზედ შემცდარის ბოდვა არ არის. დავდევ ფიცი და ვიდრე დორია არ წარხდება, ჩემს საკუთარს ქალს არ დავზოგავ და არც შევიბრალებ, თუნდაც რომ თითონ მე მომიხდეს ტანჯვების მოგონება, თვით კანიბალური ჯაჯით დატანჯვა ამ უმანკო არსებისა. ისეთი სახით მიცქერით თითქოს საიქიოს მოჩვენებაები იყოთ! ერთიც კიდევ სციპიონო!—ეს ქალი იმის ამანათად იქნება ჩემთვის, რომ შენ მაგიერს გადუხდი მტარვალს. ამ ძვირფასი ძაფით შევკრავ მე შენსას, ჩემსას და ჩვენს მოვალეობას. წარხდეს ბენუას მტარვალი,—თუ არა ცრემლი და სასოწარკვეთილება იყოს ჩემი ქალის ხვედრად! აღვასრულებ კიდეც ამ ფიცს.

**ბურგონიინო.** (ფეხებში ჩაუვარდება ბერტას). წარხდება კიდეც, წარხდება ბენუასთვის, როგორც მსხვერპლად შეწირული ხარი. ჩემი მახვილი ისევე ნამდვილად ჩაეყრება იმის გულს, როგორც ნამდვილია ეს საქრმოსგან შენ ტუჩებში კოცნა. (ადგება).

**ვერრინა.** აი, პირველი მეუღლენი, ქაჯებისაგან და-ცვილები! ხელი მიეცით ერთმანერთს. შენი მახვილი დორიას გულს თუ ჩაეყრება—ჰაშ მომიცია შენთვის—წაიყვანე.

**კალკანიო.** (მუხლ მოდრეკილი). ერთი გენუელიც კიდევ იდრეკს შენ წინაშე მუხლს და თავის მომსრავ მახვილს შენ უმანკო ფერხთა ქვეშ სდებს. ისემც კალკანიომ საუკუნო ნეტარების გზა იპოვოს ადგილად, როგორც მისი მახვილი დორიას გულს ადგილად მოჰძებნის. (ადგება).

**საკკო.** (მუხლ-მოდრეკით). რაფიელ საკკო, თუმცა უკანასკნელად, მაგრამ აგრეთვე მტკიცედ იდრეკს შენს წინაშე მუხლს. თუ ამ რკინამ არ გაგიღოს, ბერტავ საზნელეთის კარი, მაშ ყოველთ-მსმენმა განრიდოს თავისი სასმენელი უკანასკნელი ჩემი ლოცვისაგან. (ადგება).

**ვერრინა.** (სიხარულით). გენუა ჩემის პირით მადლობას გწირავსთ, ჩემო მეგობარნო! ახლა კი წადი შვილო! გიხაროდეს, რომ მამულისათვის ჩინებულ მსხვერპლად შეიქმენი.

**ბურგონინიო.** (მოეხვევა ბერტას). წადი და ღმერთზედ და ბურგონინიოზედ ჰსასოებდე. ერთი და იგივე დღე გაანთავისუფლებს გენუასაც და ბერტასაც. (ბერტა გადის).

## გამოსვლა მეცამეტე.

### იგინივე, ბერტას გარდა.

**კალკანიო.** მანამ საქმეს დავიწყობდეთ, გენუელებო, ერთს სიტყვას მოგახსენებთ.

**ვერრინა.** მენიშნება.

**კალკანიო.** განა ოთხი პატრიოტი იკმარებს, რომ მტა-

რეალობა დათრგუნოს ის ას თავა გველ-ვეშაპი? ნუ ავალევებთ მდაბიო ხალხსა? ან აზნაურობას ნუ მოვიმხრობთ?

**ვერრინა.** მეყურება. მაშ გამიგონეთ რა გითხრათ: მედიდი ხანია, რაც ვიქირავე ერთი მხატვარი, რომელმაც მთელი თავისი ხელოვნება უნდა მოიხმაროს და აპპიოს კლავდიოსის დაცემა უნდა გამოხატოს. ფიესკოს ხელოვნების ნაწარმოები უყვარს და აღმატებული სურათების ხილვით ადვილად აღინთება ხოლმე. ჩვენ ის სურათი წავიღოთ მის სასახლეში, და ვნახოთ, რომ გასინჯავს, რას იტყვის. იქნება ერთმა მისმა სანახაობამ გაუღვიძოს მას უწინდელი გენიოსი, იქნება...

**ბურგონიინო.** რათაო? თანაშემწეებს კი თუ გაიმრავლებ—შიში გაადიდეო, ამბობს გმირი. დიდიხანია რაც მე რაღაცა ვგრძნობდი, მაგრამ აქამდისაც არ იქნა გული ვერაფრით ვისრულე. ახლა კი შევიტყე თუ ეს რ ა ღ ა ც ა რ ა ა რ ი ს. (ზმირულად) მტარვალი მაწევს კისერზედ ტვირთად!

ნ. ავალიშვილისა.

1872 წელს.

ფარდა დაეშვება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს მდგომარეობა შემდეგ დაყოფისა.— მუხრან-ბატონები ქართლის ტახტზე.—

## ვახტანგ მეექვსე.

ადამიანი ეკუთვნის საზოგადოებას. იმისს აღზდას, მიმართულებას და ცხოვრებას საგნად უნდა ჰქონდეს საზოგადოების ინტერესი. ის იმისთვის არ უნდა ჰზოგავდეს არც თავისს ნიჭს, არც თავისს ქონებას, არც თვით სიცოცხლეს. თუ მომატებულს ნაწილს ხალხისას ეს საგანი ესმის და იმის გავლენას ქვეშ მოქმედებს ყოველთვის, მაშინ საზოგადოება მტკიცედ დამყარებულია და შემძლეა კეთილ-დღეობის და წარმატების გზაზედ დგას. თუ არა, თუ იმათ თავიანთ ცხოვრებაში საგნად აქვთ საკუთარი ინტერესი, წინააღმდეგი საზოგადოების მოთხოვნილებისა, მაშინ საზოგადოების წევრნი არიან სუსტნი და თვით საზოგადოების კავშირი დარღვეულია. ეს ასეა და ასეც უნდა იყოს. ადამიანი ყოველს ცხოველს ქმნულებაში იმითია განსხვავებული, რომ ბუნებას ის შეუმკია გონებით; იმისი გონება ამყარებს ადამიანის მოდგმას საზოგადოებად— და საზოგადოება მაშინ აღსრულებს თავისს მნიშვნელობას, როდესაც იმისნი წევრნი იმას წარმატების გზაზე აყენებენ. ამ ნიჭს მოკლებულნი არიან დანაშთენნი ქმნულებანი; ამისთვისაც ისინი ცხოვრობენ გაცალკევებით, მისდევენ მხოლოდ თავისს გულის წადილს, ინსტინკტურს მოთხოვნილებას. როდესაც ადამიანი სა-

კუთარს ინტერესს და გულის-წადილს უქვემდებარებს საზოგადოების მოთხოვნილებას და სარგებლობას, მაშინ ის ემსგავსება დაბალს ცხოველებს, მაშინ იმისი გონება დახშულია, იმისი ზნეობა დაცემულია, იმისი ცხოვრება პირუტყვულია. ასე მიმდინარეობს ის მთელს თავისს ცხოვრებაში; იმისს მაგალითს მისდევს იმისი შთამომავლობა. დროგადის. საკუთარი ინტერესის მსახურება მთელს ნათესაობას ბუნებად ეთვისება; ამისგამო საზოგადოება ისეა შესუსტებული და შერყეული, რომ ორი-სამი გარეგანი თუ შინაგანი შეჭირვება ამხობს და არღვევს იმას. ამგვარი იყო ძველად ადამიანის ნათესავის მომდინარეობა და სხვ. ჯერ ცხრამეტი საუკუნე არ გასულა ქრისტეს შობის შემდეგ და მოიგონეთ, ამ დროში რამოდენი სამეფო იშვა, აღყვავდა და წაიშალა. რა იყო ამისი მიზეზი? მრავალი ამ სამეფოთაგანი იყო მჭიდროდ დასახლებული ერთის ტომ-ნათესავისაგან; გარეგანის მტრისაგან იმას იცავდა ბუნებითი ადგილ-მდებარება, შინაურის განსაცდელისაგან—მტკიცე წესდებაები. მაგრამ ვერც ერთი, ვერც მეორე ვერ აძლევდნენ შვებას საზოგადოებას. სხვა და სხვა მიზეზს უჩვენებენ ამგვარის შემთხვევისას. მაგრამ უმთავრესი მიზეზი ერთი და იგივე იყო: იმისს წევრთაგან საზოგადოების ნამდვილის სარგებლობის წინააღმდეგი მოქმედება და ამისგამო საზოგადოების კავშირის შესუსტება.

ყოველსავე, რასაც აქ ვამბობთ, ცხადად გვიმტკიცებს ჩვენივე ისტორია. რა აკლდა საქართველოს, რომ ის მუდამ წარმატებაში ყოფილიყო? საქართველოს ჰსაზღვრავდა ბუნებით და ხელოვნებით გამაგრებული ზღუდეები; იმათი ხეობაები და მთის გზები ჩვენ წინა-პართ ხელში ეპყრათ; როდესაც სურდათ გააღებდნენ, როდესაც სურდათ დახშვიდნენ. მტრის შემოსვლა ჩვენს ქვეყანაში ძნელი იყო. შავის ზღვის აღმოსავლეთი ნაპირები იმათ მფლობელობაშივე იყო და აქ აღებმიცემობით იმათ შეეძლოთ დიდი სიმდიდრე შეეძინათ. საქართველოს

ადგილ-მამული შეკრებილი იყო უხვად ყოველ-გვარის ჴვავით. ის აწარმოებდა ისეთს მცენარეებს, რომელნიც იშოვებიან [illegible] და სხვა სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებში შეერთებით. ქართული ერი შეადგენდა მჭიდროდ დასახლებულს, ერთი-ერთმანეთზე დამოკიდებულს ტომს, კავკასიის ქედიდამ მოყოლებული ვიდრე შავზღვამდე. ქართველნი იყვნენ მინიჭებულნი წარმატების მიმცემის ნიჭიერებით, ხასიათის ძალით და მხნეობით. თვით იმათს ახალს სარწმუნოებას, რომელიც საქართველოში შემოტანილი იყო მეოთხეს საუკუნეში წმინდა ნინოსაგან და რომელსაც საგნად ჰქონდა საზოგადოების წევრთ ურთი-ერთი სიყვარული და მაშასადამე იმათის ზნეობის და ყოფა-ცხოვრების წარმატება, ამ სარწმუნოებას სამუდამოდ უნდა დაეკავშირებინა ქართველი ტომი, უნდა დაეკავშირებინა უფრო ამიტომ, რომ იმას გარეშემო ეხვივნენ დაუძინებელნი ქრისტეს სჯულის მტერნი, ცეცხლის-თაყვანის-მცემელნი და მაჰმადიანნი. მართალია და ვიდრე ჩვენ ტომში დაისმოდა საზოგადო გრძნობა, ვიდრე ჩვენნი წინა-პარნი ერთობას მსახურობდნენ, ისინი ყოფილან ძლიერნი, ძლიერნი შინათ და გარეთ. მამულის შემუშავება, მეურნეობა, ტეხნიკური ხელოვნება, გავრცელებული თურმე იყო მთელს მხარეში. ჩვენ ვხედავთ ახლაც მრავალს ნაშთს არხებისას, კლდეებში საურმე გზებისას, მთებში და უდაბურს ადგილებში ვენახებისას, სასახლეებისას და ეკკლესიებისას. სხვა არა იყოს რა ძველი ეკკლესიების მშვენიერი სხვა და სხვა მრავალ-გვარი არხიტეკტური ხელოვნება ცხადად ამტკიცებს, რომ ჩვენნი წინა-პარნი ოდესმე დიდ მაღლა მდგარან ცოდნით და შრომის-მოყვარეობით. ისინი გონებით გახსნილნი და მეცნიერების მიმყოლნი ყოფილან. შინ იმათ სასწავლებლებად ჰქონიათ მონასტრები, გარეთ უმაღლესის სწავლის მისაღებათ—საბერძნეთი და თვით იტალია. ქართველებმა დასტოვეს შესანიშნავი გონების ნაწარმოები, რომელიც შეი-

ცავს პოეზიას, საეროსა და სამღვდელო ლიტერატურას, ნამდვილ ქართულს და სხვა და სხვა ენებიდამ გადმოღებულს. იმათ ეხლა შეუმუშავებიათ თავისი ენა, რომ თუმცა ის ახლა ჩვენთვის დაკარგულია, მაგრამ იმას შეუძლიან თითქმის ყოველივე სამეცნიერო საგანი შეითვისოს და შეიმუშავოს. რა დრო იყო ის დრო? ის ის დრო იყო, როდესაც საქართველოში ჰყვაოდა ერთობა, ესე იგი, მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნე. მაშინ ჩვენი ტომი რიცხვით დიად თურმე მატულობდა და იზდებოდა, ასე რომ იმას ეპყრა ადგილები, რომელნიც ახლა ან გავერანებულნი არიან, ან უცხო ტომთა-უჭირავთ. მაშინ უცხო-სამეფოთაგან საქართველო პატივცემული იყო და აზიაში შემძლე სამფლობელოდ ირიცხებოდა. მტერი ან ვერ ჰბედავდა იმასთან შებრძოლებას, ან ხშირად იძლეოდა. ეს წესი რომ შემდეგ არ შერყეულიყო, უეჭველია, ქართველი ტომი ერთის მხრით მოიფინებოდა კავკაზიის აქეთ და იქით კასპიის ზღვამდე, მეორეს მხრით გავრცელდებოდა მთელს მცირე-აზიაში, სპარსეთის საზღვრამდე. მაგრამ საუბედოდ, შემდეგ შინაურმა განხეთქილობამ, საზოგადო ინტერესის წინააღმდეგმა მოქმედებამ, ექვსის საუკუნის განმავლობაში შეამცირა ხალხი, ამოჰკვეთა საზოგადოებისა და მამულის ნამდვილი სიყვარული, დაამხო ზნეობა და დაარღვია ყოველივე შინაური კავშირი. წარმოიდგინეთ რას ვხედავთ? პირველად მონღოლები, რუსუდანის დროს მეცამეტე საუკუნეში ხალხის შესასუსტებლად საქართველოს ორ სამეფოდ ჰყოფენ. მასუკან იმათის მიბაძვით ქართველები თვითონვე ჰგლეჯენ თავიანთ-თავს რამდენსამე სამეფოდ და სამთავროთ. ვახუშტი ამბობს მეთხუთმეტის საუკუნის გასვლის აღწერაში: «და იქმნა მიერ ჟამიდგან სამეფოსა განხეთქილება სამად, რამეთუ ერთი მეფე დაჯდა იმერეთს, ერთი კახეთს, ერთი ქართლს და არცაღა თუ ამას აკმარეს, არამედ განდგნენ თვის-თვისად მთავარნი. ათაბაგმან დაიპყრა საათაბაგო, ასუ

სამცხე-კლარჯეთი, გვალად იმერთაგან განდგნენ დადიანი, გურიელი, შარვაშიძე და სვანნი; და ამათ დაიპყრნეს საზღვარნი თვისნი და ვიდრე აწამდე არღარა იქმნა შეკრება მისი, არამედ გვალადცა უფროსღა დაკნინებანი» 1) კონსტანტინე ქართლის მეფემ განიზრახა შემოკრება ქართველთა, მაგრამ გასუშტის თქმითვე, «დიდებულნი ეტყოდნენ, ვინადგან მტკიცედ დგანან ერთგულობასაზედა თვისთა მეფეთათა იმერნი და კახნი, და გვალად ათაბაგისა სამცხენი, ამისთვის არა განგიზრახავთ ბრძოლასა, რამეთუ თუმცა მრე გვქმნნეთ ერთსა, არღარა მოგვცემს მეორე ნებასა, არამედ გვადოთ ჟამი 2)». ეს ჟამი არაოდეს აღარ დაბრუნებულა და, რაცა ეჭვი უნდა, თავისს თავად არც დაბრუნდებოდა.

აქედამ სჩანს, რა გვარ დაეცა თამარის შემდეგ ორასის წლიზა ჩვენი ქვეყანა. ვუჩვენოთ, რა მდგომარეობაშია საქართველო მეთხუთმეტის საუკუნიდამ. ეს საგანი დიაღ ღირს-შესანიშნავია არათუ ჩვენთვის, არამედ მთელის მსოფლიო ისტორიისთვის. ჩვენ ვხედავთ, რომ მამა-პაპის ბრალი და შეცოდება იმისს შთამომავლობას სდევნის და ჰსჯის, თუ ეს შთამომავლობა არა გრძნობს ამ შეცდომას და ღონისძიებას არ ეძებს, რომ ის თავიდამ აიცილოს. რომ საქართველოს უბედურების მიზეზნი ჩვენნი წინა-პარნი იყვნენ, ეს ცხადია. რომ იმათნი შვილნი ვერ მიჰხვდნენ ამ მიზეზს, ესეც ცხადია. ჩვენს მეფეებში ზოგნი შემძლენი იყვნენ; იმათ შემთხვევა ხელში აძლევდა თითქმის მთელს საქართველოს. იმათ შეეძლოთ მთელი ტომი შემოკრიბათ. ამაზე იყო დამოკიდებული შინაური კავშირი, საზოგადო ინტერესის შემგნეობა და ძალა. საუბედუროდ, ისინი თვითონვე უარს-ჰყოფდნენ ღონის-ძიების მოხმარებას. როგორ დავარღვიოთ ძველადვე

1) Hist. de la Gèor. II. livr. I, p. 11.
2) Ibid. p. 16.

დასკვნილი წესი, როგორც უმუხთლოთო ამა და ამ სახლის შვილს, მეფეს თუ მთავარს, რომელიც ნათესაობით არიან ერთმანეთთან შეკავშირებული. აი როგორ ფიქრობდნენ ისინი. ამ წესს, ანუ უკედ ვთქვათ, უკიდურესს უწესოებას, ესმარებოდნენ თურქნი და სპარსნი. იმათი სარგებლობა მოითხოვდა, რომ ქართველნი მუდამ გაცალკევებულნი და ერთი-მეორის მტერნი ყოფილიყვნენ. საქართველოს გარემოება ისეც მომდინარეობდა, როგორც იმათ ჰსურდათ. ისინი თვით ნათესაობის დამოკიდებულობასაც აშფოთებდნენ. იმათ დაბადეს დაუძინებელი მტრობა და ბრძოლა მეფისა მეფესთან და მთავართან, მთავრისა მთავართან და მეფესთან. იმათ ჰბადავდნენ თავადნი და აზნაურნი. თვით სამღვდლონი და დაბალი ხალხი იმათ პარტიებად იყვნენ დაგლეჯილნი. ისეა მხარე არეული, რომ ხან და ხან თქვენ არ შეგიძლიანთ შეჰნიშნოთ, ვინ არის მეფე, ვინ არის მთავარი. მთავარი იმონავებს და სტუმრავს მეფეს, მეფე მთავარს. თვითეული თავისს თავისთვის ცდილობს, ყოველს ღონისძიებას ხმარობს, რომ თავისი გულის-წადილი აღსრულებაში მოიყვანოს. აი ერთი გარემოება, ისეთი გარემოება, რომელიც იშვიათი არ იყო ჩვენში. მეთექვსმეტის საუკუნის გასულს ქართლში მეფობდა ლუარსაბის ძე სვიმონი. იმას ჰყვანდა ძმა დავითი. დავითმა თვითონ მოინდომა მეფობა; ის წავიდა სპარსეთში, დაუკრა თავი შაჰ-თამაზს, მიიღო მაჰმადიანობა, დაირქვა სახელად დაუდ-ხანი და დაბრუნდა ხელმწიფედ სპარსეთის ჯარით. ასტყდა ძმებში განხეთქილება და შეუწყვეტელი ბრძოლა. ასე ადვილ საქმედ მიაჩნდათ ჩვენ წინა-პართ სისხლის-ღვრა, რომ უბრალო შური, უბრალო შემთხვევა ჰბადავდა ერთი-მეორის ჟლეტას. 1539 წელს ლუარსაბ პირველი და მესხნი ბაზიანში შეებმნენ ოსმალებს, რომელთაც ეჭირათ სამცხე. «მაშინ—ამბობს ჩვენი მატიანე—მესხნი იტყოდნენ, ჩვენ ვართ წინა-მბრძოლნი მკლავითა და აწცა ქვეყანა არს ჩვენი და ჩვენადვე ჯერ-არსო»

კრამედ არა ინებეს ქართველთა. ამისთვის შური იძიეს მესხთა და არა-ღარა შეეწყალდნენ მათ და მოწყუდნეს ქართველნი მრავალნი და მო-ტოდნენ მესხნი, და ამით იძლივნენ ქართველნი მრავალნი 1)».

ამ მდგომარეობაში ოსმალნი და სპარსნი უშიშრად შემოდიო-დნენ საქართველოში და თავის უფლად ბძანებლობდნენ. იმათი წინა-აღმდეგი არავინ იყო. ისინი მხოლოდ ერთი-მეორის შიშში იყვნენ და უფრო ერთი მეორეს ებმოდნენ. ქართველნი ჰკერძავდნენ ზოგნი ოს-მალებს, ზოგნი სპარსებს, და თავისს მხარეს თვითონვე აოხრებდნენ. რამდენჯერ შემოსულან ოსმალნი და სპარსნი ჩვენში, რამდენჯერ აუ-კლიათ იმათ საქართველო, რამდენჯერ ამოიწვავთ იმათ თვით თბილი-სი, ამისი თქმა ჩვენ გვეძნელება. ოსმალები ჰყოფდნენ საქართველოს ფაშალიკებად და სანჯაკებად, სპარსები—საბეგლარბეგოდ და სახანო-ებად. ოსმალების გავლენა და ძალა უფრო სამცხეში და იმერეთში მოქმედებდა, სპარსებისა—უფრო ქართლში და კახეთში. მუსულმანის სარწმუნოება ადრევე შემოვიდა ჩვენში. საათაბაგო თითქმის მთლად გამაჰმადიანდა. ქართლ-კახეთში ის პირველად აღიარეს მეფეებმა დაუთ-ხანის დროიდამ, მასუკან გავრცელდა თავად-აზნაურებში. დროს გან-მავლობაში აქ ისეთი წესი დაიდო, რომ არც ერთს მეფეს არ შეე-ძლო ტახტზე ასვლა, თუ გარეგან მაინც არ აღიარებდა ისლამს და თვით სპარსეთში არ ეახლებოდა შაჰს. სპარსეთიდამ ის შემოდიოდა მეფედ სპარსის ჯარით, რომელიც აქვე მყარდებოდა. ეს ჯარი იჭერ-და ციხე-სიმაგრეებს და ბძანებლობდა ქალაქებს და სოფლებს. ვახუშტის თქმით, ერეკლეს დროს, მეჩვიდმეტის საუკუნის გასულს, «ყიზილბა-შნი მცველნი თბილისის ციხისანი ჰკლვიდნენ და წარუხმიდნენ კაცთა ცოლშვილთა, სხვათა ჰყიდნენ, და შჯულისა ამისთვის გარდაშენდებო-დნენ ქართლისა გლეხნი და აზნაურნი კახეთს 2)». გიორგი მეთერ-

1) Ibid. p. 28.
2) Ibid. p. 29.

თმეტის დროს, იგივე გასუმტი იტყვის: «იპარვიდიან ხიზანითა მც-
ველნი ციხის თათარნი თბილისისნი, გორისა და სურამისა ტყვეთა
და ჰყიდიან, და შეერიათ ქართველთაცა განსყიდვა ტყვეთა და იცვალე-
ბოდაცა ქვეყა-ზნენი ქართლისანი, და იქცეოდნენ უმეტეს ყიზილბაშ-
თა ზნე წესითა და ყოვლითა უწესოებითა ქრისტიანულისათა ცოდვი-
თურთ 1)». ტყვედ მიჰყვანდათ ოსმალებს იმერეთიდამ, სპარსებს ქარ-
თლ-კახეთიდამ. მარტო შაჰ-აბასის დროს ჩვენი მატიანე უჩვენებს ერთს
იმისს შემოსვლაში ტყვედ გაყვანილს 80 ათასს სულს, თანა-მედრო-
ენი უცხო-ტომთ მწერალნი სომეხი არაქელ თავრიზელი და მუსულ-
მანი ისკანდერ-მუნში ადგილობრივ კახეთში ამოხოცილთ გარდა, რო-
მელნიც შეადგენდნენ 60-70 ათასს სულს, სპარსეთს გადასახლებულთ
რიცხვს უჩვენებენ 100 ათასზე მეტს. იმათ მაგიერ შაჰ-აბასმა კახეთს
ადერბიჯანიდამ 150-ათასი კომლი თათარი თურმე დაასახლა 2). ფრან-
ცუზის მწერალი შარდენი, რომელსაც მე XVII საუკუნეს საქართველოში და
სპარსეთში უმგზავრია, იტყვის: «სპარსეთის სისხლი ახლა დიდად გამშვე-
ნიერდათ, რადგანაც იმას ქართული და ჩერქეზული სისხლი შემოე-
რიათ; ქართველნი და ჩერქეზნი შეადგენენო უკეთესს ნათესაობას ქვე-
ყანაზე აგებულობით და მსნეობით; სპარსეთში არც ერთი წარჩინებუ-
ლი პირი არ არისო, რომ ან ქართველი, ან ჩერქეზი დედათ არა ჰყვა-
ნდესო, თვით მეფიდამ მოყოლებული, რომელიც დედის მხრით, უე-
ჭველად, ან ქართველია, ან ჩერქეზია 3). იმ დროებში უკეთესი ჩვე-
ნი უმაწვილ-ქალობა და უმაწვილ-კაცობა სპარსეთს გადიოდა ან სპარ-
სების სისხლის გასამშვენიერებლად საზოგადოდ 4), ან საბრძოლვე-

1) Ibid. p. 97.

2) Addit. IV, 421—445; V, 445—509.

3) Chardin, Voyage, en Perse, III, p. 403—404.

4) Ibid. IV, 69.

ლად სპარსეთის მოხარკე მტრებთან. აქ თვით ჩვენის სამეფო სახლის წევრთ და კეთილ-შობილებს განგებ აძლევდნენ უმაღლეს სამხედრო და სამოქალაქო მოხელეობას, რომ სპარსეთი შეეთვისებინათ იმათთვის, რადგან შაჰების განზრახვა იყო ოდესმე მთელი ქართლ-კახეთი იქვე გადაესახლებინათ.

მეჩვიდმეტის საუკუნის დამდეგ, შაჰ-აბასის დროდამ, ოსმალების და სპარსების გარდა, საქართველოს სხვა მტერიც გამოუჩნდა. 1616 წელს შაჰ-აბასმა შეუთვალა ლეკებს. «მე მსურსო კახეთი ამოვწყვიტოო; დახოცეთ და დაატყვევეთო, ვინც კი იქიდამ თქვენს მეზობლად მთებში ამოვიდესო». ლეკები ამ რჩევას შეუდგნენ. თავდა პირველად იმათ შეაწუხეს გაღმა-მხარი. მრავალი იმათგანი დასახლდა ჭარში, ბელაქანში და ასლო-მახლო. ალაზანზე დასდვეს ბინა აწუხებლებმა, თებელებმა და ყირხის მცხოვრებთა... იმათ დაიწყეს დიდის პარტიებით ტანტალი; ისინი მოეფინებოდნენ კახეთში, სომხეთში, ქართლში. მთელი დაღესტანი ფეხზე იდგა და უბედურს ჩვენს მხარეს სცემდა. იხინი ჩამოიგრიფებოდნენ წახურიდამ ელისუზე, სულიიდამ ყუბზე, ყამხაჩიდამ ნუხზე, მისილდასიდამ ბელაქანზე. თავისუფალი მისვლა-მოსვლა საქართველოში გაძნელდა. მთა, ბარი, ტყე, გზა, ქალაქების და სოფლების არე-მარე დაჭერილი იყო მტრისაგან. იმათ ჰყვანდათ ბელადები, რომელთაც ყოველივე ადგილები დაწვრილებით იცოდნენ. თვით ყუნძახის მთავარი, ავარიის ხანი, დიდის ჯარით ხან აქ სცემდა, ხან იქ. ამ საგანზე ჩვენ გვაქვს შესანიშნავი დოკუმენტები, რომელნიც XVII გასულს და XVIII საუკ. დამდეგს შეეხებიან. ეს არის იმამ-ყული-ხანის და თეიმურაზის წერილები სპარსეთში ჰუსეინ-ყული-ხანთან, ანუ ვახტანგ VI, რომელიც იმ დროს ირანის სპასალარად და ადერბეიჯანის ბეგლარ-ბეგად იყო. ამ წიგნებში გარკვევით და სულის ალმაშფოთებელის დაწვრილებით არის გამოხატული კახეთის ბედ-კრუ-

ლი სკე, იმისი განწირული მდგომარეობა, ლეკების მძვინვარება და სი-
სხლის სმა. იმამ-ყული ხანი და თეიმურაზ ევედრებიან ვახტანგს, რომ
იმან მფარველობა და შემწეობა გამოსთხოვოს სპარსეთის შაჰს. აი
რამდენიმე სიტყვა ამ წერილებიდამ. «ჩვენ მუდამ დღე მახვილ ქვეშა
ვართ; ლეკების ძალა უფრო და უფრო მატულობს; არც ერთი კუ-
თხე არ დარჩა, რომ სისხლი არ იღვრებოდეს. თუ თქვენი მეცადი-
ნეობა და შეოხება შვებას არ მოგვცემს, ჩვენი საქმე წასულია, ჩვენს
მხარეს აღარა იმედი არა აქვსრა... აქამომდე ჩვენ გვებრძოდნენ მარტო
ჭარელნი, თალელნი და ჯარ-იქითნი ლეკნი; ახლა გულსადარას ყარე-
ბიც შემოგვესია, დაღისტნელებს ბინა ჯარ-აქეთელს ლეკებთან აქვთ
და იმათ მიიმხრეს ყაზახი, შაქი და სხვ. ახლა ჩვენი მტრები გავაზშა
დგანან... გავაზელებთან და გაღმა-მხრის სოფლებთან იმათ მოლაპა-
რაკება დაიწყეს: შაჰის შემწეობას ნუ მოელითო, შაჰის ჯარი დამარ-
ცხდაო, სჯობს ჩვენ მოგვემხროთო... თქვენ იცით, რომ გლეხს მო-
კლე ჭკუა აქვს, და ის მხოლოდ იმას იჯერებს, რასაც თვალით ჰხე-
დავს. იმათ მიიღეს მტრის რჩევა და თავიანთს მხარეს ბრძოლა აუ-
ტეხეს. არათუ გლეხნი, ზოგნი თავადნიც იმათ მიეკერძნენ. თუ ამ
ზაფხულს არას გვიშველით, დანაშთენი კახეთიც გადადგება და ვაი
ადერბეიჯანსაც და გარეშე ადგილებსაც...» შემდეგ ამ წერილებში ვკით-
ხულობთ, რომ შიგნით-კახეთი ლეკების მხარეს გადავიდაო 1). რა
ძალი ჩვენი ტომის ხალხი სხვა და სხვა დროს გადაუსახლებიათ ლე-
კებს დაღესტანში, ჩვენ ამაზე ცნობა არა გვაქვს. თუ მოვიგონებთ,
რამოდენა ადგილები ქართლ-კახეთში გავერანებული, რამოდენა სო-
ფელია დაცლილი, მაშინ ეჭვი აღარ უნდა გვქონდეს, რომ მრავალი
ხალხი ამოუწყვეტიათ და დაუტყვევებიათ ლეკებს. ზაქათალის მაზრა-
ში უამბნიათ ჩვენთვის, სად და სად ცხოვრობს აქამომდე დაღესტანში

1) Hist. de la Gèor. II, 2 livr., 415—428.

გადმკვებული ქართველობა. ეს ადგილები თურმე არის: ჯანიგა, სა-გილი, წოსური, გილ-მაწი, მუსლავა, ხაგი, ქურდულა, შავშური, შა-ლიშა, ეზგილა, ქოთოკლუ, ზერნა, მიქიქა. მოსლავის მთებში ეკ-ლესიებიც თურმე არის აქამომდე. თვითონვე იტყვიან ისინი თავიანთს ქართულს შთამომავლობას. ზოგიერთს იმათგანს ძველი ქართული წი-გნებიც თურმე აქვთ აქამომდე.

ეს იყო საქართველოს მდგომარეობა, როდესაც ქართლის ტახ-ტი მუხრან-ბატონის სახლმა დაიჭირა. მუხრან-ბატონები შეადგენდნენ შტოს კონსტანტინესას, რომლის დროსაც საქართველო სამეფოდ სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ დაიგლიჯა. კონსტანტინეს შვილის ძეთი მეფის ძმამ ბაგრატმა, ვახუშტის სიტყვით, «გამოსთხოვა და-ვით მუხრანი საუფლის-წილად და არაგვის და ქსნის-ხევნი მთიულ-მოსკეთურნი, თვისსა მორჩილებასა ქვეშე, რომელნიცა არს მიერიდგან ერთ სასპასპეტოდ ანუ სადროშოდ». ბაგრატის შემდეგ მუხრანის სა-უფლის-წილოს განაგებდა უფროსი შვილი ანუ ძმა. მუხრან ბატონებმა აღმოაჩინეს დიდი მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკურს მდგო-მარეობაში: ისინი ებრძოდნენ სპარსებსაც, ოსმალებსაც. იმათში გან-საკუთრებით ჩვენის ყურადღების ღირსნი არიან: თეიმურაზის ძე ვახ-ტანგ მეხუთე, რომელიც იშვილა უშვილო ქართლის მეფემ როსტომმა და იმისს შემდეგ 1658 წ. მეფედ დაჯდა. ვახტანგის შვილებში ცნო-ბილნი არიან: გიორგი XI, ვახტანგის მემკვიდრე, არჩილი დიდ მოქმედი პირი და მწერალი, აგრეთვე ლევანი, ვახტანგ მეექვსის მამა. როდესაც მუხრან-ბატონებმა ქართლი დაიჭირეს, საქართველო შემცი-რებული ქვეყანა იყო. სათაბაგო ჩვენ აღარ გვეკუთვნოდა. ის მოგვ-გლიჯეს ოსმალებმა და ფაშალიკად დასდეს; აქ იმათ ათაბაგის მაგიერ ფაშა დასვეს; თავიანთი წესი და ყოფა-ცხოვრება შემოიტანეს; თავიან-თი სჯული და ენა დაამყარეს. იმერეთი სანუგეშოს არას წარმოგვიდ-

გენს: იმერნი ებრძოდნენ ერთი მეორეს და ოსმალებს, რომელნიც ცდილობდნენ ისინი ისე დაემონავებინათ, როგორც მესხნი დაიმონავეს. კახეთი დიდად მისუსტებული იყო. კახეთიდამ დიდძალი ხალხი გადაასახლეს სპარსებმა მაზანდარანს და ხორასანს; და იმათ მაგიერ აქ დაასახლეს თათრები. თუმცა კახეთს საკუთარი მეფეები ჰყვანდა, მაგრამ იმას ნამდვილ განაგებდნენ ყეენთაგან დადგენილი ხანები, რომელნიც ყარაღაჯში იხსდნენ და დაუბრკოლებლივ ბძანებლობდნენ, როგორც იმათი გულის-წადილი და სპარსეთის მეფეები მოითხოვდნენ. ქართლიც არ იყო უკეთესს მდგომარეობაში. მართალია აქ ქართველი წეს-დება ისევ ჰსუფევდა, მაგრამ ისიც უკან და უკან მიდიოდა. აქ როსტომ მეფის დროდამ სპარსეთის ზნემ და ჩვეულებამ ცოტ-ცოტად იწყო თვისი მოქმედება. უმთავრესი ქართლის ციხე-სიმაგრეები, იმათ შორის მეტესი თფილისში სპარსების ხელში ჩაცვივდნენ. მეფეებს ტახტზედ ასვლის ნებას ყეენები იმ პირობით აძლევდნენ, თუ ისინი მაჰმადის აღსარებას აღიარებდნენ. ამ ბედ-კრულმა მდგომარეობამ დაბადა საფუძველი საქართველოს კავშირისა თანა-მორწმუნე რუსეთთან. უკმაყოფილნი, დევნილნი შურით თუ საქმის გარემოებით ზოგნი მაღლად დადგენილნი საქართველოს შვილნი მიივლტოდნენ რუსეთს, იქ ეძებდნენ ნუგეშს და შემწეობას. დასაწყისი საქართველოს დამოკიდებულობისა რუსეთთან პირველად აღმოჩნდა XVII საუკუნის დამდეგს, როდესაც სპარსეთს ბძანებლობდა მძვინვარე შაჰ-აბასი და რუსეთს მეფე გოდუნოვი. ზოგნი რუსეთს მთელის ოჯახობით გადიოდნენ. დადიანი გამეყის სახლობამ სამეგრელო სრულებით დასტოვა და რუსეთში დასახლდა. ირაკლი, შემდეგ კახეთის მეფე, იქვე ცხოვრობდა და იზრდებოდა. ვახტან მეხუთის შვილმა არჩილმა იქვე დაასრულა თავისი აღელვებული ცხოვრება. რუსეთში ვპოულობთ ვახტანგ მეექვსის ძმას დომენტის, შემდეგ საქართველოს კათალიკოზს. რუსეთის გავ-

ლენა საქართველოზე ისე გაძლიერდა, რომ, როგორც ამას მაშინდე-
ლი მწერალი კრუზინსკი ამბობს, ეკენი დიდად თურმე შიშობდა, რომ
ვახტანგ მეექვსისაგან ლეკების ძლევით რუსეთს არ მისცემიყო შემთ-
ხვევა შემოსვლისა სპარსეთის ჩრდილოდ. აქ უნდა მოვიხსენოთ ორი
დიდ სახსოვარი ფაქტი, რომელიც მუხრან-ბატონების დროს შეეხება.
პირველია რომის მისსიონერების შემოსვლა ჩვენში, მეორე ქართვე-
ლების შრომა სალიტერატურო ასპარეზზე. რომის მისსიონერები, რო-
მელთაც კათოლიკის აღსარება დაუმყარებიათ თბილისში, გორში, ქუ-
თაისში და ახალციხეში, პირველად შემოსულან საქართველოში მე XVII
საუკ. დამდეგს. მისსიონერები ყოფილან დახელოვნებული მკურნალები
და ხირურგები და ამისგამო ისინი დიდის პატივით შეუწყნარებიათ.
შარდენის სიტყვით, დადიანს მიუღია თეატინები 1627 წელს 1). ქარ-
თლში ვახტანგ მეხუთეს კაპუცინები დაუსახლებია თბილისში და გორ-
ში, სადაც ნება მიუცია კათოლიკის აღსარების გავრცელებისა 2). ქაი-
ხოსრო ვახტანგ მეექვსის ძმას, კრუზინსკის თქმით, უხვად დაუჯილ-
დოებია მისსიონერები თბილისში, გორში, თავრიზში და განჯაში;
ქაიხოსროს ქირმანში ორი კაპუცინი თურმე დაჭყვებოდა, და თვით კა-
თოლიკის სარწმუნოებაში თურმე აღესრულა 3). ვახტანგ მეექვსეს
გამოუთხოვნია ფრანციის კაროლისთვის ლუდოვიკ XIV-სთვის სხვა
მისსიონერებიც, რომელნიც 1715 წელს საბა ორბელიანს მოჰყო-
ლიან 4). მისსიონერებს უსწავლიათ ქართული ენა და სასწავლებლები
დაუწესებიათ. იმათ შორის ზოგნი შესდგენიან ქართლის ენის გამო-
კვლევას და საქართველოს აღწერას, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევიათ.

---

1) Uoyage de Chev. Chard. en Perse I, p. 354.
2) Ibid. II, p. 83.
3) Hist. de la Géor. t. II. livr. 1' p. 108 n. I.
4) Ibid. p. 109 n. 2.

მისსიონერების გავლენას უნდა მივაწეროთ ჩვენ ის შემთხვევა, რომ საქართველოში აღმოჩენილა ლიტერატურის მოძრაობა: სტამბის დაფუძნება, საღმრთო წიგნების ბეჭდვა და თვით ახალი მწერლობა. რომ იმ დროს მრავალნი ქართველნი ერთისა და იმავე ხელით იბრძოდნენ და სწერდნენ კიდეც. ეს შემთხვევა თუმცა დიდად გასაოცარია, მაგრამ უეჭველია. კახეთის მეფეს თეიმურაზს მეორეს, ვახტანგ მეექვსის სიძეს უთარგმნია სპარსულიდამ ქართულად ლექსებით სამიჯნურო თხზულება «ოსეფ და ზილიხა», საიდამაც შემდეგ იმავე შეუდგენია «ვარდბულბულიანი». არჩილ მეფეს ანუ შაჰ-ნაზარ-ხანს დაუწერია «არჩილიანი», რომელიც თეიმურაზის ცხოვრებას წარმოგვიდგენს. ერთი ნაწილი «არჩილიანისა» იმას შეუდგენია ოსეთში, მეორე—ასტრახანში. გარდა ამისა ჩვენამდე მოუღწევია სხვა სალიტერატურო შრომასაც: გურამიშვილის ლექსებს, სეხნია ჩხეიძის და ფარსადან გიორგიჯანიძის ისტორიულს მოთხრობას და მუსულმანის სჯულ-დებას, რომელიც ფარსადანს როსტომ მეფის მინდობით სპარსეთში უთარგმნია და აგრეთვე მაჰმადის სჯულს, რომელიც შაჰ-აბაზის ბძანებით იმავე არაბისტანში არაბულიდამ ქართულად გადმოუღია. ვახტანგ მეექვსის ბიძას საბა ორბელიანს სხვათა შორის შეუდგენია «სიბრძნე სიცრუისა» წიგნი და პირველი ლექსიკონი, რომელიც ჩვენ ყოველთათვის დიად ცნობილია. აქ უნდა დაურთოთ, რომ არც ერთს ქართველს, არც უწინ, არც შემდეგ ლიტერატურის ასპარეზზე ისეთი ღვაწლი არ დაუდვია, რა ღვაწლიც დასდეს თვით ვახტანგ მეექვსემ და იმისმა შვილმა ვახუშტმა. ამ საგანზე თავისს ადგილს ვიტყვით.

ვახტანგ მეექვსე იშვა 1675 წელს, იმ დროს, როდესაც იმისი ბიძა გიორგი XI ანუ შაჰ-ნავაზ მეორე ქართლის ტახტზე დაჯდა. მამა ვახტანგისა ლეონი ორჯელ იყო დაქორწინებული: პირველ ცოლთან, გურიელის ქალთან თუთასთან, იმას ჰყვანდა სამი ვაჟი: ქაიხოსრო,

ვახტანგი და დომენტი, და ერთი ქალი ხვარამზე; მეორე ცოლათ გიორგი ავალი-შვილის ქალთან თინათინთან ჰყვანდა [illegible] და თეიმურაზი. რადგანაც ლევანის და იმისის მონათესავეების მოქმედება ქართლში და კახეთის ხანთან შაჰ-აბასის შვილის შაჰ-სულეიმანის წინააღმდეგი საქმე იყო, ამისთვის იმან გიორგი მეფეს მოახსენოვა, რომ ისინი სპარსეთს გაესტუმრებინა. ლევანი, იმისი ბიძა ლუარსაბი და გიორგის ძე ბაგრატი ბძანებას დაჰმორჩილდნენ — და ყეენის სამფლობელოში წავიდნენ. შაჰ-სულეიმანმა ლევანი და ბაგრატი ჰერათში დაატყვევა. ლუარსაბი ქირმანს გაგზავნა. ყეენმა თვით გიორგიც თავისთან მიიწვია და ქართლი მიანდო კახ-ბატონს ირაკლის ანუ ნაზარ-ალი ხანს, რომელსაც აღზდა რუსეთში მიელო და ისპაანში 14 წლიწადი დაყო. გიორგიმ უკმაყოფილება გამოაცხადა და რაჭას ავიდა. ირაკლი თბილისში დაჯდა. «ირაკლი, ვახუშტის სიტყვით, იყო ქართლისა და წესთა საქართველოსათა უცნობელი და მეფობისა გამოუცდელი; უშვერთა მოყვარი; სმისა და შვება-ლხინთა მოყვარე; მცირედთა ყურის-მიმპყრობი და დიდთა დამამდაბლებელი. ირაკლიმ დაამცირა ერთგულნი გიორგი მეფისანი, ზოგთა მიუხვნა მამულნი და აღამაღლნა კახნი და მისცნა მათ მამულნი მათნი. ირაკლიმ დასხნა თვისნივე კათოლიკოსად და მთავარ-ეპისკოპოზებად; დაადგინნა თვისნივე კარის-გამგედ, მსაჯულთ-უხუცესად და ვეზირად; მათ მიანდო საქმენი ყოველნი ქვეყანისანი და თვით მარადის იშვებდა, ისარებდა და ნადირობდა». გიორგიმ ქართლით აუტეხა ირაკლის ბრძოლა, რომელშიაც მონაწილედ არჩილის გარდა ვახტანგსაც ვხედავთ, მაგრამ ირაკლიმ იმას სპარსეთის ჯარის შემწეობით სძლია. ლევანის შვილმა ქაიხოსრომ და იმის შემდეგ თვით გიორგიმ ყეენთან სლვა ირჩიეს. ამ დროს ვახტანგი იყო 15—20 წლის ყმაწვილი კაცი. ის შეუუღლდა რუსუდანს, ჩერქეზ-ბატონის ასულს, რომლის მაც ადილ-გირეი

შემდეგ ვახტანგს რუსეთს გადაჰყვა და იქ დასახლდა. მისდილი თავი-სის მამის საუფლის-წულოისა, ვახტანგი დაიარებოდა ქართლში და უფრო იმერეთში ცხოვრობდა. ვახტანგი ემზადებოდა რუსეთს, მაგრამ იმ დროს გიორგი მეფის და ვახტანგის მამის მოღვაწეობამ ქირმანში დაუბრუნა იმათ ყეენის მოწყალეობა. ეს მოღვაწეობა დიაღ ღირსია ყურადღებისა. სპარსეთს აუშალნენ ბელუჯნი და ავღანნი. ჩვენის წყა-, როების ცნობით, ისინი არბევდნენ სპარსეთს ქირმანით იეზდამდე და რავდენ გზისცა წარავლინის ყეენმან სპანი და სარდალნი, მარადის იგინი მძლე ექმნებოდიან მათ. ამისთვის აიძულებდა ყეენი გიორგი მეფეს, რათა განაგოს მან საქმე ესე და მიანიჭოს მას კვალად ქართლი. შემოიკრიბნა გიორგიმ სპანი ქირმანისანი და ქართველნი მისთანა; ვლო უდაბნო მნელი და უწყლო, და მიეწია მათ. მხილველნი იგი განმაგრდნენ კლდე-გორათა ზედა. მაშინ განყო გიორგიმ სპანი თვისნი: ერთ კერძოდ ლევან ძმა თვისი და ქართველნი, და ერთ კერძოდ ქირმანელნი და თვითცა ერთ კერძ მიეტევნენ ფიცხლად და შეუხდნენ ქართველნი ზანგთა მათთა და შემუსრნეს იგინი და მოსწყვიდნენ სრულიად, და მოიქცა მეფე ქირმანს. ამის წილ ყეენმან მიანიჭა მას ნიჭნი ურიცხვნი და ლეონს მისცა მსაჯულთ-უხუცესობა ერანისა, და ქაიხოსროს ტარუღობა ისპაანისა და მოუწოდა ლევანს წინაშე თვისსა ისპაანს. მაშინ აუწყა გიორგიმ ყეენსა ძმისა თვისისა ლევანისაგამო, რამეთუ მწირ არსო მე ჩვენი ვახტანგ იმერეთს, და უკეთუ არა რაი ეყოს მას შეწევნა ჩვენ მიერ, წარვალსო იგი რუსეთსა. ასე ანუ ამის თანახმად გვიამბობენ ვახუშტი და სხვანი თანა-მედროვენი მწერალნი, როგორათაც ქართველნი, აგრეთვე უცხო-ტომნი, იმათ შორის კრუზინსკი და ჭანვეი. შაჰმა გიორგის თხოვნით მოუწერა ირაკლი მეფეს, რათა მოიყვანოს ვახტან ქართლს და მისცეს მას ყოველნი საუფლის წულონი მამისა თვისისა ლევანისანი. შაჰმა თვით ირაკლი ის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაანს მიიხმო, ქართლი ისევ გიორგის დაუმკვიდრა და ვიდრე გიორგი დაბრუნდებოდა ქართლის განმგედ ვახტანგი დანიშნა. ეს იყო 1703 წელს. «ვახტანგი იყო—იტყვიან ვახუშტი და სეხნია ჩხეიძე—მშვენიერი, ჭაეროვანი, მუშაკი, უხვი და მშვიდი, არამედ ჟამთა მრისხანეცა; სამღვდელოთა პატივის-მცემელი, ქვრივ-ობოლთა და გლახაკთა მიმცემი; ეკკლესიათა მაშენებელი. ვახტანგმა განაახლა, სხვათა შორის, თბილისის სიონის გუმბათი, შეამკო სვეტის-ცხოველი; აღმართა ურბნისის ზღუდე, გასჭრა არხები ნასიდურში, ყალალირსში, ლისში, ყარაიაში, და აქ თვით სოფლებიც გააჩინა; გააშენა უდაბურს ადგილში დაბა ხუნანი; ააშენა თბილისში მშვენიერი სასახლე და შეამკო იგი. თუმცა ვახტანგ იყო გამგე, მაგრამ მეფედ თურმე იხსენიებოდა. ვახტანგმა აღაშენა და განავსო ქართლი, «რამეთუ რომელნიცა ჟამსა ირაკლი მეფისასა შთასრულ იყვნენ კახეთს ქართველნი, იმან ბრძანებითა ყეენისათა გამოიყვანა ყოველნი და დასხნა თვისთავე ადგილთაზედა. აღარ იყო ტყვის გასყიდვა. ნაზარ-ალიხანი, ვითარცა როსტომ მეფე მრავალ-გზის წარუვლინებდა ყეენსა ტყვეთა, ხოლო ვახტანგ უკეთუ არა მოითხოვდა ყეენი არა წარუვლინებდა, მასცა უმეტეს მოყიდულთა. ვახტანგმა განაწესა სპანი როქითა მცველად თვისად.» იმან მოიყვანა გლახეთით მესტამბე, გამოიღო სტამბა, განამრავლა სამღთო წერილი. ამ დროს პირველად დაიბეჭდა ქართულს ენაზე ბიბლია ანუ დაბადება. სტამბა მოქმედებდა მხოლოდ ვიდრე ვახტანგი საქართველოში იმყოფებოდა და იმის შემდეგ კი გაუქმდა ირაკლი მეორის დრომდე. ვახტანგი სხვა შრომასაც შეუდგა. ეს არის სამოქალაქო კანონი, რომელიც ვახტანგის სჯულად იწოდება, რომელიც იმისს დროდამდე სახელ-მძღვანელად დაიდო საქართველოში და ჩვენამდე ხმარებაში იყო. ჩხეიძის მოხსენებით, ვახტანგმა «განაჩინა რა წიგნი სამართლისა, ოთხშაბათსა და პარასკევს დაჯდის სამდივნოს

სახლსა, განაგებდა სამართალსა მცირეთა და დიდებულთა, თანახმა[illegible]ვი-ღის შემწეობით, საიდამ და რა განზრახვით შეუდგენია [illegible] დება, ამას ის თვითვე მოგვითხრობს შესავალში. «ნუ რავინ ჰგონებ-იტყვის ის—რომ ჩვენ მხოლოდ თავით ჩვენით რასამე ვყოფდეთ, არამედ თანა ყოვლით დამოწმებითა მღვდელთ—მთავრისა დიდის დედა-ქალაქისა მცხეთისა ძმისა ჩვენისა კათალიკოზის დომენტისითა, აგრეთვე თანა-დგომითა ერისთავთა, მთავარ-ეპისკოპოზთა, წინამძღვართა და კითხვითა ჭკვათა მყოფელთა და მოხუცებულთა გვცთათა გვაჩინეთ და დავსწერეთ რომელსა მივსწვდით და ან გონებანი ჩვენნი სამართალსა მიჰხვდნენ». ადგილობრივ სჯულ-დებათ გარდა, რომელნიც ძველადვე ჩვეულებად ყოფილან საქართველოში მიღებულნი, ვახტანგს ჩაურთავს თავისს კანონში «მოსეს მიერ ქმნილნი სამართალნი და გვალად ბერძენთა და სომეხთა წიგნთაგან გარდამოთარგმნილნი, აგრეთვე კათალიკოზისა და მეფისა გიორგისა და ბექას სამართლები». «ქართლი ყოფილა—განაგრძნობს ვახტანგი—ყოვლითა კეთილითა შემკულ და შეზავებული, ხოლო ცვალებითა დღეთა და ვითარებითა ჟამთათა თვით სიბრძნით და თავით თვისით სჯიდენ და განაგებდენ ვიეთნიმე მოყვსობით, ვიეთნიმე მეგობრობით, ვიეთნიმე მიდრეკებით, გიეთნიმე ღვთისა ურიდველობით და ვიეთნიმე მიღებითა ქრთამისათა. მეფენი ბევრჯელ დიდად ამაღლებულნი და ბევრჯელ ჟამთა და დროთა ცვალებით ასრე დამდაბლებულან, რომე ოდენ სახელიღა რქმევიათ. როგორც ყმათ სდომებიათ, ისრე უსამართლებიათ და ურიგებიათ. ამისი მომსწრენი მეცა ვარ და სხვანიცა მრავალნი. აწ ამისთვის ვიწყეთ, თუ მეფეს მეფობა შეეძლოს ქნას, თუ არა მეფობის უქნებლობა სჯობს და ხელის აღება».... ვახტანგის სამართალი და იმასივე «დასტურლამალი», რომელიც, როგორც ფიქრობენ, ამ დროსვე შედგენილი, სპარსეთის სახელმწიფო დავთრების მიბამვით 1), შე-

1) Chardin, Voyage en Perse, t V p. 436.

ცავს მთელს სურათს საქართველოს განმგეობისას «დასტურლამალი» ჭრჱენებს ყოველ-გვარს შემოსავალს საქართველოს მეფეებისას, შემოსავალს და ჯამაგირს სახელმწიფო მოხელეებისას, აგრეთვე რა გვარი მეურნეობის წესი ყოფილა ჩვენში, და დამოკიდებულება ჰქონიათ სამეფო სახლის მოხელეებს სახელმწიფო უმთავრესს მოხელეებთან.—ჩვენ არ ვიცით დაჭეშმარიტებით, რა დროს არის შედგენილი ვახტანგის «ქართლის-ცხოვრება». ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის იმავე დროს უნდა ეკუთნოდეს, რა დროსაც ეკუთნის «სამართალი». «ქართლის-ცხოვრების» წინა-სიტყვაობა იტყვის: «პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო, ჟამთა ვითარებისაგან «ქართლის-ცხოვრება» განრყვნილიყო, რომელიმე მწერალთა მიერ და რომელიმე ჟამთა ვითარებისაგან არღარა წერებულ იყო; ხოლო ვახტანგმან, ძემან ლეონისამან და ძმის-წულმან სახელოვანის გიორგისამან შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიხვნა საცა რამ ქართლის-ცხოვრებანი პოვნა, და კვალად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი, და შეამოწმეს, და რომელი განრყვნილ იყო, განმართეს, და სხვანი წერილნი მოიხვნეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოხვნეს და ესრეთ აღაწერინეს». მართლა და ჩვენ ვიცით, რომ ძველადვე ყოფილა საქართველოში სხვა და სხვა ქართლის-ცხოვრებანი, საიდამაც შემდგარა ვახტანგის «ქართლის-ცხოვრება». იქ, სადაც ვახტანგს დაუსრულებია, იმისს სახელოვანს ძეს ვახუშტის მიუყვია ხელი და განუგრძია.

დიდს განცვიფრებაში მოვყევართ ყოველსავე ზემოდ მოხსენებულს ვახტანგის შრომას. სად ჰქონდა იმას მოსვენება და დრო! ჩვენ ვნახეთ, რომ მთელი საქართველო შეიარაღებული იყო: შინაური აღრეულობა, ერთი-ერთმანეთთან და გარეშე მტერთან ბრძოლა არა სწყდებოდა. მაგრამ ამ გვარი საქართველოს მდგომარეობა არა თუ არ ასუსტებდა, არამედ უფრო და უფრო აღვიძებდა ვახტანგის მაღლად მი-

ნიჭებულს გონებას და მზრუნველობას მამულისადმი. ნუდა ვივიწყებთ, რომ იმას სხვა მრავალ-გვარი უბედურობაც სდევნიდა. 1709 წელს, 21 აპრილს, ყანდაარში მირ-ვეისმა ვახტანგს ბიძა გიორგი მოუკლა და იმასთან მყოფნი ქართველნი ამოუწყვიტა. იმავე წელს, 13 ივლისს, ისპაანში მიიცვალა ვახტანგის მამა ლევანი. უფროსი ძმა ვახტანგისა ქაიხოსრო შეიქნა სპარსეთის სპასალარად, რომელსაც ვახტანგმა მირ-ვეისთან საბრძოლად გაუგზავნა ალრჩეულნი მხედარნი. ქაიხოსრომ თავდაპირველად, 1710 წელს, მირ-ვეისს სძლია, ძმა და ძმის-წული მოუკლა. შემდეგ სპა-მისუსტებული მუცლის სენისაგან და საკუთარის ძმის იასეს ღალატისაგან, ის იძლია: ჯერ მოკლულიქნა იმისი ძმის-წული, არჩილის შვილი ალექსანდრე, შემდეგ, 26 ოკტომბერს 1711 წ. თვით ქაიხოსროც. ნაღვლით სავსემ და მწუხარე ვახტანგმა სპარსეთს წასვლა განიზრახა. ამ შემთხვევას სხვა მიზეზიც დაერთო: სპარსეთის შაჰი უკმაყოფილო იყო ვახტანგზე იმისათვის, რომ ის ცდილობდა საქართველოში ქართველების ამაღლებას და სპარსების დამცირებას. საქართველოში მყოფნი სპარსნი ვახტანგს შაჰთან ასმენდნენ. ვახტანგმა ნება მოითხოვა შაჰთან ხლებისა. მოვიდა მეჭმანდარი მიმწოდებელი. ვახტანგმა ცოლ-შვილი გორს დასტოვა, ქართლის განმგეობა თავისს ძმას სვიმონს მიანდო და 22 აპრილს 1712 წელს გაემგზავრა: თან-ახლდნენ დარბაისელნი, მცირედნი და დიდნი, რიცხვით, ჩხეიძის თქმით 300-მდე, კრუზინსკის მოწმობით 3 ათასამდე. იმათ შორის თვით სეხნია ჩხეიძე. ჩავედით ისპაანს—მოგვითხრობს ჩხეიძე—დახვდა ხემწიფე მხიარულად. მეორესა დღესა უყო მეჯლიში, დაჯდა ნადიმად, სვეს ხუთსა საათსა, უბოძა თასი მურასა, წამოვედით მხიარულად, შეგვექმნა სიმხიარულე, ვიყავით განსვენებასა და ლხინსა შე-განი. ვახუშტი იტყვის; «მახრული წინაშე ყეენისა ვახტანგი პატივცემულ—იქმნა დიდითა პატივითა და შეყვარებულ ფრიად ხიკეთისა

მისისათვის და უთქმიდა მაჰმადიანობასა და უქადებდა ნიჭსა დიდსა და მხწრაფელ გამოტევებასა. არამედ მან არა თავს-იდვა, [illegible]: «მე მოვედ, რათა არა დამართონ მტერთა და შეირყეს ქართლი. გარნა არიან ძმანი ჩემნი მაჰმადიანნი და რომელი გნებავს წარავლინე და მე ჰყავ წინაშე შენსა». მაშინ ინება ყეენმან წარმოვლინება ვახტანგისა სჯულითა თვისითა. არამედ არა აუფლნეს ომართა, განზრახვთა თვისთა და არცა ინება იასემ ნებითა ვახტანგისათა წარმოსვლა. იასე არ დასცხრა. იასემ აღუდგინა ძმასა თვისსა ვახტანგსა თბილისის ჯუშანი და შეასმენდნენ ყეენსა დაწვისა ყორანისასა და სხვითა მრავლითა უჯეროთა მაჰმადიანთა ზედა. ამისთვის მოუგზავნა ყეენმან ხოლოთვა თბილისს, რათა სცნას, რა ბოროტი უქმნიეს მაჰმადიანთა ზედა ვახტანგს. არამედ იდუმალ ამცნეს ხოლოთვას, უკეთუ იცეს ჟამი, დაიპყრას ქართლი და ხვიმონ მუნ წარავლინოს. ხოლოთვასთან შეიზრახნეს ხვიმონ და მთავარნი ქართლისანი ვახტანგის ბოროტსა ზედა, რამეთუ რაჟამს დაიპყრა ვახტანგ ოვსეთი და განიწყო მცველნი თვისნი, მიერით ეშინოდათ გიორგის და დათუნას ერისთავთა მამულთა მათთა დაპყრობისათვის. ამისთვის მოუწერეს ყეენსა:» არა გვნებავს ვახტანგ, არამედ მოგვივლინე იესე». ხოლო ყეენსა რა ესმა ვახტანგისათვის ესენი აღუმნდა და არა ინება ეგრეთ. არამედ ომართაგან იძულებულმან წარმოავლინა იესე მეფედ ქართლისად ნიჭითა, ვინადგან აღუთქვა იესეს ყეენისათვის წარვლინებად დედოფალი და მენი ვახტანგისანი და ხუთასნი ქართველნი ცოლ-შვილით, რათა დაასახლოს ფარაბათს». 1714 წელს იასე თბილისში მეფედ დაჯდა, ალი-ყულიხანად წოდებული და ფრიად მიქცეული მაჰმადიანობასა ზედა. მდიდარი და ამაყი მშვებელი და გამცხრომელი უწესებითა ურმათა თანა და შვავანთა მღერათა. გარნა მქცევი დიდებულად წაგვარა ცოლი დედის ძმასა თვისსა ქაიხოსროს ამირეჯიბს ზებიის ძმის-წული თვისი და

შეირთო თვით ცოლად. ამხილეს კათალიკოზ-ეპისკოპოზთა და უმე-
ტეს იოანე სააკაძე გარეჯის ბერთუხნის მამამან, კაცმან ღირსმან,
არამედ მან არა უსმინა მეტყველმან:» ვარ მე მაჰმადიან, ქსრეთ ჯვარ
არას ჩემდაო. ამ ჟამად ჭარელებმა გამოვლეს კახეთი, მოვიდნენ ხუ-
ნანს, მოსწყვიტნეს და მოსტყვევნეს დაბნები. ესეც ვერ შესრულდა—
განაგრძნობს ვახუშტი—დავედრებული ყეენისა. მაშინ მოიყვანა ყეენ-
მან ვახტანგ, მისცა ქართლი და სპასალარობა ერანისა, და მიაქციეს
1716 წ. სჯულსა მათსა, და წარმოავლინეს თავრიზს, რათა წარავ-
ლინოს სპანი ხორასანს და მოსცეს გამგეობა ქართლისა ბაქარს, ძე-
სა მისსა. «ბაქარი იმერეთიდამ მცხეთას გადმოვიდა, ესე კა-
ხეთს გავიდა. ბაქარმა ის კახ-ბატონს იმამ-ყული-ხანს გამოსთხოვა,
მაგრამ იმამ-ყული-ხანმა უარი უთხრა. მაშინ მაჰმა გაგზავნა თავისი
მერდარი, რომელმაც ესე შეიპყრო და ბაქარს ჩააბარა; ბაქარმაც ის
დაატუსადა თბილისის სასახლეში. ეს ამბავი მოხდა 1716 წელს. ბა-
ქარი მიაქციეს მაჰმადის სჯულზე, თუმცა, ვახუშტის თქმით, სიტ-
ყვით და არა საქმით. ბაქარის დროს ჩამოიკრიფნენ დაღისტნიდამ
დიდ-ძალნი ლეკნი, იმათ მიემხრნენ ჭარელნი, მოსრეს ქართველები და
დატყვირთულთ შთავლეს ყარაია, სადაც მრავალი იმათ შორის სიცხე—
უწყლობით ამოისოცა. ამ დროს პირველად გამოჩნდა მოქმედ პირად
ვახტანგის ძე ვახუშტი. ვახუშტი იყო უკანონო შვილი ვახტანგისა,
თუმცა არ ვიცით ვინ ჰყვანდა იმას დედად. ბროსსეს შენიშვნით ვა-
ხუშტი უნდა იყოს დაბადებული XVII საუკ. გასულს და როდესაც
სცენაზე გამოვიდა, 15—20 წლისა უნდა ყოფილიყო. ვახუშტს შემ-
დეგაც ვხედავთ სამხედრო ასპარეზზე. მაგრამ ის ამ მხრით არ არის ჩვენ-
თვის შესანიშნავი. იმისის დაუცხრომელის მიდრეკილობის საგანი მე-
ცნიერება იყო. ყმაწვილობითვე ვახუშტს ისეთი ხშირი დამოკიდებუ-
ლობა ჰქონდა კათოლიკის მისსიონერებთან თბილისში, რომ ისას გა-

თოლიკობაც შეხწამეს 1). ვახუშტმა იქეთი ღვაწლი მიუძღვის ისტორიას საქართველოს, რომელსაც ჩვენ ენაზე მხოლოდ იმისის მამის ვახ-ტანგის შრომა უდრის. ეს არის იმისი წარჩინებული «საქართველოს გეოგრაფია» კარტებით, და «საქართველოს ისტორია», რომელიც აქ ადგილ-ადგილ ხელთ-მძღვანელად გვაქვს. ერთი ცნობა მოიხსენებს, ვი-თომც ვახუშტს თავისი ისტორია რომში შეედგინოს 2). ჩვენ არ ვიცით, მართალია თუ არა ეს ცნობა. არც ის ვიცით იყო თუ არა ოდესმე ვახუშტი რომში. ეს კი უეჭველია, რომ ვახუშტს «საქართველოს ისტორია» "გეოგრაფიით», რომელიც თვით «ისტორიის ნაწილს შეად-გენს დაუსრულებია 1745 წელს მოსკოვში, სადაც ის დამკვიდრებულა შემდეგ იმისის სახლობის გადასვლისა რუსეთს და სადაც 1770 წ. გარდაცვლილა.

ვახტანგი დაბრუნდა 1719 წელს ქართლს სპარსეთიდამ. სპარსეთის იმან დაჰყო რვა წელი. აქ იმას ეს დრო უნაყოფოთ არ გაუტარებია. ვახ-ტანგს ისპაანში უთარგმნია ქართულად სპარსული ზიჯი, ანუ წიგნი ვარსკვლავთ — მრიცხველობისა და ცის-ქმნულებისა, რომელიც თვით იმას 1721 წელს თავისს სტამბაში თბილისში დაუბეჭდია. გარდა ამისა ვახტანგს უთარგმნია ქირმანში სპარსულიდამვე ქილილა და და-მანა, რომელიც უფრო ანვარი — სოჰაილად იცნობება. ამ წიგნის ქარ-თულს თარგმანში პროზა ეკუთვნის ვახტანგს, ლექსი სულხან-საბა-ორ-ბელიანს. ქილილა და დამანა შეიცავს ზღაპართ კრებას და იმითია ღირსი ყურადღებისა, რომ ის სპარსეთში სულ პირველად შემოუტა-ნიათ ინდოეთიდამ მეექვსეს საუკუნეში, უთარგმნიათ მრავალს აზიურს და ევროპიულს ენებზე და თვით ქართულად გადმოუღიათ ბევრით ადრე ვახტანგზე, ესე იგი თამარ დედოფლის დროს 3). — რაც რომ

1) Wakhoucht, Gèogr. de la Geor. p. IV.

2) Journ. Asiatique, 1832, avril, 453 n. 3.

3) Chardin, Voyage en Perse, X, p. 149. Hist· de la Géor. I, p. 595 n. 3; II, p. livr. 1, p. 112 n.

ზემოდ გასტანგის ყოფნაზე სპარსეთში ცნობები ვუჩვენეთ ჩვენის წყაროებიდამ, იმას უცხო-ტომთ მწერალნიც ჰმოწმობენ. პი რას ამბობს კათოლიკე კრუზინსკი, გასტანგთან დიად დაახლოვებული პირი. «როდესაც გასტანგი წარსდგა სპარსეთის სასახლეში, ის პატივის-ცემით მიიღეს, იმის ამალას დღეში 50 თუმანი დაუწესეს, თვით იმას მოსთხოვეს, რომ მაჰმადიანობა მიიღოს, თუ მეფობა ჰსურს. გასტანგმა ტასტის უარის ყოფა ირჩია. მაგრამ თვით იმისს სახლის-წევრთ შესმენით ის გაისტუმრეს, თუმცა პატივით, ქირმანს. გასტანგის ძმისწულმა 1), საქართველოს პატრიარქმა, ისურვა ცოლის შერთვა და მაჰმადის სჯულის მიღება, მაგრამ იმისმა მამამ, ისპაანის მსაჯულთუხუცესმა და სარწმუნოებით მუსულმანმა, რომელიც შემდეგ მცირედის ჟამისა კათოლიკად აღესრულა 2), აღმოჰკვეცა იმას ეს წადილი მკაცრის ცემით. გასტანგის უმცროსი ძმა იასე მაჰმადიანი შეიქნა და ქართლის მეფედ დაჯდა. ოთხის წლის შემდეგ გასტანგი ექსორიიდამ დააბრუნეს იმ განზრახვით, რომ ის თავისის ქართველობით ავგანებს შეჰბრძოლებიყო. გასტანგმა ჯერ უარი ჰყო ქრისტეს სჯულის დატევებისა, თუმცა იმას ჰსურდა ბერძნის აღსარების შეცვლა. ამ განზრახვით იმან გაგზავნა ერთი სანდო პირი, ბარონი ვლიზბარ ბითონი, სომხის კათოლიკე მამა ბარბარე ფჟედელთან მილანში, რომელსაც სთხოვა შემწეობის მოხმარება აღსრულებაში მოყვანისთვის იმისის სურვილისა. გასტანგს უნდოდა კათოლიკობა მიეღო კრუზინსკის ხელით. მაგრამ მისმული სასახლეში, შემთხვევის მოთხოვნილებით გამაჰმადიანდა და წინა-დაიცვეთა. მაშინ გასტანგს მიანდეს განმგეობა თავრიზისა და სპასალარობა ირანისა; ამასთანავე უბძანეს, რომ ავღა-

1) საქართველოს კათალიკოზი დომენტი იყო ვახტანგის ძმა და არა ძმის-წული.

2) კრუზინსკი აქ შაიხოსროს მოიხსენებს.

ნებთან საომრად მომზადებულიყო. დიდხანს აღარ გაუვლია, რომ [illegible] საც დიდ-კაცთ შურის-ძიებამ მიჰხადა ვახტანგს სპასალარობა, [illegible] სტუმრეს საქართველოს. ერივანში იმან გამოუცხადა, ერთს ღამის საუბარში კრუზინსკის, რომ თუმცა გვამით მუსულმანი ვარ, მაგრამ სულით ისევ ქრისტიანი ვარო 1). ზოგიერთს კრუზინსკის ცნობას თუმცა არც ვახუშტი, არც ჩხეიძე არ იხსენებენ, მაგრამ სულხან-საბა-ორბელიანი კი ჰმოწმობს, მაგალითად დომენტი კათალიკოზის განზრახვას მაჰმადიანობის მიღებისას. საბა იმასაც დაურთავს, რომ დომენტი სპარსეთის მფლობელისაგან ქართლის ტახტს ითხოვდაო 2). გარდა ამისა საბა გვიამბობს ვახტანგის მიდრეკილობას კათოლიკის აღსარებისადმი. ამასვე ამტკიცებს ვახტანგის მიწერ-მოწერა ლუდოვიკ მე XIV სთან. ეს მიწერ-მოწერა პირველად აღმოჩენილა პარიჟის უცხო-ქვეყნის სამინისტრო არხივში, სადაც ის გარდაუცია ვახტანგის შთამომავალს მეოთხე თაობაში, ფრანციის პერს, ალექსი სენ-პრიეს, რომლის მამასაც, დიდ ცნობილს ფრანცუზის ელჩს კონსტანტინეპოლში ცოლად ჰყოლია კნიაჟნა გალიცინისა, შვილის-შვილი ვახტანგის ბიძის გიორგისა. ვახტანგის მიწერ-მოწერა დაუბეჭდია უ. ბროსსეს 1832 წელს ფრანციზულს Journal Asiatique, ვახტანგის შუამავლად ლუდოვიკთან ყოფილა იმისი ბიძა სულხან-საბა-ორბელიანი, დიდ ღირს-საცნობელი როგორათაც თავისის კავშირით რომის მისიონერებთან, აგრეთვე თავისის ლექსიკონით და სხვა მწერლობით. სულხან-საბა ვახტანგის მინდობით გასულა ევროპაში, სადაც 1713 წ. კათოლიკის მღვდელს რიმარს გაჰყოლია და სადაც კათოლიკის აღსარება მიუღია სან-ბაზილის მონასტერში და ბერათაც შემდგარა; მასუკან რომით პარიჟში შესულა 1714 წლის დამდეგს. აქ იმას მიურთმევია კაროლისთვის ვახტანგის პასუხი ლუდოვიკის წერილზე, რომელზედაც ჩვენ ცნობა არა გვაქვს. ვახტანგი თავისს პასუხში ლუდოვიკს ულოცავს იმისს 1702—1706 გამარჯვებას გერმანიაში, იტალიაში და ისპანიაში, და ამასთანავე უჩივის საქართველოს მდგომარე-

1) Hist. de la Gèor. II, livr I, p. 109 n. 1.
2) Journal Asiatique. 1832, avr. 451.

ობას. სულხან-საბა ორჯელ წამდგარა კაროლთან მასში, 1714 წ. დაბრუნებულა რომს იმავე წელს, ივლისში, მოსულა კონსტანტინეპოლს 30 სეკტემბერს 1715 წელს. აქ ის ფრანციის ელჩის დეზალერის მფარველობას ქვეშ ერთი წელიწადი დარჩენილა და შემდეგ შემოსულა საქართველოში, სადაც მოჰყოლიან თორმეტი მისიონერი კაპუცინები, საბას წერილებიდამ ფრანციის მინისტრთან პონშა-ტრენთან ცხადად სჩანს მაშინდელი ჩვენის ქვეყნის მდგომარეობაც და ვახტანგის გულის წადილიც. საბა ითხოვს, რომ ფრანციის შემწეობით ვახტანგი სპარსეთიდამ საქართველოში დაბრუნდეს. «თუ დაბრუნდებაო — სწერს საბა — ქართველნი არა თუ დაიმარხვენო ქრისტეს სჯულს, არამედ კათოლიკის ეკლესიასაც შეუერთდებიანო, თავიანთის მეფის მაგალითით, რომელიც ამისთვის მომზადებულიაო. ვახტანგს სხვა განზრახვაცა აქვსო. იმას ჰსურსო მისიონერებს ღონის-ძიება მისცესო, რომ იმათ საქართველოს მოსაზღვრე ჩერქეზნი ქრისტეს სარწმუნოებაზე მოიყვანონო. საბა იმ იმედსაც აძლევს პონშანტრენს, რომ ვახტანგი სასახლეს შეუმზადებსო თბილისში ფრანციის კონსულს; რომ ის უშიშრობას მიაგებსო ფრანციის სავაჭრო, საქონელს, რომელიც ფრანციიდამ საქართველოთ სპარსეთში ივლისო და სპარსეთიდამ ფრანციაში, რომ ის ამ სავაჭროს თავისის ხარჯით გაიტანსო სპარსეთის საზღვრიდამ შავ-ზღვამდე და შავის-ზღვიდამ სპარსეთის საზღვრამდე; რომ ის მაგზინებს გააჩენსო შავის-ზღვის პირად სამეგრელოში და თავისს სამფლობელოში; რომ ის ღონის-ძიებას მისცემსო აღებ-მიმცემს ფრანცუზებს, რომ სავაჭროები შეიტანონო ჩერქეზეთში და საქართველოს მხარეებში; რომ რაც საჭიროა აღებ-მიცემობისათვის და ფრანციისათვის, და რაც კი შესაძლებელი საქმე იქნებაო, ყოველსავე ამას ვახტანგი აღსრულებაში მოიყვანსო.

დიმიტრი ბაქრაძე.

1872 წელს, 7 მაისი.

(დასასრული იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პოემიდამ საპეროპილე

(მეშვიდე ხმიდამ).

ბედო ქართველთა, ქართველთა ბედო!
რა განისვენე შენ ღრმა ძილშია,
მას აქეთია მთლათ საქართველო
არის თვის ყოვის ცხარს ბრძოლაშია.

რამდენი წელი და საუკუნე
ქართველი ლომებრ მტერთა ებრძოდა,
რამდენი ნახა მან დღენი მწარე....
ჯან მოწყვეტილი მტრის წინ დაეცა.

მაშინ მგლეჯავნი, მის მოსისხარნი
შემოეხვივნენ დაცემულს გმირსა,
მიისს სისხლსა ჰსვამდნენ ვითა მწყურვალნი
და მის ხორცს სჭამდნენ როგორაც პურსა.

და შემდგომ ამა დიდის ტანჯვისა
ძლივს გამობჟუტდა ბედის ვარსკვლავი,
ოდნავის სხივით დაგვხედა თავსა,
თითქო მოგვითხრო ბოლო კეთილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას აქეთის ოდნავა ბჟუტავს:
არცა ჰქრება და არც მთლათ ნათდება,
გული ქართველთა იმედით ჰღელავს,
მაგრამ იმედი ჯერ არ მართლდება.

ან სულ განათდი ბედის ვარსკვლავო,
ან სულ მთლათ გაჰქერ, გაჰქერ სამუდმით:
გვეყო ამდენი ცრემლი და ტანჯვა,
თუ ვიყვნეთ—ვიყვნეთ, თუ არ სჯობს გავსწყვნეთ.

ფ. მ.

1872 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ვინ სტყუის?

(ჩვენი ახლანდელი ძველი და ახალი თაობა).

ამას წინათ ჩვენი ძველი და ახალი თაობა გამოელაპარაკნენ ერთმანეთს პოლემიური ენით: ჯერ პირველად გამოვიდა ხელნაწერი ლექსი, სახელდობ "გ ა მ ო ც ა ნ ა,, ერთი ახალი თაობის მომხრისა, რომელშიაც იყო ლაპარაკი ძველი თაობის ზოგიერთ წარმომადგენელებზე, რომლებსაც უცნობი ავტორი "გამოცანებისა,, სწამებს, ვითომც იმათ "ქვეყანა და ქვეყნის საქმე ფეხებზე ეკიდოსთ,, და სხვ. ძველმა თაობამ ეს რასაკვირველია საწყენად მიიღო და მისცა ახალ თაობას "გამოცანაების პასუხი", რომელშიაც ერთი ჩვენი ძველი თაობის წარმომადგენელებთაგანი პირიქითა სდებს ბრალს ახალ თაობას, სწამებს უვარგისობას და ამასთან, მოთმინებიდგან გამოსული, შეუფერებელის ენით ჰლანძღავს მას. მაგრამ საქმე ამითი არ გათავებულა: ახალმა თაობამ არ დაიდუმა და ერთი თავისი წარმომადგენელის პირით მისცა ძველ თაობას "პასუხის პასუხი,, რომელშიაც შესანიშნავი პირუთნელობით და ხელოვნობით იყო გამოხატული ყველა მიზეზები, რომლებისთვისაც უღრინავს ახალ თაობას გული ძველ თაობაზე და არის მაზე უკმაყოფილო. ამ ზემო მოხსენებულ ლექსებს გარდა სხვა ხელნაწერი ლექსებიც ბევრი გამოვიდა ორივე ძველი და ახალი-თაობის მომხრეებისა, რომლებიც საზოგადოდ ერთსა და იგივე ზემო-

მოხსენებულ თავ აზრებს ავრცელებენ და ცხადად ამტკიცებენ ეხლან-დელი ჩვენი ძველი და ახალი თაობის ერთმანეთზე უკმაყოფილებას. ორივე მათგანი გამდგარან განზედ და ერთმანეთს ეუბნებიან: თქვენ ცუდი ხართ, ჩვენ კარგიო, თქვენ არას აკეთებთ, ჩვენკი ბევრსაო და სხვ...... ეს უკმაყოფილება, რომელიც გაისმის არსებობს ჩვენ ძველ და ახალი თაობის წარმომადგენლებთ შორის, ზემო მოხსენებულ ხელნაწერ ლექსებს გარდაც, ბევრჯელ წარმოთქმულა ჩვენ ღარიბ ახალ ლიტერატურაში და უმისოთაც. ვის არ გაუგონია ჩვენი მოხუცებუ-ლების საჩივარი ახალგაზდებზედ? იმათ, როგორც საზოგადოდ ყვე-ლა მოხუცებულებს, თავიანთი ძველი დრო, ძველი ცხოვრება, ძველი ჩვეულებაები და ერთი სიტყვით ყველაფერი ძველი სამაგალითოდ, სა-ქებრად და საკვირველად მიაჩნიათ, ახალ დროსა და ახალგაზდებს კი ყველაფერში ემდურიან და აძაგებენ. რა გინდათ რომ ამ უკანასკნელებს არ სწამებდნენ ისინი: ულმერთობას, უმეცრებას, უსაქმობას, გარყვნი-ლობას, პატრიოტობას, კოლობუზობას და სხვა ამგვარებს—ყველას ახალ თაობას მიუწერენ ისინი. მაგრამ ეხლა ცოტა ახალგაზდებსაც ჰკითხეთ ძველი თაობის ამბავი. ამათი ფიქრით, პირიქით ძველი თა-ობის წარმომადგენლები არიან ყველა ჩვენი უბედურებისა და ხაფან-გში გაბმის მიზეზი, და მაშასადამე ყველაფერში ისინი სტყუვიან და არა ახალგაზდები. თავიანთ უკმაყოფილების გამოსახატავად ძველი თა-ობის შესახებ და მის შესამკობად ესენიც ბევრ საუცხოვო ეპიტეტებს ხმარობენ. იმათ მიუწერენ ესენი მაგ. გმობას, უარყოფას, გამცემლო-ბას, ფარისევლობას, ცრუმორწმუნეობას, უზრუნველობას, მამულის დამღუპველობას და სხვ.... ყველა ამაების მცქერელი მოდი და ნუ იკითხავ ახლა: ვინ სტყუვის მათგან, ძველი თაობა, თუ ახალი?

ამის გამოსაცნობად და ცხადად დასანახავად საჭიროა, ჩემის ფი-ქრით, განვიხილოთ ჩვენი ეხლანდელი ძველი და ახალი თაობა და

ქათი მოქმედება, შევადაროთ ერთმანეთს და გამოვიყვანოთ ნამდვილი დასკვნა. მაგრამ აქ არ შეიძლება წინადვე არ შევნიშნოთ, რომ ძველმა თაობამ თითქმის მოჭამა თავისი სოფელი: მას საუკეთესო ნაწილი თავისი სიცოცხლისა, ის დრო სიცოცხლისა, როცა კაცი უნდა მოქმედებდეს და აკეთებდეს, თუ კი რისამე გაკეთება ჰსურს და შეუძლია, გატარებული აქვს და აწ მიღწეულია იმ ხანში და მდგომარეობაში, როცა კაცი აღარ სცხოვრებს მომავალი იმედებით, არამედ სულ თავის წარსულ ცხოვრებასა და მოქმედებას იგონებს და მაში ჰპოებს იმედსა და სანუგეშოსაც ის მიაჩნია; იმ მდგომარეობაში, კანბობ, როცა ადამიანი, ძალა და იმედ მოკლებული, სულ თან და თან უახლოვდება სიკვდილსა და საფლავს, სადაც თავდება მისი ამ ქვეყნიური ცხოვრება და მოქმედება. მაშასადამე ჩვენ ძველ თაობაზე და მათ საქმეებზე სჯა ეხლა ადვილად შეიძლება. ახალ თაობას კი რაც შეეხება ამის საქმე სულ სხვაა: ამას ჯერ არც კი უცხოვრია და უმოქმედია ქვეყანაზე; ეს ახლა გამოდის ნამდვილ ცხოვრებისა და მოქმედების ასპარეზზე; ეხლა აპირობს ცხოვრებასა და მოქმედებას; ის სავსეა მომავალი იმედებით და, ერთი სიტყვით, მისი ცხოვრება და მოქმედება უფრო მომავალ დროს ეკუთვნის, ვიდრე წარსულს. ამიტომ ახალ თაობაზე და მის საქმეებზედ გადაწყვეტით სჯა ჯერ ჯერობით ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე ძველ თაობაზე. მაგრამ ჩვენ, მაინც ვეცდებით, რამდენათაც კი შესაძლებელია, წარმოვსთქვათ ჩვენი შეხედულება და მსჯელობა როგორც ჩვენ ეხლანდელ ძველ თაობაზე, ისე ახალზედაც.

1.

ჩვენი ეხლანდელი ძველი თაობის ცხოვრება და მოქმედება იწყება თითქმის იმ დროიდგან, როცა ჩვენმა სამშობლომ, მრავალი საუ-

კუნეების განმავლობაში მტრებთან ბრძოლის, სისხლის ღვრის, ტან-ჯვის და ბევრი უბედურების გამოცდის შემდეგ, თავის დამოუკიდე-ბლობისა და თავისუფლებისათვის, გადასწყვიტა თავისი ბედი მით, რომ მონახა სასურველი პატრონი, რომელსაც შეავედრა და მიანდო თავისი თავი. ამ ახალ პატრონს ცხადია იმ დროს საქართველოს სიკეთე ჰსურდა და მიტომაც მიიღო ის თვისს მფარველობაში. გა-რეშე მტრებისაგან დაცვის გარდა, რომელიც იყო თავდაპირველი მი-ზეზი ჩვენი სამშობლოს რუსეთთან შეერთებისა, უკანასკნელის მო-ვალეობა მოითხოვდა შესდგომოდა აგრეთვე ჩვენში მოქალაქეობისა და განათლების შემოტანას. მაგრამ ცხადია, რომ ამ საქმეში თვითონ რუსებს პირველად დიდი წარმატება ვერ ექნებოდათ, რადგანაც იმათ-თვის ჩვენი ქვეყანა, ხალხი და ენა უცხო იყო. ამ საქმისთვის საჭი-რონი იყვნენ, და ჯერ კიდევ აქამომდე არიან, ისეთი პირები, რო-მლებსაც შესძლებოდათ, ასე ვსთქვათ, შუამდგომლობა ჩვენ ხალხსა და მათ შუა; ისეთი პირები, რომლებსაც, ჯერ ერთი, სცოდნოდათ საქართველოსი და ქართველების ცხოვრების განსაკუთრებითი პირო-ბაები და საჭიროებაები, და, მეორეც, ჰქონოდათ საკმაო ძალა და ნდობა მმართებლობისაგან. ერთი სიტყვით ხალხის განათლებისათვის როგორც ყოველთვის მოხდება ხოლმე, იმ პირებს უნდა ეზრუნათ, რომლებიც სწავლითა და ავისა და კარგის გაგებით იმ დროს ჩვენში დაწინაურებული იყვნენ. ამგვარი პირები იყვნენ ის ქართველები, რო-მლებმაც პირველად მიიღეს სწავლა ახალი მმართებლობის შკოლაში, გამოვიდნენ ცხოვრების ასპარეზზე მომქმედ პირებად; მთავრობის გზის მაჩვენებლად და თანაშემწედ ჩვენში. როგორ პატივს სცემდა და აფა-სებდა მთავრობა ამგვარ პირებს—ამას ცხადად გვიჩვენებს ჩვენ მათი ამაღლება და დაწინაურება სახელმწიფო სამსახურში. მაშასადამე იმათ, როგორც დაწინაურებულ და სარწმუნო პირებს ადვილად შეეძლოთ და-

ქნასკებინათ მმართებლობისათვის, რომელიც თვითონაც მსურველი იყო აღმოეჩინა მის მფარველობის ქვეშ შესული ხალხისთვის შემწეობა,—იმ დაწინაურებულ პირებს მეთქი, ნამდვილი ჩვენი საჭიროებები და ამგვარად ყოველი მხრით დაჰხმარებოდნენ საზოგადო საქმეს: ეზრუნათ განსაკუთრებით ხალხის განათლებაზე და საზოგადოდ ყველაფერზე, რაც კი ამისათვის საჭირო იყო,—მით უფრო, რომ ამას გარდა იმათ სხვა საზრუნავი მამულისათვის აღარა დარჩათ—რა, და ამასთანავე მხოლოდ განათლება იყო და არის წყარო ყოველ გვარი ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობისა. სწორედ ასე უნდა მოქცეულიყვნენ და ემოქმედნათ იმათ, ვიზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, მაგრამ საქმე ის არის: გააკეთეს იმათ ის, რის გაკეთებაც შეეძლოთ და ვალადაც ედოთ, თუ არა?

რაც ჩვენი სამშობლო ეხლანდელი მმართებლობის მფარველობაში შევიდა, მას აქეთ ნახევარ საუკუნეზე მეტია გასული, მაგრამ აბა გადავავლოთ თვალი რა გაუკეთებია ჩვენ ძველ თაობას თავისი ქვეყნისა და ხალხისათვის ამ დიდი ხნის განმავლობაში.

წარსული საუკუნეების ქართველებს, ჩვენ წინაპარებს, თუმცა მოსვენება არა ჰქონდათ არც გარეგანი მტრებისაგან და არც შინაგანი უწესოებისაგან; მაგრამ ისინი ამგვარ მდგომარეობაშიაც კი,—თავიანთ სიცოცხლისთვისა და თავისუფლებისათვის დაუცხრომელ ბრძოლასთან, არ ივიწყებდნენ თავიანთ განათლების საქმეს და ახერხებდნენ თავიანთ შინაგანი ცხოვრებისა, ლიტერატურისა და ენის განვითარებაზედაც ზრუნვას.—ეს ომიანობისა და არეულობის დროს. მშვიდობიანობის დროს ხომ რაღა თქმა უნდა უმთავრესი მათი საზრუნავი და საცდელი გონებითი განვითარება იყო, და ამიტომაც, თუ კი როდისმე ცოტა ხანგრძლივ მყუდროებასა და მოსვენებას ჰნახავდა ჩვენი მამული, როგორც მაგალითად მეთორმეტე საუკუნეში, შესანიშნავ და საკვირველ

წარმატებას იჩენდა ხოლმე თავისი გონებითი და ზნეობითი გაუმჯობესობაში: მრავლდებოდნენ შკოლები, ახალგაზდა ყმაწვილები იგზავნებოდნენ სხვა ქვეყნებში გასანათლებლად, სჩნდებოდნენ პოეტები და მწერლები, გამოდიოდნენ მრავალი ნამდვილი და ნათარგმნი, სასულიერო და საერო წიგნები და ამგვარად მდიდრდებოდა ლიტერატურა და მშვენიერდებოდა სამშობლო ენა. ამაში იმედი მაქვს ეჭვს არავინ არ შემოიტანს, ვინც კი იცის ჩვენი წარსული ცხოვრების ისტორია. ჩვენ ეხლანდელ ძველ თაობას და მის წარმომადგენელებს რაც შეეხება, ისინი არ ეკუთნიან იმ დროს, როცა ჩვენი სამშობლო თავის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა; ამათი მოქმედება იწყება, როგორც ზემოთაც ვსთქვით, იმ დრომდამ, როცა ჩვენმა სამშობლომ, იმედ მიხდილმა, იმით დაასრულა თავისუფლებისათვის მტრებთან ბრძოლა, რომ თვითონ მონახა ის, რასაც უწინ ერიდებოდა, სამუდამოდ უარჰყო თავის დამოუკიდებლობა და ამითი მოიპოვა გარეგანი მყუდროება. მაშასადამე ამათ, როგორც ამგვარ დროში მყოფთ და მცხოვრებთ, უფრო ბევრის გაკეთება შეეძლოთ მამულისა და ხალხისათვის, ვიდრე უწინდელ, მუდამ ბრძოლასა და უბედურებაში მცხოვრებთ ქართველებს. იმ ქართველების ზრუნვა, რომლებიც სცხოვრობენ ამ ზემოთ მოხსენებულ დროს აქეთ, უნდა ყოფილიყო საზოგადოდ თავიანთი შინაგანი ცხოვრების გახსნა და განვითარება იმ სამუალებაების შესწავლით და მოხმარებით, ურომლებოდაც ეს შეუძლებელია, რადგანაც სხვა გარეშე საქმეები იმათ აღარ აწუხებდათ და აღარ თხოულობდა მათგან დროსა და შრომას. მაგრამ გავშინჯოთ აბა რა გააკეთეს საზოგადოდ თავიანთ შინაგანი ცხოვრების შესახებ აწმყო საუკუნის წარსული დროს ქართველებმა, რომლებიც შეადგენენ ეხლანდელ ჩვენ ძველ თაობას.

ვინ არ იცის, რომ ყოველი ბედნიერება ხალხისა არის დამო-

კიდებული მის გონებით მდგომარეობაზე, რომ უსწავლელად და გაუნათლებლად შეუძლებელია მისი ცხოვრების გაუმჯობესობა, განვითარება და ერთი სიტყვით მისი წინსვლა ანუ პროგრესი. მაშასადამე ჩვენი ძველი თაობის ვალი იყო შესდგომოდა თავიანთ ქვეყნის განათლების საქმეს მაშინვე, რაკი ჩვენი ისტორიული ცხოვრების პირობანი შეიცვალნენ ამ საუკუნის დასაწყისში და ამ პირობების შეცვლით, მოიპოვეს მათ გარეგანი მშვიდობა. მაგრამ არა, იმათ სულ სხვანაირად ისარგებლეს ამ გარეგანი მშვიდობიანობით: რაკი გარეშე მტრები აღარ აწუხებდნენ, იმათ, თითქო სხვა საქმე და დანიშნილება, ვეღარ იპოვესო, მიჰყვეს ხელი უზრუნველობას, უმოქმედობას, უქმად ცხოვრებას და განცხრომას, ასე რომ რავდენადაც უფრო მდიდარი, მამულიანი და დიდი გვარისა იყო ვინმე მათგანი, იმოდენათ უფრო მომეტებულად სცხოვრებდა ის უსაქმოდ, იკვებებოდა უშრომლად, სხვისი შრომის ნაყოფით და ამგვარად ატარებდა უმეცრებასა და მავნებელ განცხრომაში თავის უსარგებლო წუთს სოფელს. უმეცრება, უმოქმედობა, ბევრი ჭამა და სმა, გამოპრანჭვა, მწევარ-მეძებრების უკან დევნა, თავისი მოძმეებთან მტრობა, შური და ჩხუბი, თავიანთ ქვეშევრდომების ძარცვა და ტანჯვა თავისი საზარელი მიდრეკილებების დასაკმაყოფილებლად და სხვა ამგვარები შეიცავდა სრულებით იმათ სიცოცხლესა და ცხოვრებას. სწავლა, განათლება, საზოგადო საჭიროება და მათზე ზრუნვა იმათ აზრათაც არ მოსდიოდათ. მის ნაცვლად რომ თვითონაც შესდგომოდნენ თავიანთ განათლების საქმეს და ახალგაზდებიც ისე აღეზარდათ, როგორც დრო და გარემოებანი მოითხოვდნენ და ამგვარად მოემზადებინათ მამულისათვის საჭირო მცოდნე კაცები,—ამის ნაცვლად ისინი უმეცრებაში, უზრუნველობაში და განცხრომაში ჩაეფლენ და თავიანთ შვილებსაც სახედ და მსგავსად თავისად ზრდიდნენ. იმათი ფიქრით კაცი ქვეყანაზე სცხოვრებს თითქო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტო ჭამასმისა და განცხრომისათვის, თითქო სხვა, უმაღლესი და-
ნიშნულება მას არაფერი აქვს. და რადგანაც სასმელ-საჭმელი იმათ
ბლომად ჰქონდათ მამულებისა და გლეხების უფასო შრომის წყალო-
ბით, ამიტომ ისინი არც თვითონ ზრუნავდნენ არაფერზე და არც თა-
ვიანთ შვილებს ამზადებდნენ შრომისა და ნამდვილი კაცური ცხოვრე-
ბისათვის,—არ სცდილობდნენ, რომ მიეცათ მათთვის რიგიანი განა-
თლება. აქედგან თითქმის ყველა მათი შვილები რჩებოდნენ უმეცრება-
ში, ასე რომ ასში და ათასში ერთსაც ვერ იპოვით ისეთს, რომელ-
საც ცოტაც არის რიგიანი და დროს შესაფერი განათლება მიეღოს
და კაცური შეხედულობა ჰქონდეს ქვეყნიერებაზე. ამისი მიზეზი, ცხა-
დია, სხვა არაფერი არ იყო მშობლების უზრუნველობისა და დაუდევ-
ნელობის მეტი შესახებ თავიანთ შთამამავლობისა. თუ ყველას არა,
ბევრს მაინც ჩვენ თავად—აზნაურებში ჰქონდათ იმოდენა შეძლება,
რომ თავიანთ შვილებისათვის ეპატრონებინათ. მე დარწმუნებული ვარ,
რომ ზოგიერთ მათგანს იმოდენი მოხერხება და სახსარი ჰქონდა, რომ
იმათ რომ თავიანთ შვილების აღზრდისთვის იმოდენი დაეხარჯათ,
რამოდენსაც თავიანთ ძაღლების საკვებად და შესანახავად ჰხარჯავდნენ
საკმაო იქნებოდა. მაგრამ არა: ისინი თავიანთ მწევარ—მეძებრების გა-
წვრთვნისთვის უფრო ბევრს ზრუნავდნენ, ვიდრე თავიანთ შვილების
აღზრდისთვის და ამიტომ იმათ სრულებით არ აღასრულეს თავიანთი
სამღვთო მოვალეობა. მათ ჰსურდათ, რომ იმათ შვილებსაც მათ ნა-
კვალავზე ევლოთ და დასტოვეს ისინი უმეცრებაში, რისგამოც ისინიც
ისეთივე პარაზიტები შეიქნენ ჩვენი საზოგადოებისა და ქვე-
ყნისათვის, როგორიც მათი მშობლები იყვნენ.—ეს ერთი დიდი
დანაშაულობა ძველი თაობისა თავიანთ შთამამავლობის წინაშე, რომ-
ლისათვის უკანასკნელს უფლება აქვს უსაყვედუროს მას და ცუდად
მოიხსენოს. მაგრამ იმათ კიდევ უფრო ბევრი დანაშაულობა მიუძღვისთ

თავიანთ შთამამავლობის წინაშე, რომლის განხილვასაც ჩვენ ეხლავ შეუდგებით.

იმათ, როგორც მემკვიდრეებმა, მიიღეს თავიანთ მამა-პაპებიდგან ის მიწა-წყალი და ყმა და მამული, რომლების დაცვისათვის ეს უკანასკნელები თავიანთ სისხლსა ღვრიდნენ მძვინვარე მტრებთან ბრძოლაში, იმ ჰაზრით, რომ ისინი არ დაჰკარგოდათ მათს შთამამავლობას. მაშასადამე ყველა ეს საცხოვრებელი, როგორც სამამა-პაპო ქონება მარადის წმინდათ და უკლებად უნდა დაეცულიყო თვითეული შთამამავლობისაგან და გადაცემულიყო ერთიდგან მეორის საცხოვრებლად და შესანახავად, და არა გასასყიდათ და დასაკარგავად. ეხლანდელ ჩვენ ძველ თაობამდის მართლადაც ასე ჰხდებოდა ხოლმე: თვითეული თაობა ჩვენი ძველი ქართველებისა თავის სამღრთო ვალად ჰრაცხდა, რომ არა თუ დაეცვა და არ დაეკარგა ის, რაც მიეღო თავიანთ წინაპირებისაგან, არამედ კიდეც შეეძინა და მიემატებია მისთვის რაიმე ახალი და ისე გადაეცა თავისი ახალი შთამამავლობისათვის. მაგრამ ჩვენმა ეხლანდელმა ძველმა თაობამ და მისმა წარმომადგენლებმა კი იმდენი ეცადეს რომ, თავისი უსეირობით, ეს სამღრთო და მტკიცე ჩვეულებაც დაარღვიეს. მის ნაცვლად, რომ იმათ თავიანთი მამულები და საცხოვრებელი დაეცვათ, გაეუმჯობესებინათ, გაედიდებინათ და ისე გადაეცათ თავიანთ შთამამავლობისათვის, როგორც მათ თავიანთ მშობლებიდგან მიიღეს, იმათ, რაკი მათ უქმ და განცხრომით ცხოვრებას აღარ ჰყოფნიდა მათი შემოსავალი, მიჰყვეს ხელი მამულების ყიდვას და დაგირავებას და ამგვარად უკარგავენ და უღუპავენ იმათ სამუდამოდ მომავალ ქართველებს. ცხადია რომ ამის უფლება იმათ არ აქვსთ, რადგანაც იმათი მიწა-წყალი და მამულები მათ კეთილ შეძენილს არ შეადგენენ. ამგვარივე უსამართლოდ მოიქცნენ ისინი თავიანთ შთამამავლობის წინაშე შესახებ გლეხებისა: გლეხები ჩვენში, როგორც ვიცით

განთავისუფლდნენ და სამაგიეროდ მიიღეს მათმა პატრონებმა ფულები. ეს ფულები, როგორც ყმების სამაგიერო, ცხადია, რომ შეადგენდა,—ისე, როგორც უწინ თვით გლეხები არ შეადგენდნენ,—ერთი რომელიმე შთამამავლობის საკუთრებას. ამიტომ ამ აღებული ფულების დასარჯვისა და შეჭმის უფლება არ უნდა ჰქონოდა არც ერთს შთამამავლობას, არც ეხლანდელსა და არც მომავალს. ისინი უნდა გადასულიყვნენ, როგორც უწინ გლეხები გადადიოდნენ, ერთი შთამომავლობიდამ მეორეს ხელში. მხოლოდ მათი სარგებლით, როგორც უწინ გლეხების შრომითა და ბეგრით, უნდა ესარგებლა თვითეულს მათგანს. ამას მოითხოვდა სამართლიცა და გონებაც. მაგრამ რასა ვხედავთ ჩვენ? ჩვენმა ეხლანდელმა ძველმა თაობამ, რომლის დროსაც მოხდა ჩვენში გლეხების განთავისუფლება, მიიღეს მმართებლობისაგან იმათი სამაგიერო ფული და, მის ნაცვლად, რომ მხოლოდ ესარგებლათ მით თავიანთ სიცოცხლეში და შემდეგ თვით თანხა უვნებლად თავიანთ შთამომავლობისათვის გადაეცათ—აგრეთვე სასარგებლოდ,—მიუყვეს მას ხელი და ორი სამი წლის განმავალობაში გააქრეს სრულიად. ნუ თუ ეს უსამართლობა არ არის? ნუ თუ ამისთვის პასუხის მგებლები არ არიან ისინი თავიანთ შთამომავლობის წინაშე? განა გონიერი, საქმის მცოდნე და მზრუნველი მშობლები ასე მოიქცეოდნენ? არაოდეს. სამართალი და გონიერებაც მოითხოვდა, რომ ჩვენ მშობლებს აეღოთ სრულებით ის ფულები, რომლებიც იმათ გლეხების სამაგიეროთ მიიღეს და დაეწესებიათ რაიმე ისეთი, რომელიც სამარადისოდ უკვდავი ყოფილიყო და ყველა, აწინდელ და მომავალ შთამამავლობაებს ესარგებლათ. მაგრამ იმათ არა თუ ყველა ის ფულები არ მოიხმარეს ამ გვარად, არამედ იმ მცირე ნაწილსაც კი ნანობენ, რომელიც იმათ ბანკის დასაწესებლად გადასდვეს და, რომ მოხერხდებოდეს, ბევრს მათგანს მისი გამოტანა და შეჭმაც ჰსურთ.

ერთი სიტყვით, თითქმის მთელი ჩვენი ეხლანდელი ძველი თაობა სა-მართლიანად შეიძლება შევადაროთ ისეთ მშობლებს, რომლებმაც [illegible]ყდეს და შეუჭამეს თავიანთ მემკვიდრეებს ყოველი საცხოვრებელი და დასტოვეს ისინი ქვეყანაზედ უნუგეშოდ. იქნება კიდე გამართლებით თავი ჩვენ მშობლებს თავიანთ შთამომავლობის წინაშე და ეპატიებო-დათ მათ ამგვარი საქმე, თუ მათ გაყიდულ და დაგირავებულ მამულე-ბში, მიწაწყალში და გლეხებში აღებული ფულები მოეხმარათ, ცოტა მაინც, თავიანთ შვილების აღსაზრდელათ და განსანათლებლად, და ამგვა-რად დაეტოვებიათ შემდგომ თავისა ისეთი ნასწავლი და ცხოვრებისათვის მომზადებული შთამომავლობა, რომელსაც თავის ცოდნითა და შრომით შესძლებოდა თავის დარჩენა და ცხოვრება, თორემ რით შეუძლიანთ იმათ იმართლონ თავი მაშინ, როცა იმათ მთელი სამშობლო ა მ ო ი-ჭ ა მ ე ს მხოლოდ თავიანთ მუცლისა და განცხრომითი ცხოვრებისათვის?!

ჩვენ ამდენხანს ვლაპარაკობდით საზოგადოდ ჩვენს ეხლანდელ ძველ თაობაზე, ეხლა უნდა ვილაპარაკოთ განსაკუთრებით იმ პირებ-ზე, რომლებიც ამ თაობის წარმომადგენლებად, სწავლულებად, ანუ სწორედ ვსთქვათ, ნასწავლებად ირაცხებიან, იმ პირებზე, რომლებმაც გამართეს ამას წინად ბაასი ახალი თაობის წარმომადგენლებთან და წარმოსთქვეს თავიანთი უკმაყოფილება მათზე, მათ მიმართულებაზე და მოქმედებაებზე.

ჩვენ ზევით ვსთქვით, რომ მასაქეთ, რაც ჩვენმა სამშობლოს ბე-დმა ეხლანდელი სახე მიიღო, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის განათლებისა-თვის უნდა ეზრუნათ მეთქი განსაკუთრებით იმ პირებს, რომლებიც სწა-ვლით და ავისა და კარგის გაგებით დაწინაურებული იყვნენ ამ დროს ჩვენში; იმ ქართველებს მეთქი, რომლებმაც მიიღეს, ავად იყო თუ კარგად, სწავლა ჩვენი ახალი მმართებლობის ხელში და შკოლაში და გამოვიდნენ ცხოვრების ასპარეზზე მოქმედ პირებად. მაგრამ საქმე ის

არის, რომ არც ამათ გაუკეთებიათ ქვეყნისათვის არაფერი. ამათაც, როგორც სხვა გაუნათლებელ ქართველებს, ჰქონდათ თავიანთი ცხოვრე-ბის, სიცოცხლის და მოქმედების მიზნად მარტო თავიანთი თავი და თავიანთი პიროვნებითი სარგებლობა და თავიანთი ჯიბეს, მუცელს და ერთი სიტყვით საკუთარს სარგებლობას უმსხვერპლიდნენ იგინი ყო-ველ საერთო საქმეს და საზოგადო სარგებლობაებს. იმათი ცხოვრე-ბისა და მოქმედების მიზანი ძრიელ კარგად იხატება შემდეგი სიტყვე-ბით, რომლებიც განსვენებულმა დავით ბოდბელმა დაუგდო იმათ სი-კვდილის დღეს სახსოვრად და სახელმძღვანელოდ, «თუ მე არ ვიქ-ნები სთქვა იმან, ქვა ქვაზედაც ნუ დარჩებაო». მართლაცდა აბა რა გაა-კეთეს მათ, თავიანთ სიცოცხლეში, ქვეყნისა და ქვეყნის საქმისთვის?

უპირველესი იმათი ვალი ის იყო, როგორც ზევითა ვსთქვით, რომ დაჰხმარებოდნენ ხალხის განათლებას და ეხმარათ ამისათვის ის საშუალებაები, რომლებითაც ამ მიზნისადმი მიღწევა შეიძლებოდა. ამ საშუალებაებს რასაკვირველია მოგონება არ უნდოდა, რადგანაც მაგა-ლითები იმათ თვალწინ ჰქონდათ, რაკი გაიცვნეს ევროპიელების ცხო-ვრება და განათლების მოძრაობა მათში. ისინი უნდა სცდილიყვნენ მხოლოდ გადმოენერგათ ჩვენშიაც და მიეღოთ სახელმძღვანელოდ, გა-ნათლების გასავრცელებლად ხალხში, ის საშუალებაები, რომლებსაც გა-ნათლებული ხალხები დიდი ხანია ხმარობდნენ. აქ, რაღა თქმა უნდა, პირველი ყურადღება უნდა მიექციათ იმათ ყმაწვილების აღზრდაზე, და, რადგანაც იმათ დროს იწყებოდა ჩვენში სასწავლებლების დაფუძნება, უნდა სცდილიყვნენ ერთი მხრით, რომ ახალ დაფუძნებულ შკოლებს ისეთი ხასიათი ჰქონოდათ, როგორიც საჭირო იყო ჩვენი ყმაწვილე-ბისათვის, რადგანაც ეს შკოლები ჩვენი ყმაწვილებისათვის ფუძნდებო-დნენ, ამის აღსრულებაში მოყვანა არ იყო მაშინ ძნელი საქმე, რადგა-ნაც როგორც ზევითაც ვსთქვი, ბევრ მათგანს ისეთი მაღალი ადგი-

ლები ჰქირათ და ისეთი რწმუნება ჰქონდათ მმართებლობისაგან, რომ ადვილად შეეძლოთ ჰქონებოდათ ახალდასაწყის საქმეებზე გავლენა. მე-ორე მხრით იმათ უნდა თვითონაც გაეგოთ და ხალხისთვისაც გაეგებ-ბინებინათ და ექადაგებინათ როგორც სწავლისა და განათლების სა-ჭიროება, უმაწვილების აღზრდის მნიშვნელობა, ისე ის, თუ როგორი აღზრდა და მიმართულება უნდა მიეცათ მშობლებს თავიანთ შვილები-სათვის. მაგრამ არა: იმათ არც ერთი ესენი არ აღასრულეს და ამის გამო ჩვენში უმაწვილების აღზრდამ მიიღო ისეთი ცუდი ხასიათი და მიმართულება, რომ ჩვენში, თითქმის აქამდისაც, აღზრდილები და ნა-სწავლები ისეთი უსარგებლონი გამოდიოდნენ მამულისათვის, როგო-რიც უსწავლელნი იყვნენ.

უმაწვილების აღზრდის გარდა, ხალხში სწავლისა და განათლე-ბის გასავრცელებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურას. მაშასა-დამე ჩვენი ძველი თაობის წარმომადგენლებიც უნდა შესდგომოდნენ ამ კეთილ და სასარგებლო საქმეს, თუ ისინი მართლა ხალხისა და მა-მულის მეგობრებად და მზრუნველებად ჰრაცხდნენ თავიანთ თავს. იმ მშვიდობიანობის დროს, რომელშიაც ისინი სცხოვრობდნენ და სცხო-ვრებენ, იმათ შეეძლოთ აღედგინათ ჩვენი ძველი ლიტერატურა და ახალიც დაეწყოთ, და ამგვარად გაემრავლებიათ ხალხში საკითხავი წი-გნები. ეს მით უფრო ადვილი იყო მათთვის, რომ იმათ ისეთი დრო და შემთხვევები ჰქონდათ, თუ კი ისარგებლებდნენ, რომ ძრიელ ბევ-რის გაკეთება შეეძლოთ. ვის არ ახსოვს მაგ. განსვენებული კავკაზიის მთავარ მმართებლის გარანცოვის დრო, რომელიც თვითონ გულს—მოდგინედ ეწეოდა საქმითაც და საშუალებითაც ჩვენი ლიტერატურის აღდგენას. რაღა თქმა უნდა, რომ იმ დროს ბევრის გაკეთება შეეძლოთ ჩვენი ესლანდელი ძველი თაობის წარმომადგენლებს, რომლებიც ესლა ამაყობას იჩენენ და იგვეხიან თავიანთ უსარგებლო სწავლითა და ნამო-

ქმედებით, თუ კი იმათ საზოგადო საქმის დახმარებისა და გაკეთების სურვილი და შეძლება ჰქონდათ. მაგრამ მთელი მაშინდელი ამათი ღვაწლი იმით გათავდა, რომ იმათ გამოსცეს ორი თუ სამიოდე ძველი წიგნი. სხვანი კი ყველა ჩვენი ძველი ლიტერატურის ძვირფასი ნაწარმოებები, იმათი უზრუნველობისა და დაუდევნელობის წყალობით, აქნამდისაც სხვა და სხვა მონასტრებში ლპებიან და თაგვების ბუდებად ჰხდებიან. ამგვარად ცხადათა სჩანს, რომ ეს ჩვენი ძველი თაობის წარმომადგენლები იმოდნად უზრუნველნი და მოუხერხებელნი ყოფილან, შესახებ ლიტერატურისა, რომ ისიც ვერ დაუცავსთ და შეუნახავთ რიგიანად შთამომავლობისათვის, რაც დაუტევებიათ მათთვის მათ მამა-პაპებს. მაშ ახალსა და საკუთარ მათ ნაწარმოებს რას უნდა მოველოდეთ მათგან?

თუმცა იმათი ვალი იყო, რომ მიებაძნათ განათლების საქმეში, სხვა ხალხების მოწინავე პირებისათვის და ეხმარათ, როგორც ზემოთა გსთქვით, ის საშუალება, რომელსაც ისინი ხმარობდნენ თავიანთ ქვეყნებში და ხალხებში სწავლისა და განათლების გასავრცელებლად, ესე იგი ეწერათ და ეთარგმნათ საჭირო წიგნები, შესდგომოდნენ ჟურნალისა და გაზეთის გამოცემას და ამგვარად თან სწავლა და ახალი ჰაზრები გაევრცელებინათ თავიანთ მოძმეებს შორის და თან თავიანთი სამშობლო ენა შეემუშავებინათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერ ამგვარს ვერ ვხედავთ ჩვენ მათ ცხოვრებაში და მოქმედებაებში. ისე რომ მთელი ეხლანდელი ნახევარი საუკუნის განმავალობაში, რომელსაც შეიცავს იმათი ცხოვრება, ჩვენში თითქო ყველაფერი, რასაც კი ჩვენი სახელი ჰქვიან, ღრმა ძილში იყო ჩაფლული და არ სჩნდებოდა არავინ, რომელსაც შეერყია ეს მოუძლურებული გვამი, და გამოეფხიზლებია იმ მომაკვდინებელი ლეტარგიული ძილისაგან, რომელშიაც ის იმყოფებოდა. ამ დროს ჩვენი ნასწავლი პირების ლიტერატურული შრომა იმა-

ში მდგომარეობდა, რომ ზოგნი მათგანნი სთხზავდნენ ხან და ხან სამღერ ბაიათებს, რომლებშიაც ისინი ამკობდნენ ვარდს, ბულბულს, მზეს, მთვარეს და იმღეროდნენ ღოთობის დროს. მაშ ცხადი წარმოსადგენია თუ როგორს მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ჩვენი ეხლანდელი ძველი თაობის წარმომადგენლების ხელში ჩვენი სამშობლო ლიტერატურა და ენა. ლიტერატურის აჩრდილიც არ იყო და ენაც, გაუკეთესებისა და გავითარების ნაცვლად თითქოს სრულიად გაირყვნა და წახდა, რადგანაც ერთი მხრით ლიტერატურა არ მოძრაობდა და არ სცდილობდა, რომ დაეცვა ის წმინდად და მეორეც რადგან ქართულ ლაპარაკში ჩვენი ვაჟბატონები და ქალბატონები ყოველ შემთხვევაში, დაუფიქრებლად და გაუგებრად, ხმარობდნენ, და ეხლაც ხმარობენ, რუსულ სიტყვებს *) მაშ საკვირველი არ არის, რომ ზოგიერთი ჩვენი ძველი თაობის წარმომადგენლები, არა მიმხვედველნი ამისა ამაყობენ და კვეხულობენ, ვითომც მათ ხელში ქართული ლიტერატურაცა და ენაც ბრწყინავდა და ვითომც მხოლოდ ახალ თაობას გაეფუჭებინოს!?

როცა ეხლანდელი ჩვენი ძველი თაობის წარმომადგენლებზე ვლაპარაკობთ, უსამართლობა იქნება, რომ ჩვენ დიდი სიამოვნებით არ მოვიხსენოთ ერთი თუ ორიოდე პირი, რომლებიც ისე გამობრწყინავენ მათ შორის, როგორც ღურბლიან ღამეში ცაზედ ალაგ-ალაგ გამოსჭვ-

*) მე თვითონ მქონდა ერთხელ ლაპარაკი ძველი თაობის ერთ ისეთ წარმომადგენელთან, რომელიც ამ თაობის წარმომადგენლებთ შორის პირველ მეცნიერად და ქართული ენის მცოდნედ ირაცხება. მე ვკითხე იმას, როგორც გამოცდილ და მეცნიერ პირს, რჩევა ერთი ჩემი საქმის შესახებ. საუბარი გვქონდა ქართულ ენაზე და აი რაგვარი სიტყვებით გამოსახა მან, სხვათა შორის, თავისი ჰაზრი: «შენ საქმეს ო რ ი ი ს ხ ო დ ი აქვს», მითხრა მე მან და სხვა.......

რეტენ კარსკვლავები და რომლების ცხოვრება და მოქმედება სავსე არიან პატიოსნებითა და კეთილი სურვილით შესახებ ჩვენი სამშობლოსი და ხალხის ბედისა; მაგრამ ამასთან ესეც კი უნდა ვსთქვათ, რომ იმათი ხმა მათ მოუძლურებულ და უვარგის მოძმეებთ შორის რჩებოდა ხმად, მღაღადებელად უდაბნოსა შინა — ვინ არ იცის, რომ ერთი და ორი კაცი მთელ ხალხში ბევრს ვერას გახდებიან, თუ ისინი სხვა ვერავისში, ვერა ჰპოვებენ თანაგრძნობასა და დახმარებას.

როგორ თანაუგრძნობდა და ან ეხლა თანაუგრძნობს ჩვენი ძველი თაობა საზოგადოდ საერთო საქმეს, — ეს კიდევ უფრო ცხადად დაამტკიცა მან, თავისი ყოფა-ქცევით, ამ უკანასკნელ დროში, როცა ჩვენში, სასიხარულოდ, გამოჩნდნენ ზოგიერთი ისეთი ახალგაზრდები, რომლებმაც გაიგეს ჩვენი ხალხის ეხლანდელი სამწუხარო მდგომარეობა და სცდილობენ გამოიყვანონ ის იმ უმეცრებისა, უზრუნველობისა და გაუგებრობისაგან, რომელშიაც ის ეხლა იმყოფება. მის ნაცვლად, რომ ჩვენ ძველ თაობას და მის წარმომადგენლებს აღმოეჩინათ ამ უკანასკნელებისათვის თანაგრძნობა, გაემხნევებინათ და დაჰხმარებოდნენ სიტყვით და საქმით, იმათ, მათდა სასირცხოდ, დაცინვა, მტრობა და დევნა დაუწყეს მათ. — ამაზე უარესი და უსაძაგლესი საქმე კიდევ იქნება რამე?!

სხვა დანაშაულობა და ცოდვებიც ბევრი მიუძღვის ძველ თაობას თავიანთ მამულისა და შთამამავლობის წინაშე, მაგრამ ჩვენ ზოგიერთი, ჩვენზედ დამოუკიდებელი გარამოებანი არ გვაძლევენ ნებას, რომ ყველას გაჩხრეკას და გამოაშკარავებას შევუდგეთ. ჩვენი ფიქრით ისიც საკმაოა, რაც ვილაპარაკეთ მასთვის, რომ მკითხველებმა ცხადად დაინახონ და ჰსაჯონ თუ როგორი ყოფილან ჩვენი ეხლანდელი ძველი თაობა, მისი წარმომადგენლები და სტყუვიან ისინი თუ არა, როცა თავიანთ თავს და მოქმედებაებს აქებენ და ახალ თაობას კი დასცინოან და აძაგებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 11

ეხლა უნდა ვილაპარაკოთ ჩვენ ახალ თაობაზე, მის მიმართულებაზე, მოქმედებაზე და შევადაროთ ის ძველ თაობას.

მოსალოდნელი იყო, რომ ისეთ უზრუნველ და დაუდევარ მშობლებს როგორიც იყვნენ და არიან ჩვენი მშობლები შვილებიც თავისი შესაფერი გამოსვლოდათ და არ უნდა ყოფილიყო დიდი გარჩევა ჩვენი ძველი და ახალი თაობის ცხოვრებაში, ცოდნაში, მიმართულებაში, და ეგები არც იქნებოდა, თუ ჩვენ ახალგაზდებს არ ჰქონოდათ შემთხვევა თავიანთ მშობლებისა და სამშობლოს მოშორებისა, სხვა ქვეყნებში ცხოვრებისა და სწავლისა,—სხვა ხალხების გონებითი და ზნეობითი მდგომარეობის გაცნობისა; მაგრამ რაკი ამგვარი შემთხვევა ჰქონდათ, მათ სულ თან და თან სცნეს და გაიგეს ერთი მხრით ჩვენი ქვეყნისა და ხალხის სამწუხარო ეხლანდელი მდგომარეობა, მეორე მხრით სხვა განათლებული ხალხების წარჩინებული ცხოვრება და საზოგადოდ ახალი დროს მიმართულება, ხასიათი და მოთხოვნილება. ამისაგამო არ შეიძლებოდა არ დაბადებულიყო და მართლაც დაიბადა ზოგიერთ მათგანში პატრიოტული გრძნობა და სურვილი, რომ დაჰხმარებოდნენ თავიანთ ხალხის თვალების ახილვას და უმეცრებისა და სიბნელიდგან გამოსვლას. ისინი კარგად ჰხედავდნენ, რომ ჩვენი ხალხის უბედურების მიზეზი, სხვათა შორის, იყო უმეცრება, ცრუმორწმუნეობა, უზრუნველობა, დაუნდობლობა, შური და მტერობა ერთმანეთში, საზოგადო სარგებლობის გაუგებლობა და სხვა ამგვარები. მამასადამე, ცხადია, ხალხის კეთილის მსურველნი ერთი მხრით უთუოდ უნდა აღჭურვილიყვნენ ყველა ამ ზემოთ-მოხსენებული ნაკლულევანებაების წინააღმდეგ და თან, მეორე მხრით, შესდგომოდნენ იმათი ჰზრებისა და ცოდნის შემოტანას და გავრცელებას ჩვენში, რომლებიც უხილავენ ადამიანს გონებითს თვალს და ჰშველიან მას უმეცრებიდამ გამოსვლაში.

მაგრამ, როგორც ვიცით, ისე არაფერი არ სწყენს [illegible]ქმედებას კაცს, როგორც იმ რწმუნებაების, ჰაზრების, ჩვეულებ[illegible] მოქმედების განკიცხვის მოსმენა, მათი გამოთხოვება და მიტოვება, რომლებსაც ის შეჩვევია პატარობიდამ და რომლებიც მას მიაჩნია პატივცემის ღირსად და საქებლად. ამიტომ ყოველგან ხალხების განათლების დასაწყისში სჩნდება ბრძოლა ძველ და ახალ ჰაზრებ შუა, ჩვეულებაე-შუა და მიმართულებაებშუა. ყველაფერი ძ ვ ე ლ ი ცდილობს, რომ დაიცვას თავისი პატივი და არ დაუთმოს თავისი ადგილი ა ხ ა ლ ს; ახალი, პირიქით, ებრძვის ძ ვ ე ლ ს, ჰსურს გააქროს ის და დაიჭიროს მისი ადგილი კაცის გონებაში და მოქმედებაში. მაგრამ რადგანაც, თითქმის ყოველთვის, ძ ვ ე ლ ი ს წარმომადგენელად და დამცველად ცხოვრებაში სჩნდება ძველი თაობა, ხოლო ახლისა—ახალი თაობა, ამიტომ ბრძოლა ჰხდება მათ შორის. ასე ყოფილა ყოველგან და ასე მოხდა ჩვენშიაც. როცა ზოგიერთმა ჩვენმა ახალი თაობის წარმომადგენლებმა დაიწყეს ჩვენი ეხლანდელი ძველი თაობის ნაკლულევანებაებზე და სიცუდეზე ლაპარაკი და თან დაუწყეს მას ქადაგება ახალ დროზე და მის მოთხოვნილებაებზე, მაშინ ამ უკანასკნელის წარმომადგენლებმა, მის ნაცვლად, რომ გამოეხილათ თვალები, ჩაჰკვირებოდნენ კარგად თავიანთ ძველ ცხოვრებას, მის მოვლინებაებს, და ნაკლულევანებაებს, უარ ეყოთ ყველაფერი, რაც კი იყო და არის მართლა მათში უვარგისი და მავნებელი და ამგვარად სიხარულით მიეღოთ და შესდგომოდნენ ახალ სწავლას თავიანთ ხავს მოკიდებული ცხოვრების გასაუმჯობესებლად,—მათ დაუწყეს ძაგება, ბრძოლა და დევნა ახალ თაობას და მის მოქმედებას, ხოლო ყველაფერს ძველს ქება და თაყვანის ცემა. მაგრამ ახალი თაობის წარმომადგენლები მაინც კიდე არ იშლიან თავისას და რაც კი ძალა და ღონე აქვსთ და ნებას აძლევენ ის გარემოებაები, რომლებშიაც ისინი იმყოფე-

ზიან ეხლა, სცდილობენ დაეხმარონ ხალხის განათლებას და მისი ცნოვრების გაუმჯობესობას იმ სახსრებით და საშუალებებით, რომლებიც შესაძლებელია და სხვა განათლებულ ხალხებშიაც ცნობილი და მიღებული არიან ამ საქმეებისთვის.

პირველად მაგ. იმათ მიაქციეს ყურადღება თავიანთ სამშობლო ენის ცოდნის საჭიროებას. იმათ გაიგეს, რომ მათთვის, როგორც ყოველი კაცისათვის, რომელსაც კი ჰსურს თავის მოძმეებს შორის სიტყვით და საქმით მოქმედება, მიუცილებლად საჭირო იყო სამშობლო ენის ზედმიწევნით ცოდნა. მაგრამ ისინი ამასაც კარგად ჰგრძნობდნენ და ჰგრძნობენ კიდეც, რომ, თავიანთ მშობლების უზრუნველობისაგამო, ისინი სრულებითაც არ იყვნენ ამაში მომზადებულნი. მაშ მეტი რაღა ჩარა იყო, ისინი სრულ წლოვანებაში უნდა შესდგომოდნენ იმ ენის შესწავლას, რომელიც ყველაფერზე უწინ უნდა სცოდნოდათ. მაგრამ ისინი რასაკვირველია არ გამოუდგნენ იმ ძველი ქართული ენის შესწავლას, რომელიც აღარ არის ეხლა ხმარებაში. იმათ ის ცოცხალი ენა შეითვისეს, იმ ენაზე დაიწყეს წერა და ბაასი, რომელსაც ეხლა ხმარობს ჩვენი ხალხი, რადგანაც იმათი მიზანი ის იყო, რომ ეცხოვრათ და ემოქმედათ ამ ხალხში. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ამგვარმა იმათმა მოქმედებამ თავ-ზარი დასცა ჩვენი ძველი თაობის წარმომადგენლებს: იმ ენაზე წერა და ბეჭდვა, რომელზედაც ეხლა ჩვენი ხალხი ლაპარაკობს, და არა იმ გაუგებარი ენით და იმ კილოზე, რომელზედაც წასრული საუკუნის ქართველებს უწერიათ, იმათ შეჰრაცხეს ახალი თაობის ცოდვად და მათგან ჩვენი ენის გარყვნად, და დაუწყეს, ამ შემთხვევაშიაც, გინება და დევნა ახალ მწერლებს. ჩვენ არ ვანბობთ, რომ ვითომც ჩვენი ახალგაზრდა მწერლების ენას არა ჰქონდეს ნაკლულევანებას, მაგრამ ვინ არის მაში დამნაშავე, რომ მათ არ იციან ზედმიწევნით ქართული ენა? — მამები თუ შვილები? ცხადია

მამები, რადგანაც იმათი სამღრთო ვალი იყო, რომ აკვნიდამვე ესწა-ვლებინათ თავიანთ შვილებისათვის სამშობლო ენა და მოემზადებინათ ისინი ცხოვრებისა და საზოგადობრივი მოქმედებისათვის ისე, როგორც რიგი იყო.

ამას გარდა ის ჩვენი ახალი თაობის წარმომადგენელები, რომ-ლებმაც თვითონ გამოსცადეს თავიანთ თავზე, თუ რა არის სამშო-ბლო ენის უსწავლელობა პატარაობიდამვე და რამნიშვნელობა აქვს საზოგადოდ ხალხის ცხოვრებაში და განათლებაში მის ცოდნას, მი-აქციეს აგრეთვე ყურადღება ამ საგანს: ისინი ლაპარაკობენ და სწერენ იმაზე, თუ როგორ უნდა ზრდიდნენ ჩვენში ყმაწვილებს, თუ ჰსურთ რომ ისინი სასარგებლო წევრები გამოვიდნენ ხალხისათვის და შე-მლებელნი იყვნენ თავიანთ დანიშნულების აღსრულებისა. მაგრამ, ჩვენ-და სამწუხაროდ და საუბედუროდ, ეს სასარგებლო ამათი ლაპარაკი და ქადაგება თითქმის აქამომდე უნაყოფოდ რჩება ჩვენი, ყველაფერში უზრუნველი, მშობლებისათვის. თვითონ კი ეს მქადაგებლები, რაღა თქმა უნდა, როგორც რიგია, ისე აღზრდიან, თავიანთ შვილებს, რი-გიან გზაზედ დააყენებენ მათ და იმედი უნდა გვქონდეს, რომ ჩვენი საზოგადოების მომავალი წევრები არ ემგვანებიან ეხლანდელებს. ამ-გვარი მიმართულება და მოქმედება ჩვენი ახალი თაობის წარმომადგე-ნელებისა, რაღა თქმა უნდა, მოსაწონია და სასარგებლოც მთელი ქვე-ყნისა და ხალხისათვის. მაგრამ იმათი მზრუნველობა და მოქმედება საზოგადო საქმის შესახებ, მარტო ამითი არ თავდება: იმათი მეცა-დინობითა და ზრუნვით ამ უკანასკნელ დროს იწყეს გამოჩენა ჩვენ უმძრავ და უფერულ ცხოვრებაში ისეთმა ნიშნებმა და მოვლინებაებმა, რომლებიც ყოფილან და არიან გაუნათლებელ ხალხებში განა-თლების დაწყებისა და მოახლოვების წინამორბედნი. ჩვენ ვამ-ბობთ, სხვათა შორის, ჟურნალების, გაზეთების და სხვა სა-

კითხვაი წიგნების გამოცემის დაწყებაზე ჩვენში. ამ უკანასკნელ დრომდის ჩვენ ხალხს თავისდღეშიდაც არ ენახა თავის სამშობლო ენაზე დროგამოშვებითი გამოცემა. ამ სასარგებლო და საქები საქმის დაწყებაც ჩვენში ახალი თაობის წარმომადგენლებს ეკუთვნის. ამათი დამსახურების და შრომის რიგიანად დაფასება ამ შემთხვევაში მარტო იმას შეუძლია, ვისაც კარგა ესმის ჟურნალების, გაზეთების და საზოგადოდ წიგნების საჭიროება და მნიშვნელობა ხალხის განათლებისთვის და მათი გამოცემის სიძნელე, მეტადრე ისეთ ქვეყნებში და ხალხში, სადაც განათლება პირველად იწყება, მკითხველები და ხელის—მომწერლები ცოტანი არიან და მშრომელები ვერ ჰპოვებენ თანაგრძნობას საზოგადოებაში, როგორც მაგ. ესლა ჩვენში. განათლებულ ქვეყნებში, სადაც მკითხველები, ხელის-მომწერლები და თანამშრომელებიც ბევრნი არიან, წიგნების გამოცემა არ არის ისე ძნელი, როგორც ჩვენში და სხვა ამგვარ პატარა და გაუნათლებელ ქვეყნებში. ეს მისთვის რასაკვირველია, რომ განათლებულ ქვეყნებში ლიტერატორებისა და მწერლების შრომა იმოდენად ჯილდოვდება, რომ ისინი არა თუ თავისი შრომის ფასს იღებენ, არამედ მრავალი მათგანი მდიდრდებიან კიდეც. ჩვენში კი ყოველი ამგვარი მშრომელი, როგორიც უნდა იყოს ის, დარწმუნებულია წინადვე, რომ ის ვერც თავის შრომის ფასს და ვერც დანახარჯ ფულს ვერ მიიღებს საზოგადოებისაგან; მაგრამ, ამის არ მიმხედველნი, ზოგიერთი ჩვენი ახალგაზდები არ ჰზოგვენ საზოგადო სასარგებლო საქმისათვის არც თავიანთ ჯანს და ცოდნას, და არც ხარჯს და ავრცელებენ სხვა და სხვა სასარგებლო წიგნებს სამშობლო ენაზე.

ჩვენ რასაკვირველია ვერ ვიტყვით იმას, რომ ჩვენი ეხლანდელი პერიოდიული გამოცემაები განათლებული და დაწინაურებული ხალხების ამგვარ გამოცემაებს უდრიდნენ, მაგრამ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ,

რომ ჩვენში ეს არის ესლა იწყება ამგვარი საქმეები და რომ სხვა სალხებშიაც პირველ დასაწყისში ბევრი ნაკლულევანებს [illegible] რო-გორც პერიოდულ გამოცემაებს, ისე საზოგადოდ ლიტერატურას, და თან და თან გაუმჯობესებულან იგინი დროების განმავალობაში, რადგა-მათ შორის განათლება გავრცელებულა და მშრომელები და მკითხვე-ლები გამრავლებულან. მაშ ჩვენც იმედი უნდა გვქონდეს, რომ ყველა ნაკლულევანებანი, რომლებიც ეტყობათ ესლა ჩვენ პერიოდულ გამო-ცემაებს და საზოგადოდ ახალ ლიტერატურას, თავიანთ ახლობისა გა-მო, თავის დროზე გაქრებიან, როცა ჩვენში სწავლა გავრცელდება და იმგვარი მიმართულებისა და შრომის მოყვარე პირები, როგორიც არიან ზოგიერთნი ჩვენი ახალი თაობის წარმომადგენლები, გამრავლ-დებიან.

ცხადია, რომ ჩვენი ახალი ლიტერატურის საქმე საზოგადოდ უფრო კარგად წავიდოდა, თუ მისი დამწყებლებისა და მოთავეებისა-თვის ძველ თაობას ჯეროვანი თანაგრძნობა აღმოეჩინა, რადგანაც ერ-თი უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზი ამ საქმეში ახალგაზდებისა ის არის, რომ იმათ არ აქვსთ ნივთიერი საშუალება, და ამასაგამო ისინი იძულებული არიან, რომ ან იზრუნონ ერთსა და იმავე დროს საზოგადო საქმისათვის, რომელიც სრულებით არ აჯილდოებს იმათ შრომას, და თავიანთ დღიური საზრდოს მოსაპოვნელათაც, და ან კი-დე საზოგადო საქმეს სრულებით თავი დაანებონ, რადგანაც ორთა უფალთა სამსახური შეუძლებელია, და შეუდგენ საზრდოს შოვნის გზას. რა გასაკვირველი არის, რომ ამგვარ პირობაებში და გარემოებაებში ჩვენი ახალი ლიტერატურის საქმე რიგიანად ვერ წავიდეს. მაგრამ რაც უნდ იყვეს,, სულ არარაობას ცალ-ულელი ხარი სჯობსო'', ანბობს ჩვენი ანდაზა.

საზოგადოდ რაც შეეხება ჩვენი ახალი თაობის და მისი საუკე-

თუსო წარმომადგენლების მიმართულებას და მოქმედებას უნდა გვთქვათ, რომ ისინი ძრიელ განირჩევიან ძველი თაობისა და მისი წარმომადგენლებისაგან: ამათი სურვილი ის არის, როგორც გიდეც ვსთქვით, რომ დაეხმარნენ სიტყვითა და საქმით, ჩვენი ხალხის უმეცრებისა, სიღარიბისა და გონების მონებისაგან გამოსვლას და განთავისუფლებას, მის ცხოვრების გაუმჯობესობას და კეთილ დღეობისადმი მიღწევას. — ეს არის ამათი საწადელი, სანატრელი, სიცოცხლისა და მოქმედების მიზანი და ზოგნი მათგანი კიდეც შესდგომიან ამ პატიოსან და საქებ საქმეს, და სწირვენ მას ყოველ საკუთარ — პიროვნებით სარგებლობასა და ბედნიერებას. მართალია ესეთი პირები ჯერ-ჯერობით ძრიელ ცოტანი არიან ჩვენში, მაგრამ რა გაეწყობა. — არათუ ჩვენში, არამედ ბევრათ უფრო განათლებულ ხალხებშიდაც კი იშვიათად შეხვდებით ისეთ პირებს, რომლებიც სრულებით უანგაროდ ზრუნავდნენ საზოგადო საქმისთვის და თავიანთ პიროვნებით სარგებლობას უმსხვერპლიდნენ მას.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ ჩვენ მაინც კიდე არ შეგვიძლია არ უსაყვედუროთ ზოგიერთ ჩვენ ეხლანდელ ახალ-გაზდებს, რომლებიც არ მოქმედობენ და არ იქცევიან ისე, როგორც უნდა მოქცეულიყვნენ, და თავიანთ უსეირო მიმართულებით და მოქმედებითი აძლევენ ძველ თაობას და მის წარმომადგენლებს საზოგადოდ ახალი თაობის და ყველა მისი წარმომადგენლების განკიცხვის მიზეზს. ჩვენა გვაქვს მხედველობაში ის ახალგაზდები, რომლებიც, თუმცა იღებენ სწავლას მაღალ სასწავლებლებში, ტყობულობენ ეხლანდელ დროის მიმართულებას, განვითარებული და გამოჩენილი ევროპიის მეცნიერების სწავლას და პირველად — სიყმაწვილეში დიდ იმედსაც გვაძლევენ; მაგრამ მერე, რაკი სწავლას ათავებენ და ცხოვრების ასპარეზზე გამოდიან, არათუ ქვეყნისა და ხალხისათვის სასარგებლო არაფერს არ აკეთებენ და მაგალითს არ უჩვენებენ თავიანთ უსწავლელ მოძმეებს, არამედ, თითქო ივიწყებენ

უკეთურს, და იმგვარად იქცევიან და მოქმედებენ, რომ არც ერთ პატრიოტსა და განათლებულ კაცს არ შეეფერება. ეს ახალგაზრდობა შეიძლება გავყოთ სამ კატეგორიად ანუ ნაწილად.

პირველს და ყველაზე უფრო ცუდ კატეგორიას ის ჩვენი ახალგაზრდები შეადგენენ, რომლებსაც თავიანთ ახალ-გაზრდობის და მეცადინეობის მიზნად ისა აქვსთ, რომ გამდიდრდნენ ცოლის შერთვით და რაკი თავის წადილს ასრულებენ, რაკი მდიდრდებიან, ამ სინიდისიანი თუ უსინიდისო საშუალებით, მიჰყოფენ ხელს განცხრომით ცხოვრებას და მალე და უზრუნველად ნამოვნ ფულებს მალეც ილევიან ხელიდამ, ისე რომ არა თუ არაფერი სარგებლობა არ მოაქვსთ იმათი, არც თავიანთ თავისათვის და არც მამულისათვის, არამედ პირიქით თვითონაც სახელს იტეხენ, თავიანთ თავსაც ირცხვენენ და იფუჭებენ, თავიანთ უხეირო და სასაცილო მოქმედებაებით, და თავიანთ მოძმეებს და ქვეყნის კაცებსაც სახელს უტეხენ და რწმუნებას უკარგავენ უცხო ქვეყნებში და ხალხებში. ცხადია ბევრს მათგანს შეეძლოთ ბევრი რამ სასარგებლო საქმე გაეკეთებიათ თავისათვის და თავიანთ გაუნათლებელი ქვეყნისათვისაც, რაკი სახსარი ჰქონდათ, თუ კი ხეირიანად დაეჭირათ თავიანთი საქმე; მაგრამ, სამწუხაროდ, ერთიც კი არავინ არ აღმოჩნდა მათ შორის ისეთი, რომ კოტრობითა და შერცხვენით არ გათავებულიყვეს იმისი მოულოდნელი ბედნიერება და სიმდიდრე.

მეორე კატეგორიას ეკუთნიან ზოგიერთი ჩვენი ახალგაზრდა ადვოკატები, რომლებიც თავიანთ ცოდნას და მოქმედებას, ბევრი სინიდისაც, ხმარობენ მარტო თავიანთ ჯიბისათვის; საზოგადო საქმეს კი არას მხრით, არც საქმით და არც არაფერი სხვა საშუალებით, არ ეწევიან, მაშინ როდესაც ჰხედვენ თავიანთ სამშობლოსა და ხალხს იმ საწყალო მდგომარეობაში, რომელშიაც ეხლა იმყოფებიან ისინი. რასაკვირველია, თქმა უნდა, რომ ამგვარი მათი მოქმედება და საზოგადო საქმის და-

უხმარებლობა არ არის საქები.

რაც შეეხება მესამე კათეგორიის პირებს — ეს არის ლობემძვრალები არიან, რომლებიც ძველსა და ახალ თაობას შუა ნატეხილ ხიდს შეადგენენ, და, თუმცა სნითა და სწავლით ახალ დროს და თაობას ეკუთნიან, მაგრამ ყველაფერი ახალი დაუყვიწყნიათ, ძველი დროხი და თაობის მომხრენი გამხდარან და მისდგომიან იმავე გზას, რომელიც ჩვენი ეხლანდელი ძველი თაობის წარმომადგენ ბობოლაებს გაუტკეპნიათ. ისინი ისე ჩათვლილან თავიანთ სამსახურში და პიროვნებით სარგებლობის მიებაში, რომ ქვეყანა და ქვეყნის საქმე ფეხებზე ჰკიდიათ და მათ ანაცვალებენ. იმათ იმოდენად უყვართ და ახსოვთ თავიანთი სამშობლო, თავიანთი ხალხი, თავიანთი ხალხოსნობა და ენა, რომ თვითონაც სასირცხოდ მიაჩნიათ იმათზე ფიქრი, ბაასი და ზრუნვა, და სხვებიც, ვინც კი ზრუნავს საზოგადო საქმისთვის, სასაცილოდ ჰყავთ აღებული!

აი სწორედ ეს ზემოდ მოხსენებული სამი კათეგორიის ახალგაზდები შეადგენენ ჩვენი ახალი თაობის ლაქას და, თუ ძველ თაობას და მის წარმომადგენელებს უფლება აქვთ, რომ დასცინონ და გაკიცხონ ახალი თაობა, ეს მხოლოდ ამათი უმზგავსი ცხოვრების და მოქმედებაების წყალობით. ჩვენ არ შეგვიძლია არ დავეთანხმოთ ძველ თაობას მაში, რომ ამგვარი ახალგაზდები ღირსნი არიან იმაგონ და გაიკიცხონ მათგან, მაგრამ ისინიც არ უნდა ივიწყებდნენ, როცა საზოგადოდ ახალ თაობაზე ლაპარაკობენ, რომ ამგვარ პირებს თვითონ ჩვენი ახალი თაობის ნამდვილი წარმომადგენელებიც დასცინიან, და ამიტომ უნდა გარჩეულ არჩევდნენ ამ უკანასკნელებს პირველებიდამ, რადგანაც ესენი და ამათი მოქმედება ისე განირჩევიან მათგან და მათ მოქმედებაებიდგან, როგორც დღე ღამისაგან.

ამიტომ ჩვენც, როცა ვლაპარაკობთ ახალ თაობაზე, მათ მიმართულებაზე და მოქმედებაზე და ვადარებთ ძველ თაობას, გვაქვს მხედვე-

ლობაში მხოლოდ ის მცირე რიცხვი ჩვენი ახალგაზდებისა, რომლებიც, შეძლებისა გვარად, კეთილ-სინდისიანად და პატიოსნად ასრულებენ თავიანთ ვალს, და, როგორც ჭეშმარიტი მამულის შვილები, უანგაროდ და ერთგულად ემსახურებიან მის საზოგადო საქმეს. მართალია ჯერ ამათ არ მოუყვანიათ აღსრულებაში ყველაფერი, რის გაკეთებაც ჰსურთ, რისგამოც, როგორც ჩვენ ამ სტატიის დასაწყისშივე ვსთქვით, ამათზე და ამათ მოქმედებაზე გადაწყვეტითი სჯა ჯერ-ჯერობით ძნელია;—მაგრამ თუ კარგათ ჩავაკვირდებით ამათ მიმართულებას, სურვილს, შრომას და ყველა, ამათგან დაწყებულ საქმეების ხასიათს, ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ის კეთილი და სასარგებლო შედეგები, რომლებიც უეჭველია ქნებათ იმათ. ამასთან ისიც შეგვიძლიან ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ესენი უფრო პირნათლად იქნებიან თავიანთ მომავალი შთამამავლობის წინაშე, რომელიც უეჭველია დააფასებს ამათ კეთილ და ქვეყნისთვის სასარგებლო შრომას ვიდრე ჩვენი ძველი თაობა არის თავისი ეხლანდელი შთამამავლობის წინაშე.

მე ვათავებ, ამ ჟამად, ჩვენ ძველ და ახალ თაობაზე, მათ საუკეთესო წარმომადგენლებზე და იმათ ცხოვრებაზე და მოქმედებაებზე ლაპარაკს და, იმედი მაქვს, ნათქვამიდგან მკითხველი ცხადად დაინახავს ვინც სტყუვის იმათგან: ძველი *თაობა*, თუ *ახალი*.

წ.

1872 წ.

ლის ჯამაგირი წელიწადში კაცის თავს ხუთ-ხუთი მინალთუნი, და
ამათი ულუფა როგორც ზევით ორმოცის თავადის შვილისათვის და-
გვიწერია, ისრე ამათ მოსცემდენ.—თურქისტანისშვილის უსბაშის ქაი-
ხოსროსი ჯამაგირი წელიწადში სამი თუმანი, თავისის თაბუნის ჯა-
მაგირზედ ნურას ართმევს; ამისი ულუფა როგორც ზევითის უზბა-
შებისათვის დაგვიწერია, ისრე ამას მისცემდენ.—ამისის თაბუნისა ორ-
მოცის აზნაურშვილისა და მსახურისათვის გაგვიჩენია, კაცისათვის წე-
ლიწადში ოთხ-ოთხი მინალთუნი. ამათი ულუფა როგორც ზევით
ორმოცის აზნაურ-შვილისა სწერია, ისრე იმათ მისცემდენ; შეშა რო-
გორც კარზედ უღიათ, ისრევ აიღონ, და სხვას ნუ აიღებენ; პური დღე-
ში კაცის თავს ლავაში ორი, და მგრგვალი ორმოცი. რამდენჯერ მე-
ჯლისი იქნებოდეს, თითოს უზბაშის თაბუნს ფლავს მისცემდენ. სხუა
ამათი სარგო ეს გვიბრძანებია: ბატონი სადაც ბრძანდებოდეს, ქალაქს
თუ გორს, ელში თუ სხვას ადგილს, რაც იქივ ერთმანერთის მოჩივარ-
ნი იქნებოდენ, იმათზედ იასაულად ეს მეთოფენი დადგებოდენ, სხუა-
გვარად მოსაყვანზედ ნუ წავლენ, ნურც დაადგებიან. რასაც საიასაულოს
აიღებდენ, მეოთხედს ეშიკაღას-ბაშს მოუტანდნენ; სამის წილიდამ ერ-
თი წილი სამსავ უზბაშებსა, და ორი წილი დარჩების: ერთი წილი
ახვან ზედამდგომელსა, ერთი სულ ყველას მეთოფეთა. ეს უზბაშე-
ბი და ეს ას-ოცი მეთოფე ყველა ყულარაღასისათვის მიგვიბარებია;
ამისი თაბუნნი და გელქჳწჳვითნი იყჳნენ; ამათს სამართალსა და რიგსა
იქმოდეს, დგომის საქმე და ქეშიკობისა როგორც ნაბძანები აქჳსთ,
ისრე მოიქცნენ; თჳთო ცხენი და თჳთო თოფი ყველამ მოიყვანოს და
მოიტანოს; ამათი ჯამაგირი ქოდაგზედ დაგვიწერია და იქიდამ აიღებდენ.

---

### ჰვ. მდივნების სარგოსათჳს.

მდივნების სარგო ყოველს წელიწადს გარდაკჳწთით ბევრი მო-

ვა თუ ცოტა: ზარავსანიდამ, თუმანი თორმეტ-ნახევარი; წელიქმიდამ თუთხმეტი მინალთუნი; ტყვის ბაყიდამ, რაც დადგების: თორმეტის თავის მეოთხედი; აგრევე ყაფნიდამ, აგრევე არაყხანიდამ; ყასაბხანის მაგიერ ქარხნიდამ ქონი ლატრა; ელის ქთაზის თერთმეტის თავის მეოთხედის ნახევარი; აგრევე ქოდავიდამ, ქალაქის ბაშმალზედ ნახევარ შაური; ყაიყულის მალიდამ თავზედ ნახევარ შაური, აგრევე ბოლნისის მალიდამ; აგრევე შულავრისა, და თეთრ-სოფლიდამ; აგრევე ტაშირიდამ; დიღმის მალიდამ თავზედ სამ ფულ ნახევარი; გორის მალიდამ თავზედ ნახევარ შაური; გოდის პურის თერთმეტის თავის მეოთხედის ნახევარი; აგრევე საბალახიდამ; აგრევე პირის-თავიდამ; აგრევე ნახირის-თავიდამ; აგრევე ზურებისაგან, გულუხისაგან, სახსოს პურისა და ღალისაგან; სადიასახლისოს ერბოს გარდაისად, სხვას სახსოს ერბოების თერთმეტის თავის ნახევარი; აგრევე ალამათისა; თუთხუს თერთმეტის თავის ნახევარი მეოთხედისა; აგრევე იალღუჯის საყორულოსი, ბრინჯისა და აბრეშუმისა, როგორც სალთხუცისათჳს დავგიწერია, ისრე იმ რიგად იმდენი მდივნებს ერგება; გლეხის გაცემას კომლზედ მარჩილი; გათარხნებაზედ კომლზედ მარჩილი; მდივანბეგებთან სამდივანბეგოს მესამედი; იჯარებზედ საწიგნო ოქმისა; გილანისა, ფეშთუქუნისა, სუნისა, ზარფობისა, ელიალასისა, ამათ ოქმებზედ საწიგნე; საკომლო ბზიდამ თერთმეტის თავის მეოთხედის ნახევარი; ჯამაგირის წიგნის სარხათზედ თუმანზედ აბასი; ფეშთუქუნისა ბარხნის წილი.

### პზ. მურდრისათჳს.

გლეხის გაცემაზედ კომლზედ მარჩილი; ხამოურაოდ რომ გაცეს, კომლზედ აბასი და ორი ფული; გათარხნებაზედ კომლზედ [illegible]სი შაური; გოდის-პურის გაცემაზედ ცხრა აბასი, თითო მკარისზე

აგრევე საბალახზედ, აგრევე ნახირის თავზედ, ჯირის თავებზედ — თითო მარჩილი; გილანს წამსვლელზედ სამი მინალთუნი; შეუვანსზედ ექვსი მინალთუნი; თათრის ჯამაგირზედ თუმანზედ შაური; ინამზედ თუმანზედ აბაზი; ქალაქის ბაჟის ოქმზედ თორმეტი მინალთუნი; თამბაქოს იჯარაზედ, რამდენს თუმნათაც აიღებენ, თუმანზედ შაური; კარავზედ თორმეტი მინალთუნი; დაბახანაზედ თუმანზედ შაური; აგრევე ყაიფნისაზედ; ბატონის განაჩენზედ თუმანზედ აბაზი; არაყხანაზედ თუმანზედ შაური; ცარიელის საკომლოს მიცემაზედ ექვსი შაური, მეთუქუნის ბარხნიდამ საზოგნი ლიტრა — ა; ბროწეული — ე; ზეთის-კილი ჩარექი — ა. სახვი ლიტრა — გ. — სხუა ამისი შემდგომი მდივანბეგის განაჩენის ბოლოს იმიეთ; სხუაგან ვიპოვე და იქ დავსწერე, აქ არ დაეტია.

---

### ჳტ. მკერვლებისათჳს.

მკერვალი ბაზადიში.
ხულსანის შვილი გიორგი.
პენტელა ასლამაზა.
ჭონი ივარსადანა.
ჯანშიას შვილი ქაისოსრო.
ჯავანა სუხნიას შვილი.
მუსხელას შვილი ზაალის შვილი.
ადამ ნაბიჭვარი.
ქენელი გოჩალა შვილი შოშიტა.
როსტიასშვილი ასლუა.
იქივ ყალანდარა.
მენაბდის შვილი ქიტა.

### ჳთ. მემანდრებისათჳს.

მემანდარბაში ბახუტა.
მემანდარბაში ალიხანა.
მემანდარი ხოზია.
თუმანის შვილი თამაზა.
დოხოდია.
სიამარადის შვილი ოტია.
ქვემო ანდრიავს მახარაშვილი.
გიგოლას შვილი ადია.
ავლაყელი ბერია.

### ჟ. მეხაკლაგეთათჳს.

| | | |
|---|---|---|
| არეშის შვილი როინა. | არეშის შვილი გასპარა. | არწუნელი პაატა. |
| ოჯის ძმის წული ავთანდილა. | გილაური რამაზა. | ხატუას შვილი კავთისჴეველი. |
| პარუნ ხარქისას შვილი უთრუთა. | ტატია. | თევდორეკავთისჴეველი. |
| | მეცხუარე გიორგი. | დავითა. |
| | ცრიცელი ივანა, | |

### ჟა. მეჯოგეთათჳს.

| | | |
|---|---|---|
| მეჯოგის თავლიდარი თამაზა. | მეჯოგე ვართანა. | ზიმუა. |
| შიოუასშვილი ვართანა. | იქივ პაპა. | ემნელა მირველას შვილი პაატა. |
| ხამესრეოელი პაპიას შვილი. | ენაგელი ხასლანა. | ზასილას შვილი მახარა. |

### ჟბ. ქორის მებადურთათჳს.

| | | |
|---|---|---|
| მებადური იმედა. | ხარვინელი ნანას შვილი. | შულავრელი ალიხანას განაყოფი. |
| ქვემო ზოვნელი ქარახასშვილი. | შუაზოვნელი შარუას განაყოფი. | კერტას ხოფელში ალავერდა. |
| ტალავერს დავითა. | მახარა. | მათეს შვილი გოგია. |

### ჟგ. მეჯინიბეთათჳს.

| | | |
|---|---|---|
| მეჯინიბე დიღმელი პაპუა. | იქივ ნიჭელას შვილი რამაზა. | იქივ კიზანას შვილი ზასილა. |
| იქივ ჯანავარას შვილი. | იქივ გიუას შვილი. | იქივ ხარქისა. |

## ჟდ. მერიქიფეთათჳს.

| | | |
|---|---|---|
| მერიქიფე ზუბიტა. | დალაქი მელქუა. | ხოზიას შვილი იესე. |
| მერუას შვილი გიუა. | ნინის შვილი გიორგი. | იქივ შიო. |

## ჟე. მოხელენი თუ როგორ მოიქცნენ, მათთა რიგთათჳს.

რომელმანც ჭამის მოხელემან და მოსამსახურემ თავის სამსახური გაათაოს, და იქ დგომის ნისბათი აღარ ჰქონდეს, კარში გავიდოდეს და იქ იდგებოდეს.

ნურც ეშიკაღას-ბაში და სალთ-ხუცესი, ნურც ბოქაულთ-უხუცესი და ხოიბათ იასაული, თავ-თავისთჳს კონჩას ნუ დაადგმევინებენ; რაც ყაბი მორჩებოდეს, გარეთ გაიტანდნენ. ნაზირი და ხოიბათ იასაული დაადგებოდეს, და ზეზედ მდგენ ჴელ-ჯოხიანს ყულსა, ყაფიჩსა, მეთოფეთ ყაფიჩსა და იასაულსა რასაც ასნაფს მოხელეს, ზოგს ყაბით, ზოგს ბოშყაბით, როგორც გახვდეს, იმ გუარად გაუყოფდენ.

როდესაც ეშიკაღას-ბაში და სალთხუცესი დაჯდებოდენ, ბატონის წინადამ სუფრაჯმან საჭმელი მიართუას. სუფრის-აღებამდინ ხასჭმელს ნურვინ აიღებს. რა ხან სუფრის აღება ბრძანოს, ყოველს მოსამსახურეს ყულუხჩს ხონჩით-და-ხონჩით ყოველს ასნაფს ხოიბათ, იასაულმა მისცეს.

ყაფიჩისა ასრე იქნას: რომელსაც სახლში ბატონი ბრძანდებოდეს, ორი ყაფიჩი იმ სახლის კარზედ დადგებოდენ. რაც ამაში ყულუხჩი არ დაგვიწერია, მის მეტს მოსამსახურეს ნუ შემოუშვებს. ამ სახლის გარს-გარეთ ყაფიჩის მოკიდებით სხუანი ყაფიჩები და მეთოფენი წარიგებით იქით და აქეთ დადგებოდენ. შემაშიეთ რომ დარბაისელთ მაშია აიღონ, ქვევით დააყენონ, ნუ წამოახვევენ.

ჯარჩები, თალიშები და იასაულები გარეთ დიდის კარის [illegible]-ჩთან დადგებოდენ, და რომელიც სამსახური უბრძანონ, [illegible]ებდენ. ამათაც საჭმელს მისცემდენ.

სალთხუცესი და ნაზირი სუფრის გარიგებამდის იქ იდგებოდენ, კარგ-გვარად მიალებინებდენ, კარში საჭმელს ნურავის გაატანინებენ.

აგრეთვე სუფრის მიღებამდის, ერთი მდივანიც იდგებოდეს: ან წიგნის დაწერა ითქმის, ან სამართალი რომ ჩამოვარდების, ეგების ბატონმა ბძანოს რამე.

საჭმელი ოცი ყაბი გაკეთდეს თუ სამოცი, ერთს ყაბს ფარეშებს მისცემდენ. თუ ოცს ნაკლები გაკეთდეს, ყაბს ნუ მისცემენ.

### ჟვ. მუშამბის სახლის რიგისათჳს.

თუ ბატონმა მუშამბის სახლში ბრინჯიანი ჭამა, ერთი ეშიკ-აღასი დადგეს და ერთი ბოქაულთ-უხუცესი, ერთი სოიბათ იასაული, ერთი აბდარ-ბაში, ორი სხუა აბდარი, ერთი ფარეშთ-ხუცესი, ორი თუშმალი, ოთხი სუფრაქში, ორი მეშარბათე, ერთი მეღჳნეთ-ხუცესი, ერთი პირის-მეღვინე, ერთი შიგამდეგი, ორ-ორი მეღვინე, ერთი ბატონის ყალიონ-ყორჩი, ერთი სხუა ყალიონ-ყორჩი. ესენი იმავ ზემოთის წესით იმსახურებოდენ.

თუ მუშამბის სახლში ფლავიანი საჭილი ბრძანოს, ცხრა ყაბი ფლავი გააკეთონ, სამი ყაბი ბატონის-წინ-დასადგმელი, და ექჳსი ყაბი საჯერგოა; მროხა ერთი, მისის აშითა და ბორანითა.

### ჟზ. მეკოდის-ბურეთათჳს.

ჩუენი ბრძანებს ასრე არის, და ქვემო ქარხნის ნაზირის დავთარი და ქარხანაში შემოსასვლელი ჩვენის მოსავლისა, შემომტანის, წა-

სლვისა მოსაქმისა რიგი და წესი ასე გვიბრძანებია, მოსაქმემ ასრე ისა-ქმოს, და იმ გვარად სალთხუცესსა და ჩვენის კარის გამრიგეთ, და ქარხნის ნაზირს ასრე ანგარიში მისცემდენ.

ვინცა ვინ მეკოდის-პურენი ჭამასალად მქონებელნი, თუ ისრე ერ-თის წლით მჯარავი, რომლისაც მკრისანი იყვნენ და ან დღეის წა-ღმა იქნებოდნენ, კოდის პურის გამოსაგზავნათ რომ წავიდოდნენ, მკა-თათვეს, მარიამობის-თვეს, ენკენის-თვეს, ღვინობის-თვეს, გიორგო-ბის-თვეს, ასეთი ბეჯითი მოსაქმენი იყვნენ, რომ სხჳას საქმეს ნურას გამოეკიდებიან; ვისაც ჩვენი კოდის პური ედვას და დავთარი ჴელთ ეპყროს, იმ კაცთ იმ ხუთს თვეში თავეთი კოდის-პური მისის ქათ-მით გოდს მიმტანთ, გოდის ამბარდანთან ჩამოიტანოს, როგორც განჩენილი არის იმ კოდით და იმ საწყაოთი. კოდის-პური ერთი სა-კვამლო ოთხი კოდი პური არის, ამიტომ რომ ქერი რვა ლიტრა ჩა-ვა კოდშია, და პური ათი ლიტრა ჩავა.

ამბარდანმა ეს ქნას: რომელსაც სოფელში კაი პური მოვა და ამ ალაგს გვარობს, იმ რიგის სოფლის კაცს კარგი პური და კარგი ქა-თამი გამოართვას; ნურც გლეხსა უზამს ძალასა, და ნურც ჩვენს სამ-სახურს წაახდენს. მეკოდის-პურემ გლეხი კაცი უწინვე დაარიგოს, რომ ავს პურს არ დაგიჭერთქო, რომ გლეხი კაცი არ-დასაჯოს, შეტყო-ბინებული იქნების, და როგორც ამათს ალაგში იქნების, იმ გვარს პურს ჩაიტანს; თუ ამათმა მეკოდის-პურემ ამ ხუთს თუეში ეს კოდის პუ-რი მის ალაგს არ მიაბაროს, და ქრისტეს შობის თვეში ანგარიში არ-მოგვცეს, მეკოდისპურემ იმ სასყელოზედ ჴელი აიღოს, და ორმოცი მარჩილიც მოგვართვას; თუ გლეხმა კაცმა არ დაუჯეროს ჩვენ მოგვა-ხსენოს, ჩვენ ვიცით და იმ კაცმან.

### ჟჱ. მურაბისათჳს.

მურაბას, მწნილებს ნაზირი მეშარბათეებს გაურიგებდეს: ასე გან-გვიწესებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ყთ. მეჯლისის პურისათჳს.

მეჯლისისა ასრე ქნან: რასაც სახლში ბატონმან მეჯლისი ბრძანოს, იმ მეჯლისის კაცნი დასწერონ და რაც დაიხარჯოს, ის პური იმ დღეს დასწერონ და ჩააგდონ; სტუმრისა იმაებში არ-არის, ამას ცალკე დასწერდნენ.

### რ. მდივანბეგის გარიგებისათჳს.

ნებითა და შეწევნითა ღ̂თისათა, და წყალობითა დიდის კელმწიფისათა, ჩვენ ქართველთ მეფისა, სრულიად ერანის სპასალარისა, ყანდაარისა და ქირმანისა ბეგლარ-ბეგისა, ზირიშქისა და ჭიალათის მზირავისა, ჩვენის ძმის მეფის ბატონის შაჰნავაზ-ხანის მაგიერად მყოფმან, ერანის მდივანბეგმა, საქართუჱლოს ჯანიშინმან ბატონმან შაჰ-ყული-ხან, და ძმამან ჩვენმან ბატონმან ქაიხოსრომ, ბატონმან ვახტანგ, იასე, სჳმონ და თეიმურაზ, ესე მტკიცე და მოუშლელი მდივანბეგობის წესი და რიგი დასტურლამა გიბოძეთ, თქვენ ჩვენთა ერდგულთა და წესისაებრივ თავ-დადებით ნამსახურს ორბელის შვილს, მდივანბეგის ვახტანგის შვილს ერასტის. მას ჟამსა, ოდეს ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ და მდივანბეგობის წესი და რიგი მოკითხული ვჰქენით, და ამ წესით ყოფილიყო გარიგებული, და ახლაც ამ წესით გვიბოძებია, ასრე რომ თუ ელში ეს ოთხი საქმე მოჰკდეს, კაცის სიკუ̂დილი, ბიქრი, თვალისა და კბილის გაგდებინება, ეს კარზედ უნდა მოვიდეს, მდივანბეგმან უნდა გაარიგოს. თუ ელის-კაცს ერთმანერთთან საჩივარი ჰქონდეს და თავისის ნებით მდივანბეგთან მოვიდეს და შემოსჩივლოს, იმისი სამართალი მდივანბეგმან უყოს. თუ ელი ალასი მთა ან ბარში ელში იყოს, იქ გარეშემო კაცმან ელის კაცისაგან შემოსჩივლონ, იმისი სამართალი ელი ალასმა უყოს. აგრეთვე მოქალაქისა

ქრე უნდა იქნას: თუ ქალაქში კაცის სიკუდილი მოხდეს, ან მოქალაქისაგან, ან სხუსგან, იმისი სამართალი გარეშე მდივანბეგმან უყოს; თუ მოქალაქე კაცი გარეშე კაცს უჩიოდეს, ან გარეშე კაცი გარეშე კაცს უჩიოდეს, ან ორნივ მოქალაქე კაცნი თავის ნებით მოვიდნენ და მდივანბეგს შემოსჩივლონ, სამართალი მდივანბეგმან უყოს; თუ მდივანბეგი იქ არ იყოს, მოქალაქის კაცისაგან სოფლელმან კაცმან ქალაქის მოურავს შემოსჩივლოს, მოურავმა გაურიგოს. სხუა მოქალაქის საჩივარი ერთმანერთში მოურავმა გაურიგოს, და ჯარიმა ბატონისა არის. სადედოფლო თავადი, თუ აზნაური, თუ მათი ყმანი ერთმანერთს უჩიოდეს, და ან სადედოფლოს სასახლეში კაცის სიკუდილი მოხდეს, მდივანბეგმან გაარიგოს; ან სასახლე ან სადედოფლო კაცი თავის ნებით მდივანბეგთან მოვიდეს და შემოსჩივლოს, სამართალი მდივანბეგმა უყოს. აგრევე თუ სადედოფლო სასახლე გარეშე კაცს, ან გარეშე კაცი სადედოფლო სასახლს კაცს უჩიოდეს, სამართალი მდივანბეგმან უყოს. სადედოფლოს თავადისა და აზნაურშვილის გაყრაში დედოფლის სალთ-სუცესი მდივანბეგთან უნდა დაესწრას; ყოვლზედ მარჩილი მოვიდეს, ერთი აბაზი სარდარს, ერთი აბასი მდივანბეგს, ერთი აბასი დედოფლის სალთსუცესს. დედოფლის სასახლს კაცის საჩივრებს დედოფლის სალთსუცესი უნდა გაარიგებდეს. თუ ბატონი ან ქართლს, ან საბარათაშვილოში ბრძანდებოდეს და მდივანბეგი თან ახლდეს, და დედოფლის სალთ-სუცესი იქ არ იყოს, სადედოფლოს კაცის საჩივრები მდივანბეგმან გაარიგოს. როდესაც დედოფალი ქალაქს ბრძანდებოდეს სადედოფლოს სასახლეშ, ან სადედოფლოს სასახლისაგან საბატონოს კაცის შვილმან, ან აზნაურ-შვილმან, ან მათმან ყმამან, სამეფოს ან სადედოფლოს კაცისაგან, დედოფლის სალთსუცესს შემოსჩივლოს, იმისი სამართალი დედოფლის სალთსუცესმან უყოს. აგრევე გორელი კაცი თუ გარეშე კაცსა, და გარეშე კაცი გორელს კაცს უჩიოდეს, სამეფოს თუ სადედოფლოს, მდივანბეგთან იჩივლონ და გაურიგონ; თუ

გორელი კაცი ერთმანერთს უჩიოდენ და თავისის ნებით მდივანბეგს შემოსჩივლოდნენ, სამართალი მდივანბეგმან უყოს; რაც ამ გორელის მოჩივრების გარიგდეს, ექუსის თავი სამდივანბეგო აიღებოდეს, თუ გორელს კაცს მიეცემოდეს, ნახევარი სამდივანბეგო მდივანბეგსა, ნახევარი სამდივანბეგო ამილახორსა, სასისხლო სულ მეფის იასაულსა; და თუ გორელის კაცისაგან გარეშეს კაცს მიეცემოდეს, სამდივანბეგო მთლად მდივანბეგსა და მეფის მდივანს მიეცემოდეს; გორული სასისხლო ნახევარი მეფის იასაულს, ნახევარი ამილახორსა; ბატონის უბრძანებლად არას სარდარს სამართლად თავის სასარდლოსთან ჴელი არა აქუს, რომლისაც დროშის კაცისა გაიყრებოდეს, და ან დიდი ბჭობა და სამართალი იქნებოდეს, თავისი სარდარი უნდა დაესწრებოდეს; გასამრჯელო კომლზედ მარჩილი რომ მოვა, იმისგან ერთი აბასი სარდარს, ერთი აბასი მდივანბეგს, ერთი აბასი მდივნებს.

რაც ან ბატონის ბეჭდით, და ან მდივანბეგის ბეჭდით გარიგდეს, მესამედი სამეფოს კაცისა მეფის მდივანსა, და სადედოფლოს დედოფლის მდივანსა. აგრეთვე ჯარიმა ბატონისა არის, ათის-თავი მდივანბეგისა, წართმეულისა მდივანბეგმან და მდივნებმან, როგორც სამდივანბეგო, ისრე ის გაიყონ; თუ მეფე და მდივანბეგი იქ არ ბრძანდებოდეს, დედოფლის სალთ-ხუცესმა სამეფოს კაცში სამართალი ქმნას, და მდივანბეგს თავისს სარგოს მისცემდეს; ბრძანებისა ჩუენისა მორჩილნო, ეს ჩვენგან გარიგებული ბრძანება ასე დამტკიცდეს, და ნურავინ ურჩ-იქმნებით,—ქკს. ტჟბ, ენკენისთჳს კე, დაიწერა ბრძანება.

---

### რა. მდივანბეგის ახალებისათჳს.

სამდივანბეგო ასრე აიღება: მოქალაქეზედ ათის-თავი, გარეშეს ცზედ ექუსის-თავი, აქლემზედ სამი მინალთუნი, ტყვეზედ ორი მი-

ნალთუნი, ულაყს ცხენზედ სამი აბასი, ჭაკს ცხენზედ ორი აბასი, ქროსასა და ვირზედ თითო აბასი, ჯორზედ ხუთი აბასი, [illegible] ულაყზედ ერთი აბასი, ცხვარსა და ღორზედ თითო შაური.

სამორდრო გამოვა: აქლემზედ სამი აბასი, ულაყს ცხენზედ სამი შაური, ჭაკს ცხენზედ ორი შაური, ქროსაზედ ერთი შაური, ვირზედ ერთი შაური, ტუვეზედ ერთი აბასი, კამბეჩზედ ორი შაური, ჯორზედ ერთი აბასი, ცხვარსა და ღორზედ ორი ფული.

## რბ. მოლარეთხუცის სარგოსათჳს.

დუშალიკი რასაც ბატონი გასცემს, სტუმარს უნდა მიუტანონ მოლარეებმან, და მემანდარი გაუძღვეს, მიართჳან და რაც სტუმარს ენამუსხებოდეს, თუ მოლარეს ცალკე გამოუვიდეს, მემანდარს მოლარეებთან სხლი არა აქჳს, და თუ ორთავესათჳს გამოვიდეს, მემანდართან შუა უნდა გაიყონ, და რაც დუშალიკი მოვიდეს, ნახევარი მოლარეთხუცისა არის, და ნახევარი თავლიდრისა, და მეშრიბისა არის, და-ნახევარი მოლარეებისა. სხჳა მოლარეთხუცის სარგო ჯამაგირზედ თუმანზედ ორი შაური მოლარეთხუცისა არის, ორ-ფულ-ნახევარი მეშრიბისა, ორ-ფულ-ნახევარი თავლიდრისა, და ნახევარ შაური მოლარეებისა არის, ჯამაგირის თუმანზედ.

დანიმისა არის თუმანზედ ათი შაური, აჳა ხუთი შაური გერაქ იარაღისა არის, და ერთი შაური მეშრიბისა არის. გერაქ იარაღისა წელიწადში ერთი კელი ტანის-სამოსი, დანიმისა ორი შაური, მესტოფისა ეჳერა ორი შაური, მოლარეთ-ხუცისა. ბატონმა რომ ფარჩა და ან სხჳა სალაროდამ ითხოვოს, მოლარეთხუცესი წინ წაუძღვებოდეს თავლიდარს, და ბატონს მიართმევდეს კალათებსა, და ან ბატონი ტანის-სამოსს გამოაჭრევინებდეს, რაც ნაჭერი მორჩებოდეს ერთს ქისაში ჩასდებდეს მოლარეთხუცესი დაბეჭდევდეს და თავლიდარს მიაბარებდეს.

მოლარეთხუცესს უნდა ქარხნიდამ მიეცეს: ერთი წმინდა ჭური, ერთი ფისოსის ქონი, ფუშთუქუნის მოსავლიდამ, ბრინჯი ხუთი, სახჳ ცხრა, ზეთისხილი ჩარექი ორი, საპონი ნახევარ-ლიტრა.

---

### რგ. მუხრანის კოდის-პურისათჳს.

მუხრანი არის საკომლო—რპ; ამისი თარხანი—ოდ; გამომღები ქათმით—რკ; სხჳა გამოსავლები როგორც ზემო ქართლზედ სწერია, ისრე ამათ გამოიღონ.

### რდ. მუშის რუსუმისა.

### რე. მოლარეებისა.

---

### რვ. მეითრისათჳს.

მეითარი ზატონს თავს დაადგებოდეს, კელსახოცს მიართმევდეს მერიქიფეს ამსახურებდეს, ტანის-სამოსი მისს კელთა არის. დუშალიგის ნახევარი მეითრისა არის; შიგნით გარეთ ზატონთან გაუყრელობა და შინა ყმობა, დიდი აქჳს. თავლიდარს დუშალიგის ნახევარი როგორც სხჳანი გაიყოფენ, ისრე ესე.

### რზ. მერიქიფეთხუცისათჳს.

მერიქიფეთხუცესი, ქილიფთრისა და მერიქიფეებისაა.

### რჱ. მეჯოგეთ-ხუცისა და მეჯოგეებისათჳს.

ჯოგის საქმე ასრე არის: მეჯოგეთ-ხუცესი ავთანდილი არის, და მეჯოგენი ან ძველნი და ან ახალნი ვინცა ვინ არიან, სახელდობრივ ჭსწერიან, აჯილდა ვისაც აბარია. აწერილი ჯოგი რაც არის, თავილად

ჯოგის თავლიდარს აწერია, მისს დროს აჯილდას გაურევდეს, ჯოგს კარგად უუურონ, კაცს მოუარონ, ან ყოლაში არ წასდეს, ან ნადირმა არ წაუსდინოს. თუ მრთელი და კარგი ზამთარი არის, კაცი უკლებლად უნდა მიაბაროს, თუ ზამთარი ძნელია, ან ჯოგში სენი არის, ან კაცისათჳს მგელს ძალა დაუტანებია, ის მოხელეთ გასინჯონ და ისრე ჩაუგდონ.

მეჯოგისათჳს ორ-ორი მუა მოჭრილი ცხენი, თჳთოს მეჯოგეს მისცენ. სხუას ცხენზედ ნუ შესჯდებიან, თუ ჯოგის ცხენი სხუა დახედნილი იყოს, მეჯოგეს ჯარიმა უნდა წაართუან, მეჯოგეთ-ხუცესი ჯოგის ცხენზედ ნუ შესჯდება. რა ხან კაცი დასაჭერლად მოიყუანონ, უწინ ერთი წმიდის გიორგისათჳს დაიჭირონ, და მერმე, რამდენიც ბატონმა ბრძანოს, ბატონისათჳს იმდენი დაიჭირონ, მერმე მოხელეთა ვისაც უბძანონ, იმათ დაიჭირონ, ერთი კაცი მეჯოგეთ-ხუცესს დაუჭირონ, დუშალიკი ნახევარი მეჯოგეთ-ხუცესს, ნახევარი მეჯოგეებს. გაზაფხულს ჩავიდოდნენ, წლისას გავაზედ, ნახევარ-წლისას მხარზედ დასდალევდნენ, მეჯოგეთ-ხუცესი, მუსტოვი და ჩარივა ნაზირი ჩავიდოდნენ, მხარზედ დასდალევდნენ, ანგარიშს გამოართმევდენ, მუას და დალს ნახევდენ და გამოვიდოდნენ, ერთი კაცი ნაზირსა, ერთი მუსტოვსა, და ერთი ჩარივა ნაზირსა, ბატონის ცხენი რომ დაიკარგოს, მეჯოგემ შვიდეულად აზღვევინოს და ამისი საზღაური მეჯოგეთ-ხუცისა და მეჯოგისა არის.

## რთ. მწყანვილისათჳს.

მწყანვილისათჳს როგორც გარიგებული არის, ისრე იქმოდენ და ასრულებდენ.

## რი. მთიდამ ჯანიშანისათჳს.

ბალაკაციურს ელის კაციდამ, რიგისად ნუ დაგუაკლებს ნურას დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რია. მეთოფეთათჳს.

მეთოფე გოგორის შვილი
გვერდ წითელი ზაქარია.
ჩაკა შვილი როსტომა.
გელდიას შვილი ავთანდილ.
ალექსიძე სოსია.
ომანის შვილი ფრიდონ.
ალექსიძე ავთანდილ.
წინამძღვრის შვილი ზაალ.
ბულუტაური ბერუკა.
დიდმელი კაკანას შვილი.
დიდმელი თეთრაძე.
დიდმელი ხეჩუას შვილი.
კრწანელი დევანოს შვილი
მაჩვთელი ლაზარა.
ქრცხინვალელი პაპანას შვილი.
პაპელის შვილი მამის იმედი.
კავთის კევის მამასახლისის შვილი.
პეპელის შვილი ალდგომელი.
მელანას შვილი ივანა.
ზანგალაძე.
გრიგოლის შვილი.
მეკარვის შვილი სოსია.
მჭედლიძე ბერი.
ზაზუნას შვილე გიორგი.
ცაცას შვილი თამაზა.
მამასახლისის შვილი ბეჟან.
ბაბუციძე გიორგი.
მელანას შვილი პაატა.
კახიას შვილი ბერია.
ხარაბელი ოთარა.
სალირას შვილი ბეჟან.
ოტიას შვილი მაჩაბელი.
უსბაში ქაიხოსრო, თურქისტანის შვილი.
მეთოფე შალიკას შვილი კასტანგ.
სოლაღას შვილი შიოშის შვილი.
ოქრომჭედლის შვილი ზურაბ.
გლურჯიძე შიოშ.
თულას შვილი იესე.
თულას შვილი გიორგი.
ზევის შვილი გიორგი.
მამასახლისის შვილი აბაზა.
თაყას შვილი ქაიხოსრო.
აბაშის შვილი.
აბულას შვილი ბარათა.
ზაკარას შვილი გივი.
ალნიას შვილი.
ქურდევანის მე ფილახონ.
გულია გოგის შვილი.

## რიბ. ქარხნის მუშრობისათჳს.

რაც სარხათი აქუს, ის ჯამაგირი, თჳთო პური თეთრი; საერო პური შვიდი; ღვინო ლიტრა ერთი; სანთელი ერთი, თათარს ბრინჯი

ნახევარ ლიტრა, კრბო ერთი ქსანი, კვრაში საკლავი თჳთო, მარილი ლიტრა ორ-ორი, თვეში ქერი ლიტრა ორ-ორი, ქონი ფუთოლ-ქსანი.

## რიგ. მეძაღლეთ-ხუცისათჳს.

დაგვიყენებია მეძაღლეთ უხუცად ყარჩილა, ამისი ჯამაგირი (ა). ქეჲსი ბიჭი სხჳა, ამათი ტანის-სამოსი ჩოხა, ნიფხავი, პერანგი, ქუდი, სარტყელი და შალვარი, და თვეში ძროხის ტყავი ერთი. ამათი ულუფა დღიურ, უფროსს პური ლავაში სამი, სხჳათ თითოს პური ორი კვრაში უფროსს ღვინო ლიტრა—ა. ამ სხჳათ თითოს ნახევარ ლიტრა, რაც საკლავი დაიკლავს თავ ფეხი ამათ წაიღონ; რამდენი მეძებარი ებაროს თჳთოს პური მგრგჳალი ორი, მწევარს მადაური სამი; ოთხი მარხჳაში; ქონი ლიტრა ერთი თვეში თჳთან საჭმელად საკლავი ერთი, თავლიდარს მის დროს დღეში ქერი ლიტრა ერთი, მარხჳაში მის რიგად სამარხო. ამ რიგად იმსახურებენ: ბატონი რომ მოედანს გარდა, საცა წაბრძანდებოდეს, დილაზედ ადრე ქანარა რომ დააყჳრონ მზად კარზედ დახჳდნენ, და რა წაბრძანდებოდეს მარქაფას წინ ისინი იარებოდნენ, სანამდის სანადიროში მიბრძანდებოდეს. მერმე მის რიგად დადგებოდნენ, და თუ ბატონმა არ ითხოოს, სასახლეში ძაღლს ნუ შემოუშვებენ. გარეობაში ბატონის კარვის გარეშე დიდი ძაღლები და მეძებრები კარვის გარეშემო შემოაყენონ, დასადგომად გარეობაში საჯინიბოს უკან და ჯორებს უკან დადგებოდნენ, და ძაღლებს რაც იარაღი მოუნდებოდეს, სალაროს ნაზირი გაურიგებდეს.

---

## რიდ. მუსტოფის რუსუმისათჳს.

ასრე არის: მუსტოფს ჯამაგირი ზოგს ჰქონია და ზოგს არა, ახლა ოცი თუმანი არის, ვინც ჯამაგირის სარსათს აიღებს თუმანზედ

ერთი აბასი საბეჭდავია; ვისაც ჯამაგირი აქჳს, თუმანზედ ყოველს წე-
ლიწადს ორი შაური მესტოლისა არის, გრაქიარადმის [illegible] თუ-
მანზედ ორი შაური; დაბაღსანაზედ ორი თუმანი; ტყვის ბაჟზედ ორი
თუმანი; ცისის მეთოფეს რომ აღსწერს ფეშთუქუნიდამ ოთხი თუმა-
ნი ხუთი აბასი თორმეტი შაური და შვიდი ფული; სუნიდამ რუს-
მი ორი შაური.

### რიე. სალაროს ნაზირისა და მისის ასნაფებისათჳს.

არის სალაროს ნაზირის სახელო და თაბუნი კაცნი რომ ეს იმას უნდა ებაროს: სალაროს თავლიდარი-თუშმლის შვილი ბეჟან; ყორღანას შვილი ფარემუზ; იეგულას შვილი თამაზა; სალაროს მუშრიბი ნასყიდა; არღუთას შვილი ოღუზა.

### რივ. ქარხნის ნაზირისა და მისის ასნაფებისათჳს.

| | | |
|---|---|---|
| გერაქ იარაღი ბირთველა. | ყორღანას შვილი შიმშიტა. | მირზალას შვილი რევაზა. |
| მოლარე ედიშერა შვილი ხუმბატა. | ყორღანას შვილი პაპა. | შანშიას შვილი ალავერდა. |
| ყორღანას შვილი ბერუა. | კიდევ ყორღანას შვილი პაპა. | როსტევანას შვილის შვილი. |
| ყორღანას შვილი ზალია. | ყორღანას შვილი კაცია. | შაიკას შვილი ბერუა. |
| მერაბას შვილი დოლმაზა. | დურნუკელი ფარემუზა. | ელიარას შვილი პაპა. |
| ბოლნელი დელუა. | ყორღანას შვილი ედიშერ. | ხვარა გორელი მირზა. |
| გრიგოლის შვილი გიორგი. | თუმანის შვილი სალმახანა. | შანშიას შვილი საფარა. |
| | იეგულას შვილი გიუა. | არეშის შვილი იასში. |
| | | თეგა იასაული. |

## საბიბლიოგრაფიო განცხადება.

დიდი მოურავი, ტრაგედია ანტონ ფურცელაძისა. ის-
ება: თბილისში წიგნის მაგაზინში შართანოვისა და სემენა-
ში იაკობ გოგებაშვილისას, ქუთაისს სემინარიაში გერასი-
ქალანდარიშვილთან და დავით აბდუშელიშვილისას და
არსაბ ლოლუასას, თელავს ლევან ჯანდიერთან.

დუშელიძის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბაში, ეფიანჯიანის და ბოლა-
ვის წიგნების მაგაზიებში, სემინარიაში (იაკ. გოგებაშვილთან) და
ობის რედაქციაში ისყიდებიან:

გაბრიელ ეპისკოპოზის ქადაგებანი და მოძღვრებანი. ფასი
თ-ნახევარი, მომსხო ქაღალდზედ ორი მანეთი.

კაცია, ადამიანი, მოთხრობა თ. ილია ჭავჭავაძისა. ფასი ათი
რი.

ბავშვების მოვლა, თხზულება კომბის, თარგმნილი ვას. მაჩა-
ბელისაგან. ფასი ათი შაური.

ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, შედგენი-
ი. გოგებაშვილისაგან, მეხუთე გამოცემა. ფასი ყველგან ერთი შაური.

ბუნების კარი, საყმაწვილო წიგნი დაბალ კლასებში სახმა-
რებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, საქართველოს კარტით
სი ყველგან ცამეტი შაური.

რუსული ენის დაწყებითი პრაქტიკული კურსი ქართველ-
თვის, შედგენილი გ. ჭ—შვილის მიერ, მეორე გამოცემა. ფასი
ორი აბაზი.

არითმეტიკა, შედგენილი გასტანგ თულაშვილისაგან და მ. ყი-
ფიანისაგან. ფასი სამი შაური.

თ. გიორგი ერისთავის თხზულებანი, ავტორის სურათით. პირ-
ველი და მეორე ნაწილი. ფასი სამი აბაზი, თბილისში.

დავითიანი, ლექს. თხზ. თ. დავ. გურამიშვილისა (ძველი მწერ-
ლობა). ფასი ათი შაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«მნათობი» ამ 1872 წელში გამოდის იანვარიდგან ყოველ თვ[ე] [თ]ითო წიგნის სივრცე არის შვიდიდგან ათ დიდ თაბახამდის.

---

ამ 1872 «მნათობის» ფასი:

მთელი წლისა—გაგზავნით ყველა ადგილებში შვიდი მანეთი. ნახევარ წლის ხელის მოწერა არ მიიღება, გარნა მთელი წლ[ი]ს ფასი შეიძლება შემოიტანონ ორ ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

თბილისში, სასულიერო სემინარიაში, უფ. სემინარიის მასწავ[ლ]ებლის გიორგი იოსელიანის სახელზედ.

ქუთაისში: უ. გერასიმე კალანდარიშვილთან, სასულიერო სასწავ[ლ]ებელში.

---

გამომცემელი ი. ქ. რედ. ნ. ავალიშვილი.